ზაზა აბაშიძე, ვალერი ვაშაკიძე,
ნათია მირიანაშვილი, გიორგი ჭეიშვილი

ყოველი საქართველო

(ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე)

თბილისი, 2014

ზაზა აბაშიძე, ვალერი ვაშაკიძე, ნათია მირიანაშვილი, გიორგი ჭეიშვილი

ყოველი საქართველო
(საკითხავი წიგნი)

© ზაზა აბაშიძე, ვალერი ვაშაკიძე, ნათია მირიანაშვილი, გიორგი ჭეიშვილი

წიგნი ეძღვნება ქართული სახელმწიფოს ისტორიულ საზღვრებს უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. მასში მიმოხილულია ქართულ ტომთა განსახლების არეალი და საქართველოს სასაზღვრო ცვლილებები ამა თუ იმ ეპოქაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, მოსწავლეების, სტუდენტებისა და საქართველოს ისტორიითა და საისტორიო გეოგრაფიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

რედაქტორი - აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი
რეცენზენტები: პროფესორი გ. არახამია, პროფესორი ო. ჯანელიძე
კარტოგრაფიული სამუშაო - მ. სულხანიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი - ს. ტარყაშვილი
ოპერატორები - მ. ბარამიძე, ლ. შენგელია

ავტორები მადლობას უძღვნიან კომპანია „მაგთიკომს“ წიგნის მომზადებისა და გამოცემის საქმეში მხარდაჭერისთვის.

ფონდი
„ქართველი“

ISBN 978-9941-0-6636-8

მაგთი
MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ვუძღვნით

გარდაცვლილ მასწავლებელთა ხსოვნას

წინათქმა

სახელმწიფო საზღვარი არის სახელწიფო ტერიტორიის ფარგლების განმსაზღვრელი ხაზი. ეს საზღვრის საცნობარო ხასიათის განმარტებაა, რომლის უკან დგას ეროვნული, სუვერენული სახელმწიფო და ერი, რომელმაც შექმნა ეს სახელმწიფოებრიობა; დგას ისტორია. ერთი რამ ცხადია: თანამედროვე მსოფლიოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მთავარი (თუ უმთავრესი არა) ფაქტორია მისი ტერიტორია, სახელმწიფო საზღვრები და მათი ხელშეუხებლობა. ჩვენი სამშობლოს დღევანდელი საზღვრები მოიცავს ყოფილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში „ნებაყოფლობით“ გაერთიანებული საქართველოს ტერიტორიას. თუ რამდენად „სამართლიანი“ და „ისტორიული“ იყო ჩვენი ქვეყნისთვის სსრ კავშირში „მიჩენილი“ სივრცე, ეს ცალკე საკითხია და წინამდებარე წიგნში ამ პრობლემას დიდი ადგილი ეთმობა, მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია — სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა სწორედ ამ „საბჭოური“ ტერიტორიითა და საზღვრებით გახდა. ამ საზღვრებში ცნო იგი ყველა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ და დღესაც ცნობს (თითო-ოროლას გამოკლებით).

ისტორიის ხანგრძლივი მსვლელობის პერიოდში, ასწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მუდმივად იცვლებოდა. დედამიწის ზურგზე არ დარჩენილა არც ერთი სახელმწიფო, რომლის საზღვარი ამა თუ იმ მოვლენის (ძირითადად, ომის) გამო არ შეცვლილა. ცხადია, ცვლილებები საქართველოსაც შეეხო. წარსულში ქართული სახელმწიფოს ტერიტორია ბევრად უფრო დიდი იყო (კიდევ უფრო ვრცელი — ქართულ ტომთა განსახლების არეალი). საქართველოც, როგორც სხვა სახელმწიფოები, თავისი ძლიერების ხანაში დროდადრო იერთებდა და კარგავდა ტერიტორიებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველ დროში. დღევანდელ საქართველოს არ უპყრია სხვისი ტერიტორიის ერთი მტკაველიც კი. პირიქით, მას დაკარგული აქვს თავისი ისტორიული მიწაწყლის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც მოქცეულია მეზობელი სახელმწიფოების (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) ფარგლებში.

დღევანდელ დღეს, ჩვენი სახლემწიფოს გარეთ არსებულ საქართველოს ისტორიულ მიწაწყალზე იურისდიქციას ავრცელებს მხოლოდ საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის შემადგენლობაში შემავალი ეპარქიები მოიცავენ საინგილოს, ლორე-ტაშირს, კოლა-არტაანს, ერუშეთს, ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს და ლაზეთს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა თითქოს არ უნდა დარღვეულიყო, მაგრამ ცალკე სეპარატისტულმა მოძრაობამ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთ-

ში, ცალკე რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყნის მიმართ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა — ქართული ისტორიული მიწაწყლის ნაწილი მიტაცებული და ფაქტობრივად ოკუპირებულია. დღეს კვლავ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გვიხდება საუბარი...

საქართველოს ისტორიული საზღვრების საკითხს ბევრი ქართველი თუ უცხოელი ისტორიკოსი შეეხო. სწორედ მათი გამოკვლევების გათვალისწინებითა და პირველწყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა წინამდებარე წიგნი. მასში ვერ და არ მოხვდა სათანადო მეცნიერული მტკიცებულებების გარეშე, ვარაუდების სახით, გამოთქმული მოსაზრებები.

ავტორთა ზოგიერთი შეხედულება, შესაძლოა, მიუღებელი აღმოჩნდეს ჩვენი მეზობელი ერების წარმომადგენელთათვის, მაგრამ ის მტკივნეული საკითხები, რომელთა გაშუქება-გადმოცემას ავტორები შეეცადნენ, მკითხველის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს და ვინმეს (თუნდაც ქართველი მკითხველის) საამებლად ნათქვამ ტყუილს ვერ იგუებს. ქართველმაც და საქართველოში მცხოვრებმა სხვა ერის წარმომადგენელმაც, სტუმარმაც, მოყვარემაც და მტერმაც სიმართლე უნდა იცოდეს იმ ქვეყნის საზღვრებზე, სადაც ცხოვრობს ან სტუმრობს.

ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, თავისუფალია სამეცნიერო გამოკვლევების მახასიათებლებისაგან და ისტორიული მოვლენები მარტივი ენითაა გადმოცემული.

თანდართული რუკები შედგენილია „საქართველოს ისტორიის ატლასის“ (თბილისი, 2003) მიხედვით.

წიგნის შექმნის იდეა ეკუთვნის ბატონ გია ჯოხთაბერიძეს, რომელმაც ითავა მისი გამოსაცემად მომზადებაც და დასტამბვაც, რისთვისაც ავტორები მას დიდ მადლობას მოახსენებენ.

შესავალი

წარსულის ნებისმიერი მოვლენის გადმოცემისას აუცილებლად ვამბობთ, რომ ის მოხდა „ოდესღაც“ და „სადღაც“. ესე იგი, მივუთითებთ დროსა და ადგილზე. მაგრამ ეს „სადღაც“ სულაც არ არის აბსტრაქტული გეოგრაფიული სივრცე. იგი ყოველთვის გარკვეულ საზღვრებში მოქცეული კონკრეტული ტერიტორიაა, რომელიც ამა თუ იმ ეთნოსის, ხალხის საცხოვრისია, მისი მამა-პაპის მიწაა, მისი კუთვნილებაა. ყოველი ეთნოსი ჰარმონიულად არის შერწყმული იმ ლანდშაფტთან, სადაც მას ცხოვრება და შემოქმედება უწევს. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან ის არის ამ ხალხის საიმედო თავშესაფარი, ცხოვრების წესის მიმცემი, ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელი. გამონაკლისს არც ქართველი ხალხი წარმოადგენს.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, ქართველი ერის ბედი, მეტწილად, ჩვენი სამშობლოს საბედისწერო გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. ქართველი ხალხი კავკასიის, ძირითადად სამხრეთ კავკასიის, მკვიდრი, ავტოქტონი მოსახლეობაა, რომლის საცხოვრისის ისტორიული საზღვრები ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებს გასდევდა. ჩრდილოეთიდან ძირითადად კავკასიონის ქედს, სამხრეთიდან – სამხრეთ ანუ მცირე კავკასიონის მთების სისტემას, დასავლეთიდან – შავ ზღვას, ხოლო აღმოსავლეთიდან – მდინარე მტკვრის შენაკადებს (ძეგამი და ალაზან – აგრი-ჩაი). სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად ამ ბუნებრივი პირობების წყალობაა, რომ ქართველმა ერმა ბევრჯერ თავისზე გაცილებით ძლიერი და მრავალრიცხოვანი გარეშე მტრის მოგერიება და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება შეძლო, თუმცა ჟამთა სიავემ (ხშირად დიდი იმპერიების ზეაღმატებულმა ძალამ, ზოგჯერ საკუთარმა ბედოვლათობამ) ისტორიულ საზღვრებს თავისი მსახვრალი ხელი დაატყო... არადა, ეროვნული ტერიტორია იქ მოსახლე ეთნოსის შემოქმედებაა, მისი კოლექტიური მეხსიერების ხატია და მისი შელახვა, თუნდაც ნაწილობრივი, თაობების ეთნოფსიქოლოგიაში ხელშესახებ ცვლილებებს იწვევს.

რა არის კოლექტიური მეხსიერება?

ადამიანი არასოდეს არ არის „მარტო“. ის მუდამ რომელიმე სოციალური კოლექტივის, ჯგუფის წევრია. ნებისმიერი სოციალური ერთობა (მათ შორის: ოჯახი, გვარი, ტომი, ხალხი, ერი, რელიგიური ერთობა და სხვა) კი თავისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად საჭიროებს ამ თვითმყოფადობის გამომხატველ სიმბოლოებს, მოგონებებს, რასაც კულტურული მეხსიერების ხატებს უწოდებენ. სწორედ ამგვარი ხატების ერთობლიობა ქმნის კოლექტიურ მეხსიერებას. ბუნებრივია, ყოველი ჯგუფი წარსულიდან მხოლოდ მისთვის საინტერესოს ინარჩუნებს. ამიტომაც ერთი და იგივე ისტორიული მოვლენა სხვადასხვა ჯგუფის მეხსიერებაში რადიკალურად განსხვავებულ ასახვას ჰპოვებს.

ეთნოსისთვის ამგვარი კოლექტიური მეხსიერების ხატი შეიძლება იყოს მითი საერთო წინაპარზე, წარმოდგენა მშობლიურ მიწაზე, სარწმუნოება, ერთი განმანათლებელი, მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი თუ პიროვნება, წმინდანები და სხვა.

ცხადია, მეხსიერების ამა თუ იმ ხატის ხელყოფა, მისი ცვლილება ჯგუფის ყველა წევრზე აისახება და კოლექტიური მეხსიერების გადაგვარებას იწვევს. სპეციალისტთა დასკვნით, ეს ამ ჯგუფის დაშლის ტოლფასია.

ეთნოსის, ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში მშობლიური მიწის აღქმას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ამის თვალსაჩინო მაგალითად ისიც გამოდგება, რომ სწორედ გარკვეული გეოგრაფიული ადგილი გახდა ერთი კონკრეტული ჯგუფის — ებრაელი ერის — გამაერთიანებელი სიმბოლო. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ პირველყოფილმა ადამიანმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა იმ საცხოვრისი ტერიტორიის საზღვრები, სადაც თავად ის, მისი ოჯახი, მისი ტომი სახლობდა.

როდესაც ეთნოსზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ადამიანთა კრებული, რომელიც საკუთარ თავს უპირისპირებს ყველა სხვა ასეთივე გაერთიანებას. ჯგუფში შემავალი ადამიანების მსოფლხედვა მეტ-ნაკლებად უნიფიცირებულია, რადგან მასზე ზემოქმედებას ახდენს ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე ენის, საერთო ისტორიის (ტრადიციები, მოგონებები, რიტუალები), კულტურის (რწმენა-წარმოდგენები, ღირებულებები, სიმბოლოები, ძეგლები) ჩამოყალიბება, რაც მათ ერთმანეთთან აახლოებს და ქმნის ერთიანობის, მთლიანობის, განუმეორებლობის განცდას.

ნებისმიერი ჯგუფის თვითმყოფადობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა მეზობელი ჯგუფებისაგან გამიჯვნაა. ეთნიკური ჯგუფის წევრები თვითიდენტიფიკაციას მხოლოდ სხვებთან დაპირისპირებით ახერხებენ. ყალიბდება „ჩვენ“ ცნობიერება, რომლის საპირწონე ხდება „ისინი“. ხშირად ამ პროცესის დაჩქარებაში, ჯგუფის თვითმყოფადობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „მტრის ხატი“. ის უფრო ძლიერ აკავშირებს ჯგუფს და ეხმარება მას, მკვეთრი ზღვარი გაავლოს საკუთარსა და სხვა ჯგუფებს შორის. სწორედ ეს ურთიერთწინააღმდეგობა სხვადასხვა სახით განმსჭვალავს მთელ კულტურას. იგი ყოველი ხალხის ეროვნული მსოფლხედვის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია.

ცნება „ჩვენ“, ანუ „თვისი“, თავდაპირველად ადამიანთა შედარებით მცირე ერთობის (გვარი, თემი) სისხლით ნათესაობის გაცნობიერების შედეგად გაჩნდა. ამ ჯგუფის წარმომადგენელი ინდივიდი თავს „დაბადებით თავისუფლად“, „დაცულად“ მიიჩნევდა და უპირისპირდებოდა „სხვას“, „უცხოს“, „მტერს“, „მონას“. ისტორიული პროცესების განვითარების კვალდაკვალ ცნება „თვისი“ გაფართოვდა. მან ახალი დატვირთვა შეიძინა: „თავისი ტომი“, „თავისი ხალხი“, „თავისი ერი“. „თვისი“ და „უცხო“ ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ეთნიკური ცნობიერების განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს.

უხსოვარი დროიდან ეთნოსები, ხალხები კარგად ამჩნევდნენ ერთმანეთისაგან განმასხვავებელ ნიშნებს. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში სემიტებს თეთრი, ზანგებს შავი, ეგვიპტელებს ყვითელი, ხოლო ლივიელებს მოწითალო-მოყავისფრო ფერებით გამოხატავდნენ. მოგვიანებით ძველმა ბერძნებმა ადამიანთა კიდევ მეტი ისეთი ჯგუფი გამოყვეს, რომლებიც მათ არ ჰგავდა. ამ ჯგუფებს მათ „ეთნოსები“ უწოდეს. საინტერესოა, რომ ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ჯიში“.

უძველესი კულტურის ხალხების წარმოდგენაში „სამყარო“, „ქვეყანა“ იყო ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა „ჩემი გვარი“, „ჩემი ტომი“, „ჩემი ხალხი“ ანუ „ჩვენ“. ეს იყო მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი, კარგად ნაცნობი კონკრეტული ტერიტორია, სადაც წესრიგი და ადამიანთა შორის თანხმობა სუფევდა. აღნიშნული გეოგრაფიული არეალი მკაცრად იყო გამიჯნული იმ სივრცისაგან, სადაც „სხვები“, „ისინი“, „უცხოები“ სახლობდნენ. იქ ბატონობდა უწესრიგობა და უკანონობა, რაც „ჩვენ“ ჯგუფისათვის მოსალოდნელი საშიშროების განცდას ბადებდა. ასე გაჩნდა, მაგალითად, ძველბერძნულ ენაში ურთიერთდაპირისპირებული ცნებები: „კოსმოსი“ და „ქაოსი“. პირველის ძირითადი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „წესრიგი“, ხოლო მეორისა – „ცარიელი სივრცე“, „უფსკრული“. ჩვენი წინაპრებიც უხსოვარი დროიდან განარჩევდნენ „შინასა“ და „გარეს“. როგორც კი სოციალურმა ჯგუფმა შეიცნო „შინა“ სივრცე, როგორც მისი განფენის ტერიტორია, მაშინვე გაჩნდა „გარეც“ – უცხო და ხიფათით სავსე სამყარო, რომელშიც ბოროტი სულები ბუდობდნენ. „გარეს“ ბინადარი იყო „გარეული“ და აქედანვე ნაწარმოები „გარეწარი“, რომელიც ქართულ ენაში უარყოფითი შინაარსით დამკვიდრდა და მორალურად გადაგვარებულ ადამიანს აღნიშნავს.

იმ პერიოდისათვის ეთნოსებს შორის განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, უშუალო დაკვირვებით აღმოჩენილი ჩვეულებებისა და ქცევების ერთობლიობას ემყარებოდა. დღეისათვის ამ ურთულეს პრობლემას იკვლევენ ეთნოფსიქოლოგები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები. სწორედ მეცნიერების ამ დარგების სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეთნოსების დაყოფა, დაპირისპირება „თვისი“- „უცხო“ („ჩვენ“ - „ისინი“) მხოლოდ იმ საზღვრებშია შესაძლებელი, რომელიც „მშობლიურ მიწას“ „სხვისი ტერიტორიიდან“ გამოყოფს.

კაცობრიობის ისტორიის შემოქმედნი არიან კულტურის სუბიექტები – ერები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ განსხვავებულობის აღქმა კი ეროვნული ტერიტორიის საზღვრების ზედმიწევნით გაცნობიერების გარეშე წარმოუდგენელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის ერის კოლექტიური მეხსიერების ხატების და, რა თქმა უნდა, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესის

- მშობლიური მიწის - სათუთად მოვლა-შენახვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სამშობლო“ არის „დედის სახლი“. მშობლის საცხოვრისი, მშობლიური მიწა, მამული (ილიასეული „სამი საუნჯიდან“ უპირველესი) წინაპართაგან ანდერძად ბოძებული ის განძია, რომლის შენახვა და თვალის ჩინივით გაფრთხილება ყველა თაობის წმინდა-თაწმინდა ვალია.

ბუნებრივია, სამშობლოს დაცვაში მისი მხოლოდ გარეშე მტრის ხელყოფისაგან დაცვა არ იგულისხმება. ეს ისედაც ყველასათვის ცხადი უნდა იყოს! ნებისმიერი ეთნოსის სისხლსავსე, სრულფასოვანი ცხოვრებისათვის აუცილებელია ჰარმონიული კავშირი მშობლიურ გარემოსთან, მის ლანდშაფტთან. მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თუკი რადიკალურად იცვლება ლანდშაფტი, ძირეულად იცვლება იქ მოსახლე ეთნოსიც. ხოლო ლანდშაფტის იმგვარი ცვლილება, როცა იგი გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს აჭარბებს, ძველი ეთნოსების ადგილზე ახლის გაჩენას იწვევს. ასე რომ, ჩვენი მიწაწყლის ეკოლოგიაზე ზრუნვა საშვილიშვილო საქმეა. ერსა და ბერს უნდა ახსოვდეს, რომ სამშობლო ერთადერთია და იგი უფლის დარი თაყვანისცემის ღირსია.

ქვეყანა... გვაქვს უთვალი ფერითა

ევროპა-აზიის საზღვარზე, შავ და კასპიის ზღვებს შორის ამოზიდულ ხმელეთს ძველთაგანვე კავკასიის ყელი, ან, უბრალოდ, კავკასია ეწოდება. მის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ქმნის მთათა ორი ჯაჭვი: დიდი და მცირე კავკასიონი.

„მთათა მეფედ“ წოდებული დიდი კავკასიონი ტამანის ნახევარკუნძულიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე დაახლ. 1300 კილომეტრზეა გადაჭიმული. მისი დასავლეთი და აღმოსავლეთი კიდეების სიგანე 150 კილომეტრს აღემატება; ცენტრალური ნაწილი, იალბუზიდან მყინვარწვერამდე, შედარებით ვიწროა.

დიდი კავკასიონი ერთმანეთისგან ყოფს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, მიმართულებას აძლევს მათ მდინარეებს, აპირობებს კლიმატს. მცირე კავკასიონი მოიცავს კავკასიის ყელის სამხრეთ ნაწილს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მდ. არაქსის ხეობის შუა მონაკვეთამდე. ეს რეგიონი კავკასიონთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია.

სამხრეთ კავკასიას ხშირად ამიერკავკასიის სახელითაც მოიხსენიებენ. მისი ტერიტორია, ძირითადად, სამ სახელმწიფოს უჭირავს: საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. მცირე ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული.

ჩრდილოეთ კავკასია თითქმის მთლიანად რუსეთის ფედერაციის საზღვრებშია შესული. იქ სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულია: ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის რესპუბლიკები, აგრეთვე, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები.

კავკასია უხსოვარი ხანიდან კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთშეხვედრის არეალს წარმოადგენდა. დღესაც ის ხალხთა, ენათა და ტრადიციათა დაუშრეტელ საუნჯედ რჩება.

***

საქართველო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს და კავკასიის ყელის დასავლეთ ნაწილს მოიცავს; ჩრდილოეთიდან მას რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან — თურქეთი და სომხეთი, აღმოსავლეთიდან — აზერბაიჯანი.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული გარემო უჩვეულო მრავალფეროვნებით ხასიათდება: შავი ზღვის ნაპირებსა და კავკასიონის მარადთოვლიან მწვერვალებს შორის ერთმანეთს ენაცვლება ვაკე, დაბლობი, ზეგანი, მთისწინეთი, მაღალმთიანეთი. „ხოლო არს (საქართველო) შემკობილი მთითა და ბარითა,

რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ ბ˜, გ˜, ვ˜ ჟამს (ორ, სამ ან ექვს საათში – ავტ.) მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არა მიიწეოდეს“, – წერს XVIII ს-ის I ნახევრის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის ფართობის 1/3-ზე მეტი კავკასიონის მაღალმთიანეთს უკავია. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 690 კმ-ს აღემატება.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ანტიკავკასიონის მთიანეთი სერავს. საქართველოს საზღვრებში მცირე კავკასიონი ქმნის შავშეთის, არსიანის, აჭარა-იმერეთის, თრიალეთისა და ლოქის ქედებს... სამხრეთ საქართველოს საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფი ახასიათებს. აქ ვხვდებით ერუშეთის მაღლობს, ჯავახეთის ზეგანს, წალკისა და ხრამის პლატოებს.

კავკასიონსა და ანტიკავკასიონს შორის მოქცეულია საქართველოს მთა-თაშორისი ბარი, რომელიც მოიცავს კოლხეთის დაბლობს, ზემო იმერეთის პლატოს და ივერიის ბარს. საქართველოს ბარი მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად ყველაზე მძლავრი მხარეა. მას ქვეყნის ტერიტორიის დაახლ. 45% უკავია და ზღვის დონიდან 1000 მ. სიმაღლემდეა განფენილი.

რელიეფის ნაირგვარობა დიდად აპირობებს კლიმატის მრავალფეროვნებას. საქართველოში თითქმის ყველა სახის კლიმატური ზონაა — დაწყებული დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკებიდან, დამთავრებული კავკასიონის მარადი თოვლისა და მყინვარების სამეუფოთი.

ჩვენი სამშობლო განსაკუთრებით მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები, ტბები, მყინვარები, ჭაობები და მიწისქვეშა წყლები). „კუალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი და გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი სენთანი, და ტბანი დიდნი და მცირენი...“ — ესეც კიდევ ერთი ამონარიდია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებიდან. ამ პატარა ქვეყანაში 26 ათასზე მეტ მდინარეს ითვლიან. წყალუხვობით მდ. რიონი გამოირჩევა. ის სათავეს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასის მთასთან იღებს და 333 კმ-ზე მიედინება. მისი ძირითადი შენაკადებია ყვირილა, ცხენისწყალი, ტეხური, ხანისწყალი... ცალკე აუზებს ქმნის მდინარეები: ენგური, კოდორი, ბზიფი, სუფსა, კინტრიში, ჭოროხი და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი სამდინარო არტერია მტკვარია. ის სათავეს თურქეთიდან იღებს. მისი საერთო სიგრძე 1364 კმ-ია; აქედან, საქართველოში – 351 კმ. მტკვრის შენაკადებიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსანიშნავია: დიდი ლიახვი, ქსანი, არაგვი, ფარავანი, ქცია, ალაზანი, იორი და სხვ. კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე გაედინება თერგი, თუშეთის ალაზანი, არხოტის წყალი, არღუნი. დასავლეთ საქართველოს მდინარეები შავ ზღვაში ჩაედინება, აღმოსავლეთისა – კასპიის ზღვაში. ტბები განსაკუთრებით მრავლად საქართველოს სამხრეთ რაიონებში გვხვდება.

წყლის სიუხვე დიდ როლს ასრულებდა ქართველთა სამეურნეო ცხოვრებაში, კერძოდ კი, მიწათმოქმედების განვითარებაში. მან თავისი კვალი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ყოფასაც დაატყო. საქართველოს უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები („ხევები“) ხეობებსა და ტაფობებში წარმოიქმნა.

***

ბუნებამ საქართველო დააჯილდოვა არა მხოლოდ წყლებით, არამედ – ნადირითა და ფრინველით სავსე ტყეებით, მინერალებით, შესანიშნავი საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით, ბარაქიანი ველებით, ნაყოფიერი მიწებით. „გარნა არს ქუეყანა შუენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ, და არა ჴელოვნებითა კაცთათა, — წერდა ვახუშტი, — რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი“.

გარემოსა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთზემოქმედების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა მთისა და ბარის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტური არეები.

ისტორიულად საქართველოს ტერიტორია ორ უმთავრეს გეო-მორფოლოგიურ და აგრო-ბოტანიკურ არედ იყოფოდა: „მთად“ და „ბარად“. ეს უკანასკნელი ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურებით (მევენახეობა-მეხილეობით) ხასიათდებოდა, ხოლო პირველი — სახნავ-სათიბებისა და საძოვრების სიუხვით. თვალსაჩინოებისათვის ორი კუთხის დახასიათებას მოვიტანთ ვახუშტის ნაშრომიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: დებედას ხეობის სათავეებში მდებარეობდა ჴევი ბამბაკისა (დღევ. სომხეთის რესპუბლიკა), „**მთებრი** და შუენიერი, ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ხორბალნი, ქრთილი, სელი, შვრია, სხუა არარაჲ... პირუტყვთა სიმრავლე არს, თჳნიერ აქლემისა; თივათა სიმრავლე, თაფლი მრავალი“; მცხეთასთან გადაჭიმული მუხრანის დაბლობი („**ბარი**“) კი ყოფილა „ფრიად შემკულ ... ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშუენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშუენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყუნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან“.

მთა და ბარი, თავის მხრივ, თურინჯ-ნარინჯიან (ციტრუსები), ბრინჯ-ბამბიან, ვენახ-ხილიან, უვენახ-ხილო (მემინდვრეობა) და ბალახ-ყვავილოვან (სათიბები და ზაფხულის საძოვრები) არეებად იყოფოდა. ნაყოფიერება და მოსავლიანობა მხარეებისა და სიმაღლეების მიხედვით იცვლებოდა. არსებობდა იშვიათი გამონაკლისიც. ლეჩხუმის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი“.

ქვეყნის ცენტრალური ნაწილი ვენახ-ხილიან არეებს ეკავა. შემდეგ მას, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, უვენახო, მერე უვენახ-ხილო, ბოლოს კი ალპური საძოვრები ერტყა. მინდვრები და საზაფხულო საძოვრები თავისი ფართობით ბევრად აღემატებოდა ვენახ-ხილიან ზოლს. სანაპირო მხარეებში თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის კულტურები იყო გავრცელებული.

სასოფლო-სამეურნეო არეების მრავალფეროვნების წყალობით საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთზე იყო დამოკიდებული. ბარს მთის სახნავ-სათიბები და ზაფხულის საძოვრები ესაჭიროებოდა, მთას კი – ბარის ზამთრის საძოვრები და ვენახები. ქართული მიწების კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი ითამაშა მეტალურგიამაც, კერძოდ, ლითონმოპოვებისა და ლითონწარმოების კერებს შორის რეგულარულმა ურთიერთობებმა.

მთასა და ბარს აკავშირებდა გზები, რომლებიც, უმთავრესად, მდინარეებს მიუყვებოდა. დიდი და მცირე კავკასიონიდან გამომავალი მდინარეები ცენტრალურ არტერიებს (რიონს, მტკვარს) საქართველოს ბარში უერთდება, ამდენად, გზებიც ქვეყნის შუაგულში იყრიდა თავს და კიდევ უფრო ზრდიდა ბარის მიზიდულობის ძალას.

ყველა ეს თავისებურება დიდწილად განაპირობებდა საქართველოს ერთიანობას. „ამ გეო-ბოტანიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“.

***

საქართველოს ტერიტორიის ფართობი 70 ათასს კმ^2 აღწევს. ქვეყნის გეოგრაფიული განფენილობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა — ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. ყოფილა პერიოდები, როდესაც ტერიტორიების დაკარგვას კრიტიკული ზღვრისთვის მიუღწევია და ერის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დამდგარა („დიდი თურქობის“ ჟამს XI საუკუნის ბოლოს), ზოგჯერ კი, პირიქით, საქართველოს სახელმწიფო ისე გაძლიერებულა, რომ მთელი კავკასია თავის საზღვრებში გაუერთიანებია (XII-XIII სს.).

ისტორიული საქართველოს მიწაწყალი, დღევანდელი საზღვრების გარდა, მოიცავდა მტკვრის ზემო წელისა და შუა წელის აუზებს მთლიანად, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადებს, მდ. ჭოროხის აუზს (ჭოროხის სიგრძე 438 კმ.-ია; აქედან, მხოლოდ 26 კმ.-იანი მონაკვეთი მიედინება დღეს საქართველოს საზღვრებში), ნარას ქვაბურს (დვალეთს), ჯიქეთს; საუკუნეთა განმავლობაში მასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამხრეთდაღესტნური თემე-

ბი, ბასიანი არაქსის ზემო წელზე, პალაკაციო (ჩილდირის ტბის ქვაბურში) და ჭანეთი. ისტორიულ მიწაწყალზე როდესაც ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ეთნიკური ჰომოგენურობა, არამედ, პირველ ყოვლისა, კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თანაცხოვრება და ერთგვაროვნება.

დასავლეთით საქართველოს შავი ზღვა სდარაჯობდა (ჩვენი წინაპრები მას სპერის ან პონტოს ზღვას უწოდებდნენ; ზოგიერთი უცხოელი ავტორი ქართველთა // საქართველოს ზღვად მოიხსენიებდა. შავი ზღვა თურქული ყარა-დენიზის თარგმანია), ჩრდილოეთით – ძირითადად კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთიდან — მტკვარ-ალაზნის შენაკადები, სამხრეთიდან ჭოროხ-ევფრატის, ჭოროხ-არაქსისა და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედები. ამრიგად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები თვით ბუნების მიერ ყოფილა საუცხოოდ შემოსაზღვრული. უცხოურ მწერლობაში დაცული ეთნონიმური წარმომავლობის ტოპონიმები: იბერიის კარი (დარიალი), გურჯი-ბოღაზი (საქართველოს ყელი ევფრატის სათავეებში), ძველი ლაზიკე (ნიკოფსი) და სხვა კარგად აჩვენებს ქართული სახელმწიფოს გეოგრაფიულ განფენილობას ისტორიულ ხანაში.

***

ისტორიულად და გეოგრაფიულად საქართველო ორ ნაწილად იყოფოდა: ლიხთიმერად, ანუ დასავლეთ საქართველოდ და ლიხთამერად, ანუ აღმოსავლეთ საქართველოდ.

საქართველოს ცენტრალურ მხარეს წარმოადგენდა ქართლი. აქ თავს იყრიდა ის გზები, რომლებიც საქართველოს უკიდურეს თემებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, ქართლის მეწინავეობას მეურნეობრივი მრავალფეროვნება, მძლავრი სამიწათმოქმედო და მეტალურგიული ბაზის არსებობა განაპირობებდა.

ქართლი ერთ დროს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა (ძველი ბერძნები და რომაელები მას „იბერიად“ მოიხსენებდნენ), უფრო ვიწრო გაგებით ის შიდა და ქვემო ქართლს მოიცავდა. მისი უძველესი ცენტრი იყო „მთა ქართლი“ (მცხეთასთან, კარსნისხევის სათავეში), საიდანაც ქართის ტომმა თავისი გავლენა მეზობელ ტომებზეც გაავრცელა. ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ ეს ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი პროცესი ქართველთა მითიური მამამთავრის, ქართლოსის სახელს დაუკავშირა: „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე და იშენა მუნ ზედა სახლი, და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი. და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი — ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა“.

შიდა ქართლს, ანუ „ზენა სოფელს“ (ზენა ქვეყანას), სამი მხრიდან ქედები (ლიხის, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი, თრიალეთის) საზღვრავდა, მეოთხე მხრიდან – მდ. არაგვი. ფიზიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა წყალობით ის რამდენიმე წვრილ ქვეყნად იყოფოდა: კასპი, უფლისციხე, მცხეთა, დვანისხევი (ფრონეები), აჩაბეთისხევი (დიდი ლიახვის ზემო წელი), ქსნისხევი, ცხრაძმისხევი, ბაზალეთი... შიდა ქართლის იმ ნაწილს, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და თრიალეთის ქედს შორის იყო მოქცეული, სხვადასხვა დროს ატენისხევი, არმაზის ქვეყანა, ან გაღმა მხარი ეწოდებოდა.

შიდა ქართლის მთიანი ნაწილი მცირე ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებს უკავია: მაღრან-დვალეთს (ლიახვის სათავეები), ხევს (თერგის სათავეები), მთიულეთს (თეთრი არაგვი), გუდამაყარს (შავი არაგვი). შიდა ქართლთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული დვალეთიც (ნარას ქვაბური ჩრდილოეთ კავკასიაში). შიდა ქართლის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმთავრესი გზა ხევსა და დვალეთზე (დარიალის კარი და დვალეთის კარი) გადიოდა. შიდა ქართლის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ბარში, არ ყოფილა მუდმივი; დროთა განმავლობაში ისინი იშლებოდა, ერთმანეთს ერწყმოდა, ქრებოდა ძველი ქვეყნები, იქმნებოდა ახალი.

დღეს ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორია ხაშურის, გორის, კასპის, მცხეთის, ჯავის, ახალგორის და, ნაწილობრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტებშია გადანაწილებული.

თრიალეთს ქედის სამხრეთით ქვემო ქართლი იწყებოდა. ის ვრცელ მიწაწყალს მოიცავდა - სამხრეთით დებედას სათავეებამდე, აღმოსავლეთით კი მდ. ძეგამამდე ვრცელდებოდა. ძეგამიცა და ბამბაკის მთებიც, იმავდროულად, საქართველოს ისტორიულ საზღვარსაც წარმოადგენდა. დასავლეთით ქვემო ქართლი ჯავახეთის მთებამდე აღწევდა.

ქვემო ქართლი „ქვენა სოფლის“ სახელითაც მოიხსენიება. ძველი ბერძნები მას „გოგარენეს“, ხოლო სომხები „გუგარქს“ უწოდებდნენ, იქ მოსახლე გუგართა ტომის სახელის მიხედვით. ეს მხარე, XII საუკუნემდე, დროდადრო სომხების ხელში გადადიოდა, ამიტომ ქართველებმა მას „სომხითიც“ შეარქვეს. თავად სომხები კი „ვრაც-დაშტს“, ანუ „ქართველთა ველს“, ეძახდნენ.

ქვემო ქართლი რამდენიმე ქვეყნად იყოფოდა: თრიალეთი, დმანისხევი, ბოლნისხევი, ტაშირი (მდ. დებედაზე), მანგლისის ხევი, გარდაბანი (დებედა-ძეგამის ორმდინარეთი), გაჩიანი და ა.შ. ცალკე ქვეყანა ჰქონდა ქალაქ თბილისს; მას პარუარი რქმევია. ყველა თემი მტკვრის აუზს მიეკუთვნებოდა, გარდა აბოცისა (გვიანდელი ყაიყული), რომელიც მდ. ახურიანის სათავეებს მოიცავდა და, ამდენად, არაქსის აუზში იდო. აბოცის გეოგრაფიული მდებარეობა ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ის ხშირად სომხეთის შემადგენლობაში ხვდებოდა. ზოგიერთ ამ პროვინციას (თრიალეთს და ტაშირს) უკვე ბერძენ-რომაელი ავტორები ასახელებენ; ხშირად იხსენიება ისინი ძველ სომხურსა და არაბულ მწერლობაშიც.

ინტენსიური მიწათმოქმედებისთვის ვარგის მიწებთან ერთად იქ უხვადაა საუცხოო საზაფხულო საძოვრები. ქვემო ქართლი მელითონეობის მნიშვნელოვან კერასაც წარმოადგენდა.

ქვემო ქართლს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: ლორე-ტაშირის ზეგანი იყო საქართველოს კარიბჭე, საიდანაც მოკლე გზით დედაქალაქზე, თბილისზე (მანამდე, მცხეთაზე) მიისვლებოდა. მის გამაგრებაზე ქართველი მეფე-მთავრები საგანგებოდ ზრუნავდნენ: ქართლის სამეფოს არსებობის ხანაში ქვემო ქართლში ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოები, ერთიან საქართველოში კი — ლორესა და გაგის სანაპირო საერისთავოები მოქმედებდა. გვიან შუა საუკუნეებში ქვემო ქართლი ქართლის სამეფოს მეწინავე სადროშოს ქმნიდა და პირველი უხვდებოდა სამხრეთიდან შემოჭრილ მტერს.

დღეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ქვემო ქართლის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია (გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკის მუნიციპალიტეტები). სხვა ტერიტორიები სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული.

***

ქართლს მიათვლიდნენ, ასევე, ზემო ქართლს, ანუ მესხეთს. „ძუელად ეწოდებოდა ზემო ქართლად, ამისთჳს მტკუარი ვინაჲთგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქუეყანათა დაუბრკოლებელი აქუს“ — განმარტავს ვახუშტი ბატონიშვილი.

მესხეთი ჭოროხის ხეობის აუზსა და მტკვრის ზემო წელს აერთიანებდა; აქ მდებარეობდა: სპერი (ჭოროხის ზემო წელი), ტაო (ჭოროხის შუა წელი მარჯვენა და მარცხენა შენაკადებით: პარხლისწყალი, თორთომი, ოლთისი), კლარჯეთ-შავშეთი და აჭარა (ჭოროხის ქვემო წელი). აჭარა თავდაპირველად აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა; მისი გავრცელება ზღვისკენ უფრო მოგვიანებით ხდება.

მტკვრის ზემო წელზე, მისი სათავეებიდან რომ დავიწყოთ, შემდეგი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები იყო განლაგებული: კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჯავახეთი (ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის მუნიციპალიტეტები; საკუთრივ ასპინძის ხევი ისტორიულად სამცხეს ეკუთვნოდა), სამცხე (ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები; სამცხესვე ეკუთვნოდა ფოცხოვის ხეობა, რომლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ამჟამად თურქეთშია) და თორი (ბორჯომის მუნიციპალიტეტი).

მესხეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბასიანიც (მდ. არაქსის ზემო წელი). არაქსის ზემო წელი, გარკვეულწილად, ქართული სახელმწიფოებრიობის ტრადიციულ საზღვარსაც წარმოადგენდა: აქამდე ვრცელდებოდა ფარნავაზიანთა ქართლი (პერიოდულობით), ბაგრატიონთა „ქართველთა სამეფო“, ერთიანი ქართული მონარქია თუ სამცხე-საათაბაგო.

მტკვრის ხეობის ქვეყნები, სამცხის გამოკლებით, უფრო „მთას“ წარმოადგენდა, ჭოროხისა – „ბარს“. მაგრამ იქ არ არსებობდა ბარის მძლავრი ზონა (როგორც ქართლში ან კახეთში), რომელიც მტკიცედ დააკავშირებდა ამ ორ აუზს. პირუკუ, ამ ქვეყნებს, ვახუშტის ნიშანდობლივი დაკვირვებით, „მთა-ბარის“ „ახლორება“ ახასიათებდა („რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“), რაც ხელს უწყობდა მათ თვითკმარ ერთეულებად ჩამოყალიბებას.

მესხეთი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქ გადიოდა ის უმთავრესი გზები (მათ შორის, „გზა ქართლისა“), რომლებიც დანარჩენ საქართველოს მახლობელ აღმოსავლეთთან აკავშირებდა, აქედან შემოდიოდა და ვრცელდებოდა კულტურული სიახლეები და მოწინავე იდეები. შუა საუკუნეებში (და ამაზე უწინარესაც) მტკვრის ხეობის თემების საზაფხულო საძოვრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხოველეობის განვითარებისთვის (წმ. ნინოს ჯავახეთში შიდა ქართლიდან საბალახედ გადმორეკილი რქოსანი პირუტყვი დახვდა); ამასთანავე, ეს ქვეყნები (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთი) საქართველოს პურის ბეღელს წარმოადგენდა. ჭოროხის აუზი კი განთქმული იყო მეხილეობით; ისტორიის ადრეულ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ მეტალურგიულ კერებს.

მესხები ისტორიის ასპარეზზე, მართალია, ძვ.წ. XII საუკუნიდან ჩანან, მაგრამ თავად ტერმინი „მესხეთი“ გვიანდელია. „მოსხთა ქვეყანა“ („მოსხიკე“) პირველად ძველ ბერძენ გეოგრაფოს, სტრაბონთანაა (ძვ. წ. 64/63 – ახ.წ. 23/24 წწ.) დამოწმებული. მოსხიკეს პროვინციებიდან ის ასახელებს, აგრეთვე, პარიადრეს კალთებსა (მერმინდელი ბასიანი) და ხორზენეს (გვიანდელი ტაო, კოლა და, სავარაუდოდ, სპერიც). მისთვისვე ცნობილია მოსხური მთები და პარიადრეს მთები. მესხეთის სხვა ქვეყნების სახელები უკვე ადრეანტიკური ხანის ბერძნულ საისტორიო თხზულებებში გვხვდება: „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) სასპერებს (ე.ი. სპერის მკვიდრებს) ახსენებს, მისი უმცროსი თანამედროვე ქსენოფონტე — ტაოხებსა (ტაოელებს) და ფასიანებს (ბასიანელებს).

მესხეთში შემავალი ქვეყნებისა და ტომების სახელები რომ ძველისძველია, ამას ძველაღმოსავლური წყაროები მოწმობს. ასურელი და ურარტუელი მეფეები არაერთხელ ასახელებენ დაიაენ-დიაოხს (ტაოს), ზაბახას (ჯავახეთს), კათარზასა (კლარჯეთს) და სხვ.

ფიქრობენ, რომ საკუთრივ მესხთა პირველსაცხოვრისი სამცხე უნდა ყოფილიყო.

დღეს მესხეთის მიწაწყლის უდიდესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაშია.

***

ქართლის აღმოსავლეთით, მდინარე არაგვიდან კახეთ-ჰერეთი იწყებოდა. თავდაპირველად კახეთი მოიცავდა ივრისა და ალაზნის ზემო წელს. მას ემეზობლებოდა კუხეთი (ტერიტორია ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე) და ჰერეთი. ეს უკანასკნელი საკუთრივ ჰერეთის (ალაზნის დაბლობი თელავიდან შაქამდე) გარდა ფარავდა სუჯეთს (ტერიტორია ხაშმსა და ბოდბეს შორის) და კამბეჩანს (გვიანდელი ქიზიყი მტკვარსა და ალაზნის ქვემო დინებას შორის). საუკუნეთა განმავლობაში კახეთის საზღვრები თანდათან ფართოვდებოდა კუხეთ-ჰერეთის ხარჯზე. კახეთის სახელწოდების დამკვიდრება მთელ ამ ტერიტორიაზე XVI ს-ის დასაწყისისათვის დასრულდა. ჩრდილოეთით კახეთს ეკუთვნოდა ფხოვი — ასე ეწოდებოდა ფშავსა (ფშავის არაგვზე) და ხევსურეთს (მოიცავდა ხევსურეთის არაგვს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე და ასას, არგუნისა და ანდაკის სათავეებს მის ჩრდილოეთ კალთებზე) XV საუკუნემდე — და თუშეთი (ანდი-ყოისუს სათავეები კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე). კახეთს ეკუთვნოდა სამხრეთი დაღესტნის თემებიც: დიდოეთი, ხუნძეთი, წუქეთი. XVI-XVIII სს. კახეთი რამდენიმე მხარედ იყოფოდა: გარეკახეთი (იორის შუა დინება), შიგნით კახეთი (ალაზნის მარჯვენა სანაპირო), გაღმამხარი (ალაზნის მარცხენა სანაპირო), ელისენი (გვიანდელი ჭარ-ბელაქანი), ქიზიყი.

კახეთი საქართველოს მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო ცენტრს წარმოადგენდა. „ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყჳთა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თჳნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერენით, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს... ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრავლეს აქაურისა“ (ვახუშტი).

კახეთზე გადიოდა ალბანეთთან და სპარსეთთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ეს მხარე განთქმული იყო არა მხოლოდ მევენახეობითა და მეაბრეშუმეობით (სწორედ ქართული პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო ეწეოდნენ მის წინააღმდეგ „ეკონომიკურ ომს“ თემურ-ლენგი თუ შაჰ-აბას I), არამედ – ზამთრის საძოვრებით. მძლავრი ბარი მჭიდროდ კრავდა ერთმანეთთან კახეთის სხვადასხვა კუთხეს. თუშეთთან დაკავშირებით, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინაჲთგან აქუთ ზაფხულსა თჳსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“.

ამგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული კავშირები კარგად ხსნის ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას. ერთი ასეთი ფაქტის – ბახტრიონის აჯანყების – მიზეზების გაანალიზებისას ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი

წერდა: კახეთის მმართველმა, განჯის ხანმა სელიმმა „სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ... თურქმანთა დიდი ურდოები ჩამოასახლა კახეთში. თურქმანებმა დაიჭირეს ბახტრიანი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები. ეს საქმის დასაწყისი იყო. სელიმ-ხანი მთელი შიგნითა და გარეკახეთის ბარი-ადგილების თურქმანებით დასახლებას აპირებდა... კახეთს გადაშენება-მოსპობა ელოდა — თურქმანები მთელ კახეთს თავის ყიშლაღ-იალაღებად გადაქცევას უპირებდნენ, როგორც ამბობს ხალხი ლექსში: ბახტრიანს სხედან თათრები/ სიტყვას ამბობენ ძნელსაო/ ახმეტას ჩავჭრით ვენახსა/ შიგ ჩავასახლებთ ელსაო. მაგრამ საფრთხე მხოლოდ კახეთის ბარში მცხოვრებთ როდი უდგა. კახეთის მთიანეთის მოსახლეობა სულითა და ხორცით ბართან იყო დაკავშირებული. კახეთის ბარი მთიანეთის მარჩენალი იყო: ბარის პურითა და ღვინით ირჩენდა თავს მწირი მთის მოსახლეობა; ბარის საზამთრო საძოვრებზე იყო დამოკიდებული მთიანეთის მეცხვარეობა; კახეთის ბარი იყო ის ადგილი, სადაც მთის ჭარბი მოსახლეობა სულ მუდამ ესახლებოდა. კახეთში მრისხანე აჯანყება მომწიფდა; საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა... კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მოხევე ზვავად მოასკდა და საშინელი დაკვრით ერთბაშად გასწმინდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან სამშობლო მიწა-წყალი“.

კახეთის დიდი ნაწილი საქართველოს საზღვრებშია და საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებშია გადანაწილებული. ისტორიული კახეთის დასავლეთი კუთხეები, მათ შორის, ფშავ-ხევსურეთი, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის მხარეებზეა მიწერილი; მისი აღმოსავლეთი (ზაქათალა, იგივე საინგილო) და სამხრეთი ნაწილი (ყარაიასა და ელდარის სტეპები) აზერბაიჯანის საზღვრებშია.

***

ლიხის ქედის დასავლეთით დასავლეთ საქართველო იწყება. ანტიკურ ხანასა (შესაძლოა, ამაზე უწინარესაც) და ადრე შუა საუკუნეებში მას ეგრისი ერქვა; ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი მწერლები მას ჯერ კოლხეთის, შემდეგ ლაზიკის სახელით მოიხსენებდნენ. წამყვანი ტომები მეგრები // მეგრელები იყვნენ. დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნაწილში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობსა და იმერეთის ზეგანზე, ადგილის, მათ შორის, წყლებისა და მთების, სახელები მეგრულ-ჭანური ენის საფუძველზე იხსნება. ეს, თავის მხრივ, მთელ ამ ტერიტორიაზე მეგრთა განსახლებაზე მიანიშნებს.

ეგრისის სამეფოს ბირთვს შიდა ეგრი ქმნიდა. ეს ქვეყანა მერმინდელ სამეგრელოსა და ქვემო იმერეთს მოიცავდა. მის აღმოსავლეთით, დაახლ. რიონსა და ლიხის ქედს შორის არგვეთი // მარგვეთი (გვიანდელი ზემო იმერეთი) მდებარეობდა. პროვინციის სახელწოდება საკმაოდ ძველია; ის დადასტურებულია უძველეს ქართულ მატიანეებში, ასევე ძველ ბერძნულსა და

სომხურ გეოგრაფიულ ტრაქტატებში. რიონსა და ჭოროხს შორის, გურიის ტერიტორიაზე, ლაზები სახლობდნენ.

ეგრისის სამეფოს ეკონომიკურ ცენტრს კოლხეთის დაბლობის ციხე-გოჯი — ქუთაისის მონაკვეთი ქმნიდა. ძველად მას მოხირისი ერქვა. „მოხირისი — წერს VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი — შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ“. გვიანდელ წყაროებში ამ მხარეს „სამოქალაქო“ ან „ვაკე“ შეესატყვისება. მოხირისი-სამოქალაქო-ვაკე დასავლეთ საქართველოს უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო არედ რჩებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

უძველესი დროიდან დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურქართული ტომების განვრცობამ და შერწყმამ დასავლურქართულ ტომებთან, გავლენა იქონია ლინგვისტურ ლანდშაფტზე და, ამასთანავე, უფრო მკვეთრად გამოყო ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პროვინციები.

XII ს-დან ქართულ წყაროებში დასტურდება „იმერეთი“. ტერმინი ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე ქვეყანას, დასავლეთ საქართველოს, აღნიშნავდა; ამიტომ მის სინონიმად წერილობით ძეგლებში „ლიხთიმერიც“ გვხვდება. „იმერელიც“, შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს მკვიდრს გულისხმობდა. XIII საუკუნის დასაწყისში შექმნილ საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ნათქვამია, რომ ბასიანის ბრძოლის (1203 წ.) წინ თამარ მეფის მეუღლის, დავით სოსლანის, წინაშე სხვებთან ერთად გამოცხადდნენ „ერთკერძო აფხაზნი და იმერელნი, ერთკერძო ამერელნი“ (ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობა – ავტ.).

თითქმის XV საუკუნემდე ზემო და ქვემო იმერეთის აღსანიშნავად „არგვეთი“ და „სამოქალაქო“ იხმარებოდა.

„იმერეთი“ გარკვეული პროვინციის შესატყვის ტერმინად საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის (XV ს-ის მიწურული) შემდეგ დამკვიდრდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „განიყოფის ესე იმერეთი ვაკედ, ფერსათის კერძოდ, არგვეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად“. ორი უკანასკნელი დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მხარეა, ამიტომ „იმერეთად“ იგულისხმება ტერიტორია ლიხის ქედსა და მდ. ცხენისწყალს შორის; ჩრდილოეთიდან მას რაჭის ქედი და ასხის მთის მასივი ერტყა, სამხრეთიდან – ფერსათის მთები. ფერსათი არგვეთიდან გამოყოფილი მხარე იყო; ის რიონის სამხრეთით მდებარე მიწებს (დაახლ. დღევ. ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაწილს) მოიცავდა. ვახუშტი ბატონიშვილი ამტკიცებს, რომ ოკრიბაც არგვეთის ნაწილი ყოფილა. ოდესღაც შეიძლება, ასეც იყო; მაგრამ უკვე XI ს-ის I ნახევრის ერთ-ერთ სიგელში იხსენიება ოკრიბაც და იქ არსებული სოფლებიც: ბობოთი, მუხური, საწირე, ნადარბაზევი, ჯუარისა... ისტორიული ოკრიბა თანამედროვე ტყიბულის მუნიციპალიტეტს, ასევე წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტების ჩრდილოეთ ნაწილებს ფარავდა. საკუთრივ არ-

გვეთი რაჭის, ლიხის, ფერსათის ქედებსა და მდ. წყალწითელას შორის აღმოჩნდა მოქცეული (დღევ. ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები). არგვეთის აღმოსავლეთით, მდ. ძირულას ზემო წელზე, კიდევ ერთი მცირე ქვეყანა, ხეფინისხევი, წარმოიქმნა. რაც შეეხება ვაკეს, იგივე სამოქალაქოს, მას წყალწითელასა და ცხენისწყალს შორის ტერიტორია (დღევ. ხონის, სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები) ეჭირა.

***

იმერეთის ჩრდილოეთით, რაჭის ქედსა და კავკასიონის მთავარ წყალგამყოფს შორის, მდ. რიონის ზემო წელზე რაჭა მდებარეობდა. სახელწოდება „რაჭა“ პირველად XI საუკუნეში გვხვდება — კაცხის საწინამძღვრო ჯვრის წარწერაში იხსენიება „რატი (ბაღვაშთა გვარის წარმომადგენელი – ავტ.) რაჭის ერისთავი“. „რაჭა“ სვანურად რატის მამულს // სამფლობელოს ნიშნავს. უძველეს წერილობით წყაროებში ამ კუთხეს თაკვერი ერქვა. სახელწოდება „თაკვერი“ მეზობელ ლეჩხუმზეც გავრცელდა; მას შემდეგ, რაც „რაჭა“ დამკვიდრდა, „თაკვერი“ მხოლოდ ლეჩხუმის აღმნიშვნელ ტერმინად დარჩა.

რაჭის საზღვრები არაერთხელ შეცვლილა. ის განსაკუთრებით XVI ს-ის დასაწყისში გაფართოვდა, როდესაც რაჭველმა ჯაფარიძეებმა სვანებს დაათმობინეს „ჭიდროთას ზედათი, და გლოლას ზედათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი, სრულად მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურ-შვილიანად, გლეხიანად“, მათ შორის, ბრილი, ღები, ჭიორა და სხვ. ეს ქვეყანა ზემო (დღევ. ონის მუნიციპალიტეტი) და ქვემო (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) რაჭად იყოფოდა. მდ. ჯეჯორას სათავეები პატარა თემს, კუდაროს ეჭირა.

რაჭას მეტად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები, რომლებიც საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს (ქართლი, იმერეთი) ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა (ერთ-ერთ მათგანს „გზა თაკვერისა“ ეწოდებოდა).

***

ლეჩხუმი ცხენისწყლისა და რიონის შუა წელზე მდებარეობს. ტრადიციულად ეს კუთხე ზემო და ქვემო ლეჩხუმად იყოფოდა. თანამედროვე დანაწილებით, მისი სოფლების უმეტესობა ცაგერის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, განაპირა სოფლები კი ხონის, წყალტუბოსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებშია შესული.

ისტორიულად ლეჩხუმის დასავლეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები ასე გადიოდა: ასხისა და უნაგირის მთები მას სამეგრელოსგან გამოჰყოფდა, ლეჩხუმის ქედი — სვანეთისგან, ასკისწყალი —

რაჭისგან, ხოლო იმერეთს გორდთან (ცხენისწყალზე) და ლეხიდრის ხევთან (რიონზე) ესაზღვრებოდა.

ლეჩხუმში კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედებაცა და მესაქონლეობაც. ღვინოს იმდენს ამზადებდნენ, რომ მეზობლებზე ჭარბად ჰყიდდნენ. ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეებიდან ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხისა და ქვის საშენ მასალას, საჭურჭლე თიხას.

„ლეჩხუმის“ სახელს მკვლევართა ნაწილი მეგრულ „ჩხუმს“ (თევზი), ნაწილიც კი სვანურ „ცხუმს“ (რცხილა) უკავშირებს. VI-VII სს. ბიზანტიელი და სომეხი მწერლები ამ კუთხესა და მის მკვიდრთ სკვიმნია-სკვიმნებს უწოდებდნენ. ქართველი მეისტორიენი VIII საუკუნის ამბების აღწერისას ასახელებენ თაკვერის, ანუ რაჭა-ლეჩხუმის, საერისთავოს. ვახუშტის ცნობით, ბაგრატიონთა გამეფების შემდეგ თაკვერი მხოლოდ ლეჩხუმს ეწოდებოდა „ციხისათჳს მუნ მყოფისა“. თაკვერის ციხის მდებარეობას მეცნიერი ბატონიშვილი გორდს ზევით უჩვენებს. „ლეჩხუმის“ ერთ-ერთი ადრინდელი ხსენება ქართულ წყაროებში 1503 წლით დათარიღებულ დოკუმენტშია დადასტურებული.

***

ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში სვანებს გაცილებით ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე განვითარებულსა და გვიან შუა საუკუნეებში. სტრაბონი სვანების სამოსახლოს დიოსკურიის (დღევ. სოხუმი, ძველი ცხუმი) მახლობლად მიიჩნევს და დასძენს, რომ „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“.

სვანების სახელს უკავშირდება მისიმიანეთი მდ. კოდორის ზემო წელზე და სვანია//სვანეთი ენგურისა და ცხენისწლის სათავეებში. ეს უკანასკნელი ისტორიულ წარსულშიც და დღესაც ზემო (მესტიის მუნიციპალიტეტი) და ქვემო (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) სვანეთად იყოფოდა; თავის მხრივ, ზემო სვანეთში ბალს ზემო და ბალს ქვემო მხარეებს განარჩევდნენ. სრულიად სვანეთს კიდევ უფრო წვრილ ხევთა // თემთა ერთობლიობა ქმნიდა.

სვანეთი, როგორც ტიპური მთა, სასოფლო-სამეურნეო რესურსების უკიდურესი სიმწირის გამო დიდად იყო დამოკიდებული მეზობელი მხარეების, განსაკუთრებით ლეჩხუმის, ბარზე, საიდანაც ღვინო და მარილი მოჰქონდათ; გარდა ამისა, სვანები სეზონურ სამუშაოებზე დადიოდნენ რაჭაში, გურიაში, კახეთში. სხვადასხვა მიზეზით ეკონომიკური კავშირების დროებითი მოშლა მათ იმდენად მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, რომ ერთხელ სამიმოსვლო გზებისა და სამეურნეო ურთიერთობათა აღდგენის საფასურად სვანებს ტერიტორიების (რაჭის მთიანეთი) დათმობაც კი მოუწიათ.

***

სამეგრელო, რომელიც დღეს მარტვილის, აბაშის, ხობის, სენაკის, წალენ-ჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ფოთს მოიცავს, წარმოდგება „მეგრელისგან“ (გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სა-პრეფიქსის დართვით); ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, „ეგრი“ // „ეგრისის-გან“ მომდინარეობს.

„სამეგრელო“ XI-XII საუკუნეების ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება. ის ბერძნულ „ლაზიკას“ შეესატყვისება და აღნიშნავს როგორც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, ისე — ლაზეთ-ჭანეთს. „ქვეყანა სამეგრელო“ ვი-წრო მნიშვნელობით „ცხენისწყლიდგან აფხაზეთამდე“ დადასტურებულია ძველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში „დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრება“ (XII ს-ის I ნახ.). მის სინონიმად იხმარებოდა „საეგრო“, უფრო ხშირად კი — „ოდიში“. სამეგრელო — ოდიშში რამდენიმე ისტორიულ-გეო-გრაფიული ქვეყანა გამოიყოფოდა: ჭყონდიდი (ცხენისწყალსა და ტეხურს შორის), საკუთრივ ოდიში (ტეხურსა და ენგურს შორის), ბედია (ენგურსა და ღალიძგას შორის). ჭყონდიდიდან უნაგირის მთამდე, მდინარეების ტეხურისა და აბაშის ხეობათა მთისწინეთში, სალიპარტიანო მდებარეობდა.

სამეგრელოს მნიშვნელობას დიდწილად განსაზღვრავდა მისი მდე-ბარეობა შავ ზღვაზე, სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილო კავკასიისკენ მიმავალი საზღვაო და სახმელეთო გზების კონტროლი. მოხერხებული ნავსადგურების (უმთავრესი ამათგან ცხუმი და ფოთი იყო) წყალობით გააქტიურებულმა სავაჭრო კავშირებმა ტრაპიზონის იმპერიასთან და შავიზღვისპირეთის იტა-ლიურ კოლონიებთან (XIII-XV სს.) სამეგრელოს ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართა. XVI ს-ში ოდიში დამოუკიდებელ სამთავროდ და, პრაქტიკულად, ცალკე პოლიტიკურ სუბიექტად გადაიქცა.

***

ოდიშსა და აფხაზეთს შორის მდებარეობდა აფშილეთი (კოდორის ხეობის ქვემო წელი). აფშილები, აბაზგებთან ერთად, I-II საუკუნეების ბერძნულ-რო-მაულ წყაროებში იხსენიებიან. II ს-დან ისინი ლაზთა სამეფოს შემადგენლო-ბაში შედიოდნენ. ძველი ქართველი ისტორიკოსები ეგრისწყალსა და კლისუ-რას შორის ტერიტორიას „შუა ქვეყანაᲘს“ სახელითაც იცნობდნენ. ეს ისტო-რიულ-გეოგრაფიული ტერმინი ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრე-ბაშია“ დამოწმებული. მისი კიდევ უფრო ძველი ვარიანტია „შვა სოფელი“, რომელიც ადგილობრივ ქართველთა ლექსიკაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო შემორჩენილი. „შვა სოფელი“ იმ დროს უნდა გაჩენილიყო, როდესაც ჩვენი წინაპრები „ქვეყანას“ „სოფელს“ უწოდებდნენ (VIII საუკუნემდე). VIII ს-დან აფშილეთის ხსენება წყაროებიდან ქრება; ის თანდათანობით მეზობლებ-

მა შთანთქეს. ამავე საუკუნის ბოლოდან ქართულ მატიანეებში დასტურდება ცხუმის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ანაკოფიასა და მთელ კოდორის ხეობას ალანითურთ (ალანი ადრინდელ მისიმიანეთსა და გვიანდელ დალი-წებელს შეესატყვისება). XIV-XVI სს. ცხუმის საერისთავო ოდიშის შემადგენ-ლობაში შედიოდა, XVI ს-ის ბოლოდან იგი აფხაზეთს შეუერთდა.

***

ბუნებრივი მრავალფეროვნებით შემკული აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთ თვალწარმტაცი მხარეა. ის სამართლიანად ითვლება სამხრეთ კავკასიის სამკაულადაც. სითბოსა და ტენიანობის თანაბარი განაწილება ოდითგანვე ხელს უწყობდა აფხაზეთის მიწების მოსავლიანობას. „ხოლო ესე აფხაზეთი შემკულ არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა, რამეთუ ნაყ-ოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. არამედ მთა აქური ფრიად მშვენიერი“, – წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. აფხაზეთის მეცხოველეობის განვითარები-სთვის მნიშვნელობა ჰქონდა კოდორ-ღალიძგას შორის არსებულ საზაფხუ-ლო საძოვრებს. აფხაზთა სამეურნეო ცხოვრება (თევზჭერა, ვაჭრობა, მეკო-ბრეობა) დიდად იყო დაკავშირებული ზღვასთან.

კავკასიონიდან გამომავალი ქედები, მათ მიერ შექმნილი ქვაბურები, ხეობები, რომლებიც ზღვის სანაპიროსა და კავკასიონს შორის მდებარე დაბლობს სერავს, დიდწილად განსაზღვრავდა აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ დაყოფასაც და მის ისტორიულ სვე-ბედსაც. ტერიტორიული ერთეულები განსაკუთრებით თვალნათლივ გვიან შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში გამოიკვეთა. მდ. კოდორის ქვაბური, დაახლ. ადრინდელი მისიმი-ანეთისა თუ ალანის ტერიტორია წებელს, უკეთ, დალი-წებელს ეკავა. ისევე როგორც ადრე შუა საუკუნეებში, მის მნიშვნელობას სვანეთსა და ჩრდილო-ეთ კავკასიაში გამავალი გზების კონტროლი განაპირობებდა. ბზიფის ხეობის სათავეები ფსხუს თემს ეკავა. დაბლობში, ბზიფის ხეობიდან კელასურამდე, ბზიფის აფხაზეთი მდებარეობდა. კელასურსა და ღალიძგას შორის ტერი-ტორიას აფხაზურად აბჟუ ერქვა, რაც ქართული „შუა ქვეყნის“ თარგმანია. აბჟუში, გუმისთასა და კოდორს შორის, გამოიყოფოდა ერთი პატარა თემი, რომელსაც ცხუმის აფხაზეთად მოიხსენიებდნენ. მას დაახლოებით ცხუ-მის საერისთავოს ბარის ზონა (ადრინდელი აფშილთა მიწა-წყალი) ეჭირა. აფხაზთა მთავრების მიერ ღალიძგა-ენგურის ორმდინარეთში დაპყრობილ ტერიტორიაზე (ადრინდელი ბედია) სამურზაყანო (მურზაყან შარვაშიძის სამფლობელო) შეიქმნა. სამურზაყანოზე ბატონობისთვის ერთმანეთს შარ-ვაშიძეები და დადიანები ეცილებოდნენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის (გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ტყვარჩელის, ოჩამჩირისა და სოხუმის მუნიცი-პალიტეტები) ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თავდაპირველად

ის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა კუთხეს ერქვა. მისი ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები ჩრდილო-დასავლეთით ჯიქების ხარჯზე ფართოვდებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — აფშილთა. იმის გამო, რომ აფხაზთა სამთავრომ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანებაში, „აფხაზეთის“ სახელით დასავლეთ საქართველოს ან ერთიანი საქართველოს სამეფოსაც მოიხსენიებდნენ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმოსავლეთი მიჯნები XVII-XVIII სს. ჩამოყალიბდა – კლისურა-ენგურის მონაკვეთის მიერთებით – და XIX საუკუნეში, რუსთა ბატონობის ხანაში, განმტკიცდა. ბზიფსა და ფსოუს შორის მდებარე მიწაწყალი კი (ჯიქეთი) აფხაზეთს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ძალისხმევით დაუბრუნდა.

„აფხაზეთი“ ბერძენ-რომაელ და ბიზანტიელ ავტორებთან აბაზგია-აბაზგების სახელით გვხვდება. თავად აფხაზები თავიანთ ქვეყანას „აფსნის“ (აფსუების ქვეყანას) ეძახიან.

***

აფხაზების ჩრდილო-დასავლეთით ჯიქები (ჩერქეზულ-ადიღეური ტომები) ცხოვრობდნენ; ერთმანეთისგან მათ მდ. ფსოუ ჰყოფდა. აფხაზთა ექსპანსია VI საუკუნიდან იწყება და VIII საუკუნისთვის (ან უფრო ადრე) ჯიქეთის დიდი ნაწილის შემოერთებით მთავრდება. ქართულ წყაროებში „ჯიქეთთან“ ერთად „აფხაზეთის ჯიქეთი“, ან მხოლოდ „აფხაზეთი“ გვხვდება. „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციით, ჯიქები „ბოლოსა აფხაზეთისასა“ ყოფილან დამკვიდრებულნი V საუკუნეში; მანამდე ისინი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში სახლობდნენ. ამგვარი შეხედულება გარკვეული პოლიტიკური თეორიის ნაწილია, რადგან ჯიქთა მოსახლეობას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძველი ბერძენი ავტორები მოწმობენ.

აფხაზთა, უკეთ, აფხაზთა სახელით ცნობილ ტომთა ერთი ნაწილისა (ბზიფის აფხაზების) და ჯიქთა ურთიერთკავშირს, ნათესაობის გარდა, განაპირობებდა სტრატეგიული ინტერესებიც: ა) ჩრდილოეთის სტეპებისკენ, კერძოდ, ყუბანისპირეთისკენ მიმავალ გზებზე ბატონობა, ბ) ჯიქთა ბუნებრივი რესურსების (მაგ. ყურეების) ათვისება, გ) ჯიქთა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოძრაობის კონტროლი.

***

ანტიკურ ხანაში ჭოროხის შესართავსა და რიონს შორის მდებარე მიწაწყალს ლაზეთი ერქვა. VIII საუკუნეში (შესაძლებელია უფრო ადრეც) ამ მხარეს „გურიას“ ეძახდნენ. „გურია“ მეგრული სიტყვაა და გულს, შუაგულ ქვეყანას, ნიშნავს.

ამჟამად გურიის მხარე ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს აერთიანებს. ისტორიულ ხანაში მისი ტერიტორიები უფრო ვრცლად იყო გადაჭიმული. გურიას ეკუთვნოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლი პალიასტომის ტბიდან ჭოროხამდე; ჭოროხის შესართავიდან მისი სამხრეთი საზღვარი მესხეთის ქედს მიუყვებოდა და აჭარისგან გამოყოფდა. ჩრდილოეთით გურიას ოდიშისგან მდ. რიონი მიჯნავდა; მაგრამ ხშირად რიონსა და ფიჩორს შორის განლაგებულ სოფლებს დადიანები ფლობდნენ.

გურია იყოფოდა ზემო, შუა და ქვემო გურიად. ამ უკანასკნელის აღსანიშნავად წყაროებში ზოგჯერ „გურიისა ზღვისპირი“ ან „სახინოწმინდლო“ (ხინოს საეპისკოპოსო კათედრის მიხედვით) გვხვდება.

გურია წყალუხვ (სუფსის აუზი, ნატანები, კინტრიში) და მოსავლიან მხარედ ითვლებოდა; იქ ბევრი ჯიშის ვაზი ხარობდა და ყურძნის ხარისხით გურულებს მუდამ თავი მოჰქონდათ.

გურია მრავალი გზა-გადასასვლელითა და ბილიკით მეზობელ მხარეებს უკავშირდებოდა. მასზე გადიოდა გზები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილს მესხეთთან და მცირე აზიასთან აკავშირებდა (მაგ. „გზაჲ გურიისაჲ“, უერთდებოდა სპერის გზას).

საზღვაო გზებზე მნიშვნელოვან ნავსადგურებს წარმოადგენდა ქობულეთი, ციხისძრი და ბათუმი; მოხერხებულ სანავსადგურო ყურეს პალიასტომის ტბაც ქმნიდა. XIII-XV სს. საზღვაო ვაჭრობის განვითარებამ გურიაში დიდად შეუწყო ხელი მის დამოუკიდებელ სამთავროდ გარდაქმნას XVI საუკუნეში (ოდიშის მსგავსად).

***

ჭოროხის შესართვსა და ხუფათს შორის ტერიტორიას ადრეულ წყაროებში „ბოლოჲ კლარჯეთისაჲ ზღჳსპირი“ ეწოდებოდა. მოგვიანებით ეს მონაკვეთი ჭანეთის ნაწილად მოიაზრებოდა.

ჭანეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მოიცავდა. სამხრეთით მას ჭოროხის აუზისგან პარხლის, ანუ ჭანეთის, მთები (ანტიკური ხანის სკიდისის მთები და დღევ. ლაზისტანის ქედი) გამოყოფდა. დასავლეთით, ვახუშტის თანახმად, ჭანეთი რიზეს სანახებამდე აღწევდა: „... არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ... ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინღა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინისპალო, აქავ არს სატყეპელა“. გურიასა და ჭანეთ-ლაზეთში გავრცელებული თქმულებების მიხედვით კი, საზღვარი გადიოდა ფაზარის (ძველი ათინას) დასავლეთით, ქემერთან – ზღვიდან ამოშვერილ უზარმაზარ ფრიალო კლდესთან.

მართალია, ჭანეთი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მხოლოდ მცირე პერიოდით იყო ხოლმე ქართული სახელმწიფოს ნაწილი, მაგრამ ლაზებში (ჭანებ-

ში) ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს ცოცხლობდა მოგონება, რომ ის ქართულ სამყაროს ეკუთვნოდა. დ. ბაქრაძის მიერ 1873 წ. ჩაწერილი ერთი თქმულების მიხედვით, „ლაზები, მეგრელებთან ერთად, ერთ ტომს შევადგენდით. ამბობენ, რომ ამ ტომს ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო ეკავა ქემერიდან ბიჭვინთამდე და რომ რომელიღაც ქართველი მეფე ჯარით თავს დაესხა ლაზებს, გაყო ისინი და შუაში ქართველები (აღმოსავლეთი ქართველები – ავტ.) ჩაასახლაო“.

ქართულ წერილობით ძეგლებში „ჭანეთის“ სინონიმად „სამეგრელოც“ გვხვდება. ძველ სომხურ საისტორიო და გეოგრაფიულ თხზულებებში ამ კუთხის აღსანიშნავად „ხალტიქი“ (წარმოდგებოდა ერთ-ერთი ჭანური ტომის, ხალიბების // ხალდების სახელწოდებისგან) იხმარებოდა. ბიზანტიელებიც მას სანების // ჭანების ქვეყანას ეძახდნენ. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა X საუკუნეში დასავლეთ საქართველოზე კონტროლი დაკარგეს, ამ უკანასკნელის აღმნიშვნელი ტერმინი „ლაზიკა“ ჭანეთს დაარქვეს. ეს გეოგრაფიული სახელდება მემკვიდრეობით თურქ-ოსმალებმაც მიიღეს და ჭანეთს „ლაზისტანი“ უწოდეს; „ჭანეთის“ სახელი კი სამხრეთ შავიზღვისპირეთს დაუმკვიდრეს. თურქეთის ქართველობამ (ტაო-კლარჯელი „გურჯები“) შემოინახა ისტორიული მახსოვრობა და ლაზებს დღესაც ჭანებს უწოდებს.

მკვიდრები

„მკვიდრი“, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, იგივეა, რაც „დანიადაგებული“. ამ სიტყვის ძირია „ნიადაგი“. ეს უკანასკნელი კი განმარტებულია, როგორც „მარადის მყოფი“, „სანიადაგო“; ესე იგი, მკვიდრია ის, ვინც „დღიდან გაჩენისა“ თავისი სამკვიდრო-საცხოვრებელის მარადიული, მუდმივი ბინადარია...

ჩვენ, ქართველები, კავკასიის (ძირითადად სამხრეთ კავკასიის) მკვიდრი მოსახლეობა ვართ. კავკასიური მოდგმის ხალხებს ასევე განეკუთვნებიან: ადიღეელები (აფხაზები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, აბაზები, აბაძეხები, ბჟედუღები, შაფსუღები, უბიხები); ვაინახები (ქართველების მიერ ქისტებად სახელდებულნი და ქართული საისტორიო წყაროებით ცნობილი დურძუკები, თანამედროვე ჩეჩნებისა და ინგუშების წინაპრები); დაღესტნელები (ავარიელები ანუ ხუნძები, დარგოელები, ლეზგები, ლაკები, ტაბასარანელები, რუთულები, წახურები); ალბანელები. ყველა სხვა დანარჩენი ეთნოსი, რომელიც დღეს კავკასიაში სახლობს, სხვადასხვა დროსაა მოსული, ზოგი – ადრე, ზოგი კი - გვიან.

საერთოდ ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის, ანუ ეთნოგენეზის, კვლევა უაღრესად რთული პრობლემაა. იგი მეცნიერების არაერთი დარგის, ძირითადად, ანთროპოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, საისტორიო გეოგრაფიის, ენათმეცნიერების მიღწევების კომპლექსურ გამოყენებას მოითხოვს. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე, დღეისათვის კავკასიაში ქართველთა ავტოქტონობა ანუ მკვიდრობაა დადგენილია, თუმცა მიგრაციული პროცესები ან სხვა ეთნიკური ჯგუფების აქ შემოღწევა და მათი ასიმილაცია სრულიადაც არ არის გამორიცხული.

არანაკლები სირთულის საკითხია ჩვენი წინაპრების ურთიერთობები ისტორიაში ცნობილ იმ უძველეს ხალხებთან, რომლებიც უხსოვარი დროიდან გვემეზობლებოდნენ. ამაში, შედარებით მწირი წერილობითი ცნობების გარდა, ენობრივი, სულიერი და მატერიალური კულტურის მონაცემების შესწავლა გვეხმარება.

კავკასიაში ქართველთა ავტოქტონობის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანთროპოლოგიური კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვემო ქართლში, შუა საუკუნეების ცნობილი ნაქალაქარის – დმანისის – ტერიტორიაზე, მიწის სიღრმეში დაუნჯებულ ქვის პრიმიტიულ იარაღებსა და ცხოველთა ძვლებს შორის არქეოლოგებმა მიაკვლიეს ადამიანის ქვედა ყბის ძვალს, რომლის ხნოვანება დაახლოებით 1,7 – 1,8 მილიონი წლით განისაზღვრა. მომდევნო წლებში დმანისის ნაქალაქარზე ადამიანის ინტენსიური ცხოვრების კიდევ უფრო მეტი საბუთი აღმოჩნდა, მათ შორის ხუთი თავის ქალის ფრაგმენტი.

ამგვარად, გაცხადდა, რომ დმანისში საქმე გვაქვს ევრაზიის ტერიტორი-

აზე უძველესი ადამიანის – არქანთროპის – არსებობის ფაქტთან. მეცნიერთა ვარაუდით, ადამიანი აქ აფრიკიდან ევრაზიის კონტინენტზე განსახლების პროცესში უნდა შემოსულიყო.

დღეისათვის სპეციალისტები ერთხმად მიიჩნევენ, რომ ქართველები პირველადი ევრაზიული რასის წარმომადგენლები არიან და სამხრეთევროპეიდული განშტოების წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპს განეკუთვნებიან.

სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველთა შორის შენიშნული ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით, გამოყოფილია ხუთი ადგილობრივი ნაირსახეობა: დასავლურქართული, აღმოსავლურქართული, სამხრეთქართული, კავკასიური, შავიზღვისპირული. მათი ძირითადი მახასიათებლების დიდი მსგავსება ქართველთა ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის მაჩვენებელია.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კრანიოლოგიური მასალის შესწავლამ ანთროპოლოგები დაარწმუნა, რომ სხვადასხვა ეპოქის თავის ქალებს შორის შენიშნული თანდათანობითი ცვლილებები დამახასიათებელი იყო არამარტო საქართველოს (ან თუნდაც კავკასიისათვის), არამედ საერთოდ მთელი წინა აზიისათვის. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს არა მოსახლეობის ცვლასთან, არამედ შინაგანი განვითარებით გამოწვეული ანთროპოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესთან.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანთროპოლოგიის თანამედროვე მიღწევები ქართველთა კავკასიაში მკვიდრობასა და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მათი დღევანდელი სახით ჩამოყალიბებას მოწმობს. ბუნებრივია, აქ ადგილი ექნებოდა მიგრაციულ პროცესებს, უცხო ტომთა შემოღწევასა და მათ ასიმილაციას, მაგრამ ძირითად ეთნიკურ პროცესს ეს მოვლენები ვერ ცვლიდა.

ჩვენთვის დღესდღეობით მთლად გარკვეული არ არის, რა ბედი ეწია დმანისელ არქანთროპს, განაგრძობდა თუ არა იგი ცხოვრებას ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე. იმედია, მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნათელს მოჰფენს ამ საკითხს, მაგრამ ის კი უცილობლად დადასტურებულია, რომ დაახლოებით ერთი მილიონი წლის შემდეგ ქვედა პალეოლითის (ძველი ქვის) ეპოქაში უძველესი ადამიანი უკვე სახლობს როგორც შავიზღვისპირეთში, კერძოდ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისე იორ-ალაზნის აუზებში, ჯავახეთის პლატოსა და შიდა ქართლის მთიანეთში. ასე რომ, იმდროინდელ ადამიანს ათვისებული ჰქონდა ისტორიული საქართველოს მთაცა და ბარიც. ამის შემდეგ ადამიანი ამ რეგიონში მუდმივად ბინადრობს.

ზემოთქმულს კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით ასაბუთებს არქეოლოგიური მასალა. ეჭვმიუტანლად დადგენილია, რომ ეს რეგიონი, რაიმე ქრონოლოგიური წყვეტილის გარეშე, ინტენსიურად აითვისა ადამიანმა. აქ ერთმანეთს თანმიმდევრულად ენაცვლება როგორც ქვის ხანის, ისე ლითონის ეპოქის პერიოდები. ეს საფეხურები სხვადასხვა არქეოლოგიური კულ-

ტურებით არის წარმოჩენილი. იყო დრო, როცა მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ ზოგიერთი მათგანი საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ხალხებმა შემოიტანეს. ამ ეჭვის საფუძველი დღეს არ არსებობს.

უხსოვარი დროიდან ქართველთა წინაპრებს სხვადასხვა სახის ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ახლო თუ შორეულ მეზობლებთან, რაც სათანადოდ აისახებოდა მათ ყოფაცხოვრებაზე. ეს კარგად ჩანს არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული არტეფაქტებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყოველი ეპოქის არქეოლოგიური კულტურა ან მისი თუნდაც მნიშვნელოვანი სეგმენტი, გარედან მექანიკურად შემოტანილი კი არა, არამედ წინამორბედის გენეტიკური მემკვიდრეა და ორგანულად მომდინარეობს წინარე ხანის კულტურიდან.

არქეოლოგები აღნიშნავენ, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ მეზოლითის (შუა ქვის) ხანის კულტურას მჭიდრო კავშირი აქვს როგორც მის წინამორბედ პალეოლითურ, ისე მომდევნო პერიოდის ნეოლითურ (ახალი ქვის) კულტურებთან. ამდენად, ადგილი აქვს უწყვეტ კულტურულ განვითარებას, რაც, ბუნებრივია, ეთნიკური განვითარების ასეთსავე უწყვეტობასაც გულისხმობს.

ნეოლითი (ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულები) კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ადამიანი მითვისებითი მეურნეობიდან (ნადირობა, შემგროვებლობა) წარმოებით მეურნეობაზე (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) გადადის. ამან მთლიანად შეცვალა ადამიანის ცხოვრების წესი, რასაც მოჰყვა დემოგრაფიული აფეთქება, ახალი საცხოვრებელი ტერიტორიების ათვისება, ძირეული სოციალური გარდაქმნები.

ამ პერიოდში ისტორიული საქართველოს ტერიტორია კიდევ უფრო მჭიდროდ არის დასახლებული. დასავლეთ საქართველოში შეიმჩნევა მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია. აქ ნეოლითის ეპოქის ძეგლები გვხვდება ზღვისპირეთში, მთისწინა ბორცვებზე, ტერასებზე, მდინარეთა ხეობებში. აღმოსავლეთ საქართველოში ათვისებული ჩანს ჯავახეთი, შიდა და ქვემო ქართლი.

გვიანი ნეოლითისათვის მეცნიერები ერთიან კულტურაში უკვე გამოყოფენ ლოკალურ წრეებს, რომლებიც ერთმანეთისაგან გარკვეული ნიშნებით განსხვავდება. ეს ვლინდება კაჟის იარაღის ფორმებში, განსაკუთრებით კი — კერამიკაში. ვარაუდობენ, რომ ერთი მოდგმის ხალხის შიგნით სხვადასხვა ტომი ერთიანდებოდა.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველ ნახევარში მთელ აღმოსავლეთ კავკასიაში და წინა აზიის ჩრდილო რეგიონებში ვრცელდება ადრებრინჯაოს ხანის ე.წ. მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურა. მეცნიერთა ვარაუდით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებული ადრებრინჯაოს პერიოდის ეს კულტურა მისი წინამორბედი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ორგანული გაგრძელებაა. ამას ცხად-

ყოფს საცხოვრებელი შენობების დაგეგმარება და აქ აღმოჩენილი კერამიკის დიდი მსგავსება, მაგრამ მკვლევრები კიდევ უფრო შორს მიდიან... მათი აზრით, ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის კულტურათა მატარებელი ტომები ერთსა და იმავე მოდგმის ხალხს განეკუთვნებოდნენ. ამის დასტურია არქეოლოგთა მიერ მოპოვებული არამარტო მსგავსი საყოფაცხოვრებო არტეფაქტები, არამედ ორივე კულტურის ნამოსახლარებზე მიკვლეული სრულიად იდენტური საკულტო კერები. ერთი და იგივე კულტი (ან კულტის რიტუალი) კი იმის უეჭველი მტკიცებულებაა, რომ ერთმანეთისაგან არანაკლებ ხუთასწლოვანი პერიოდით დაცილებულ ამ ნამოსახლარებში ერთი ხალხის წარმომადგენლებს უნდა ეცხოვრათ.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და II ათასწლეულის პირველ ნახევარში ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურამ შეცვალა. ამ ყორღანული, ანუ გორსამარხების, ბრწყინვალე კულტურის გავრცელების არეალი მოიცავს ქართლის ვაკეს, იორ-ალაზნის აუზებს, აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთს (თრიალეთი, ჯავახეთი, ზურტაკეტი), დღევანდელი სომხეთისა და თურქეთის ნაწილს (კიროვაკანი, ყარსი). უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების მიხედვით, ეს კულტურა მისი წინარე კულტურის ბოლო ეტაპის პირდაპირი გაგრძელებაა. თუ ვინ იყო მისი შემოქმედი ადგილობრივი მოსახლეობა, ამის შესახებ საკმაოდ დასაბუთებული აზრი არსებობს.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით II ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საიალაღო მესაქონლეობა, კერძოდ კი მეცხვარეობა, განვითარდა. მან მეურნეობის ყველა დარგს შორის უპირატესი ადგილი დაიკავა. ამას თვალნათლივ მოწმობს შუა ბრინჯაოს ხანის ოსტეოლოგიური მასალა. არქეოლოგთა თვალსაზრისით, ეს ერთადერთი პერიოდია, როცა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა არსებობის ხანგრძლივ ისტორიაში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში მეცხვარეობა ესოდენ გადამწყვეტ როლს თამაშობდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერები ასკვნიან, რომ სიტყვა „ცხოვრებას“, რომელიც „ცხოვარ//ცხვარ“ ძირისაგან მომდინარეობს და თავდაპირველად „მეცხვარეობას“ ნიშნავდა, ძველსა და თანამედროვე ქართულში თავისი კარგად ცნობილი მნიშვნელობა მაშინ უნდა შეეძინა, როცა მეცხვარეობა ადამიანისათვის აგრერიგად აუცილებელ, სასიცოცხლო საქმიანობას წარმოადგენდა.

ის, რომ სიტყვა „ცხოვრება“-ს თავისი დღევანდელი მნიშვნელობა სწორედ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა შეეძინა, ენათმეცნიერული მონაცემებითაც მტკიცდება. „ცხოვრება“ საკუთრივ ქართული ენის ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება. და მართლაც, ამ დროისათვის წინარექართველური, ანუ საერთო-

ქართველური ფუძეენა უკვე დაშლილია ქართულ (აღმოსავლურქართული), ზანურ (მეგრულ-ჭანური) და სვანურ ენებად. ენათმეცნიერთა ვარაუდით, ქართველური ენების დაყოფა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში ან ძვ. წ. IV ათასწლეულში უნდა მომხდარიყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელსაც შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურა მოიცავდა, ძირითადად, აღმოსავლურქართული ტომები უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი.

გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. XVI/XV - ძვ. წ. IX/VIII სს.) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი არქეოლოგიური კულტურა ჩამოყალიბდა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „კოლხური კულტურის“ სახელით მოიხსენიება. „კოლხური კულტურა“ ყუბანისპირეთიდან (რუსეთის ფედერაცია) თანამედროვე თურქეთის ქალაქ სამსუნამდე ვრცელდებოდა და ნაწილობრივ მესხეთსა და შიდა ქართლსაც მოიცავდა. ამის დასტურია ზემოდასახელებულ ტერიტორიებზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების იარაღი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „კოლხური ცულები“, რომლებიც ნატიფი ხელოვნებით შექმნილი ორნამენტებითა და პლასტიკური ფიგურებით არის დამშვენებული, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში ხელოსნობის, განსაკუთრებით ბრინჯაოს მეტალურგიის, ზოგადად მეურნეობისა და კულტურის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ნათელია, რომ კოლხური კულტურის შემოქმედნი დასავლურქართულ — სვანურ და ზანურ — ენებზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ.

ამავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (გვიანდელ მესხეთ – ჯავახეთში) მეცნიერები გამოყოფენ ლოკალურ არქეოლოგიურ კულტურას, რომლისთვისაც დამახასიათებელია დასავლურქართული და აღმოსავლურქართული კულტურების თანხვედრა. გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებულია ე. წ. „ცენტრალურ – ამიერკავკასიური კულტურა“, რომელიც თრიალეთური კულტურის ორგანული გაგრძელებაა. კულტურული მემკვიდრეობა შეიმჩნევა კერამიკასა და ლითონის ნაკეთობებში. ამდენად, ორივე არქეოლოგიური კულტურის შემოქმედნი აღმოსავლურქართული ტომები იყვნენ.

ქართველი ხალხის წინაპართა კავკასიაში მკვიდრობის თვალსაზრისს კიდევ უფრო ამყარებს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში დაცული მასალა. მკვლევართა დაკვირვებით, საერთოქართველური ფუძეენაში (ე. ი. სულ ცოტა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისამდე) არსებული მცენარეული და ცხოველური სამყაროს აღმნიშვნელი სახელწოდებები მთლიანად მოიცავს კავკასიის ფლორასა და ფაუნას. ამიტომაც თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ენის მატარებელი ტომები სწორედ კავკასიის რეგიონში სახლობდნენ.

იგივე მასალა სხვა დასკვნების გამოტანის საშუალებასაც იძლევა. სრუ-

ლიად ბუნებრივია, ქართველთა წინაპრებს ინტენსიური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდათ თავიანთ ახლო თუ შორეულ მეზობლებთან. ამ მიზეზით, ქართული ენის ლექსიკაში არაერთი უცხო სიტყვა შემოვიდა და დაილექა. აღნიშნული მონაცემების შესწავლა მაშინ, როცა ამა თუ იმ ტომის თუ ხალხის განსახლების ადგილი კარგად არის ცნობილი, უმნიშვნელოვანესი წყაროა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირების დასადგენად და იმ საკონტაქტო ტერიტორიების გამოსავლენად, სადაც ეს ურთიერთობები ხორციელდებოდა...

ენათმეცნიერებმა საერთოქართველურ ფუძეენაში ორ ასეულზე მეტ შუმერულ სიტყვას მიაკვლიეს; მაგალითად, შუმერული „დუქ“ და ქართული „დოქი“, შუმერული „გიიზი“ (ცეცხლის გაჩაღება) და ქართული „გიზგიზი“ და სხვა. საინტერესოა, სად და როდის უნდა დამყარებულიყო კონტაქტი ჩვენს წინაპრებსა და ძველი აღმოსავლეთის ამ ერთ-ერთ უძველეს ხალხს შორის?

ცნობილია, რომ შუმერები ძვ. წ. IV ათასწლეულში უკვე სამხრეთ მესოპოტამიაში ბინადრობენ. ასე შორს კი საერთოქართველურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის ცხოვრების კვალი არაფრით დასტურდება. ლოგიკურია, გავიზიაროთ მეცნიერთა ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც შუმერები სამხრეთ მესოპოტამიაში მოხვდნენ სამხრეთ კავკასიიდან ან მის სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან. სწორედ აქ უნდა მომხდარიყო ჩვენთვის საინტერესო ენობრივი შეხვედრები და თანაც ძვ. წ. IV ათასწლეულის დამდეგამდე.

საერთოქართველურ ენაში წინარეინდოევროპულიდან შემოსული სიტყვებია, მაგალითად, „თხა“, „სისხლი“, „უღელი“ და სხვა. ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ურთიერთშეხების არეალად სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილო მესოპოტამიას შორის მოქცეული ტერიტორია მიიჩნევა, ხოლო მომხდარ ფაქტს ძვ. წ. V ათასწლეულში ვარაუდობენ.

იმავე რეგიონში უნდა ჰქონოდათ შეხება საერთოქართველურ და სემიტურ ენებზე მოლაპარაკე ტომებსაც. ამის დასტურია, მაგალითად, სემიტური „არვა“ და ქართული „რვა“, სემიტური „ტიხ“ და ქართული „ტიხარი“, სემიტური „შუკ“ და ქართული „შუკა“ და სხვა. ეს კონტაქტები ხორციელდებოდა ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე, მანამ, სანამ ჩრდილო მესოპოტამიაში ხურიტები არ მოვიდნენ. ეს უკანასკნელნი აქ II ათასწლეულის დასასრულამდე ბინადრობდნენ. სწორედ ამ პერიოდშია სავარაუდო ცალკეული ხურიტული სიტყვების ქართველურ ენებში შემოსვლა. მაგალითად, ხურიტული „ეცი“ და ქართული „ცა“, ხურიტული „ქად“ და ქართული „ქადილი“ და სხვა.

გამოვლენილი ლექსიკური პარალელები ცხადყოფს, რომ ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ინდოევროპელ ხეთებთან. ამის დასტურია ხეთური „ველუ“ და ქართული „ველი“, ხეთური „ვიანა“ და ქართული „ღვინო“ და სხვა. ხეთურ-ქართული ენობრივი შეხვედრები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე უნდა განხო-

რციელებულიყო დაახლოებით ძვ. წ. 1200 წლამდე, ვიდრე ხეთური იმპერია „არ აღიგავა პირისაგან მიწისა“.

ქართულ ენაში უამრავი ურარტული სიტყვაა შემოსული. ასეთებია: ურარტული „ყირა“ (მიწა) და აქედან მომდინარე ქართული „თავდაყირა“, „ყირამალა“; ურარტული „შალიშანი“ (გასული წელი) და ქართული „შარშან“ და სხვა. ურარტულად აიხსნება ქართულ ხალხურ სიმღერებში გავრცელებული მისამღერები: თარი არალე (ძლევამოსილი არალე), ივრი არალე (უფალო არალე), არი არალე (მომეც არალე), სადაც არალე, ანუ ალალე, ურარტული მოსავლის ღვთაების სახელია. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ამ ენობრივი კონტაქტების დროს, ურარტუს ჩრდილო ტერიტორიები თანამედროვე სომხეთსაც მოიცავდა. ამიტომაც ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ქართველთა წინაპრები ისტორიულ საქართველოში ბინადრობდნენ.

სრულიად ბუნებრივია, რომ საერთოქართველურ ენაზე მოლაპარაკე ტომებს გაცხოველებული ურთიერთობები ჰქონდათ ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები აფხაზურ-ადიღეური, ვაინახური და დაღესტნური მოდგმის ხალხების წინაპრებთან, რაც შესაბამისად აისახა ამ ეთნოსების ფუძეენების ლექსიკაში.

საინტერესო და ბევრისთქმელია, რომ ტერმინი „ზღვა//ზღუა“ უკვე საერთოქართველური ფუძეენის დონეზეა დამოწმებული. ეს უეჭველი მოწმობაა იმისა, რომ შავიზღვისპირა ზოლი ამ ენის მატარებელი ტომების საცხოვრისი იყო.

ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების მონაცემებს თუ შევაჯერებთ, ძვ. წ. IV-I ათასწლეულებში ქართველთა წინაპრების განსახლების გეოგრაფიული არეალი ძირითადად შემდეგნაირად წარმოდგება: ჩრდილოეთით ის დიდი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს მიუყვებოდა; სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიასა და ჩრდილო მესოპოტამიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა; დასავლეთით მის ფარგლებში შედიოდა შავიზღვიპირეთის სანაპირო ყუბანისპირეთიდან სამსუნამდე; ხოლო აღმოსავლეთით – სულ ცოტა თანამედროვე ზაქათალა, ყარაიასა და ელდარის სტეპები. ბუნებრივია, ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე განფენილ ქართველური მოდგმის ტომებს ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ თავიანთ მეზობელ კავკასიელ თუ არაკავკასიელ ხალხებთან, მიმდინარეობდა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთშეღწევისა და ინფილტრაცია-ასიმილაციის ყოვლად კანონზომიერი პროცესებიც, რომლის წარმმართველნი, მაღალგანვითარებული მეურნეობისა და კულტურის წყალობით ჩვენი წინაპრები იყვნენ.

მაშ ასე, ქართველები თავისი ისტორიული მიწის მკვიდრნი, მუდმივი ბინადარნი არიან. ეს ჩვენც კარგად უნდა ვიცოდეთ და ჩვენმა მტერ-მოყვარემაც...

ქართული სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბება

ქართული სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნა ერთ მშვენიერ დღეს არ მომხდარა... ის შედეგია რთული და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარებისა, რომელშიც, ეჭვმიუტანლად უნდა ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულსა და ამით განპირობებულ შესაბამის ეკონომიკურ მახასიათებლებს, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა.

ზემოთ ითქვა, რომ ისტორიული საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც მთა და ბარი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. დიდსა და მცირე კავკასიონის მთებს შუა მოქცეული მიწები ერთმანეთთან ორგანულად იყო დაკავშირებული. ამ ქედებიდან გამოსული დიდი მდინარეები თავიანთი შენაკადებითურთ და მათი კალაპოტების გასწვრივ გამავალი უძველესი გზები დღესაც მთისა და ბარის სასიცოცხლოდ აუცილებელ ცხოველ ურთიერთობას განაპირობებს.

ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება, თავის მხრივ, მოსახლეობის განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობის ნაირსახეობას განსაზღვრავდა. მოსახლეობა ძირითადად მთიელებად და ბარელებად იყოფოდა, რაც მათი მეურნეობის სახეობებს შორის განსხვავების საფუძველი იყო. სასოფლო-სამეურნეო არეების ამგვარი დაყოფის გამო ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა ერთმანეთზე მჭიდროდ იყო დამოკიდებული: ბარელს მთის სახნავ-სათიბები და საზაფხულო იალაღები, ხოლო მთიელს ბარის ზამთრის საძოვრები, მევენახეობა-მეხილეობის პროდუქტები, მრავალფეროვანი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურები ესაჭიროებოდა.

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცალკეული გეომორფოლოგიური ერთეულები ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ერთობებად ყალიბდებოდა. მათ ძველ ქართულში „ხევები“, „ქვეყნები“ ეწოდებოდა. მაგალითად, ასეთ ერთეულებს უძველეს დროსვე წარმოადგენდა ლორე-ტაშირისა და ჯავახეთ-ერუშეთის პლატოები, თრიალეთ-ზურტაკერტის ქვაბური, კოლა-არტაანისა და სპერის ტაფობები, თრუსო-ხევის, დვალეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ქვაბურები და სხვა.

მთისა და ბარის ისტორიულ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ზეგანი. ის იყო მეურნეობის ორი ტიპისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის ეთნოკულტურული დაახლოების სარბიელი, რადგან მთიდან მიგრირებული მოსახლეობა თავდაპირველად სწორედ აქ იყრიდა თავს. მთიდან ბარში ჩამოსახლებას ძირითადად ეკონომიკური მიზეზები განაპირობებდა.

მთის შეზღუდული ბუნებრივი რესურსები და არაინტენსიური მეურნეობა მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობისათვის იყო საკმარისი, რაც ნამატ მოსახლეობას ბარში ჩასვლისაკენ უბიძგებდა. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, რომლის დროსაც მთის ნამატი მოსახლეობა მთისწინეთში, ანუ ზეგანზე, სახლდებოდა. სწორედ ამიტომაც მთისა და ბარის ორგანულად შერწყმის პროცესში მთისწინა ზოლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულ ქართველური მოდგმის ტომთა შორის კულტურულ-ეკონომიკური და მიგრაციული ურთიერთობები უძველესი დროიდანვე, ჯერ კიდევ ქვის ხანასა და ენეოლითში, დასტურდება. მოგვიანებით, ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, გვიანდელი არგვეთის ტერიტორიაზე; ამავე პერიოდის არტეფაქტები მთისა და ბარის ინტენსიურ ურთიერთობაზეც მიუთითებს. შუაბრინჯაოს ხანაში თრიალეთური კულტურის არეალში მოქცეული იყო აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი მთიანეთი სომხეთისა და ანატოლიის მიმდებარე მთიანეთითურთ, ისტორიული ქართლი და იორ-ალაზნის ველები. გვიანბრინჯაოს კოლხური კულტურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. გვიანბრინჯაო – ადრეული რკინის ხანაში იწყება ქართლის კულტურული ექსპანსია, რისი დასტურიცაა გარკვეული ტიპის ბრინჯაოს ცულისა და კერამიკის გავრცელება დასავლეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთ – დასავლეთით. ამის ნათელი მტკიცებულებაა ყარსის რეგიონში მოპოვებული ე. წ. სამთავროული კერამიკა.

ბუნებრივია, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ცხოველი ეკონომიკური, კულტურული და ეთნოგენეტიკური პროცესები შესაბამის სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს იწვევდა. ძვ. წ. II ათასწლეულიდან ყალიბდება ე.წ. „ხევების“ სისტემა. „ხევი“ არის უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, რომელიც „სოფელთა“ ერთობლიობას წარმოადგენდა. ეს იყო სოციალური ერთობა, რომელიც ქმნიდა ერთიან ეკონომიკურ კომპლექსს. „ხევების“ შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური ევოლუცია, მათ შორის პირველობისათვის ბრძოლა და ერთის მიერ მეორის დაპყრობა „ხევთა“ შერწყმა-გაერთიანებასა და მსხვილი პოლიტიკური ერთეულების წარმოშობას უწყობდა ხელს. ქართველური მოდგმის ტომებმა არაერთი ასეთი დიდი წინასახელმწიფოებრივი გაერთიანება შექმნეს.

ხეთების ძლევამოსილი იმპერიის გაქრობამ მთელი წინა აზიის ეთნოპოლიტიკური რუკა შეცვალა. ისტორიის არენაზე გამოჩნდა მუშქების (მესხების) ტომი, რომელიც ძველაღმოსავლურ, კერძოდ კი, ასურულ, წყაროებში იხსენიება. ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) ლურსმული წარწერა გვაუწყებს, რომ ძვ. წ. XII ს. შუა ხანებში მათ ჩრდილო-

ეთიდან შეუტიეს ასურეთს და მდ. ტიგროსის სათავეებში ვრცელი ტერიტორიები დაიკავეს. მოგვიანებით, ძვ. წ. IX საუკუნეებში, როგორც ცნობილია, მუშქებმა ინდოევროპელ ფრიგიელებთან ერთად ცენტრალურ მცირე აზიაში ძლიერი სახელმწიფო დააარსეს.

ასურეთის ზემოხსენებული მეფის სხვა წარწერები დაწვრილებით აღწერს იმ ომებს, რომელთაც ეს იმდროისათვის უძლიერესი სახელმწიფო აწარმოებდა „ნაირის ქვეყნების“ (მდ. ევფრატის ზემო წელზე და მის სათავეებში მდებარე ტერიტორია) კოალიციასთან. ამ გაერთიანებას სათავეში ედგა „დაიაენის“ (ურარტული „დიაოხი“, ბერძნული წყაროების „ტაოხი“, ანუ ძველქართული „ტაო“) მეფე სიენი. დაიაენი დიდი წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, რომელიც მოიცავდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონს – ჭოროხის ხეობას, შავშეთს და მდ. ევფრატის სათავეების ზეგანს (დღევანდელი თურქეთის ქ. არზრუმის პლატო). მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა „ზაბახას“ (ჯავახეთი) ქვეყანა, ხოლო ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან – „კოლხას ქვეყანა“ (კოლხიდა). ასურული, მოგვიანებით კი ურარტული, წყაროები მოწმობს, რომ „დაიაენი – დიაოხი“ „ძლევამოსილი ქვეყანა“ იყო თავისი მაღალგანვითარებული მეტალურგიითა და სოფლის მეურნეობით.

დაიაენ – დიაოხის მოსახლეობა, ძირითადად, აღმოსავლურქართული იყო, თუმცა აქვე სავარაუდებელია დასავლურქართულ და ხურიტულ ტომთა არსებობაც. ამის ერთ-ერთ საბუთად ეთნონიმი „სომეხი“ გამოდგება. ის, როგორც ვარაუდობენ, ქართულ ენაში მხოლოდ ძვ. წ. XIII – IX სს. უნდა გაჩენილიყო, როდესაც პროტოსომხური ტომებით დასახლებული „სოხმე“ - „სოხმის“ ქვეყანა (დასავლეთ და აღმოსავლეთ ევფრატშორისი მიწები) უშუალოდ ემეზობლებოდა დაიაენ – დიაოხს. ტერმინი „სომეხი“ სწორედ „სოხმედან“ („სოხმე“ > „სომეხ“) მომდინარეობს. გარდა ქართველებისა, ყველა სხვა ხალხი მათ „არმინას“ უწოდებს.

დაიაენ – დიაოხის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ იგი მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე მეტ-ნაკლები წარმატებით უმკლავდებოდა ჯერ ასურეთის იმპერიის, შემდეგ კი ძლიერი ურარტუს სამეფოს შემოტევებს. ძვ. წ. VIII ს. პირველ ნახევარში დაიაენი – დიაოხის გაერთიანება განადგურდა. მისი სამხრეთი ნაწილი ურარტუმ დაიკავა, ხოლო ჩრდილო მხარეები, კერძოდ კი ჭოროხის ხეობა, კოლხებმა იგდეს ხელთ.

კოლხთა დიდი წინასახელმწიფოებრივი გაერთიანება ძვ. წ. XIII ს. დასაწყისში უნდა წარმოქმნილიყო. ამაზე მიგვანიშნებს არგონავტების მითი, რომლის თანახმადაც, შორეულ კოლხიდაზე ძველმა ბერძნებმა მათ მიერ ილიონის, იგივე ტროას წინააღმდეგ ომის დაწყებამდე გაილაშქრეს. ამავე მითმა შემოგვინახა კოლხთა იმდროინდელი მეფის სახელი - აიეტი, რომლის შთამომავლებადაც მიიჩნევდა ძველი ბერძენი ავტორი ქსენოფონტე (ძვ. წ. 444-354 წწ.) გვიანი დროის კოლხიდის მეფეებს.

ძვ. წ. VIII ს. შუა ხანებისათვის, როცა კოლხიდამ ჭოროხის ხეობაც დაიკავა, ეჭვგარეშეა, რომ მისი ტერიტორია მთელ ისტორიულ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. რაც შეეხება კოლხური ტომების განფენას, ძველბერძენ ავტორთა ცნობებით, ისინი მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჰალისამდე (დღევანდელი ყიზილ-ირმაკი თურქეთში) სახლობდნენ. ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრი მდ. ფაზისზე (რიონი) მდებარეობდა. კოლხიდაში, ისე როგორც დაიაენ-დიაოხიში, განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა; მაღალ დონეზე იდგა მეტალურგია.

ძვ. წ. VIII ს. ბოლო ათწლეულებში წინა აზიის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შავი ზღვისა და აზოვისპირეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიის ტრამალებიდან ირანული მოდგმის მეჯოგე-მომთაბარე კიმერიული ტომები შემოესივნენ, რომლებსაც ასევე ირანული წარმომავლობის სკვითები მოჰყვნენ. ეს ლაშქრობები რამდენიმე ნაკადად განხორციელდა, რომლის დროსაც მომთაბარენი კავკასიონის გადმოსასვლელებით სარგებლობდნენ. კიმერიელთა და სკვითთა გამანადგურებელ შემოსევებს წინა აზიაში ხალხთა დიდი აყრა-გადასახლება მოჰყვა, რამაც ამ რეგიონში სერიოზული ეთნოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია. ბუნებრივია, ეს ქართველური მოდგმის ხალხებსაც შეეხო.

კიმერიელებმა და სკვითებმა ძალზე დააზარალეს კოლხიდა. მან დაკარგა გავლენა ჭოროხის აუზზე, ხოლო სამხრეთი პერიფერიები დაირბა და გაიძარცვა.

მომთაბარეთა ნაკვალევი კარგად აისახა მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის ტოპონიმიკაში. მაგალითად, კაპადოკიის სომხური სახელწოდება „გამირქ“ კიმერიელებისაგან წარმოდგება; ასევე, ერთ-ერთი კიმერიული ტომის — „თრელების“ – სახელს უკავშირდება ტოპონიმები „თრიალეთი“ და თბილისთან ახლოს მდებარე „თრელი გორები“; ანტიკური წყაროების „საკაშენე“, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, „საკების“ (ანუ სკვითების) სახელიდან მომდინარეობს და სხვა.

ძვ. წ. VIII ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში ოდესღაც ძლევამოსილი ასურეთის დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებული მიდიისა და ბაბილონის სამეფოები გაძლიერდა. ძვ. წ. 590 წელს ურარტუს სახელმწიფოც განადგურდა. ხსენებულ მოვლენებს ხალხთა ახალი ამოძრავება მოჰყვა. ამ პერიოდს უკავშირდება მცირეაზიის ცენტრალური მხარეებიდან მუშქების (მესხების) გადმონაცვლება და თავის პირვანდელ სამშობლოში – სამხრეთ კავკასიაში – დაბრუნება, სადაც ისინი ძველთაგან აქ მოსახლე თავის მონათესავე ტომებთან გაერთიანდნენ. ძველი ბერძნები ამ ტერიტორიას „მოსხიკეს“ (მესხეთი) უწოდებდნენ.

ძვ. წ. VII ს. დასაწყისიდან ძველი დაიაენი-დიაოხის ყოფილ ტერიტორიაზე ხალდების ანუ ხალიბების თაოსნობით ახალი, დიდი პოლიტიკური გაერთიანება ყალიბდება. მათი გაძლიერების საფუძველი რკინის მეტალურგიის განვითარება იყო.

ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა წინაპრებიდან სასპერები და კოლხები ჩანან. „ისტორიის მამად“ სახელდებული ძველი ბერძენი ისტორიკოს ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) მიხედვით, სპარსეთის ყურედან შავ ზღვამდე სულ ოთხი ხალხი ცხოვრობდა – სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები.

სასპერები აღმოსავლურქართველური ტომია, რომლის სახელიც ძველქართული პროვინციის „სპერის“ (მისი ნაშთია დღევანდელ თურქეთში ქ. ისპირი) სახელწოდებიდან მომდინარეობს. თუ ჰეროდოტეს ზემოთ მოტანილი ცნობის შინაარსს ჩავუკვირდებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სასპერების ტერიტორია მოიცავდა არამარტო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს და მდ. არაქსის შუა და ზემო დინებას; ხოლო ის, რომ ძველქართულ წყაროებში შავი ზღვა „სპერის ზღუად“ იწოდება, იმის მაუწყებელია, რომ ამ ტომის საცხოვრისი ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

ამ დროისათვის კოლხა – კოლხიდის ტერიტორია, ძირითადად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი შემოიფარგლა. ძველი ბერძენი მწერლების ცნობებზე დაყრდნობით, კოლხიდა, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია ეგრისს უწოდებს, სამი მხრიდან ქედებით იყო შემოსაზღვრული: ჩრდილოეთიდან მას დიდი კავკასიონი ერტყა, სამხრეთიდან – მესხეთის ქედი, აღმოსავლეთიდან კი - ლიხის მთა.

ჯერ კიდევ ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში, დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში, ძველმა ბერძნებმა ისარგებლეს ეგრისის სამეფოს დასუსტებით და მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი მიიტაცეს. ამ ტერიტორიაზე არაერთი ბერძნული ახალშენი დაარსდა: ამისო, კოტიორა, კერასუნტი, ტრაპეზუნტი. ოდნავ მოგვიანებით, ასეთივე სავაჭრო დასახლებები ეგრისის ზღვისპირეთშიც გაჩნდა. მათ შორის აღსანიშნავია ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა). ამავე ხანებში ბერძნული ქალაქები ჩრდილოშავიზღვისპირეთშიც წარმოიქმნა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თუ ბერძნული ახალშენების უმრავლესობა დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად – პოლისებად - ჩამოყალიბდა, ეგრისის სამეფოს საზღვრებში მოქცეული ახალშენები ეგრისის მეფეებს ემორჩილებოდა და გარკვეული თვითმმართველობით კმაყოფილდებოდა.

მეცნიერები ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებს უკავშირებენ დასავლურქართული ერთიანი კოლხური ეთნიკური ჯგუფის გაყოფას, რამაც მეგრულ და ჭანურ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომების ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი.

ძვ. წ. VI-I საუკუნეების ძველი ბერძენი ავტორების თხზულებებში დაცული ცნობების მიხედვით, ეგრისის სამეფოს მოსახლეობას მხოლოდ ქართველური მოდგმის ტომები შეადგენდნენ. აფსარის (გონიო) ციხესიმაგრიდან, რომელიც სამხრეთით, ზღვისპირა ზოლში სამეფოს ფარგლებში

შედიოდა, დიოსკურიის ჩათვლით კოლხები ანუ მეგრელები სახლობდნენ; დიოსკურიიდან პიტიუნტამდე ასევე კოლხური ტომები – კოლები და კორაქსები ბინადრობდნენ, პიტიუნტსა და ტუაფსეს შორის ცხოვრობდნენ ჰენიოხები, ანუ იგივე სანიგები, რომელთაც მკვლევარები სვანებად მიიჩნევენ. ეს უკანასკნელნი აწინდელი სვანეთის გარდა დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც (ლეჩხუმი, კოდორის ხეობა) ფართოდ იყვნენ განსახლებულნი და გარკვეულ პერიოდში, უთუოდ, ზღვისპირეთის ნაწილსაც ფარავდნენ. ამის უტყუარი მტკიცებულებაა დიოსკურიის ძველი ქართული სახელწოდება „ცხუმი“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სვანურ ენაზე აიხსნება და „რცხილას“ ნიშნავს. სწორედ „ცხუმიდან“, თურქული ენის თავისებურებათა გავლენით, გაჩნდა ამ ქალაქის თანამედროვე სახელი „სუხუმ“ – „სოხუმი“.

ძლიერების ხანაში ეგრისის სამეფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი გვიანდელ ნიკოფსის (რუსეთის ფედერაციის მდ. ნეგოფსუხო, ტუაფსედან ორმოციოდე კილომეტრში, სოფ. ნოვომიხაილოვკასთან) მიდამოებამდე ვრცელდებოდა. ამის საბუთია II საუკუნის რომაელი ავტორის – ფლავიუს არიანეს – თხზულებაში დამოწმებული ეთნო-ტოპონიმი „ძველი ლაზიკე“, რომელიც ზემოხსენებულ ადგილას ლოკალიზდება. საერთოდ უნდა აღნიშნოს, რომ რომაული და ბიზანტიური ხანის მწერლები ლაზებს კოლხების ჩამომავლებად, ხოლო ლაზიკას კოლხიდის პოლიტიკურ მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. ნიშანდობლივია, რომ ფრიად სანდო წყაროდ აღიარებულ არიანეს ამ ცნობას კარგად მიესადაგება XI საუკუნის ქართველ მემატიანესთან, ლეონტი მროველთან, დაცული ძველი ქართული ეროვნული ტრადიციაც, რომლის თანახმადაც, ეგრისელთა ლეგენდარული მამამთავრის – ეგროსის – სამფლობელო ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდებოდა „მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუდების წვერი კავკასისა“, ე. ი. იქამდე, სადაც კავკასიონის ქედი აღწევს მდინარე ყუბანს. გამოდის, რომ ლეონტისეული ეგრისის ჩრდილოდასავლეთი საზღვარი კიდევ უფრო შორს იყო გაწეული.

ძვ. წ. IV ს. ბოლოდან ეგრისის დასავლურქართული სამეფო დასუსტდა, ხოლო ძვ. წ. II ს. მიწურულს ის პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. 111-63წწ.) სამფლობელოში აღმოჩნდა.

ძვ. წ. VI ს. შუა ხანებში მიდიის სამეფო ტახტს ახალი – აქემენიანთა – დინასტია დაეპატრონა. ისინი ირანის სამხრეთში მდებარე ფარსის პროვინციიდან იყვნენ გამოსულნი, რის გამოც ქვეყანას სპარსეთი დაერქვა. პირველივე აქემენიანმა მეფემ კიროსმა (ძვ. წ. 558-529 წწ.) და მისმა უშუალო მემკვიდრეებმა ჯერ მთელი მიდია დაიმორჩილეს, შემდეგ კი უმოკლეს დროში შუა, წინა და მცირე აზია, სამხრეთ კავკასია და ეგვიპტე დაიპყრეს. ეს უზარმაზარი იმპერია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, სატრაპიებად, იყო დაყოფილი, რომელთაც სპარსი მოხელეები, სატრაპები, განაგებდნენ.

ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართული

ტომები - სასპერები, ტიბარენები, მოსხები, მოსინიკები, მაკრონები, მარები - აქემენიანთა XVIII და XIX სატრაპიებში იყვნენ გაერთიანებულნი. გარკვეული სახით სპარსეთის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც; რაც შეეხება ეგრისის სამეფოს, ის აქემენიანების მიერ უშუალო დაპყრობას გადაურჩა, მაგრამ, ჰეროდოტეს თქმით, იძულებული გახდა „ნებაყოფლობითი ძღვენის“ სახით, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, სპარსეთში ასი ყრმა და ასი ქალწული გაეგზავნა.

აღნიშნული პერიოდისათვის ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე აღმოსავლურქართულ ტომებში ინტენსიური სოციალური და ეთნოპოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა. „ხევებს“ შორის პირველობისათვის ბრძოლაში ხდებოდა მათი შერწყმა-გაერთიანება და შედარებით დიდი „ხევების“ წარმოქმნა. მართლაც, ძვ. წ. VI-IV სს. დათარიღებული ახალგორის, ყანჩაეთის, წინწყაროს არქეოლოგიური მასალა, კერძოდ კი მდიდრული (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს) ინვენტარის შემცველი სამარხები იმის მტკიცებულებაა, რომ უკვე არსებობს სრულიად აშკარად გამოხატული კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ერთეულები.

ამგვარი გაერთიანებების ჩამოყალიბება თავისთავად იწვევდა მათი ადმინისტრაციული ცენტრების წარმოშობას. სწორედ ამ დროს აღმოცენდნენ ქალაქები: სამადლო, ციხიაგორა, უფლისციხე, სარკინე, ურბნისი და სხვა. ეს დასტურდება როგორც ქართულ და უცხოენოვან წერილობით წყაროებში დაცული ცნობებით, ისე არქეოლოგიური გათხრების მონაცემებითაც.

უძველესი ქართული ქრონიკა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძვ. წ. IV საუკუნის ამბების გადმოცემისას იმდროინდელი ქართლის მოსახლეობას შემდეგნაირად აღწერს: „მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჴე, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჴისაჲ“. მტკვრის ხეობის არქეოლოგიურმა შესწავლამ იმდროინდელი ნაქალაქარების ინტენსიური კვალი დაადასტურა.

ბუნებრივია, თითოეულ ასეთ ქალაქს თავისი გამგებელი-უფალი ჰყავდა, რომელსაც საკუთარი უფლის ციხე ჰქონდა, რომელიც მის ირგლივ მიმდებარე ტერიტორიას, ძველქართული წყაროების „დაბნებს“, ანუ „დაბებს“, აერთიანებდა.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ყველა ზემოდასახელებული უფალი ერთ მმართველს დაემორჩილა, რის გამოც მოგვიანებით სახელი „უფლის ციხე“ მხოლოდ ამ უკანასკნელის მთავარ რეზიდენციას შემორჩა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მას მამასახლისი ეწოდებოდა „და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა“.

ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურსა და ეთნოპოლიტიკურ პროცესებს აქემენიანთა სპარსეთი აფ-

ერხებდა. ქვეყნის ბუნებრივი განვითარებისათვის აუცილებელი იყო ხელსაყრელი საგარეო ვითარება. ეს დროც მალე დადგა...

ძვ. წ. 334 წ. მცირე აზიაში გამოჩნდა ბერძენ-მაკედონელთა ლაშქარი, რომელსაც ალექსანდრე დიდი (ძვ. წ. 336-323 წწ.) სარდლობდა. მან უმოკლეს დროში დაამარცხა უკანასკნელი აქემენიანი მეფე დარიოს III კოდომანი (ძვ. წ. 336-330 წწ.) და დაამხო აქემენიანთა იმპერია. თავად ალექსანდრე მაკედონელმა ძველი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო შექმნა, რომელშიც ისტორიაში პირველად სამი კონტინენტის - ევროპის, აზიისა და აფრიკის - ქვეყნები გააერთიანა; მას სხვა დიდი გეგმებიც ჰქონდა, მაგრამ ძვ. წ. 323 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა. ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ მისმა მხედართმთავრებმა, ანუ დიადოხოსებმა, ალექსანდრეს უზარმაზარი იმპერიის ამა თუ იმ ნაწილს მიაშურეს, იქ თავი დამოუკიდებელ მეფეებად გამოაცხადეს და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს. ამ დაპირისპირების შედეგად, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე დიდი სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

ისტორიული საქართველოს სამხრეთით სელევკიანების სამეფო (იგივე „დიდი სირია“) წარმოიშვა. მისი დამაარსებელი ალექსანდრეს ერთ-ერთი მხედართმთავარი, სელევკოსი იყო. თავდაპირველად ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში თითქმის მთელი წინა აზია, შუა აზია და ინდოეთის ჩრდილო ნაწილი შედიოდა. მისი დედაქალაქი სელევკოსის მიერ მდ. ორონტზე დაარსებული ქალაქი ანტიოქია იყო (დღევანდელ თურქეთში, სირიის საზღვარზე მდებარე ქ. ანტაქია). „ქართლის ცხოვრება“ სელევკიანების სახელმწიფოს „ასურასტანის სამეფოს“ სახელწოდებით იხსენიებს.

სულ ცოტა ხანში სელევკიანების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორია გამოეყო, სადაც პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ბერძნულ ქალაქებს და მათ მეზობლად მოსახლე ქართულ ტომებს (კოლხებს, ტიბარენებს, მოსინიკებს) აერთიანებდა; ოდნავ მოგვიანებით მის შემადგენლობაში მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი (კაპადოკია) მოექცა.

ზემოხსენებულ ორ ელინისტურ სახელმწიფოს შორის დაუნდობელი, სასტიკი ომი გაჩაღდა, რასაც რეგიონში დიდი პოლიტიკური ძვრები მოჰყვა. ამ მოვლენებმა სერიოზული გავლენა იქონია ქართველი ხალხის ისტორიაზეც – ჩამოყალიბდა ერთიანი ქართლის სამეფო, რომელსაც ძველი ბერძნები იბერიას უწოდებდნენ.

ეროვნულ მატიანეებში შემონახული საისტორიო ტრადიცია, რომელიც ქართლის სამეფოს შექმნაზე მოგვითხრობს, ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე განვითარებულ მოვლენებს ძირითადად სწორად გადმოგვცემს. პონტოს სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეულმა გაერთიანებამ (ქართული წყაროების „არიან ქართლი“), რომელიც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწებს - სპერს, ტაოს, კლარჯეთსა და ოძრხეს – მოიცავდა, ბერძენ-

პონტოელთა დახმარებით ქართლის უდიდესი ნაწილი დაიპყრო. ამ ლაშქრობისას დაღუპული მცხეთის მამასახლისის, სამარას, ძმისწულმა ფარნავაზმა ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება მიიღო და შემოსეული მტრის წინააღმდეგ დახმარების თხოვნით სელევკიანთა სამეფოს მიმართა. „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა... აღუთქვა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა". სელევკიანებისა და პონტოს სამეფოებს შორის არსებული სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების გათვალისწინებით, ქართლის ცხოვრების ეს ცნობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. თავისი მფარველობის ქვეშ მყოფი ამგვარი მოკავშირის გაჩენა სელევკიანებისთვისაც მისაღები და ხელსაყრელი იყო და ანტიოქოსის პასუხმაც არ დააყოვნა. მან ფარნავაზს „უწოდა შვილად თჳსად და წარმოსცა გჳრგჳნი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს", – წერს მემატიანე.

ფარნავაზი, ასევე, დაუკავშირდა პონტოს მიერ შევიწროებულ ეგრისის მმართველ ქუჯის, ჩრდილო კავკასიელებს და არტაანში გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში მოწინააღმდეგეზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, „ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა". ამდენად, ფარნავაზის მიერ შექმნილ სამეფოში, ქვეყნის ისტორიაში პირველად, ქართული მიწების დიდი ნაწილი გაერთიანდა.

ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი ძველქართული წყაროების მდ. ბერდუჯზე (დღევანდელი აზერბაიჯანის მდ. ძეგამ-ჩაი) გადიოდა, ხოლო დასავლეთი საზღვარი „ზღუამდე სპერისა", ანუ შავ ზღვამდე აღწევდა და მთელ ჭოროხის ხეობას მოიცავდა; ჩრდილო საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს მიუყვებოდა, სამხრეთისა კი მტკვარ-არაქსისა და ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფ ქედთა სისტემაზე გადიოდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩრდილო-დასავლეთით ფარნავაზის სამეფო მდ. ეგრისწყლამდე ანუ მდ. ღალიძგამდე ვრცელდებოდა, რადგან ქართული მატიანის მიხედვით, ტერიტორია „ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა".

„ქართლის ცხოვრებას", რიგ შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტად აზუსტებს უცხოელ, კერძოდ, ძველბერძენ, ავტორებთან დაცული მონაცემები. ძვ. წ. IIს. ისტორიკოსი აპოლოდოროსი წერს, რომ იბერებსა და არმენებს ერთმანეთისაგან მდ. არაქსი ჰყოფს. ეს ცნობა სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24 წწ.) „გეოგრაფიაშია" შემონახული. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ აპოლოდოროსის მიერ აღწერილი ვითარება ძვ. წ. II ს. ისტორიულ რეალიებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით. სრულიად აშკარაა, რომ ბერძენი ავტორი ძვ. წ. II საუკუნემდე არსებულ მდგომარეობას აღწერს. ეს კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფარნავაზის ეპოქის ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი სელევკიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში

მყოფ სომხეთთან მდ. არაქსზე, უფრო ზუსტად, მდ. არაქსის სათავეებსა და ზემო წელზე, გადიოდა.

კარგა ხანია, რაც ყურადღება მიექცა უცხოენოვან წყაროებში დამოწმებულ ეთნო-ტოპონიმებს, რომლებიც ქართული სახელმწიფო ტერიტორიის მიჯნებს ზედმიწევნით ზუსტად შემოფარგლავს.

რომაელი ავტორი პლინიუს უფროსი (I ს.) კავკასიონის მთავარ ქედზე არსებულ ბუნებრივ გასასვლელს „კავკასიის კარს“ უწოდებს. ამ უღელტეხილის ჩამკეტი ძველი ციხესიმაგრე ბერძნულსა და სომხურ წყაროებში „იბერიის ციხე-სიმაგრედ“ მოიხსენიება. მოგვიანებით, მას შემდეგ რაც ჩრდილო კავკასიაში ირანული მოდგმის მომთაბარე ალანები გამოჩნდნენ, ამ გასასვლელს „დარიალანი“ (ალანთა კარი) დაერქვა.

ერთი სომხური ცნობის მიხედვით, ქართლის სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, ევფრატ-ჭოროხის წყალგამყოფ ქედზე მდებარე გადასასვლელი „ქართველთა მთავარ გზად“ არის მოხსენიებული. ქართული წყარო მას „გზაჲ ქართლისაჲს“ უწოდებს, რაც დღევანდელ თურქულ „გურჯი ბოღაზს“ შეესაბამება. ეს ეთნო-ტოპონიმი უთუოდ ძვ. წ. II საუკუნემდე უნდა იყოს გაჩენილი, ე. ი. მანამდე, ვიდრე სომხეთი ქართლის სამეფოსაგან ტაოს და სპერის პროვინციებს მიიტაცებდა.

ევფრატ-ჭოროხისა და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედთა სისტემას სტრაბონი „მოსხურ მთებს“, ხოლო პლუტარქე (II ს.) „იბერიის მთებს“ უწოდებს.

იმავე სტრაბონთან ქვემო ქართლს „გოგარენე“ ჰქვია. ეს ეთნო-ტოპონიმი ძველი ქართული ტომის გოგარების//გუგარების სახელიდან მომდინარეობს. ის შემორჩენილი იყო სოფ. გოგარანის (დღევანდელი „გუგარქი“ სომხეთის რესპუბლიკაში) სახელწოდებაშიც, რომელიც მდ. დებედას სათავეში, მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფის ძირში მდებარეობს.

ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიჯნაზე, მდ. თაუზ-ჩაის შესართავთან ახლოს, მტკვრის ნაპირას არსებულ ციხე-ქალაქს ხუნანი ეწოდებოდა, რაც უეჭველად ქართული ტოპონიმია; ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე, დღევანდელ აზერბაიჯანში, მდ. აგრი-ჩაის მარცხენა სანაპიროზე ჩამოყოლებულ ქედს „გურჯი დაღი“ ჰქვია.

რაც შეეხება ეთნო-ტოპონიმს „ძველი ლაზიკე“, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი.

ზემოთქმული უთუოდ მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: საუკუნეთა განმავლობაში უცხოელთა მიერ გარკვეული გეოგრაფიული სივრცე ქართველთა კუთვნილ ტერიტორიად იყო აღიარებული, სადაც ქართველი ერის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი პროცესი მიმდინარეობდა.

შემატებაიცა და კლებაიცა

ძვ. წ. IIIს. ქართლის (იბერიის) სამეფო იმდროინდელ კავკასიაში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა.. გავლენიანი მოკავშირის, სირიის სელევკიანების სამეფოს, მხარდაჭერით, ფარნავაზმა გარეშე მტერს სასტიკი მარცხი აგემა, ქვეყანა მომხვდურთაგან გაწმინდა, ხელისუფლება განიმტკიცა და ენერგიული ღონისძიებებით სახელმწიფოს მშენებლობას მტკიცე ბალავარი ჩაუყარა. მანვე შეუცთომლად შეაფასა ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე. მართლაც, ჩრდილოკავკასიის სტეპებში მომთაბარე სკვითურ-სარმატული ტომები და ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში მცხოვრები მთიელები (დურძუკები და სხვა „კავკასიანები“, როგორც მათ „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს) განვითარებული და მდიდარი ბარისათვის საშიშნი იყვნენ. ამიტომაც ფარნავაზმა ნათესაური კავშირი შეკრა მათთან, კავკასიონის სტრატეგიული მნიშვნელობის უღელტეხილები დაიჭირა და ციხესიმაგრეებით განამტკიცა. „და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმჴნითა და სიმდიდრითა“, – წერს მემატიანე.

ფარნავაზისდროინდელი ქართლის სამეფოს საზღვრები, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, არც მისი მემკვიდრეების, საურმაგისა და მირვანის დროს შეცვლილა. ხსენებული მეფეები თავიანთი დიდი წინაპრის ერთგული მიმდევარნი იყვნენ. ერთიც და მეორეც, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, „მსახურებდა... მეფესა ასურასტანისასა“. ქართლის სამეფოსთან ამგვარი ურთიერთობა სელევკიანებისთვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩრდილოეთით მდებარე მთაგორიანი ქვეყნის დამორჩილება და უშუალოდ საკუთარი სამეფოს ფარგლებში მოქცევა მათ არ ხელეწიფებოდათ, ხოლო ზურგში ერთგული მოკავშირის ყოლა სირიის სელევკიანთა სამეფოს მესვეურებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

ქართლის მეფეები არც ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან ურთიერთობის დარეგულირების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ივიწყებდნენ. მაშინ, როცა ქვეყნის საზღვრების ხელყოფას მხოლოდ ნათესაური კავშირი ვერ აჩერებდა, მომხვდურთა დასაოკებლად გადამჭრელი და ქმედითი ღონისძიებები ტარდებოდა.

მირვანის მეფობისას „დურძუკთა დაივიწყეს სიყუარული ფარნავაზისი და საურმაგისი; და გარდამოვიდეს... მოტყუევნეს კახეთი და ბაზალეთი“. მათ ჭართალეთს მყოფი „კავკასიანნი“ შეურთდნენ. მაშინ მეფე მირვანმა „შემოკრიბა ყოველნი სპანი, მჴედარი და ქუეითი“ და თავად უწინამძღვრა ლაშქარს. იგი „ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმჴნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“ პირადი სიმამაცით აღაფრთოვანებდა მეომრებს.

დურძუკნი უკუიქცნენ. „შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაოჴრა“ და,

რაც მთავარია, გაამაგრა უღელტეხილი და „შეაბნა კარნი ქჯტკირითა“. ჩრდილოელი მეზობლები ისევ დაშოშმინდნენ.

ამასობაში იმდროინდელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რამაც ძალთა განლაგება წინა აზიაში ძირეულად შეცვალა.

ძვ. წ. III ს. შუა ხანებში დაიწყო სელევკიანების სირიის დიდი სამეფოს დაშლა. მას ჯერ ბაქტრია და სხვა შუააზიური პროვინციები ჩამოცილდა; ძვ. წ. 247წ. დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა პართია, სადაც არშაკიანთა დინასტია დაფუძნდა.

ძვ. წ. II ს. დასაწყისში გაძლიერებულმა რომის რესპუბლიკამ აღმოსავლეთისაკენ იწყო სვლა და მცირე აზიაზე თავისი პრეტენზიები განაცხადა. აქ მათი მეტოქე სელევკიანების სამეფო იყო, რომელმაც იმდროისათვის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ და კარგად გაწვრთნილ რომაულ ლეგიონებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ძვ. წ. 190 წ. მაგნეზიასთან ბრძოლაში სელევკიანი ანტიოქოს III სასტიკად დამარცხდა რომაელებთან და ძვ. წ. 188წ. ზავით იძულებული გახდა ტავროსის ქედის ჩრდილოეთით მდებარე სამფლობელოებზე უარი ეთქვა.

სელევკიანების მარცხით, უპირველეს ყოვლისა, სომხებმა ისარგებლეს. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ანტიოქოს III სარდლებმა ზარიადრემ და არტაქსიამ (არტაშესმა) თავი მეფეებად გამოაცხადეს. ერთი სოფენეში (მდ. ევფრატზე), მეორე კი არტაქსატის (არტაშატი მდ. არაქსზე) მიდამოებში გამეფდა. სომხური სამეფოებიდან განსაკუთრებით ძლიერი იყო არტაშეს I (ძვ. წ. 189 – 161 წწ.) მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო –დიდი არმენია.

ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი დაწვრილებით აღწერს ამ მოვლენებს. ახლადშექმნილმა სომხურმა სამეფოებმა მეზობლების მიწების მიტაცების ხარჯზე გაზარდეს თავიანთი სამფლობელოები. არტაქსიამ იბერებს „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის“, ხოლო ზარიადრემ ხალიბებსა და მოსინიკებს „კარენიტი და ქსერქსენე“ ჩამოაჭრა.

უნდა ითქვას, რომ ხალიბთა და მოსინიკთა ქართველური ტომები ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში არ შედიოდნენ, თუმცა განვმარტავთ, რომ „კარენიტი“ (კარინიტი) არზრუმის, ანუ კარინის, ზეგანია, „ქსერექსენე“ კი მდ. ევფრატის ზემო წელზე (დერჯანი) მდებარე პლატო.

რაც შეეხება არტაშეს I მიერ ქართლის სამეფოსაგან ჩამოჭრილ პარიადრეს კალთებს, ხორზენეს და გოგარენეს, ამ პროვინციების ადგილმდებარეობა კარგად არის ცნობილი.

პარიადრეს (პარხალის ანუ პონტოს ქედი) კალთები გულისხმობს შუა საუკუნეების ქართულ პროვინციებს ტაოსა და ბასიანს (არაქსის ზემო წელი).

ხორზენე მდ. ევფრატის სათავეებსა და ჭოროხს შორის მოქცეული ტერიტორიაა, რომელსაც სხვა ბერძენი ავტორი აპიანე (IIს.) „ხოტენეს“ სახელით მოიხსენიებს. საფუძვლიანი ვარაუდით, ხორზენე ჭოროხის შუა წელზე გან-

თავსებულ ტაოსა და მტკვრის სათავეებსაც (შუა საუკუნეების ქართული პროვინცია კოლა) მოიცავდა. ამას ამტკიცებს ტოპონიმი „ხორზიანის ველი“, რომელიც ამ რეგიონში დღემდეა შემორჩენილი.

გოგარენე ანუ ქვემო ქართლი გულისხმობს ტერიტორიას მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჯავახეთიდან (დღევ. ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) ჰნარაკერტის ციხესიმაგრემდე. ეს უკანასკნელი იგივე ქართული ხუნანია, ციხექალაქი, რომელიც მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ბერდუჯის, ანუ ძეგამ-ჩაის, მახლობლად, მდ. თაუზის შესართავთან.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ არტაშეს I მიერ ქართლის სამეფოს ტერიტორიების დაპატრონებამდე ეს მიწები ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ამას მოწმობს სტრაბონისეული გამოთქმა: „ამათ (ე. ი. არტაქსიამ და ზაროადრემ) გაზარდეს ქვეყანა იმის ხარჯზე, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს... “ ტერიტორიები.

ამგვარად ფაქტია, რომ ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს სახელმწიფო ტერიტორია სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შეიკვეცა. დროებით დაიკარგა ქართული ისტორიული მიწები: ტაო, სპერი, კოლა და გოგარენე. ქართლის სამეფოს ანექსირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გოგარენე – გუგარქში, არტაშეს I დააარსა სომხეთზე დაქვემდებარებული პოლიტიკური ერთეული - საპიტიახშო, რომლის მმართველად, ანუ პიტიახშად, ადგილობრივი ქართველი წარჩინებული, ვინმე მიჰრდატი დანიშნა. ამას მოწმობს სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ არტაშესმა „ქართველთა დიდ პიტიახშს მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა“.

ამ დროისათვის შეიცვალა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარიც. იგივე სტრაბონი გადმოგვცემს, რომ „მტკვარი, რომელსაც სათავე არმენიაში აქვს, პირდაპირ შემოდის (იბერიის) დასახლებულ დაბლობში, იერთებს არაგოსს (არაგვს), რომელიც კავკასიონის მთიდან მოედინება, სხვა წყლებსაც და ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანეთში“. ამას გარდა, სტრაბონის თქმით, სომხეთის შემადგენლობაშია პროვინცია „კამბისენე, სადაც იბერიელებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები“. ე. ი. დასახელებულ ხალხებს შორის ეთნიკური და ამდენად პოლიტიკური საზღვარიც კამბისენეს (კამბეჩოვანი, გვიანდელი ქიზიყი) ტერიტორიაზე გადის. ამასვე ადასტურებს იგივე ავტორის კიდევ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღროჩოღრო კამბისენეზე, რომელიც მდინარე ალაზონიოსთან (ალაზანთან) არის“. უცილობელია, რომ აქ მდ. ალაზნის ქვემო დინება იგულისხმება. ამდენად, ქართლის სამეფოში რჩებოდა არამარტო კამბისენეს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, არამედ მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროც, ანუ ისტორიული ჰერეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიც. ამას

ამტკიცებს სტრაბონისეული ფრაზა: კავკასიონის „ზოგი ტოტი მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის იბერიას“. უეჭველია, კავკასიონის ქედის ამ განშტოებათაგან ერთ-ერთი დღევანდელი ცივ-გომბორის ქედია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მიწები, რომლებიც ამ ქედის ჩრდილოეთითაა, ქართლის (იბერიის) კუთვნილებაა.

სამხრეთ-დასავლეთით ქართლის სამეფოს ტერიტორიის ერთი ნაწილი – კლარჯეთი, შავშეთი და აჭარა – მეფე აკეს (ძვ. წ. 180-160 წწ.) დროს გაძლიერებულმა ეგრისმა დაიკავა. სტრაბონი აღწერს „მოსხიკეს“ ანუ „მოსხების ქვეყანას“ და ამბობს, რომ ის სამად არის გაყოფილი. „ერთი მისი ნაწილი აქვს კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“. სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო დინების აუზს და მდ. ჭოროხის ხეობას მთლიანად. აქედან გამომდინარე, თუ სტრაბონის ზემოთ მოტანილ ყველა ცნობას შევაჯერებთ, ნათელი გახდება, რომ სომხეთის „წილი“ მესხეთი-მოსხიკე არის „პარიადრეს კალთები და ხორზენე“ (ე. ი. შუა საუკუნეების სპერი, ტაო, კოლა), კოლხებს (ეგრისის სამეფოს) ეკუთვნოდა კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ხოლო იბერებს (ქართლის სამეფოს) რჩებოდა არტაანი, ჯავახეთი, სამცხე.

დასუსტებულმა ქართლის სამეფომ დასავლეთით არგვეთის ტერიტორიაც დაკარგა, რომელიც ეგრისის სამეფომ დაიბრუნა. ამას მოწმობს სტრაბონის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ციხე-ქალაქი „სარაპანისი“ (შორაპანი) კოლხიდის (ეგრისის) კუთვნილებაა.

რაც შეეხება ეგრისის სამეფოს, ძვ. წ. II ს. შუა ხანებისათვის მან დამოუკიდებლობა აღიდგინა და, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართლის სამეფოსაგან ტერიტორიებიც მიისაკუთრა. ის სამხრეთ-დასავლეთით და აღმოსავლეთით გაფართოვდა, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გარკვეული მიწები დაკარგა. სტრაბონი გვაუწყებს, რომ ქალაქები დიოსკურია (სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) კოლხიდაში, ანუ ეგრისში, მდებარეობს, მაგრამ ჰენიოხთა ტომი, რომლის განსახლების არეალი სამხრეთ-აღმოსავლეთით სწორედ ბიჭვინთამდე ვრცელდებოდა, ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში უკვე აღარ შედიოდა.

ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით მნიშვნელოვანი მოვლენები დატრიალდა. პონტოს სამეფოს ტახტზე მითრიდატე VI (ძვ. წ. 111-63 წწ.) ავიდა. მან ჩრდილოშავიზღვიპირეთში ბოსფორის სამეფო დაიმორჩილა; იგივე ბედი გაიზიარა სოფენეში მდებარე მცირე არმენიამ. სულ ცოტა ხანში მითრიდატე VI-მ თავისი აგრესია დასუსტებული კოლხიდის წინააღმდეგ მიმართა, რაც ეგრისის სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდა.

ამავე პერიოდში გაძლიერდა არტაშატის „დიდი არმენიის“ სამეფო, რომელსაც ტიგრან II (ძვ. წ. 95-56 წწ.) განაგებდა. ამ უკანასკნელმა და მითრიდატე VI-მ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს, რომელიც დინას-

ტიური ქორწინებითაც განამტკიცეს: ტიგრანმა მითრიდატეს ასულზე იქორწინა. მოკავშირეებმა თვალი აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მცირე აზიას დაადგეს. ამასობაში მითრიდატე VI-მ სამხრეთშავიზღვიპირეთის ბერძნული ქალაქებიც დაიქვემდებარა. შექმნილი ვითარება რომსა და სიძე-სიმამრს შორის შეტაკებას გარდაუვალს ხდიდა.

მალე რომსა და პონტოს სამეფოს შორის ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო. მითრიდატე VI–მ სამი ომი გამართა რომის წინააღმდეგ. ეს ომები ისტორიაში „მითრიდატეს ომების“ სახელით არის ცნობილი. ამ ომებში პონტოსა და სომხეთის მოკავშირეებად ქართლისა და ალბანეთის სამეფოებიც გამოდიოდნენ. ბრძოლები ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. ძვ. წ. 73 წ. მესამე ომი გაჩაღდა. რომაელთა ჯარებს ჯერ ლუკულუსი, შემდეგ კი პომპეუსი სარდლობდნენ. საბოლოოდ, ძვ. წ. 66 წ. პონტომ, ფაქტობრივად, შეწყვიტა წინააღმდეგობა. იმავე წელს პომპეუსს ტიგრან II დანებდა. მან რომთან ზავი დადო, შემოერთებულ ბევრ ოლქზე უარი თქვა და ფულადი კონტრიბუციის გადახდაც იკისრა. სომხეთმა „რომის მოკავშირისა და მეგობრის“ სტატუსი მიიღო, რაც რომისადმი პოლიტიკურ დაქვემდებარებას ნიშნავდა.

ახლა პომპეუსის მიზანი პონტოსა და სომხეთის მოკავშირის, ქართლის სამეფოს, დასჯა იყო. გარდა ამისა, რომაელთა განსაკუთრებულ ინტერესს იპყრობდა ძველ სამყაროში ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ჩინეთიდან და ინდოეთიდან შუა აზიის გავლით, მდ. ბაქტრითა და მდ. ოქსით, კასპიის ზღვასა და მდ. მტკვრის ხეობაში შემოდიოდა, აქედან კი ხმელეთით ქ. ფაზისამდე (ფოთამდე) აღწევდა.

ძვ. წ. 65 წ. პომპეუსი ქართლში შეიჭრა. მეფე არტაგი ძლევამოსილი რომაული ლეგიონების წინააღმდეგ მარტო აღმოჩნდა. თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად იბერები დამარცხდნენ. პომპეუსმა ჯერ არმაზციხე აიღო, შემდეგ კი სევსამორა (წიწამური). არტაგმა რომაელ სარდალს მძევლებად შვილები გაუგზავნა, ძვირფასი ძღვენიც მიართვა და გამარჯვებულისგან ზავი ითხოვა.

ქართლის სამეფოს დამორჩილების შემდეგ პომპეუსი ლიხის მთის გადასასვლელით ეგრისში ჩავიდა. იმდროინდელი ეგრისი სკეპტუხიებად იყო დაშლილ-დაქუცმაცებული, თუმცა რომაელმა სარდალმა ფაზისისკენ ბრძოლით გაიკაფა გზა. პომპეუსმა აქ მმართველად ვინმე არისტარქე დასვა, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, ეგრისი რომის პროვინციად იქცა.

ეგრისიდან, სომხეთის გზითა და კამბეჩოვანზე გავლით, პომპეუსმა ახლა ალბანეთზე ილაშქრა, მეფე ოროისი დაამარცხა და რომს დაუმორჩილა. მეფე ოროისი, ისევე როგორც ქართლის მეფე არტაგი, „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ“, ანუ რომისადმი დამოკიდებულ მმართველად, გამოცხადდა.

ასეთ მდგომარეობაში შეხვდა ქართლისა და ეგრისის სამეფოები ქრისტეშობას.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე წინა აზიაში ორი დიდი დამპყრობელი – რომი და პართია – დაუპირისპირდა ერთმანეთს. მათი ინტერესები სომხეთშიც გადაიკვეთა. ამ მწვავე ბრძოლებმა სომხეთი დიდად დაასუსტა. ქართლის სამეფოს მესვეურებმა შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მარჯვედ გამოიყენეს.

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა. 35 წ. პართელი დიდებულები აჯანყდნენ და სამეფო ტახტზე თრდატის დასმა გადაწყვიტეს. ეს უკანასკნელი იმჟამად იმპერატორ ტიბერიუსის (14-37 წწ.) კარზე იმყოფებოდა. მისი გამეფება იბერთა დახმარებით უნდა მომხდარიყო, რისთვისაც ქართლის მეფეს მითრიდატეს (მირდატს) სომხეთის ტახტს დაჰპირდნენ.

ქართლის მეფემ არ დააყოვნა და ლაშქარი, რომელსაც თავისი ვაჟი ფარსმანი უსარდლა, სომხეთისაკენ დაძრა. იბერებმა სომხეთის დედაქალაქი არტაშატი დაიჭირეს. სომხეთის სამეფო ტახტზე ქართლის მეფე მითრიდატეს მეორე ვაჟი, სახელად მითრიდატე, დასვეს.

პართიის მეფემ დიდძალი ჯარი გამოგზავნა სომხეთში გაბატონებულ იბერთა გასადევნად. ლაშქარს პართელი უფლისწული ოროდი სარდლობდა.

ქართლის სამეფო კარგად მომზადებული დახვდა მტერს. იბერებმა, რომელთა ხელშიც იყო კავკასიონის გადმოსასვლელები, თავიანთი მომხრე სარმატები გადმოუშვეს, პართელთა დასახმარებლად დაქირავებულებს კი გზები შეუკრეს. ამ მოვლენებს დაწვრილებით აღწერს I – II საუკუნეების რომაელი ავტორი ტაციტუსი. თავის „ანალებში“ ის ხაზგასმით აღნიშნავს, „იბერებმა, ამ ქვეყნის პატრონებმა“, სომეხთა წინააღმდეგ დაძრული სარმატები დაუბრკოლებლივ გაატარეს, მაშინ, როცა პართელთა დასახმარებლად წამოსულებს მხოლოდ დარუბანდის ზღვისპირა გასასვლელი დარჩათ, რომელიც ზაფხულში, ფაქტობრივად, უვარგისი იყო. ტაციტუსის ზემომოტანილი გამონათქვამი, უდავოდ, იმის მტკიცებულებაა, რომ ქართლის სამეფო ჩრდილოეთის საზღვრებს მტკიცედ აკონტროლებდა და ჩრდილოაღმოსავლეთის მიმართულებითაც თავის პოლიტიკურ ზეგავლენას თანდათან კავკასიონის ცენტრალური ქედის გადაღმა ავრცელებდა.

ბრძოლის მსვლელობისას ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ სარდლები იბერიელი ფარსმანი და პართელი ოროდი. იმარჯვა ქართლის უფლისწულმა. მძიმედ დაჭრილი ოროდი ჯერ ცხენმა გაიტაცა, შემდეგ კი მცველებმა გაარიდეს ბრძოლის ველს. პართელები, რომელთაც თავიანთი სარდალი მოკლული ეგონათ, უკუიქცნენ. ბრძოლა იბერიელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

ამრიგად, ქართლმა არამც თუ დაიბრუნა სომხეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწაწყალი, არამედ რომსა და პართიას შორის სომხეთისათვის გამართულ ბრძოლაში თავადაც აქტიურად ჩაერთო.

მალე სომხეთში გამეფებულ მითრიდატესა და მის ძმას, ქართლის მეფე ფარსმანს, შორის ურთიერთობა დაიძაბა. როგორც ჩანს, მითრიდატემ და-

მოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო, რაც ქართლის სამეფოს ინტერესებში არ შედიოდა. ფარსმანმა ძმა რომაელთა ღალატში დაადანაშაულა და თავისი ვაჟის, რადამისტის, ხელით მოიცილა. სომხეთში რადამისტი გამეფდა. ამ უკანასკნელმა სამიოდე წელი იმეფა, თავისი სისასტიკით სომეხი დიდებულები აიმხედრა, რომლებმაც ის ტახტიდან ჩამოაგდეს. რადამისტმა ქართლში გაქცევით უშველა თავს. შემდგომში მან რამდენჯერმე სცადა სომხეთის ტახტის დაბრუნება, ხოლო როდესაც ეს იმედი ამოეწურა, მამის სიცოცხლეშივე ქართლის ტახტის დაპატრონება განიზრახა. ქვეგამხედვარი შვილი ფარსმანმა სიკვდილით დასაჯა.

ზემოთქმული მოწმობს, რომ I ს. 30-60-იან წლებში ქართლის სამეფომ პირვანდელი (ძვ. წ. IV-III სს.) საზღვრები დაიბრუნა. რომაელი ისტორიკოსის პლინიუს უფროსის (I ს.) მონაცემებით, იბერია მოიცავს „ტასიისა“ (ტაშირის) და „ტრიარის“ (თრიალეთის) პროვინციებს და ვრცელდება „პარიჰედრის მთებამდე“. ეს უკანასკნელი იგივე სტრაბონისეული პარიადრეს მთებია. ე. ი. მდ. ჭოროხის მთელი აუზი, ანუ სპერი. ტაო, კლარჯეთი კვლავ იბერიის (ქართლის) ფარგლებშია.

ამგვარად, „მოსხიკე“ (მესხეთი), რომლის ერთი ნაწილი სტრაბონის დროს სომხეთს ეჭირა, მეორე კი — კოლხებს, I ს. შუა ხანებისათვის კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია.

ტაშირიც (გვიანდელი ქართული წყაროების ქვემო ქართლი) - მტკვრის შუა დინების მარჯვენა ნაპირის აუზი — დებედა-ჩაის სათავეებიანად ქართლის სამეფოს ეკუთვნის.

ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთთან აღმოსავლეთისაკენ არის გადაწეული. პლინიუსის მიხედვით, ის მიუყვება მდ. ალაზნის ქვემო დინებას მდ. მტკვრამდე. ეს კი ცხადყოფს, რომ სტრაბონისეული კამბისენე (კამბეჩოვანი), რომელიც მტკვარსა და ალაზნის ქვემო დინებას შორის მდებარე ტერიტორიაა, მთლიანად ქართლის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული.

სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ გადის. მდ. თერგის სათავეები ანუ ქართული პროვინციები — ხევი და თრუსო — ქართლის სამეფოს ეკუთვნის, „კავკასიის კარი“ (რომაული წყაროების „იბერიის კარი“) და აქ არსებული ციხესიმაგრე კვლავაც იბერიის საზღვრებშია.

ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე არგვეთიც.

II ს. პირველი ნახევარი ანტიკური ეპოქის ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა. ამ დროს, II ს. 30-50-იან წლებში, ქართლის სამეფო ტახტზე ზის ფარსმან II, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) „ფარსმან ქველს“ უწოდებს. მის დროს ქართლის სამეფოს დაბრუნებული აქვს ძირძველი ქართული მიწები და სამხრეთისაკენ

და სამხრეთ-დასავლეთისაკენ კიდევ უფრო აფართოებს თავის საზღვრებს.

იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მიერ გააზატებული და მასთან დაახლოებული ფლეგონ ტრალიანოსი (II ს.), რომელიც თავისი ნაშრომის („ოლიმპიადები და ქრონიკა“) წერისას სანდო წყაროებითა და ოფიციალური დოკუმენტებით სარგებლობდა, გვაუწყებს, რომ „მოტიენე იბერიის მხარეა...“ ფლეგონის მოტიენე არის ტერიტორია, რომელიც მოიცავდა მდ. არაქსის სათავეებს ანუ გვიანდელი ბასიანის პროვინციას.

პლუტარქოსის (46-120 წწ.) ცნობით, იბერია სამხრეთ-დასავლეთით მოსხურ მთებამდე და ევქსინის პონტომდე ვრცელდებოდა. ამას კიდევ უფრო აზუსტებს იმპერატორ ადრიანეს მოხელე ფლავიუს არიანე, რომელიც გადმოგვცემს, რომ „ძიდრიტები ფარსმანს ემორჩილებიან“. ძიდრიტთა ტომის საცხოვრისს წარმოადგენდა შავიზღვიპირა ტერიტორია მდ. არქაბისსა (მდ. არხავე თურქეთის ლაზისტანში) და მდ. აფსაროსს (მდ. ჭოროხი) შორის.

ქართლის სამეფოს სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით სწრაფვას არ შეიძლება რომის გაღიზიანება არ გამოეწვია. მართლაც, რომის იმპერატორ ადრიანესა და ფარსმან ქველს შორის უაღრესად დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ქართლის ეს მართლაც გამორჩეული და სახელოვანი მეფე ტოლს არ უდებდა და თანასწორად ეკიდებოდა იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს იმპერატორებს. ამისათვის ის ოსტატურად იყენებდა ჩრდილოკავკასიის ველებზე მომთაბარე ალანებს, მტკიცედ აკონტროლებდა კავკასიონის სტრატეგიული მნიშვნელობის გადმოსასვლელებს და შიშის ზარს სცემდა რომის აღმოსავლეთის პროვინციებს.

რომისათვის ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის დალაგება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა (138-161 წწ.) რომში მეუღლით, ვაჟიშვილითა და წარჩინებულთა თანხლებით ჩასულ ფარსმან იბერიელს „გაუდიდა სამფლობელო“. ეს ფრაზა რომაელ ისტორიკოს დიონ კასიუსს (155-235 წწ.) ეკუთვნის და მისი სიტყვასიტყვით გაგება დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა. დიახ, იმპერატორი იძულებული იყო, ეცნო ქართლის სამეფოს შორს გაწეული საზღვრები, რამაც რომისთვის ესოდენ სასურველი მშვიდობა მოიტანა და მისი მრისხანე მეტოქე დააშოშმინა.

ამრიგად, ფარსმან ქველის დროს ქართლის სამეფომ არათუ აღიდგინა თავისი ისტორიული (ძვ. წ. IV-III სს.) საზღვრები, არამედ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით კიდევ უფრო განავრცო ის.

***

სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ვითარება იყო ამავე პერიოდის ისტორიულ დასავლეთ საქართველოში. 63 წ. პართიასთან ზავის გაფორმების შემდეგ რომმა პონტოს სამეფო გააუქმა, რამაც ადგილობრივი არისტოკრატი-

ის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 69 წ. დაიწყო აჯანყება, რომელსაც ყოფილი პონტოს სამეფოს ფლოტის სარდალი, ანიკეტი, ხელმძღვანელობდა. იმპერატორმა ვესპასიანემ (69 -79 წწ.) ამბოხებულები დაამარცხა. სულ მალე მისივე ბრძანებით, აღმოსავლეთშავიზღვისპირეთში მცხოვრებ იმპერიის ქვეშევრდომ ხალხებზე გავლენის განმტკიცების მიზნით, სანაპირო ზოლში განლაგებულ ციხესიმაგრეებში: აფსაროსში (გონიო), ფაზისში (ფოთი), ძიგანეონში (გუდავა), სებასტოპოლსა (სოხუმი) და პიტიუნტში (ბიჭვინთა) რომაელი მეციხოვნეები ჩადგნენ. სწორედ ეს გარნიზონები უზრუნველყოფდა ამ რეგიონში რომის იმპერიის პოლიტიკის გატარებას.

II ს. 30-იან წლებში ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთში არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს კაპადოკიის მმართველ ფლავიუს არიანეს თხზულება „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, რომელიც უაღრესად სანდო წყაროს წარმოადგენს.

არიანეს მიხედვით, ტრაპეზუნტის მიდამოებში კოლხები, ხოლო მიმდებარე მთებში სანები (ჭანები) სახლობდნენ. მათგან ჩრდილოეთით, ზღვის გაყოლებაზე არსებული ტერიტორიები თანმიმდევრობით ეკავათ ჰენიოხებსა და მაკრონებს, ძიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასგებს და სანიგებს. ჰენიოხებსა და მაკრონებს, ლაზებს, აფსილებს, აბასგებს და სანიგებს რომაელთა მიერ დამტკიცებული „მეფეები“ ჰყავდათ. მათი ძალაუფლება ფრიად შეზღუდული იყო, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, იმპერიის პოლიტიკის დასაყრდენს სანაპირო ზოლში არსებულ ციხესიმაგრეებში ჩაყენებული გარნიზონები წარმოადგენდა.

ძიდრიტების შესახებ ზემოთ ითქვა, რომ ისინი მდ. არქაბისსა და მდ. აფსაროსს (მდ. ჭოროხი) შორის ცხოვრობდნენ და ქართლის მეფე ფარსმან II -ს ემორჩილებოდნენ. მათ სამხრეთით, ე.ი. მდ. არქაბისიდან ტრაპეზუნტის სანახებამდე, ჰენიოხებისა და მაკრონების სამეფო მდებარეობდა; მდ. ჭოროხიდან მდ. კოდორამდე ლაზების სამეფოა. ამ უკანასკნელს ქართული და სომხური წყაროები კვლავ „ეგრისს“ უწოდებენ, ხოლო ბერძნულ – რომაული წყაროები – „ლაზიკას“.

ფლავიუს არიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სებასტოპოლისი, ანუ სოხუმი, სანიგთა სამეფოს მიწაზეა. სანიგები იგივე სვანები არიან, ხოლო ქ. სოხუმის სახელწოდება „ცხუმი“ რომ მხოლოდ და მხოლოდ სვანური ენით აიხსნება, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აფსილებისა და აბასგების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა დიდი სხვაობაა. ერთნი ამ ეთნონიმებით მოხსენიებულ ტომებს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებენ, მეორენი კი – აფხაზურ – ადიღეურს. რაც შეეხება ფლავიუს არიანესეულ აფსილთა და აბასგთა სამეფოებს, მათ ეკავათ ზღვისპირა ტერიტორია მდ. კოდორიდან ქ. სოხუმამდე. ფლავიუს არიანეს ამ ცნობამდე, უძველესი ქართული და უცხოენოვანი წყაროების მონაცემებით, ისტორიული საქართ-

ველოს ზღვისპირეთი მხოლოდ ქართული მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. ხსენებულ პერიოდში გარკვეულ მონაკვეთზე ადიღეური მოდგმის ტომების გამოჩენას თავისი ახსნა აქვს. ჯერ კიდევ I საუკუნეში, რომაელი ავტორი პლინიუს უფროსი ამ ტომებს ერთი საერთო სახელით - „აბზუ - აბსუ“- ჩრდილოეთ კავკასიაში მეოტიდის ტბასთან (აზოვის ზღვა) იხსენიებს. მათი ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთში ჩამოსახლება განაპირობა ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მომთაბარე ირანულენოვანი ალანების მოსვლამ, რომლებმაც საკუთარი საცხოვრისის მოსაპოვებლად ადიღეური მოდგმის არაერთი ტომი შეავიწროეს. ეს მოვლენები დაემთხვა კოლხიდის სამეფოს დაცემას და მის წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად, ცალკეულ სკეპტუხიებად დაშლას. ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთის საზღვრებზე კონტროლი მოიშალა, რითაც კარგად ისარგებლეს აფსილებმა და აბასგებმა და ზემოხსენებული ტერიტორია დაიკავეს.

II ს. მეორე ნახევარსა და III ს. ისტორიულ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. რომი ქვეყნის შიდა რეგიონებზე კონტროლს ვერ ახერხებდა და ცდილობდა, თავისი დასაყრდენი ზღვისპირა ციხე-ქალაქები შეენარჩუნებინა.

ამ დროიდან იწყება ეგრისის სამეფოს გაძლიერება. მან თავისი გავლენა განავრცო დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებზე და ჩრდილოეთისაკენ უკუაგდო აფსილები, აბასგები და, შესაძლოა, ზოგიერთი სვანური ტომი. დიოსკურია ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.

ამისათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა რომის იმპერიის შედარებით დასუსტება. III ს. რომისათვის სერიოზული შიდა გართულებების და სამოქალაქო ომების ხანა იყო. ამას დაერთო სპარსეთთან გაჩაღებული მძიმე, ხშირად წარუმატებელი, ომები და ჩრდილოეთიდან, მდ. რაინისა და მდ. დუნაის მხრიდან, ბარბაროსთა მეომარი ტომების შემოსევები.

III ს. პირველ ნახევარში ჩრდილოეთშავიზღვიპირეთში გოთების გერმანული ტომების შემოღწევა იწყება. 252 წ. მათ ბოსფორელთა ხომალდები გამოიყენეს და პიტიუნტზე მიიტანეს შეტევა. ქალაქი მაღალმა გალავანმა და მეციხოვნეთა სიმამაცემ იხსნა. ოდნავ მოგვიანებით, გოთებმა ფაზისის მახლობლად ფასიანელი არტემიდას ტაძრის აღება სცადეს, თუმცა — უშედეგოდ. ამის შემდეგ მომხვდურნი ისევ პიტიუნტს დაესხნენ თავს, აიღეს ის და გარნიზონი მთლიანად გაჟლიტეს. პიტიუნტის ბედი ტრაპეზუნტმაც გაიზიარა.

გოთების ლაშქრობების ამ მოკლე აღწერიდან, ვფიქრობთ, კარგად იკვეთება ეგრისის სამეფოს ძლიერება, რომელმაც შემოსეულ მრისხანე მტერს ფაზისის მიდამოებში სერიოზული მარცხი აგემა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეგრისის სამეფო და მთლიანად დასავლეთ საქართველო III – IV სს. მიჯნაზე რომის გავლენის სფეროს წარმოადგენდა.

***

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფომ თავისი ძლიერება ფარსმან II-ის შემდგომი მეფის, ქსეფარნუგის (II ს. მეორე ნახევარი), დროსაც შეინარჩუნა. ამის შესახებ ირიბ მინიშნებას გვაწვდის მცხეთაში, კერძოდ, არმაზში, აღმოჩენილი პიტიახშ ზევახის ასულის – სერაფიტის – საფლავის ქვის ბერძნულ-არამეული ორენოვანი წარწერა. მასში ნათქვამია, რომ სერაფიტის მეუღლე იყო მეფე ქსეფარნუგის ეზოსმოძღვარი, „ძლევამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“ იოდმანგანი. თავად მეფე ქსეფარნუგი „დიდი მეფის“ ტიტულითაა შემკობილი. უზენაესი ხელისუფლისა და მისი დიდმოხელის ამდაგვარი ეპითეტებით მოხსენიება ქართლის სამეფოს სამხედრო – პოლიტიკურ წარმატებებზე უნდა მეტყველებდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ II-III სს. მიჯნაზე ქართლის სამეზობლოში საგარეო ვითარება დიდად არ შეცვლილა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის სამეფოს ძირითადად უნდა შეენარჩუნებინა და წარმატებით დაეცვა საკუთარი სახელმწიფო საზღვრები.

განსხვავებული ვითარება ჩანს ქვეყნის აღმოსავლეთში. II საუკუნის რომაელი ავტორი კლავდიუს პტოლემაიოსი თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ ალბანეთის აღწერისას დასახლებულ პუნქტებს შორის მოიხსენიებს ქალაქ თელაიბა – თელებას, რომელიც ქართულ თელავთან არის გაიგივებული. თუ დავუშვებთ, რომ მოტანილ ცნობაში ავტორის თანადროული ვითარებაა არეკლილი, უნდა დავასკვნათ, რომ II საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის აღმოსავლეთი პროვინციები დროებით ალბანთა სამეფომ მიიტაცა.

III ს. ოციან წლებში ნახევრადდაშლილი პართიის სუსტი სამეფოს ნანგრევებზე ახალი, ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სპარსეთის ერთ-ერთი სამხრეთული პროვინციიდან, ფარსიდან, გამოსულმა სასანიანმა არდაშირმა 224 წ. სასტიკად დაამარცხა უკანასკნელი არშაკიანი მეფე არტაბან V და 226 წ. თავი მეფედ გამოაცხადა. სწორედ ის ითვლება ირანში სასანიანთა სამეფო დინასტიის დამფუძნებლად. მისმა ვაჟმა შაბურ I-მა (241 -272 წწ.) წარმატებული საგარეო ომები წამოიწყო. მან რამდენჯერმე გაილაშქრა რომაელებზე და სასტიკად დაამარცხა ისინი. მეტოქეებს შორის დავა მიმდინარეობდა შუამდინარეთისა და მთელი სამხრეთ კავკასიისათვის, რაც იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო – საქარავნო გზების და შესაბამისი შემოსავლების დაუფლებას ისახავდა მიზნად.

253 წ. შაბურ I-მა სომხეთის ტახტზე, მოკლული მეფის, ხოსროს, ადგილზე, თავისი უფროსი ვაჟი ჰორმიზდ – არდაშირი დასვა. ამ დროს ქართლში მეფობდა ამაზასპი (230-265 წწ.). „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, „ამაზასპი იყო კაცი ძლიერი და გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქველისა“. ქართლის მეფემ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას სწრაფად აუღო ალღო. მან თავისი და სომხეთის სასანიან მეფეს მიათხოვა და სპარსეთის უზენაესობა აღიარა. ამაზასპმა, როგორც სპარსეთის შაჰის ახლო ნათესავმა, სასანიანთა სამეფო

კარზე ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი დაიკავა. ეს კარგად ჩანს 262 წ. შესრულებული სამენოვანი წარწერიდან, რომელიც იმდროინდელი სპარსეთის მთავარი მაზდეანური ტაძრის, ზოროასტრის ქააბას, კედელზეა ამოკვეთილი. მასში ამაზასპი, ირანის შაჰის შაბურის შემდეგ, რიგით მეხუთედ არის მოხსენიებული. ამ წარწერაში ამაზასპის შემდგომ არიან დასახელებულნი უფლისწულები, სასანიანთა სახელმწიფოს გავლენიანი საგვარეულოები და სამეფოს სხვა დიდმოხელენი. ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქართლის მეფე იარაღის ძალით დამორჩილებული ქვეყნის მმართველი კი არა, სპარსეთის შაჰის გავლენიანი მოკავშირეა.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ ამაზასპის დროს ქართლის სამეფო, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მას ხელეწიფებოდა, წარმატებით გადაეჭრა საშინაო და საგარეო პრობლემები და ფხიზლად ეკონტროლებინა სახელმწიფო საზღვრები. ამ პერიოდში ქართლმა დაიბრუნა II ს. მეორე ნახევარში ალბანელთაგან მიტაცებული მიწები და აღმოსავლეთით ფარნავაზისდროინდელი ისტორიული საზღვარი აღადგინა. ყურადღება არც სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო მონაკვეთს აკლდა. „ქართლის ცხოვრება“ ვრცლად მოგვითხრობს ქვეყანაში შემოჭრილ ალან – ოსებთან ამაზასპის ბრძოლის შესახებ. III ს. 40-იან წლებში დვალეთის გზით მალულად გადმოსულ და მუხრანში დაბანაკებულ ალან – ოსებს მცხეთის აღება ჰქონიათ განზრახული. ქართლის მეფემ დედაქალაქი და ახლომახლო მდებარე ციხეები გაამაგრა, ცხენოსანთა რაზმების მოულოდნელი თავდასხმებით მტერს ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება არ მისცა, ხოლო ეგრისიდან და სომხეთიდან მოკავშირეთა ძალების შეერთების შემდეგ სასტიკად დაამარცხა მომხვდურნი. ერთი წლის შემდეგ ამაზასპმა თავად ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, ალან – ოსები კვლავ დაიმორჩილა და ჩრდილოეთის გადმოსასვლელებზე მტკიცე კონტროლი აღადგინა.

III ს. მიწურულს სპარსეთსა და რომს შორის დაპირისპირებაში ამ უკანასკნელმა იმარჯვა. 298 წ. ქ. ნიზიბინში დადებული ზავის პირობებით, რომაელებმა მიიღეს ხუთი სომხური პროვინცია (ე.წ. დამოუკიდებელი სატრაპიები) შუამდინარეთში, მდ. ტიგროსის სათავეებში და აღადგინეს რომის პროტექტორატი სომხეთსა და ქართლზე. იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დახმარებით სომხეთში თრდატ III (298-330 წწ.) გამეფდა. ქართლის სამეფო ტახტზე რევ „მართალის“ ვაჟი — მირიანი — იჯდა.

ამ პერიოდში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფოს ჩრდილო საზღვრების დაცვამ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთის სტეპური ზოლიდან ჰუნების სახით მრისხანე დამპყრობთა ახალი ტალღა გამოჩნდა. მეფე მირიანის თავგანწირული ბრძოლების შედეგად მომთაბარეებმა ქვეყნის აოხრება ვერ შეძლეს. კავკასიონის სტრეტიგიულად დიდმნიშვნელოვანი გადმოსასვლელები კვლავაც ქართლის სამეფოს ხელთ იყო.

განზრახვა, რომ მეზობელი ქართლისათვის მტკვრის მარჯვენა სანა-

პირო, ძველი ქართული პროვინცია გოგარენა წაერთმია, ვერც სომხეთის მეფე თრდატ მესამემ აისრულა. მირიან მეფეს პოლიტიკურმა ალღომ არ უმტყუნა. მან თავისი უმცროსი ვაჟი ბაკური რომის კეისარს გაუგზავნა, რითაც ამ უკანასკნელს თავისი ერთგულება აჩვენა. კეისარმა ქართლის მეფეს საქციელი დაუფასა. მისი ჩარევით მოქიშპე მხარეები დამოყვრდნენ: მირიანის უფროსი ვაჟი რევი თრდატის ასულ სალომეზე დაქორწინდა. მეზობლები დაზავდნენ, საზღვრად კი კვლავ ბამბაკ – ერევნის წყალგამყოფი ქედი დარჩა.

ასე შეხვდა ჩვენი წინაპარი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეთნიკურ განვითარებასა და იმ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რომელსაც საქართველო ჰქვია.

საზღვართა წარმატება და განმტკიცება

ჩრდილოეთ-დასავლეთი საზღვრები

ლიტერატურულ ნაწარმოებში „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა“, რომელშიც IV საუკუნის დასაწყისის ამბებია აღწერილი, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დასახელებულია ორი პოლიტიკური გაერთიანება — „სოფელი ლაზთა“ ანუ ეგრისის // ლაზიკის სამეფო და „სოფელი აფხაზთა“. პირველის საზღვრებში მდებარეობდა ზიღანეოსი (დღევ. გუდავა), ხოლო მეორისა – პიტიონტი ანუ ბიჭვინთა. მომდევნო ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში პოლიტიკური რუკა, თითქოს, უცვლელი რჩებოდა: 415 წლის ახლოს შედგენილი რომაული სამოხელეო ნუსხის, Notitia Dignitatum-ის, მიხედვით აბაზგები რომაელთა ქვეშევრდომნი თუ მოკავშირენი ყოფილან; ბიზანტიელ ეპისკოპოს თეოდორიტე კვირელს (393-457/8 წწ.) ლაზები (ეგრები), აბაზგები (აფხაზები) და სანები (სვანები) დამოუკიდებელ ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებებად წარმოედგინა; სამივე „რომაელთა ბატონობას ელოლიავებოდა“. ვახტანგ გორგასლის მეისტორიე კი ამტკიცებს, რომ V ს-ის შუახანებისთვის „ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყლისა ქუემოჲთ კერძოჲ“, ე.ი. აფხაზეთი.

ძველ ქართველ და სომეხ ავტორთა (ჯუანშერ ჯუანშერიანის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“, VII ს-ის სომეხი სწავლულის, ანანია შირაკაცის „აშხარაცუიცი“ // „გეოგრაფია“) ცნობებით, ეგრისი აფხაზეთისგან ხან ეგრისწყლით, ხან მდ. დრაკონით (კოდორით) გამოიყოფოდა. მათ მონათხრობში თუ მაინცდამაინც პოლიტიკური საზღვარი იგულისხმება, მაშინ გამოდის, რომ II ს-ის შუახანების შემდეგ ეგრისის სამეფოს დაუკარგავს ქ. დიოსკურია (სოხუმი) და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორია. პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები ადვილად ასახსნელია, ერთი მხრივ, გოთთა და სარმატთა შემოსევებით ლაზიკაში (III ს.) და, მეორე მხრივ, რომაელთა პოლიტიკით, შეენარჩუნებინათ სოხუმი და ბიჭვინთა – უმნიშვნელოვანესი საზღვაო ციხესიმაგრეები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

V საუკუნის II ნახევარში ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო შეიერთა და ლეონ კეისართან (457-474 წწ.) მიღწეული შეთანხმების ძალით საზღვარი ბიზანტიის იმპერიასთან მდ. კლისურამდე (კელასურამდე) გასწია. მოგვიანებით სპარსელებმა ამ მონაკვეთზე საგანგებო თავდაცვითი კედელიც აღმართეს.

VI ს-ის 20-იან წლებში ეგრისში სამეფო ხელისუფლება აღდგა; მეფეს აფშილეთთან ერთად აფხაზეთიც ემორჩილებოდა. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი, კავკასიის საქმეებში კარგად გათვითცნობიერებული პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი“.

რა ტერიტორიაზე გავრცელდა ეგრისის მეფის იურისდიქცია? V ს-ის ბიზანტიელი ანონიმი აფხაზთა განსახლების ჩრდილო-დასავლეთ მიჯნად მდ. აბასკოსს მიიჩნევს; მის გადაღმა სანიგთა მიწაწყალი იწყებოდა. ჰიდრონიმი, მართლაც, აფხაზთა განსახლების მაჩვენებელია; მას ფსოუსთან ან მძიმთასთან აიგივებენ. ეს უკანასკნელი უფრო უნდა იყოს მდ. ბრუქონტი, რომელსაც, იმავე ავტორის განმარტებით, „ამჟამად მიზიგი ეწოდება“. პროკოპი კესარიელის მიხედვით კი, „აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა. ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებულნი“. ამ ორ ცნობას თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ შავიზღვისპირეთის ასპარეზიდან გაქრნენ სანიგები, რომელთა ტერიტორიები აფხაზებსა და ჯიქებს აქვთ განაწილებული. კერძოდ, კავკასიის მთისწინეთში, მდ. ბრუქონტის (მძიმთას?) ხეობის ზემო წელზე თუ ბრუქები ბინადრობდნენ, მაშინ მათი მეზობელი აბაზგების განსახლება ამავე მდინარის ქვემო წელზეა სავარაუდო. შეიძლება იმ თვალსაზრისის დაშვებაც, რომ სანიგების მთელი ტერიტორია აბაზგებმა დაიკავეს და ჯიქებს მდ. აქეუნტთან (დღევ. შახე) გაუმეზობლდნენ.

აფხაზეთ-აფშილეთის სანაპირო ზოლი, კერძოდ, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ციხეები მიმდებარე ტერიტორიითურთ უშუალოდ ბიზანტიელებს ემორჩილებოდა და პოლემონის პონტოს პროვინციას მიეკუთვნებოდა.

იუსტინიანე კეისარმა (527-565 წწ.) აფხაზეთში ბერძნული ეკლესიისა და სახელმწიფოს გავლენა გააძლიერა, მთელი ქვეყანა უხეში ძალით დაიმორჩილა (550 წ.) და იმპერიის განაპირა პროვინციად გადააქცია. ბიზანტიელთა ძალაუფლების სიმბოლოსა და მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა იმპერატორ იუსტინიანეს მიერ განახლებული და საგულდაგულოდ გამაგრებული სებასტოპოლისი, რომელიც „სილამაზითა და სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალაქად იქცა“. აფხაზეთის გამგებელი არქონტ-ერისთავები თავდაპირველად კონსტანტინოპოლიდან იგზავნებოდნენ, შემდეგ ადგილობრივ მთავართაგან ინიშნებოდნენ. აფხაზეთის ერისთავები ანაკოფიის ციხეში ისხდნენ.

VII ს-ის მიწურულს დასავლეთ საქართველო არაბებმა დაიპყრეს და ქართლის ერისმთავარს დაუმორჩილეს; კვლავ აღდგა ამერ-იმერის პოლიტიკური ერთობა. ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი „კურთხეული მამფალის“ და „ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლის“ ტიტულს ატარებდა. საზღვარი მოწინააღმდეგე იმპერიებს — ბიზანტიასა (აფხაზეთი) და არაბთა სახალიფოს (ეგრისს) — შორის მდ. კელასურზე გადიოდა. მემატიანის ცნობით, როდესაც VIII ს-ის 30-იან წლებში გამძვინვარებულმა მურვან-ყრუმ ეგრისის მოოხრებით გული იჯერა, „შემუსრა და შევლო ზღუდე იგი, საზღვარი კლისურისაჲ ... რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოჲსაჲ“. დროდადრო არაბებს აბაზგებიც ემორჩილებოდნენ.

VIII საუკუნის ბოლოს საქართველოს ისტორიაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — აფხაზთა მთავრების ჰეგემონობით მთელი დასავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ახალ პოლიტიკურ ერთობაში შედიოდა ჯიქეთის ნაწილიც ქალაქ ნიკოფსითურთ (დღევ. ნოვომიხაილოვკა). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აფხაზეთი და ჯიქეთი ერთ საერისთავოდ ერთიანდებოდა; აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულს (შესაბამისად, აფხაზთა სამეფოს) ჩრდილო-დასავლეთით „ხაზართა მდინარე" (მდ. ყუბანი) საზღვრავდა. ძველ ქართულ მატიანეებს თუ დავუჯერეთ, „მდინარე მცირისა ხაზარეთისაჲ, სადა წარსწუდების წუერი კავკასიისაჲ" ქართველთა ერთ-ერთი მითიური მამამთავრის, ეგროსის, წილხვედრი ქვეყნის საზღვარი ყოფილა.

X საუკუნისათვის პოლიტიკური ვითარება აშკარად განსხვავებულია. ბიზანტიის სწავლული იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (913-959 წწ.) ტრაქტატში „იმპერიის მმართვის შესახებ" აღნიშნავს, რომ „მდინარე ... უკრუხი (ყუბანი – ავტ.) ... ჰყოფს ჯიქეთსა და ტამატარხას (ტმუტარაკანი, სიმაგრე ტამანის ნ/კ-ზე – ავტ.). უკრუხიდან ნიკოფსის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა... ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფსიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ... უჭირავს აბაზგიის ქვეყანას".

სადემარკაციო ხაზი ნიკოფსის მდინარესა და ციხეზე/ქალაქზე ძველთაგანვე გადიოდა. აფხაზთა სამეფოს სახელმწიფო საზღვარიც, ალბათ, აქ დაიდო; თუმცა პოლიტიკური და საეკლესიო გავლენა სხვადასხვა დროს ტამანის ნახევარკუნძულამდე აღწევდა. არსებული პოლიტიკური გეოგრაფია მყარი აღმოჩნდა და XIV-XV სს-მდე აღარ შეცვლილა.

ჩრდილოეთის საზღვარი
დასავლეთი კავკასიონი

აფხაზეთიდან მოკიდებული საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს მიუყვებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელ გზა-ჯვარედინებს დასავლეთსა და ცენტრალურ კავკასიონზე ქართველი ხელისუფალნი აკონტროლებდნენ. „კავკასიაში (ჩრდილოეთ კავკასიაში – ავტ.) მოსახლე ბარბაროსთათვის (ალანთა და ჰუნთა მომთაბარე ურდოებისთვის – ავტ.) ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი" – წერდა პროკოპი კესარიელი. ამ მაგისტრალებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დარინისა და მისიმიანეთის გზებს.

ლაზთა მეფეს ემორჩილებოდნენ აფშილები და მისიმიანები. ამ უკანასკნელთ კოდორის ზემო წელი ეკავათ. კავკასიონის სამხრეთ კალთებთან აღმართული იყო რამდენიმე ციხესიმაგრე (სხიმარი, თუსუმესი, ბუკოლოსი,

„რკინის ციხე“ და სხვ.), რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიასთან (ალანებთან) დამაკავშირებელ გზებს აკონტროლებდა. ციხეების ხელში ჩაგდებით დაინტერესებული იყვნენ კავკასიაში გაბატონების მოსურნე იმპერიებიც (ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები) და მეზობელი ალანებიც. VII ს-ის შუახანებში ალანები დაეპატრონნენ კიდეც ციხე ბუკოლისს (ბოკერი) მდ. კოდორის სათავეებთან, ქლუხორის უღელტეხილისკენ მიმავალ გზაზე. ალანთა ხანმოკლე ბატონობამ კვალი დატოვა აქაურ ონომასტიკაში: გვარსახელებში (ალანია), სოფლების (სოფ. ალანდა საკენისა და კოდორის შესართავთან) თუ კუთხეების (ქართულ მატიანეებში კოდორის სათავეები მოიხსენიება „ალანად“ ან „ალანთა ქვეყნად“, „რომელ არს აფხაზეთი“) სახელწოდებებში.

მოგვიანებით, საუღელტეხილო გზებზე გაბატონებული აფხაზთა მეფეები ააქტიურებენ პოლიტიკას და ჩრდილოეთ კავკასიაში თავის კულტურულ გავლენასაც ავრცელებენ. დიდი წვლილი მიუძღვოდა მათ ალანთა გაქრისტიანებაში. „შენი ღვთისმოსავობის საბუთია შენი ღვთისნიერი სწრაფვა, რომელიც შენ გამოიჩინე და იჩენ, რომ ალანთა ტომი იხსნა და ჭეშმარიტება შეაცნობინო. ჩვენ შევიტყეთ ... რომ შენ ... განანათლე ალანიის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა“, — წერდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (ორჯერ იყო აღსაყდრებული 901-925 წწ.) აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს (922-957 წწ.).

ცენტრალური კავკასიონი: სვანეთი

ცენტრალურ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე სვანეთიც და რაჭა-ლეჩხუმიც (სკვიმნია) ლაზთა სამეფოს ეკუთვნოდა. დასავლეთ საქართველოში ბარის გავლენა მთიანეთზე გვიანანტიკური ხანიდან შეინიშნება. II ს-ის ავტორი კლავდიოს პტოლემაიოსი სვანთა ტომს თუ მის ნაწილს „სვანოკოლხებად“ მოიხსენიებს, ხოლო V ს-ის სომეხი ავტორი ფავსტოს ბუზანდი – „ეგერსვანებად“. სვანეთისა და ლეჩხუმის შემომტკიცება, ბიზანტიელ ავტორებთან დაცული ცნობების მიხედვით, IV საუკუნის ბოლოს მომხდარა. ორივე ამ კუთხეს საკუთარი მთავარი განაგებდა. ადგილობრივ ხელისუფალთა მორჩილება ცენტრზე ეკონომიკური თავისებურებებითაც იყო განპირობებული. ასე, მაგალითად, სვანეთიდან ლაზთა მეფეს გადასახადები ნატურით (ფუტკარი, ტყავი...) შესდიოდა, ხოლო სანაცვლოდ ლაზთა მეფე სვანებს პურით ამარაგებდა. დროდადრო სვანები განუდგებოდნენ კიდეც ცენტრალურ ხელისუფლებას და ზურგის გამაგრებას ქართლის მეფეთა ან სპარსეთის შაჰთა დახმარებით ცდილობდნენ; VI ს-ის შემდეგ ამგვარი მცდელობა აღარ ყოფილა.

ცენტრალური კავკასიონი: დვალეთი

ცენტრალური კავკასიონის მონაკვეთზე, მამისონის უღელტეხილიდან საზღვარი მთავარი წყალგამყოფი ქედის პარალელურ ჩრდილო უმაღლეს ქედზე გადადიოდა და ჩრდილო კავკასიის ნაწილი (დვალეთი, თრუსო, ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი) ქართულ სახელმწიფოში შემოდიოდა.

დვალეთის (ნარას ქვაბურის) დაკავშირება ქართლის სამეფოსთან, „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, თითქოს III-IV სს. მომხდარა. ერთხელ უკვე მოტანილი ცნობით, III ს-ის II ნახ.-ში „გარდამოვიდეს ოვსნი, დიდნი სპანი, გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ ცნა ამაზასპ მეფემან გარდამოსლვაჲ ოვსთაჲ ვიდრე გარდამოსლვამდე მთისა. და მოვიდეს რაჲ ოვსნი იგი, დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუენებად“. ციტირებულ ფრაგმენტში ნიშანდობლივადაა განსაზღვრული „ოვსთა“ ლაშქრობის მარშრუტიცა და პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონტურებიც: მოწინააღმდეგე ქართლის მეფის საბრძანებელში მანამდე აღმოჩნდა, სანამ „მთა“, ანუ ლიახვ-არდონის წყალგამყოფი ქედი, გადმოლახა და ლიახვის ხეობაში გამაგრდა. სხვა საკითხია, რამდენად მტკიცე იყო ეს ბატონობა დვალეთში. იმავე მემატიანის თხრობიდან ვიგებთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ „ოვსებმა“ „გარდამოვლეს გზაჲ თაკუერისაჲ და მოვიდეს ერისთავთა თანა მეგრელთასა“, ანუ დვალეთიდან რაჭაში შემომყვანი გზა მათ დაუბრკოლებლივ გაუვლიათ.

ლეონტი მროველის კონცეფციას ქართლისა და დვალეთის დამოკიდებულების შესახებ III-IV საუკუნეებში ეთანხმება კასტორიუსის რუკის მონაცემები. კერძოდ, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ რომაული გზამკვლევის შემდგენელმა თუ მისმა წყარომ კარგად უწყის დვალეთისა და სვანეთის მიმართულებით იბერიის პოლიტიკური თუ ეთნოკულტურული ექსპანსიის შესახებ.

ცნობათა ამგვარ გააზრებას მხარს უნდა უჭერდეს IV ს-ის ქართლის საქალაქო ცენტრებისთვის დამახასიათებელი ჭურჭლის აღმოჩენა დღევ. ოსეთში, ნარას ხეობაში, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე. კულტურული კავშირები დვალეთსა და საქართველოს სხვა მხარეებს შორის კიდევ უფრო მყარდება VI საუკუნის I ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ასურელ მამათა მოღვაწეობისას; ამ დროს, როგორც ერთი ძველი წყარო გვამცნობს, იოანე ზედაზნელის მოწაფეთაგან „რომელნიმე ... კახეთისა საზღვართა მიმართ მიიწივნეს, ხოლო სხუანი მთისა კერძოთა დუალეთისა მკჳდრთა“.

ქართლის (იბერიის) სამეფოს „შეტევა“ მთაზე ბრწყინვალედ დააგვირგვინა ვახტანგ გორგასალმა V ს-ის II ნახევარში. სპარსეთთან კავშირით მან დაიმორჩილა ოვსნი, გაამაგრა დარიალის კარი და ძალაუფლება განავრცო სვანეთზე; ამ კონტექსტში სრულიად ბუნებრივია ფეხის მტკიცედ მოკიდება დვალეთშიც, რომელიც, VI ს-ის 20-30-იან წლებში სპარსელებს ქართლის შემადგენლობაში დახვდათ.

X ს-ის გეოგრაფიულ ტრაქტატში „ჰოდუდ ალ-ალემი“ (დაიწერა დაახლ. 982 წ.) ხაზარების ქვეყნებს შორის დასახელებულია „თულასი“ და „ლუგარი“. აღმოსავლურ წყაროებში მათ ხშირად „თურქულ“ ტომებად მოიხსენიებდნენ, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულ ეთნონიმებს „დვალებად“ და „აფხაზებად“ აღადგენენ. არაბი ავტორი იბნ-რუსთა თულასისა და ლუგარის საცხოვრისს უჩვენებს მთებში, რომლებიც ხაზარებს ერტყა და თბილისის ქვეყნამდე ვრცელდებოდა. არც დვალეთი და, მით უფრო, არც აფხაზეთი ხაზარებს არასდროს ეპყრათ. იბნ-რუსთასა და ჰოდუდ-ალ-ალემის წყაროში ეწერებოდა „ჯურზანი“, ანუ ქართლი, რომელიც გრაფიკული აღრევის შედეგად, რაც არცთუ იშვიათია არაბულ მწერლობაში, „ხაზარად“ იქცა.

ცენტრალური კავკასიონი: ხევი

ელინისტური ხანიდან (ძვ.წ. II ს.) ცენტრალური კავკასიონის მონაკვეთზე მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთი კალთებიც (თერგის სათავეები) ქართლის სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა. უმთავრეს შემოსასვლელს არაგვის, იგივე დარიალის, კარი წარმოადგენდა (დარიალ-ლარსის მონაკვეთი). ასეთივე ვითარება იყო IV საუკუნეშიაც. ერთი ძველი ტრადიციის თანახმად, „ხევი ნინოს მოქცეულია“; მოხევეთადმი წმინდა ნინოს „მოცემული“ ჯვარი, „ცხოველ ვაზითა და თმანი“ საუკუნეთა მანძილზე გერგეტის სამების ტაძარში ინახებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ნომადთა ჩამოწოლა საზღვარსაც ცვლიდა. ჩვენამდე მოაღწია რომაელი ფილოსოფოსისა და რიტორის თემისტიოსის (317-388 წწ.) სრულიად უნიკალურმა ცნობამ იმის შესახებ, რომ „რომაელთა სარდლებმა გაიარეს კასპიის კარები, გააძევეს ალანები და საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალანებს“. ჩრდილოეთის სტეპების მომთაბარეთათვის – ალანების, ჰუნებისა და ხაზარებისთვის — განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა სამხრეთ კავკასიაში შემომყვანი ვიწრო დერეფანი, რომელიც 50 სტადიონზე იყო გადაჭიმული. ბიზანტიურსა და ქართულ წერილობით წყაროებში შემონახული აღწერილობანი გვარწმუნებს, რომ საუბარია 10 კმ-იან კლდოვან მონაკვეთზე, რომელიც ჩიმიდან ახლანდელ დარიალამდეა გადაჭიმული.

IV საუკუნის ბოლოს რომაელებმა კავკასია დატოვეს და ცენტრალური ზეკარების გამაგრებაზე, უმთავრესად, სპარსელებმა იწყეს ზრუნვა. ქართლის მეფეებმა კარგად გამოიყენეს ინტერესთა თანხვედრა. V ს-ის II ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ირანელთა, ვაინახთა და დაღესტნელთა მხარდაჭერით გაილაშქრა ჰუნ-ალან-ოვსთა წინააღმდეგ, საგანგებოდ გაამაგრა დარიალი („ოვსთა დიდი კარი“, რომელსაც მეზობელ სახელმწიფოებში „იუროპახის“ ანუ „იბერიის კარის“ სახელითაც იცნობდნენ) და ცენტრალური კავკასიონის სხვა ზეკარები: დვალეთის კარნი (არდონ-ფიაგდონის ვიწრობების ჩამხე-

რგავი კასრის კარი და ხევხილაკას კარი) და პარჭუანს დურძუკეთის კარი (ჰკეტავდა ფშავ-ხევსურეთიდან ჩეჩენ-ინგუშეთში მიმავალ გზას; მისი ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია). ეს კარები ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნიდა. ხევისა და დვალეთის სიმაგრეებზე გამოვლინდა „უჯარმული“ წყობით ნაგები კედლები, რაც აგრერიგადაა დამახასიათებელი V-VI სს. საქართველოს საფორტიფიკაციო არქიტექტურისათვის.

VI ს-ის 20-30-იან წლებში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, სპარსელები მეტი მონდომებით შეუდგნენ გადმოსასვლელთა გამაგრებას, „და იგი მთიულნი გომარდად (მცველებად – ავტ.) დაადგინნეს. და სხუაჲ ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთისა Წევსა (იგივე ხევი, დღევ. სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი) და მორჩილებაჲ დასდვეს მისი“. სპარსეთის შაჰებმა - კავად I-მა (488-531 წწ.) და ხოსრო I-მა (531-579 წწ.), როგორც აღმოსავლური წყაროები გვამცნობენ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონზე აღმართეს მძლავრი კედელი, რომელსაც ნომადებთან დაპირისპირებული სასანიანების იმპერიის უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ამ გრანდიოზული მშენებლობების არცთუ უმნიშვნელო სეგმენტს ქმნიდა.

დარიალის კონტროლით დაინტერესებულნი იყვნენ, ასევე, არაბები. მას, დარუბანდთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხაზარების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც იყო, რომ ხალიფა მანსურის დროს არაბთა სარდლებმა იქ უშუალო კონტროლი დაამყარეს: დაამარცხეს წანარები (მოხევეები, ან სულაც კახელები), დარიალში ჩააყენეს არაბული გარნიზონი, რომელიც ცენტრალური კავკასიონის გადმოსასვლელებს იცავდა ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხმოკიდებული მომთაბარეებისგან. გარნიზონი თბილისიდან მარაგდებოდა. X საუკუნის არაბ გეოგრაფოს და ისტორიკოს ალ-მასუდისთან შემონახული დარიალის ციხის აღწერა, რომელსაც მომდევნო ხანის ავტორებიც იმეორებენ, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის აღსადგენად: „ალანთა სამეფოსა და კაბკის მთას (კავკასიონს) შორის არის ციხე და ხიდი, რომელიც დიდ მდინარეზეა გადებული. ამ ციხეს ჰქვია „ალანთა ციხე“. ძველ დროს ის ააგო ერთმა სპარსელმა მეფემ... მან გუშაგნიც ჩააყენა ციხეში, რათა ხელი შეეშალათ ალანებისათვის კაბკის მთამდე მისვლაში. მათ კი მხოლოდ ერთი გზა აქვთ — ციხის ქვეშ არსებულ ხიდზე გავლით... ციხეში ერთი კაციც რომ იყოს, მას შეუძლია შეაფერხოს ურწმუნო მეფეთა ჯარები, რადგან ციხე თითქოს ჰაერში ჰკიდია და ბატონობს გზაზე, ხიდსა და მდინარეზე“.

სომეხთა კათოლიკოსი იოანე დრასხანაკერტეცი (898-928 წწ.) აღნიშნავს, რომ ალანთა კარი „გუგარქთა ქვეყანაში“, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოში, იდო და მას წანართა (კახთა) დიდი ქორეპისკოპოსი ფლობდა.

აღმოსავლეთ კავკასიონი: ფხოვი, თუშეთი და სამხრეთ დაღესტანი

ანტიკურ ხანაში, როგორც ვნახეთ, საზღვრის ეს მონაკვეთი მთავარ წყალგამყოფს მიუყვებოდა და ზოგი ისტორიული თემი ქართული სახელმწიფოებრიობის მიღმა რჩებოდა. კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე განფენილ თემთა შემოერთების პროცესი ინტენსიურად IV-VI სს-დან წარიმართა. დიდ როლს კულტურული (ქრისტიანობა) და ეკონომიკური კავშირურთიერთობები თამაშობდა.

IV ს-ის 20-იან წლებში, როდესაც წმ. ნინო და მირიან მეფის ერისთავი ქართლის მოსახლეობის გასაქრისტიანებლად გაემართნენ, მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მთის მოსახლეობამ. ფხოველებმა (ფშავ-ხევსურებმა) აყრა-გადასახლებაც კი არჩიეს: „ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანაჲ მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს. არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღებაჲ.“ ამ ცნობის საფუძველზე პირიქითა ხევსურეთს და თუშეთს გამორიცხავენ IV ს-ის ქართლის სამეფოს საზღვრებიდან. VI საუკუნეში აღმოსავლეთ კავკასიონის მთიელები საქართველოში მოღვაწე ასურელმა მამებმა მოაქციეს ქრისტიანებად (მათი საქმიანობა, როგორც ვარაუდობენ, დაღესტანსაც სწვდებოდა). მთისა და ბარის სარწმუნოებრივ დაკავშირებას წინ პოლიტიკური გაერთიანება უსწრებდა. ქართულმა საისტორიო ტრადიციამ ეს ტეხილი ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა.

კახეთში არჩილის (739-762 წწ.) მოღვაწეობის აღწერისას მემატიანე შენიშნავს: „მოვიდა არჩილ კახეთად და ... დაჯდა წუქეთს... პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა (ე.ი. გორგასალს – ავტ.) წუქეთი.“ VIII ს-ში წუქეთი რომ მართლაც ქართლის საერისმთავროს საზღვრებში ექცეოდა, ამას თანამედროვე სომეხი ისტორიკოსებიც მოწმობენ. არჩილის დროს ეს თემი ექვემდებარებოდა ვინმე აბუხუასროს, „რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა...“. თუშეთი პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის ხეობებში მდებარეობდა; დასახელებული სამხრეთდაღესტნური ქვეყნებიდან წუქეთი, იგივე წახური, მდ. სამურის სათავეებს მოიცავდა, ხოლო ხუნძეთი — ავარიის ყოისუს ხეობას; VIII საუკუნიდან ხუნძები იმდენად ძლიერდებიან, რომ თითქმის მთელ სამხრეთ დაღესტანს აერთიანებენ; ამიტომ ქართული წყაროდან მოტანილ ამონარიდში ხუნძეთის მხოლოდ სამხრეთი ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს.

კიდევ ერთ დაღესტნურ თემს, დიდოს, ანდის ყოისუს ხეობა ეკავა. VI ს-ის სირიელი მწერლის, ზაქარიას ცნობით „Dadu-ს (ე.ი. დიდოს) სამეფოს მცხოვრებნი ... მთებში არიან დაბინავებულნი და ციხეები აქვთ“. ციტირებულ ფრაგმენტში დიდო მთიანი დაღესტნის სინონიმად გვევლინება. არა-

ბი ისტორიკოსი ალ-ბალაზური (820-892 წწ.) VI ს-ის ამბების გადმოცემისას დუდანიების (დიდოელების) კარს არანში ასახელებს (სატომო სახელი, ალ-ბათ, აქაც ფართო მნიშვნელობით იგულისხმება). იმავე ისტორიკოსის თხრობიდან ისიც აშაკარად ჩანს, რომ VII საუკუნის შუახანებისთვის დიდოეთი (ვიწრო მნიშვნელობით) ქართული სახელმწიფოს ნაწილადაა ქცეული — ის დასახელებულია ქართლის საერისმთავროს იმ ქვეყნებს შორის, რომლებზეც არაბული „დაცვის სიგელის" (654/655 წწ.) პირობები გავრცელდა.

ამრიგად, ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთი ქვეყნების შემომტკიცება ვახტანგ გორგასალმა დაიწყო (პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი, წუქეთი), ხოლო მემკვიდრეებმა დაასრულეს (დიდოეთი, ხუნძეთი). ეს მთიანეთი კახეთ-ჰერეთის ბარს გაუერთიანდა.

კავკასიონის მთიანეთი საქართველოს ზურგი იყო. მთიელები, ბარელებთან ერთად, მედგრად იცავდნენ ჩვენს მიწაწყალს, უპირველესად კი – ჩრდილოეთის მისადგომებს. ერთი ხალხური თუშური ლექსი ამბობს კიდეც: „უწინ ჩვენ მამა-პაპანი სისხლით რწყავდეს მთის კალთებსა, მტერსა მტრულად უხვდებოდეს, ხმლით იცავდენ ჩვენს საზღვრებსა". ასეთივე გუშაგები იყვნენ სვანნი, დვალნი, მოხევენი, ფშავ-ხევსურნი, დიდონი, ხუნძნი, წუქელნი.

აღმოსავლეთის საზღვარი. ჰერეთი

ქართლის სამეფოს (შემდეგ, საერისმთავროს) საზღვრების გაფართოებას კავკასიონის მთიანეთში წინ უსწრებდა და აპირობებდა კიდეც აქტიური აღმოსავლური პოლიტიკა: ჰერეთის თანდათანობითი შემოერთება, მისი ნაყოფიერი მიწებისა და ზამთრის საძოვრების მიზანმიმართული ათვისება, აქ გამავალ მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალებსა თუ ლოკალურ „ცხვრის გზებზე" გაბატონება.

IV ს-ის დასაწყისისთვის სუჯეთიც (ივრის შუა წელი) და ბოდბეც (კამბეჩანის ნაწილი) მირიან მეფის საბრძანებელში შედიოდა; ორივე მხარე წმ. ნინომ განანათლა. ჰერეთი (გვიანდელი გაღმამხარი) კი ქართლის სამეფოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა. IV-V სს. ვითარების ამსახველი „აშხარაცუიცი" ეხნის, გევგავისა და ბეხის კანტონებს, ანუ ჰერეთის მნიშვნელოვან ნაწილს (გვიანდელი ზაქათალის ოლქს), ალბანეთის საზღვრებში ათავსებს. მასვე ეკუთვნოდა, ალბათ, ლაგოდეხიც, რომელიც ერთი გვიანდელი დოკუმენტის (1031-1033 წწ. შედგენილი ე.წ. „მელქისედეკის დაწერილი"), თანახმად ჰერეთის თემს წარმოადგენდა. „სომხური გეოგრაფიიდან" ისიც ირკვევა, რომ კამბეჩანის აღმოსავლეთი ნაწილი, „მტკვრამდე გადაჭიმული უდაბნოები" (შირაკის, ელდარისა და ჯეირანჩელის სტეპები), ასევე, ალბანეთის კანტონებს ქმნიდა. გამოდის, რომ ალბანელთა პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად ქართლის სამეფომ დაკარგა იმ მიწების ნაწილი, რომლებიც მას ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეკუთვნოდა.

V ს-ის შუახანებისთვის კი სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს. „და ვითარცა მოიწია იგი (სპარსეთიდან მომავალი ვარსქენ პიტიახში – ავტ.) საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა...“ — „შუშანიკის მარტვილობიდან“ დამოწმებული პასაჟი ეჭვს არ ბაედებს, რომ ჰერეთი ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა. ჰერეთში არა მხოლოდ ალაზნის გაღმამხარი, არამედ მტკვარსა და ალაზანს შორის მოქცეული ტერიტორიაც (აღმოსავლეთი კამბეჩანი) იგულისხმება, რადგან სპარსეთიდან მომავალი ვარსქენი ქართლს მტკვრიდან მოადგებოდა. V-VI სს. მიჯნაზე ქართლის სამეფოს ამ უკიდურეს აღმოსავლეთ თემში რამდენიმე საეპისკოპოსო არსებობდა: ბოდბის, ჭერმის, ხორნაბუჯის, გიშის. გიში დღევ. კიშისწყალზე მდებარეობდა და ჰერეთის უკიდურესი განაპირა კუთხე იყო, შაქის მოსაზღვრე.

ჰერეთის საზღვარი ალაზნის გაღმამხარში თუ შედარებითი სტაბილურობით ხასიათდებოდა, კამბეჩანში ქართულ-ალბანურ ინეტერესთა დაპირისპირების კვანძი იხლართებოდა; დროდადრო სადავო მხარეში სპარსელებიც ჩნდებოდნენ. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ წერილობით წყაროთა მონაცემებს თუ შევაჯამებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: V ს-ის 80-იანი წლებისთვის კამბეჩანზე ალბანეთის მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა, იმავე საუკუნის მიწურულისთვის — ქართლის მბრძანებლის; VI საუკუნეში, ასურელ მამათა მოღვაწეობის წყალობით, იქ ქართული ქრისტიანული კულტურის მძლავრი კერა დაარსდა; ქართლის პირველი ერისმთავრის, გუარამის (572-590 წწ.) ბრძანებით, ვინმე „ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი (რომელსაც დროებით ხელთ ეგდო კამბეჩანი – ავტ.) და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს“; VII ს-ის შუახანებისთვის კამბეჩანი ალბანთა მეფის ხელდებული ქვეყანა ხდება.

VIII საუკუნეში პოლიტიკური გეოგრაფია კვლავ შეიცვალა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არჩილის ხელისუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ ჰერეთზე (გაღმამხარზე), არამედ - კამბეჩანსა და შაქზე. მისი გარდაცვალების შემდეგ ჰერეთი ქართლის საერისმთავროს გამოეყო. წარმოიქმნა ჰერეთის, ანუ შაქის, სამთავრო; მისი აღმოსავლეთი მიჯნა შაქსა და კაბალას შორის იდო, კავკასიონიდან გამომავალი იმ ქედის გაყოლებით, რომელსაც დღესაც გურჯი-დაღი, ანუ ქართველთა მთა, ეწოდება; ჰერეთის (შაქის) სამხრეთი საზღვარი კი მტკვარს მისდევდა და დროდადრო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე პროვინციებსაც მოიცავდა. ასეთი იყო ქართული სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრები დიდ თურქობამდე (XI ს-ის ბოლო).

სამხრეთის საზღვრები

ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ქვემო ქართლი, იგივე გოგარენე // გუგარქი იბერია-არმენიის ცილობის საგანს წამოადგენდა და

ძვ. წ. II საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე ხელიდან ხელში გადადიოდა. 299 წლის ნისიბინის ზავით კავკასია რომის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული; რომის იმპერატორებმა - დიოკლეტიანემ (284-305 წწ.) და კონსტანტინე დიდმა (306-337 წწ.) - ქართლისა და სომხეთის გამიჯვნის საკითხსაც მიაპყრეს ყურადღება. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, კონსტანტინე კეისარმა ქართლისა და სომხეთის მეფეებს, მირიანსა და არშაკს საზღვრად მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედი დაუდო, ანუ მთელი ქვემო ქართლი III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისში კვლავ ქართულ სახელმწიფოს შეერწყა. V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაციც აღნიშნავს, რომ მეფე მირიანი ქვემო ქართლის მბრძანებელი იყო და გუგარქის პიტიახშის ტიტულსაც ატარებდა. მირიანის მემკვიდრეების მეფობაშიც „სამშჳლდითგან მიმართ ქვეყანაჲ თავამდე აბოცისა“ ქართლის სამეფოს საზღვრებში რჩებოდა.

ზოგიერთ სომხურ წყაროში სომხეთის გაქრისტიანების თხრობისას აბოცის მთავარი და გუგარქის პიტიახში სომხეთის მეფის დიდებულთა შორის იხსენიებიან. წყაროთა ჩვენებები შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: 1) გუგარქი ქართლს IV ს-ის 20-30-იან წლებში დაუბრუნდა, 2) ანდა კიდევ, სარგებლობდნენ რა თავიანთი სასაზღვრო მდებარეობით, ქვემო ქართლის პიტიახშები დროდადრო ლოიალობის (ვასალობის) ვექტორს იცვლიდნენ ქართლსა და სომხეთს შორის. ერთ ასეთ შემთხვევაზე V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი მოგვითხრობს: IV ს-ის 50-60-იან წლებში სომხეთის მეფე არშაკს განუდგნენ მისი დიდებულები, მათ შორის გუგარქის ბდეშხი, ძორის გავარის უფალი და კოლბის გავარის უფალი და ქართლის მეფეს ეყმნენ. მოგვიანებით, 70-იანი წლების დასაწყისში სომეხთა მხედართმთავარმა მუშელ მამიკონიანმა დაიმორჩილა გამდგარი დიდებულები, სიკვდილით დასაჯა გუგარქის ბდეშხი და საზღვარი ქართლთან მდ. მტკვარზე დადო.

თხრობა, უდავოდ, გაზვიადებულია; როგორც IV ს-ის რომაელი ისტორიკოსი, ამიანე მარცელინე ამტკიცებს, ქართლის სამეფო მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაც. მისი ცნობით, 371 წელს რომმა და სპარსეთმა ქართლში თავიანთი კანდიდატურები გაამეფეს, ხოლო „საზღვრად შუაში მდინარე კიროსი (მტკვარი — ავტ.)“ დაიდო. რომაელთა მოკავშირეს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე მხარე ერგო, ხოლო სპარსელებისას — ალბანიისა და სპარსელების. რომაულ ნაწილში გამეფებული მეფე, როგორც ჩანს, პრორომაულად განწყობილი სომხეთის მეფის გავლენასაც განიცდიდა; ამიტომ სომხურმა საზოგადოებამ ის სომხურ პოლიტიკურ სივრცეში შემომავალ ხელისუფლად ჩათვალა.

უცნობი სომეხი გეოგრაფიც აღნიშნავს: გუგარქის ყველა თემი „ახლა“ ქართლს ეკუთვნისო. ცვლილებები შეინიშნება ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაშიც: სომეხი ავტორები გუგარქის აღსანიშნავად სულ უფრო და უფრო ხშირად „ქართლის (ან „ქართველთა“) საპიტიახშოს“ იყენებენ (პიტიახშთა სახლის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ არშუშა და მისი შვი-

ლი ვარსქენი). ქვემო ქართლის პროვინციებიდან მხოლოდ აბოცი რჩებოდა სომხეთში. ეს ქვეყანა, როგორც ვთქვით, ახურიანის სათავეებში, არაქსის ხეობაში მდებარეობდა და ამიტომ მისი შემომტკიცება გაჭიანურდა.

საზღვრები მომდევნო ხანაშიც იცვლებოდა: V საუკუნის პირველ მესამედში ტაშირს (მდ. დებედას ზემო წელი) ქართველთა მთავარი, არშუშა ფლობდა, იმავე საუკუნის შუახანებისთვის – სომეხთა დიდებული ვრენი. 80-იანი წლებისთვის ქართლისა და სომხეთის საზღვარი, ტრადიციულად, კანგარქის მთებზე (მტკვარ-არაქსის წყალგაყოფზე) გადიოდა და, შესაბამისად, ტაშირიც ქართლის სამეფოში შედიოდა.

VII საუკუნის შუახანებში, არაბთა შემოსვლის დროისთვის, ქასალი (გვიანდელი ყაზახი, აღსტაფის ხეობა), ხუნანი და მანგლისისხევი (ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ქვემო ქართლის დანარჩენ ნაწილებს მოიცავდა) კვლავ ქართლის ფარგლებშია.

IX ს-ის I ნახევარში ქვემო ქართლის მიწები განაწილდა სამ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს — თბილისის საამიროს, ქართველთა საკურაპალატოსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს — შორის. მალე ქვემო ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლაში სომეხი მეფეები და ალბანელი მთავრებიც ჩაერთნენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გვარამ მამფალმა, ტაო-კლარჯელ ბაგრატიონთა თვალსაჩინო წარმომადგენელმა (გარდ. 882 წ.), რომელსაც „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი“, „აბოცი განუყო ცოლის ძმასა თჳსსა, სომეხთა მეფესა“ (იგულისხმება აშოტ I, პირველი ბაგრატუნიანი მეფე სომხეთში). გვარამის გარდაცვალების შემდეგ სომხებმა ტაშირიც დაიპყრეს.

სომეხი ბაგრატუნები ამ ტერიტორიების დაპყრობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ჯერ სომეხთა და ქართველთა (resp. ქვემო ქართლის // გუგარქის) ერისთავთ-ერისთავებად (862-885 წწ.), შემდეგ კი სომხეთა და ქართველთა მეფეებადაც (885 წლიდან) იწოდებოდნენ. სომეხ მეფეთა ამ ხმაურიან ტიტულში სამომავლო დაპყრობითი გეგმებიც გამოიკვეთა.

აშოტ I-ის მემკვიდრეებიც ენერგიულად იბრძოდნენ ქვემო ქართლის დასამორჩილებლად. თავისი ძალაუფლება მათ მდ. ხრამის ხეობამდე განავრცეს. ალგეთის ხეობა ბირთვისის, ფარცხისისა და ორბეთის ციხეებითურთ თბილისის სააამიროში რჩებოდა XI საუკუნემდე. ბაგრატუნთა სამფლობელოების ცენტრად ქვემო ქართლში სამშვილდის ციხე იქცა.

სომეხ მეფეთა პოლიტიკას აადვილებდა სომხური მოსახლეობის არსებობა ამ ქართულ მხარეში (სომეხთა პოლიტიკურ ექსპანსიას მათი თანდათანობითი ინფილტრაციაც მოსდევდა). ამიტომ ისინი თავგამოდებით ცდილობდნენ ქვემო ქართლის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ კულტურულ შემომტკიცებასაც, რისი თვალსაჩინო მაგალითია სანაინისა და ახპატის მონასტრების დაარსება (X ს-ის II ნახ.) დებედას შუა წელზე.

სომხების ექსპანსია ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლო-

გიაშიც აისახა. ამიერიდან ამ მხარეს ქართველები, სომეხთა პოლიტიკური ბატონობის აღსანიშნავად, „სომხითსაც“ უწოდებენ.

ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში, გარდაბანში, გაბატონებისთვის ერთმანეთს კახთა მეფეები, ალბანელი მთავრები და სომეხი მეფეები ეცილებოდნენ. ამ კუთხის ქართული სამყაროსგან გაუცხოებაში მნიშვნელოვანი იყო ჰუნ-სევორდიელების შემოსევა-ჩამოსახლება VIII ს-ში. ეს მომთაბარე ურდოები შამქორსა და გარდაბანში დასახლდნენ და სომხური სარწმუნოება მიიღეს. ალ-მასუდი მათ სომხების ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნევს, ახასიათებს როგორც მამაც და ძლიერ ტომს, აგრეთვე, როგორც საბრძოლო ცულის შესანიშნავ ოსტატებს. სევორდიელების ცენტრი მდ. ტავუშზე (თაუზზე) ყოფილა. მათი ქვეყნის, „სევორდიქის“ სახელწოდება უფრო დასავლეთითაც ვრცელდებოდა, ფარავდა ძოროფორს და ზოგჯერ, დებედას ხეობასაც. სევორდიქი უტის, ალბანეთის ერთ-ერთი პროვინციის (ესაზღვრებოდა საქართველოს), სინონიმადაც იხმარებოდა. ამრიგად, გარდაბანსა თუ მის ცალკეულ ხევებზე ალბანური ოლქის, უტის სახელწოდებაც ვრცელდებოდა, რაც საკმარისი საფუძველი იყო მისი „ალბანეთად“, უკეთ, ალბანეთის კუთვნილ ნაწილად გასააზრებლადაც. ცხადია, მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური გეოგრაფიაც, ანუ ალბანური მოსახლეობის არსებობა. ყოველივე ეს კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ალბანელთა ექსპანსიისათვის (დაიწყო IX ს-დან). 853 წელს, ბუღა თურქის ლაშქრობის დროისთვის, გარდაბნის აღმოსავლეთი ნაწილი, ტავუშის ხეობა, ალბანთა სამთავროს ნაწილი ყოფილა. ალბანელი მთავრები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და დასავლეთით საზღვრების გაფართოებას აგრძელებდნენ. მოგვიანებით, გარდაბნისთვის ბრძოლაში სომხეთის მეფეებიც ჩაებნენ. დროდადრო პოზიციებს კახთა ქორეპისკოპოსებიც იმაგრებდნენ; სომხურენოვანი ალბანელი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცი სევორდიელ მთავრებს, გიორგის და არავესს (გარდ. 899 წ.) ქართველ მხედართმთავრებად მიჩნევდა.

გარდაბნისთვის ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება სომეხ ბაგრატუნებს დარჩათ.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები

მესხეთი

IV ს-ის დასაწყისში, როგორც უცხოური წყაროები მოწმობენ, ქართლის სამეფო გადაჭიმული ყოფილა კლარჯეთიდან ალანთა კარამდე (დარიალამდე). ქართული წყაროები კიდევ უფრო აკონკრეტებენ ამ ცნობებს. კერძოდ,ირკვევა, რომ იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ბიზანტიიდან

წარმოგზავნილი მღვდლები მცხეთაში ერუშეთ-წუნდა-მანგლისის გზით ჩამოსულან; აქვე აუგიათ პირველი ეკლესიებიც. მაშასადამე, არტანი (ერუშეთი) და ჯავახეთი (წუნდა) მტკვრის ზემო წელზე ქართლის საზღვრებში შედიოდა. მირიანის შვილიშვილმა, მეფე მირდატმა, ინტენსიური საეკლესიო აღმშენებლობა დაიწყო ერუშეთსა და წუნდაში, აგრეთვე „თუხარისისა ციხესა შინა“ და „ჴევსა კლარჯეთისასა“. მანვე ჯავახეთის ბრძოლაში დააამარცხა ქვეყანაში შემოჭრილი სომხები.

„აშხარაცუიცის“ მიხედვით კლარჯეთი, შავშეთი, არტაანი და ზემო ჯავახეთი — მესხეთის ამ თემებს ანონიმი სომეხი გეოგრაფი გუგარქის საპიტიახშოს ნაწილებად თვლის — ქართველებს სომხებისგან ჰქონდათ წაღებული. გარკვეულ დროს სომხები, შესაძლებელია, მართლაც დაეპატრონნენ ამ ვრცელ მიწაწყალს, მაგრამ მალევე დაკარგეს ის. სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაშიც IV ს-ის 70-იან წლებში შექმნილი მოკლევადიანი ორმეფობის გამოძახილთან გვქონდეს საქმე.

IV ს-ის დასარულს კლარჯეთს ბიზანტიელები ეუფლებიან. „და ამისა შემდგომად, — წერს ქართველი მემატიანე — განუდგეს კლარჯნი ვარაზბაქარს და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანთამდე“. დაკარგული ტერიტორიები ვახტანგ გორგასალმა დაიბრუნა. მისი ბიოგრაფი გვაუწყებს, რომ ბიზანტიის კეისარმა კლარჯეთთან ერთად „უკუმოსცა ... ჴევნი, რომელნი მოსდგამენ ღადოთა“ (ანუ სამცხე და, შესაძლებელია, აჭარაც – ავტ.). შემოერთებულ მხარეში ვახტანგ მეფემ ააგო ციხესიმაგრეები (არტანუჯი, ახიზა), დააარსა საეპისკოპოსო კათედრები (ახიზა კლარჯეთში, ერუშეთი არტაანში; მოგვიანებით, მათ შეემატა კუმურდოსა და წყაროსთავის საეპისკოპოსოები ჯავახეთში)... ფიქრობენ, რომ ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო კოლაც, რომელიც დიდი სომხეთის ტაოს პროვინციაში შედიოდა.

ვითარება იცვლება VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში, როდესაც ბიზანტიის კეისრები მავრიკე (582-602 წ.) და ჰერაკლე (610-641 წ.) სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობენ და უშუალოდ იერთებენ ყოფილი პერსარმენიის დასავლეთ ქვეყნებს, მათ შორის, ტაოს. ქართველი ხელისუფალნი ეცადნენ, ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და თავისი ძალაუფლება ტაოზეც — ამ ძველ ქართულ მხარეზე — გაევრცელებინათ, მაგრამ ბიზანტიის ინტერესებში ამგვარი გეგმები არ შედიოდა. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების შედეგად ქართლის ერისმთავრებმა დაკარგეს „ბოლოჲ კლარჯეთისაჲ ზღუსპირი“ (ნიგალის და მურღულის თემები ჭოროხის ქვემო დინებაზე) და თუხარისის ციხის ქვეყანა, რომელიც ტაოს შეუერთდა.

ამგვარი საზღვრები დახვდათ არაბებსაც ქართლში პირველი გამოჩენისას (654-655 წწ.). ალ-ბალაზური არაბი სარდლის, ჰაბიბ იბნ მასლამას, მიერ ქართლში დამორჩილებულ ქვეყნებს შორის ასახელებს კლარჯეთს, შავშეთს, არტაანს, სამცხეს, ჯავახეთს.

არაბთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებებსა და დამსჯელ ექსპედიციებს შეეწირა მამიკონიანთა საგვარეულო; მათი სამფლობელოების, მათ შორის, ტაოს დაუფლებას სომეხ ბაგრატუნთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ცდილობდნენ. ზოგი მათგანი მიზნის მისაღწევად არაბებთან ჰკრავდა კავშირს, ზოგიც – ქართველებთან. არაბთაგან დევნილი ადარნასე ბაგრატიონი კლარჯეთში დამკვიდრდა, არჩილს ეყმო და მისგან არტაანიც მიიღო. VIII ს-ის ბოლოსთვის ადარნასე და მისი მემკვიდრეები ფლობდნენ კლარჯეთს, შავშეთს, აჭარას, ნიგალს, ასისფორს, არტაანს და ქვემო ტაოს. გამოდის, რომ ამ დროისთვის ქვემო ტაო და ზემო ტაოს ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, პარხლის ხეობა (ასისფორი) დედასამშობლოს დაჰბრუნებია. ქართული სახელმწიფოს საზღვრებშია ბიზანტიელთაგან მიტაცებული ნიგალისხევიც. VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ღევონდ ვარდაპეტი თვლის, რომ ამ დროს კოლას გავარიც (ხევიც) ქართლის პროვინციად ითვლებოდა.

IX ს-ის დასაწყსში ადარნასე ბაგრატიონის შთამომავალმა, აშოტ I კურაპალატმა (809-826 წწ.) ქართველთა საკურაპალატო შექმნა. ეს პოლიტიკური ერთეული, რომელიც იმავე საუკუნის ბოლოდან ქართველთა სამეფოდ იწოდებოდა, მოიცავდა მთელ მესხეთს სპერის გამოკლებით. ქართველი ბაგრატიონები პალაკაციოს ქვეყანასაც (ჩილდირის ტბის მიდამოები) ფლობდნენ. როდის მოხდა მისი შემოერთება, ზუსტად ცნობილი არაა. სომეხ ისტორიკოსთან, ფსევდოშაპუჰ ბაგრატუნისთან, ერთი ასეთი ცნობაა შემონახული: X ს-ის დასაწყისში „სუბატ (სომეხთა – ავტ.) მეფემ განიზრახა დაეპყრო აფხაზთა გავარები, რომლებიც მდებარეობდა შირაკის გავართან ახლოს, სახელდობრ: კანგარქი, გოგშენი, ძაილცეღი, კოლი და არტაჰანქი“ და აფხაზთა მეფესთან ომი წამოიწყო. სომეხი მემატიანე აბსოლუტურად მართალია, როდესაც დასახელებულ ქვეყნებს ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ათავსებს; თუმც კი კოლა-არტაანი, გოგაშენი (ჯავახეთი) და ძაილცეღი სინამდვილეში არა აფხაზთა მეფეების, არამედ ტაო-კლარჯელი ბაგრატიონების საბრძანებელს წარმოადგენდა (კანგარქი ამ დროისთვის სომხებს ჰქონდათ დაპყრობილი). ვინაიდან დასახელებული თემები, მართლაც, შირაკის მახლობლად მდებარეობს, ამიტომ „ძაილცეღში“ შეიძლება დავინახოთ შერყვნილი „ძაღლისხევი“, პალაკაციოს ერთ-ერთი კანტონის სახელი.

უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთით, ევფრატის სათავეებში, ბაგრატიონებს ეკუთვნოდა პატარა თემი, რომელსაც გვიანდელ წყაროებში გურჯი-ბოღაზი -ქართველთა ყელი - ეწოდებოდა. მისი ცენტრი ქაჯის ციხე ყოფილა. ქაჯის ციხისა და არტანუჯის აღებას ამაოდ ცდილობდნენ ბიზანტიელები; მათ ყოველ გამოხტომას ბაგრატიონები ერთსულოვანი პროტესტით პასუხობდნენ და ისინიც იძულებულნი იყვნენ, ანგარიში გაეწიათ თავიანთი ქრისტიანი მოკავშირეებისათვის.

ტაო-კლარჯელმა ბაგრატიონებმა, ასევე, მშვენივრად ისარგებლეს სამხრეთ კავკასიაში ბიზანტიელებისა და არაბების დაპირისპირებით და დაიკავეს ბასიანი არაქსის მარცხენა სანაპიროზე, აგრეთვე აბნიკისა და მასტატის

ციხეები არქსის მარჯვენა სანაპიროზე და ერზრუმი. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ბიზანტიისა და ქართველთა სამეფოს საზღვარი მდ. არაქსზე დაიდო; ბასიანი ქართულ სახელმწიფოს შეუერთდა და აღსდგა ძველისძველი საზღვარი, რომელიც ფარნავაზიანებს ეპყრათ.

X საუკუნის ბოლოს ტაოელმა ბაგრატიონებმა ბიზანტიის იმპერატორისთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მიიღეს „ზემო ქვეყნები" – სომხური მიწები ევფრატის სათავეებიდან ვანის ტბამდე. მალე დავით III კურაპალატმა (გარდ. 1001 წ.) ბასილი კეისრის (976-1025 წწ.) საწინააღმდეგო აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა. იმპერატორმა მოწინააღმდეგეებს სძლია და უმემკვიდრეო დავით III აიძულა, სამფლობელოები (მათ შორის, იმიერ ტაო და ბასიანი) მისთვის ეანდერძებინა. ამ გარიგებამ გააძლიერა ბიზანტიელთა აგრესია საქართველოში და მნიშვნელოვნად შეაფერხა ქართული მიწაწყლის გაერთიანების პროცესი.

შავი ზღვისპირეთი

შავ ზღვაზე საზღვარს ბიზანტიასთან ურთიერთობები განსაზღვრავდა. IV ს-ის დასაწყისში ეგრისისა და ბიზანტიის საზღვარი მდ. ჭოროხზე, აფსაროსის ციხესთან იდო. მაგრამ უკვე ამავე საუკუნის მეორე ნახევარსა თუ V საუკუნის პირველ ნახევარში აღზევებულმა ეგრისის მეფეებმა არად ჩააგდეს ბიზანტიელთა ინტერესები და საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით საკმაოდ შორს გადასწიეს. „სომხურ გეოგრაფიას" თუ დავუჯერებთ, ამ დროს ეგრისის სამეფოში შედიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ქალაქებით ათინა, რიზე და ტრაპიზონი. უცნობია მხოლოდ, ეგრისელებს ჭანეთის მარტო ზღვისპირეთი ეპყრათ თუ მისი შიდა მხარეც.

შესაძლოა, ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ბიზანტია-ეგრისის სამხედრო კონფლიქტი (465 წ.). იმპერატორ ლეონისა და კონსტანტინოპოლში ჩასული მეფე გუბაზის მორიგება, თურმე, დანიელ მესვეტეს უკისრია. წმინდანის ცხოვრების მიხედვით, მას მოდავე მხარეებს შორის საზღვრები მოუწესრიგებია. თხზულების ქართული თარგმანიდან კი ვიგებთ, რომ საზღვარი ხუფათის ციხეზე (დღევ. ხოფა თურქეთში) დადებულა.

ბიზანტიელები იმის ცდაში იყვნენ, რომ ეგრისელებისთვის როგორმე ფეხი ამოეკვეთათ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიდან და საზღვარი კვლავ აფსაროსზე დაედოთ. VI საუკუნეში, თითქოს, ასეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა (მიჯნამ აფსაროსზე გადმოინაცვლა), მაგრამ კულტურული კავშირები ეგრისელებსა და ჭანებს შორის არ გაწყვეტილა და ისინი ერთ ეკლესიურ ორგანიზმს შეადგენდნენ. მომდევნო საუკუნეებში კი, როდესაც ბიზანტიელებმა ჭანეთში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ეს მხარე ეკლესიურადაც ჩამოაცილეს ეგრისს.

თავის მხრივ, ქართველი მოღვაწენი საზღვრად ხუფათის შენარჩუნებას ცდილობდნენ და არჩილმაც ის საგანგებოდ გაამაგრა. VIII ს-ის 70-იანი წლებისათვის გაძლიერებულმა აფხაზთა სამთავრომ კიდევ ერთხელ გააფართოვა თავისი საზღვრები და როგორც იოანე საბანისძე წერს, ტრაპიზონიც კი შეიერთა. ჭანეთის დიდი ხნით შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის დასაწყისში ბორჩხაში ბიზანტიელთა გარნიზონი იდგა, ხოლო იმპერიის საზღვარი მდ. კოლორისთან (დღევ. ყოროლისთავი ბათუმთან) გადიოდა.

აფხაზთა, შემდეგ კი აფხაზთა და ქართველთა სამეფოს გაძლიერებასთან ერთად ქართული სახელმწიფოს მესვეურებმა საზღვარი კლავ ხუფათთან აღადგინეს. ჭანეთის შემოერთება კი მხოლოდ XIV ს-ის ბოლოს მოხერხდა.

ნიკოფსით დარუბანდამდის

ქრისტეს შობიდან I ათასწლეულის დასასრულს ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება: ტერმინი „ქართველი“ სცილდება ვიწრო ტომობრივ ჩარჩოებს („ქართველი“ – ქართლის მკვიდრი) და ზოგადეროვნულ მნიშვნელობას იძენს. ამიერიდან „ნათესავით ქართველია“ ჩვენი ისტორიული მიწაწყლის ნებისმიერი კუთხის ბინადარი: კახი, ჰერი, დვალი, აფხაზი, სვანი, მეგრელი, ტაოელი... „ქართველი“ მხოლოდ ეთნიკურ წარმომავლობას როდი გულისხმობს; ის შეიძლება იყოს ამა თუ იმ ერის შვილი, ვინც ქართული ეკლესიის წიაღშია შემოსული, ქართულ კულტურულ და სახელმწიფო ასპარეზზე მოღვაწეობს.

„ქართველთა“ კულტურულ-პოლიტიკურ ერთობას ახალი ქვეყანა აქვს – „საქართველო“. საქართველოა ქართლი, ეგრის-აფხაზეთი, კახეთ-ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, კავკასიის მთიანეთი, შირვანისა და სომხეთის მოსაზღვრე მხარეები – ანუ ის სივრცე, სადაც ქართველთა პოლიტიკური უფლებები ხორციელდება, სადაც ქართველნი ერთი კულტურული და სოციალური ცხოვრებით ცხოვრობენ.

ტერმინი „საქართველო“ IX-X საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოქმნილი პოლიტიკური ერთობა საქართველო ბაგრატიონთა უზენაესი ხელისუფლების ქვეშ ქართული მიწების უდიდეს ნაწილს აერთიანებდა. თანამედროვეთ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს გამთლიანებით მყარ საფუძველს იძენდა კავკასიური სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივაც. სუმბატ დავითის ძე, XI საუკუნის თვალსაჩინო იდეოლოგი და ბაგრატიონთა გვარის მეისტორიე, მეტად ნიშანდობლივად ახასიათებს ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) მოღვაწეობას: „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთაჲ თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროჲს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“.

ამ იდეას ხორცი დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) შეასხა. დავითის მიერ შექმნილმა კავკასიურმა სახელმწიფომ სამასი წელი იარსება. ქართული თუ კავკასიური მიწების გაერთიანება არ ყოფილა მხოლოდ აღმავალი პროცესი. ქვეყნების შეკრება და დაკარგვა, ერთიანობის რღვევა და აღდგენა, დაპირისპირება და თანამშრომლობა მახლობელი აღმოსავლეთის იმპერიებთან – ეს პროცესები თან სდევდა ერთიანი ქართული მონარქიის აღმშენებლობას. ამიტომაც იტყოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები: საქართველო „ჩემითა და თქუენითა“, ანუ ყოველი ქართველის „ღვაწლითა“ „მოგებული“ მამული და სამეფო იყო.

ჩრდილო-დასვლეთი საზღვრები

საქართველოს, როგორც აფხაზთა სამეფოს მემკვიდრის, ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარს ნიკოფსი წარმოადგენდა. ეს სანაპირო კუთხე თანამედროვეთა მიერ ხან ჯიქეთად, ხან კი აფხაზეთად მოიხსენიებოდა. „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტჯ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“, – ასე მიმართავდა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს 1057 წელს.

დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული ერთიანი ქართული მონარქიის განფენილობის აღსანიშნავად მკვიდრდება ისტორიულ-გეოგრაფიული ფორმულა „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურამდე“ ან „ნიკოფსით დარუბანდამდის“.

ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე საქართველოს სამეფოს გავლენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტამანის ნახევარკუნძულამდეც აღწევდა. ოფიციალურ მიმოწერაში მახლობელი აღმოსავლეთის სულთნები ერთიანი საქართველოს მეფეებს ასე მიმართავდნენ: „აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა-მეფე“, „აბხაზის მეფეთა-მეფე, რუმისა და რუსის მარზბანი“, ან კიდევ „გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა-მეფე“. ბაგრატიონთა ტიტულატურაში დამოწმებული „რუსი“//„ხაზარი“ აღნიშნავდა ტმუტარაკანის რუსულ სამთავროს, რომელიც „ალანთან“ (ჩრდილოკავკასიელ ოსებთან) ერთად ქართველ გვირგვინოსნებს ყმობდა. ამ კონტექსტშია განსახილველი ერთი გვიანდელი გადმოცემა, რომელიც ფარსადან გორგიჯანიძემ (1626-1696 წწ.) შემოგვინახა, თითქოს XIII ს-ის შუახანებში სამეფოს საზღვრები კაფამდე ვრცელდებოდა.

პირველად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს XI ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიელებმა შეუტიეს. მათ ისარგებლეს ბაგრატიონთა სახლში არსებული შიდადინასტიური დაპირისპირებით, მიიმხრეს ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ნახევარძმა დემეტრე, დედამისი ალდე და დაიკავეს ანაკოფია, „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“. ოკუპირებული ტერიტორიები ბიზანტიურ ადმინისტრაციასა და ეკლესიას დაექვემდებარა. ბერძნების ცდა, აფხაზეთი მთლიანად მოეწყვიტათ საქართველოსგან, მარცხით დამთავრდა. მათი ბატონობა ლოკალური იყო და, როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობს, აფხაზეთის უდიდეს ნაწილზე საქართველოს მეფის (და ეკლესიის) იურისდიქცია ვრცელდებოდა. XI ს-ის II ნახევარში გიორგი II-მ (1072-1089 წწ.) დაიბრუნა ანაკოფიის ციხე.

მონღოლთა ბატონობამ კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური რუკა შეცვალა — ერთიანი მონარქიის სამ ნაწილად დაშლას (ლიხთამერისა და ლიხთიმერის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ) ტერიტორიების დაკარგვაც მოჰყვა. XIV საუკუნის დასაწყისის იტალიურ პორტოლანებზე (მაგ. პიეტრო ვესკონტეს 1318 წლის საზღვაო რუკაზე) cacara-ს (გაგრის) ჩრდილო-

დასავლეთით დატანილია Auogaxia (აფხაზეთი), მას მისდევს Guba (ვარიაციული ფორმები: chuba, cavo de chubba) — დღევ. ჟოობის კონცხი ვარდანეს დაბლობთან, შემდეგ ნაჩვენებია alba zeqa (თეთრი ანუ თავისუფალი ჯიქები), p. d' zurzuchi (ზურზუხის ნავსადგური, დღევ. ტუაფსე), maura zeqa (შავი, ანუ არათავისუფალი ჯიქები) და ა.შ. შავი ჯიქები ოქროს ურდოს ემორჩილებოდნენ, შესაბამისად, ამ მონღოლური იმპერიის საზღვარიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტუაფსეს მახლობლად გადიოდა. გვიანდელ პორტოლანებზე შავი ჯიქები სამხრეთ-აღმოსავლეთით flume londia–მდე (მდ. ვულანი // ციუეპსინი) არიან განსახლებულნი. ნიშანდობლივია, რომ იტალიელმა კარტოგრაფებმა ზურზუხის ნავსადგურსა და აფხაზეთს შორის თავისუფალი ჯიქები გამოყვეს. ისინი თუ მართლაც დამოუკიდებელნი იყვნენ, მაშინ საქართველოს სამეფოს დაუკარგავს მნიშვნელოვანი ტერიტორია მდ. ნეგეფსუხოდან მდ. შახემდე.

გიორგი V-მ (1314/1318-1346 წწ.) დაიმორჩილა დასავლეთ საქართველოს გამდგარი მთავრები და აღადგინა სახელმწიფო საზღვარი ნიკოფსიზე. ბრწყინვალე მეფის ძალისხმევას ხანმოკლე შედეგი ჰქონდა. საქართველოს ხელისუფალნი თანდათან კარგავდნენ ძალაუფლებას ადიღეველ ტომთა (ჯიქთა) მსხვილ გაერთიანებებზე. ხობის მონასტრის წარწერაში ვამეყ დადიანი (1384-1396 წწ.) აღნიშნავს, რომ „მიუჴდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათჳს... და სძლო და შეურახც და უჴმარ ქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა. მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბივნა". ციტირებული ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ჯიქები გამოსულან ოდიშის მთავრის მორჩილებიდან. კიდევ უფრო საინტერესო კი ის ფაქტია, რომ ჯიქთა სამოქმედო არეალი გაგრამდე აღწევდა.

ამ ცნობას ეხმაურება ადიღეველთა გადმოცემები. XV ს-ის I მესამედში ადიღეველთა ერთ-ერთმა მთავარმა, ინალმა, ქედი მოახრევინა მეზობლებს, დასაჯა აბაზების აჯანყებული თავკაცები, მოაოხრა აბაძეხების მიწა-წყალი და ზავი შეკრა დამორჩილებულ აფხაზ ტომებთან მდ. ძიბზე, ანუ ბზიფზე. კონტექსტის მიხედვით, ბზიფი სასაზღვრო მდინარეა. ინალის საფლავი ბზიფზე კი ამ საზღვარს გარკვეულ საკრალულობას სძენდა.

ჩრდილოეთის საზღვრები

ჩრდილოეთის საზღვარიც იმ ხაზს მიუყვებოდა, რომელივ VIII-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა. მემკვიდრეობითობა კავკასიონის აღმოსავლურ და ევროპულ სახელწოდებებშიც აისახა: „ქართველთა მთა" („ჰოდუდ ალ-ალემი", 982 წ.), „გურჯისტანის/საქართველოს მთები" (ჰამდალლაჰ ყაზვინი, 1340 წ.), „გეორგიანული მთები" (რუბრუკვისი, 1253 წ.). ევროპულ რუკებზე ქართვე-

ლები კავკასიონის უმთავრეს გარდმოსასვლელთა მცველებადაც იყვნენ გამოსახულნი.

XI-XIV სს. კულტურულ-პოლიტიკური კავშირები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან გააქტიურდა. განსაკუთრებული ყურადღება კვლავ კავკასიონის ზეკარებს მიექცა. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათანი, და შექმნა გზაჲ მშჳდობისაჲ...“. დავითისა და მისი მემკვიდრეების მოღვაწეობის შედეგად საზღვარმა თერგის ხეობაში ჯარიახ-ჩიმის მიდამოებში გადაიწია; ამიერ და იმიერ კავკასიის დამაკავშირებელი ყველაზე ვიწრო და სტრატეგიული მონაკვეთი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოში შემოვიდა. დარიალში განახლდა ძველი და აიგო ახალი სიმაგრეები: გველეთი, დავითის ციხე (დღევ. თამარის ანუ დარიალის ციხე), დარიალი (დღევ. ლარსი), მეფეთა ნასასახლევი (ჯარიახი). „მეფეთა ციხეები“ ოსების მიწაწყალზეც აღიმართა. შეიქმნა ერთიანი საფორტიფიკაციო კომპლექსი, რომელშიც ცენტრალური ადგილი დავითის ციხეს ეკავა. ეს უკანასკნელი თუ საქართველოში შემომყვან გზას კეტავდა, ნასასახლევი მეფეთა ოსებზე პოლიტიკური და კულტურული ბატონობის გასავრცელებლად გამოიყენებოდა: „ოდეს გაილაშქრიან (მეფენი – ავტ.) ოვსეთად, მუნ დადგიან“, – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი. დარიალის ციხესიმაგრეთა სისტემა იმდენად კარგად გააზრებული და შთამბეჭდავი იყო, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ ციხეთა ნანგრევებსაც კი აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი.

ცენტრალური ხელისუფლება არც დვალეთის კარებს ივიწყებდა. არდონის ხეობაში, დროთა განმავლობაში, კასრისკარის კედლებს შორის სივრცე ფლეთილი ქვითა და თიხით ამოივსო და შეიქმნა თავდაცვითი მონოლითი, რომლის სისქემ 12 მეტრამდე მიაღწია. ასეთი სიმძლავრის კედელი კავკასიაში, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, სხვაგან არც გვხვდება. ეს ფაქტი კი თავისთავად მეტყველებს, რომ ის აღმართული იყო ორი, სრულიად განსხვავებული სოციალური და კულტურული ტრადიციების მატარებელი, საზოგადოების საზღვარზე. XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის დასაწყისში დვალეთს, ისევე როგორც ლიახვის ხეობის სათავეებს, თავხელიძე-მაჩაბელთა თავადური გვარი ფლობდა. 1432 წ. მოლარეთუხუცესმა ხელამ თირის მონასტერს შესწირა „მაღნარს დვალეთს სოფელი კოშკა, რომლისაცა ბეგარა უნდა აიღებოდეს მონასტრისათვის; ჟღელე მათით ბეგარით, რაც დვალეთს ბეგარა სდებია, ჟღელეცა იმავე წესითა...“.

სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოფეცი (1376/79-1446 წწ.) წერს, რომ „ქართველთა მხარე“ (ე.ი. საქართველო) შედგებოდა რვა „ენისგან“ (ტომისგან): „დრალი (დვალი), ოსედი (ოსეთი), იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სონი (სვანი), ქართველი (აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი), მესხი“. უცხოელ ავტორს ქედს გადაღმა მდებარე დვალეთიც და ყმადნაფიცი ოსეთიც საქართველოს ნაწილად წარმოედგინა.

ჩრდილოეთი საზღვარი, მართალია, სტაბილურობით გამოირჩეოდა, მაგრამ დროდადრო მთიელები (ფხოვნი, დიდონი) ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოსვლას. სამეფო კარი სასწრაფო ღონისძიებებს მიმართავდა და განკერძოების ყოველგვარ მცდელობას ძირშივე სპობდა. ერთი ასეთი ჯანყის შესახებ ცნობა თამარის უცნობმა ისტორიკოსმა შემოგვინახა: „მათ უკუე ჟამთა იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა... მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჴევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა. მისცნა ივანეს ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ჴადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო — დიდოეთი და ფხოეთი. ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერცა...“

აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის, კერძოდ კი, სამხრეთდაღესტნური თემების ინტეგრაციის ხარისხს ქართულ სახელმწიფოში სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, განსაზღვრავდა. იოჰან გიულდენშტედტი (XVIII ს-ის II ნახევრის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური) ანწუხის (ხუნძეთის სამხრეთი ნაწილი ავარიის ყოისუს სათავეებში) შესახებ წერს: „ეს ლეკური მხარეც ძველად ეკუთვნოდა კახეთს და ახლაც ქართლის მეფესთან კეთილ დამოკიდებულებაში იყო. ისინი ზამთარში ცხვარს აძოვებენ კახეთის მიწებზე და ვაჭრობენ თელავში და თბილისში“.

არანაკლებ როლს კულტურული კავშირურთიერთობები თამაშობდა. სამხრეთ დაღესტანში ქართულ ეკლესიას დაქვემდებარებული ღუნძთა (ხუნძეთის) საკათალიკოსო მოქმედებდა, ხოლო ანწუხში საეპისკოპოსო არსებობდა. ქართული ქრისტიანობა ქართული ღვთისმსახურების, ქართული ენისა და დამწერლობის, ქართული კულტურის გავრცელებას ნიშნავდა. არაბ ავტორთა ცნობები, ქართულ-ღუნძური ბილინგვური ძეგლები, ბახტიშორ სარირის (დაღესტნის) მეფის ქართულწარწერიანი ოქრომჭედლობის ნიმუშები და სხვ. ამ ურთიერთობათა თვალნათელი მოწმობაა.

ეკონომიკა და კულტურა ყოველთვის არ იყო საკმარისი პირობა არაქართული ეთნიკური ჯგუფების შემოსამტკიცებლად, მით უფრო, არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებისას. მონღოლთა ბატონობის ხანაში ოქროს ურდოსა და საილხანოს სამხედრო დაპირისპირებამ, ერთი მხრივ, მოაოხრა და დაასუსტა საქართველოს სამეფო და, მეორე მხრივ, დააჩქარა დაღესტნურ ტომთა კონსოლიდაცია და ისლამის გავრცელება. დაღესტნური ქრონიკების თანახმად, აღზევებულმა შამხალებმა დაღესტნის მრავალი თემი დაიპყრეს, მათ შორის, ხუნზახი, ჭურმუთი და წახური. მატიანეთა თხრობის ქრონოლოგია აღრეულია – მასში XIII-XV სს. ამბებია გადახლართული. ამიტომ ჭირს იმის დადგენა, როდის დაიქვემდებარეს მაჰ-

მადიანმა დაღესტნელმა ბელადებმა საქართველოს სამეფოში შემავალი მხარეები. იმავე ქრონიკებში შამხალთა მოწინააღმდეგედ დასახელებულია ვინმე ქავთარ-შაჰი, რომელიც, რეალურად შეიძლება ყოფილიყო ჰერეთის ან შაქის მონაპირე ერისთავი: ის სამეფოს მიწებსა და ყმადნაფიც ქვეყნებს იცავდა.

XV საუკუნის ბოლოს საქართველო დაიშალა და კახთა მეფეებმა ქვეყნის მოწყობაზე იწყეს ზრუნვა; მათ წუქეთსა და დიდოეთში მოურავები დანიშნეს. წყაროებში აღარაა ხუნძეთის სამოურავოს ხსენება. გამოდის, რომ ამ დროისთვის ანწუხი საქართველოს სამეფოს უკვე დაკარგული ჰქონდა.

აღმოსავლეთი საზღვარი

XI საუკუნეში ქართულ სახელმწიფოთა აღმოსავლეთი საზღვარი კვლავინდებურად შაქსა და კაბალას შორის გადიოდა. საზღვარი არ ყოფილა სტატიკური; შარვან-შაჰთა ქრონიკებმა შემოგვინახა ცნობები იმ ბრძოლების შესახებ, რომლებიც კახეთის სამეფოსა (ზურგს უმაგრებდა აფხაზთა და ქართველთა სამეფო) და შარვანს (ეხმარებოდა რანის საამირო) შორის სასაზღვრო ციხესიმაგრეებისთვის იყო გაჩაღებული.

XI ს-ის მეორე ნახევარში თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო თურქ-სელჩუკებმა წალეკეს. დავით აღმაშენებელმა სამეფო ველური ურდოებისგან განმინდა, საბრძოლო მოქმედებები ჩრდილოეთ სომხეთსა და შარვანში გადაიტანა და ორივე მხარე თავის სამფლობელოებს შემოუერთა. საქართველოს სამეფოს საზღვრები აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა.

დემეტრეს მეფობაში (1125-1156 წწ.) შარვანში აღდგა ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც „დარუბანდით ხირხალამდის“ ვრცელდებოდა. ხირხალი, იგივე, ხალხალი (ვართაშენთან), დღესაც შემორჩენილია დასავლეთ აზერბაიჯანის ტოპონიმიასა და ჰიდრონიმიაში. გამოდის, რომ სახელმწიფო საზღვარს ვართაშენისკენ გადაუნაცვლებია. თამარისა (1184-1207/1210 წწ.) და მისი მემკვიდრეების — ლაშა გიორგის (1207/1210-1223 წწ.), რუსუდანის (1223-1245 წწ.), დავით ულუს (1247-1270 წწ.) — დროს მონარქიის აღმოსავლეთი მიჯნებად ქართულ მატიანეებში დასახელებულია გულისტანი (შამახასთან მდებარეობს), შამახიის მთები, ბაგავანი, ჩაღან-უსუნი (იგივე თეთრი წყალი; „ვითარ მოიწია სთუელი, წარვიდა ყაენი ქუეყანად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩაღან-უსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“, – გვამცნობს XIV ს-ის უცნობი ისტორიკოსი). ყველა ეს გეოგრაფიული სახელი ერთსა და იმავე სასაზღვრო ხაზზე მიუთითებს – იმ მთათა ჯაჭვზე, რომელიც დაახლოებით, დღევ. ბაბადაღიდან კავკასიონის მთავარ ქედს გამოეყოფა, შამახას რაიონს დასავლეთით ჩაუვლის და მტ-

კვარს მიადგება. ამრიგად, დღევ. შირვანის დაბლობი, იგივე კაბალა და მისი ქვეყანა XII საუკუნის მიწურულიდან საქართველოს სამეფოს ნაწილად იქცა.

ასეთი ვითარება გრძელდებოდა XIV ს-ის დასაწყისამდე. მონღოლთა ილხანური სახელმწიფოს პირველი ვაზირის, რაშიდ ად-დინის, ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1304-1316 წწ. შორისაა შედგენილი, აზერბაიჯანში იხსენიება ყარაბაღის, მუღანის, არანისა და შაქის ვილაიეთები. ამავე წერილში ცალკე ვილაიეთებადაა დასახელებული აბნიკი და საქართველო. მაშასადამე, საქართველოს სამეფოს შაქიც დაუკარგავს და მის აღმოსავლეთით მდებარე კაბალაც; იმავე საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ სპარსულ გეოგრაფიულ ტრაქტატში კაბალა შარვანის პროვინციადაა დასახელებული, ხოლო კაბალის მთის დასავლეთით მდებარე მიწები, ანუ შაქი, საქართველოს საზღვრებშია ნაჩვენები. XIV საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისთვის შაქიც შარვანის საზღვრებში აღმოჩნდა.

სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო

სამხრეთის საზღვარი რანთან (შემდეგ განძის საამიროსთან) მტკვარს მიუყვებოდა.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მდ. ბერდუჯიდან (ძეგამიდან) იწყებოდა ქვემო ქართლი, რომლის დიდი ნაწილი, როგორც ზემოთ ვთქვით, სომხებს ჰქონდათ დაპყრობილი. X ს-ის ბოლოს აქ შეიქმნა კვირიკიანთა სამეფო — ანისელ სომეხ ბაგრატუნთა ვასალური სამეფო. ამ პოლიტიკურ ერთეულს ლორე-ტაშირის ან ტაშირ-ძორაგეტის სამეფოც ეწოდება ხოლმე. ის შემდეგ თემებს მოიცავდა: სომხითი ანუ ქართველთა ველი, ტაშირი, ძორაგეტი და სევორდის მხარე ციხე-სიმაგრეებითურთ: კაიანი, კაიწონი, ხორ-ხორუნიქი, ხოშორნი, ხორაკერტი, ბაზკერტი. მისი ცენტრები იყო სამშვილდე და ლორე.

XIV საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „981 წ. ამ დროს დაიწყო ბაგრატუნიანთა მეფობა ქართველებზე. რამეთუ გურგენი (იგივე კვირიკე, სუმბატ სომეხთა მეფის უმცროსი ძმა – ავტ.) გამეფდა საქართველოში“. მაშასადამე, სომეხი ისტორიკოსის თვალსაზრისით, ლორე-ტაშირი ქართული ქვეყანა იყო, მიუხედავად იმისა, რომ იქ სომხური დინასტია გამეფდა. სომეხ მემატიანეთა ამ თვალსაზრისს მშვენივრად ამყარებს ქვემო ქართლის არქიტექტურული ძეგლები და ეპიგრაფიკა. საეკლესიო ხუროთმოძღვრება იმის მანიშნებელია, რომ სომხური საერო და სასულიერო მმართველი წრეები ცდილობდნენ ლორეს სამეფოს ჩრდილოეთ ნაწილის არმენიზაციას (კულტურულს, ეთნიკურს), მაგრამ იმავე დროს ანგარიშს უწევდნენ მეტად მძლავრ ადგილობრივ (ქართულ) ტრადიციებს.

ბოლნისისა და დმანისის წარწერები კი უეჭველად იმაზე მეტყველებს, რომ მაშავრისა და ფოლადაურის ხეობების მოსახლეობა ქართული იყო, ისევე, როგორც ქართული რჩებოდა ადგილობრივი ხელისუფლება და ფეოდალური მიწისმფლობელობის წესი. ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს სამხრეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში (ტაშირი, კანგარქი, ძორისა და კოლბის ხეობები) სომხური ეთნოკულტურული ელემენტი შედარებით ძლიერად იყო წარმოდგენილი. ეპიგრაფიკა და არქიტექტურა ამისი უცილობელი მოწმობაა. ამავე დროს ქართული ეპიგრაფიკის გავრცელება, წმინდა ქართული სამოხელეო ინსტიტუტებისა (*მამფალი*) და დიოფიზიტობის მძლავრი ნაკადის დადასტურება (ჰიუნევანის, იგივე ძელი ჭეშმარიტის საეპისკოპოსოს დაარსება ლორეს მახლობლად XI ს-ის დასაწყისში) ლორეს სამეფოს ამ ნაწილში სომხურის გვერდით ძლიერი ქართული თემების არსებობაზე მეტყველებს.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო - ეს იყო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სომხური სამეფოს დამკვიდრების უშედეგო ცდა, რადგან ქვეყანა კვლავ ქართული რჩებოდა.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო არ ყოფილა მონოლითური. აქ ერთმანეთს ეცილებოდნენ ქართველი და სომეხი (ანელი) ბაგრატიონები, განჯის შადადიანები, ბიზანტიელები და, მოგვიანებით, სელჩუკები. XI ს-ის შუახანებისთვის ბაგრატ IV-მ ადგილობრივი ქართული საზოგადოების დახმარებით დაიბრუნა სამშვილდე და კვირიკიანები თავის ვასალად აქცია. „ეგრეთვე ჰმონებდეს სომეხნი“, – წერს უცნობი ქართველი მემატიანე.

საქართველოს სამეფოს სამხრეთის მიმართულებით გაფართოება სელჩუკთა შემოსევებმა შეაფერხა. მაგრამ დავით აღმაშენებელმა და დემეტრემ მთელი ქვემო ქართლი გაწმინდეს სელჩუკებისგან და მტკვრის მარჯვენა სანაპირო ჯავახეთის მთებიდან მდინარე ბერდუჯამდე დედასამშობლოს დაუბრუნეს.

სომხური და ალბანური მიწები ქართულ სახელმწიფოში

წარმატებეულმა ბრძოლამ ბიზანტიელთა და სელჩუკთა აგრესიის წინააღმდეგ XI საუკუნეში უცილობლად ცხადყო საქართველოს სამეფოს პირველობა კავკასიაში. სამხედრო ძლიერება, შემწყნარებლური დამოკიდებულება უცხო ერებისა და კულტურებისადმი, მმართველი სახლის დინასტიური მოყვრობა მეზობლებთან — ყოველივე ეს საქართველოს ნანატრ მფარველად და მოკავშირედ სახავდა.

კავკასიის პოლიტიკური გამთლიანების პროცესი სომხური მიწების შემოერთებით დაიწყო. ჯერ კიდევ 1045 წელს „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა...“, მარიამ დედოფალს, არწრუნთა სახლის წარმომადგენელს. ამჯერად წარმატება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა; რამდენიმე თვეში ანისი

ბიზანტიელთა ლუკმად იქცა. შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დავით IV-მ გადადგა. 1124 წელს ანელ „მეწიგნეთა თავადთა“ თხოვნით მან „გაათავი-სუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი“ (მათეოს ურჰაიეცი, XII ს-ის I ნახევრის სომეხი მწერალი) და საქართველოს სამეფოს შეუერთა. ისლამური სამყაროს ერთსულოვანმა გამოსვლამ მისი მეკვიდრე, დემეტრე I, აიძულა, ანისის ვასალობით დაკმაყოფილებულიყო. ანისისა და დვინისთვის ბრძოლას ცვალებადი წარმატებებით გიორგი III (1156-1184 წწ.) განაგრძობდა. კავკასიის საქრისტიანოს შემომტკიცება საბოლოოდ XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასწყისში, თამარისა და ლაშა-გიორგის დროს მოხდა. მტკვარსა და არაქსს შორის მდებარე თითქმის ყველა სომხურ-ალბანური ტერიტორია — ანისი-შირაკი, არარატი, გელაქუნი, შამქორი, გარდმანი, ხაჩენი, სივნიეთი, კარი კაღზევანითურთ და სხვ. (არანისა და ნახჭევნის გარდა) — ქართული მონარქიის საზღვრებში აღმოჩნდა.

ამრიგად, XII-XIII სს. მიჯნაზე საქართველოს სამხრეთ საზღვრად მდ. არაქსი (სათავეებიდან მტკვართან შეერთებამდე) დაიდო. სწორედ ამ დროს შემუშავდა მეზობელ ისლამურ სამყაროში ის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფორმულა, რომელიც XVII ს-ის I ნახევარშიც ცოცხლობდა მახლობელი აღმოსავლეთის იმპერიებში: „მდინარე არეზისა (არაქსის) და ზანგის (რაზდანის) ჩრდილოეთით, — აღნიშნავდა თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები, — „ორმოცი დღის სავალი კავკასიის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე (კასპიის ზღვამდე) დაღისტნად და საქართველოდ ითვლება“; და ეს იმ დროს, როდესაც სამხრეთის ტერიტორიები საქართველოს რამდენიმე საუკუნის წინ ჰქონდა დაკარგული.

თანადროული სომხური წყაროები შემოერთებული ტერიტორიების სტატუსს ასე განსაზღვრავდნენ: „ქართველთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი მთელი სომხური საქრისტიანო“, „ქვეყანა, რომელიც მახვილითა და ხელით არის აღებული და საქართველის სამეფოს საკუთარ სამემკვიდრეოდ იწოდება“. სომხურ-ალბანურ მიწებზე ქართული წეს-წყობილება გავრცელდა, გაჩნდა ქართული მონასტრები (ჩანგლი, ჭალა და სხვ.) და საეპისკოპოსოები (ანისი, კარი, ვალაშკერტი).

მაჰმადიან ქვეშევრდომთა ინტერესების „დაცვას“ ხანდახან მეზობელი იმპერიები ცდილობდნენ. XIII ს-ის 20-იან წლებში ხვარაზმელებმა საქართველოს ჩამოაჭრეს სასაზღვრო პროვინციები: კაბალა, შაქი, შამქორი; მაგრამ უკვე 30-იან წლებში, დამპყრობთა გაქცევისთანავე, ქართველებმა არამხოლოდ დაკარგული ქვეყნები დაიბრუნეს, არამედ შემოიერთეს არაქსის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მხარეებიც: აბნიკი (სამხრეთ ბასიანი), ბაგრევანდი (ვალაშკერტი), სურბმარი.

საქართველოში გაბატონებულმა მონღოლებმა საზღვრები უცვლელად დატოვეს. XIII ს-ის მიწურულს ყაენებმა ისლამი მიიღეს. აჯანყებათა ალში გახვეულ ქრისტიანულ საქართველოსთან შედარებით მათ უპირატესობა

უფრო მორჩილ მაჰმადიანურ სამფლობელოებს (შირვანი, რანი, ხლათი, არზრუმი) მიანიჭეს. მონღოლები წინ აღუდგნენ ქრისტიანული საქართველოს საზღვრების გაფართოებას ისლამური ვილაიეთების ხარჯზე; დაიწყო მონაპირე ქვეყნების გეგმაზომიერი ჩამოჭრა. ასე თანდათან დაიკარგა XIII ს-ის მიწურულიდან XIV ს-ის 30-იან წლებამდე აბნიკი, ვალაშკერტი, ყაღზევანი, სურბმარი (არაქსის მარჯვენა სანაპიროზე), დვინი და შარური (არაქსის მარცხენა სანაპიროზე), შამქორი და გარდმანი (მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე). მონღოლთა სამსახურში მდგარი სპარსი დიდმოხელე ჰამდალლაჰ ყაზვინი (XIV ს.) შენიშნავს, რომ საქართველოს „მაგარი ციხე“ ხუნანი „არანის“ საზღვრად მდგარა „ერთ მაღალ ბორცვზე“. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ 1) წაღებული ქვეყნები ყოფილ მაჰმადიან მფლობელებს დაუბრუნდათ (ამ შემთხვევაში, შამქორი – განძის საამიროს); 2) საქართველოს ისტორიული მიწაწყალი ხელუხლებელი რჩებოდა და საზღვრები ტრადიციულ ოროგრაფიულ ხაზზე გადიოდა (ამ შემთხვევაში — ხუნანზე, უკეთ, მდ. ბერდუჯზე).

XIV საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან კავკასიაში გაძლიერდა მონღოლ—თურქმანულ ტომთა თარეში, მათი ჩამოსახლება და ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლება თუ ასიმილაცია-გამაჰმადიანება. ისლამური სამყაროს გააქტიურებასთან ერთად შეიკვეცა საქართველოს სამხრეთის საზღვრებიც: 40-იან წლებში დაიკარგა აირარატი და სივნიეთი (30-იან წლებში ორივე ქვეყანა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია; 1336 წელს ყირიმში ჩასული სომეხი ტერტერა ამაყად აღნიშნავს: „მოვედი საქართველოდან ... შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან“; 1337 წ. სივნიეთში გადაწერილი ერთი სახარების ანდერძ-მინაწერში ამ კუთხის მთავარი „სომეხთა და ქართველთა დიდ მხედართმთავრად“ იწოდება), 60-იანი წლების შემდეგ — კარი (ჯერ კიდევ 1363 წ. ჩანგლში ქართული მონასტერი მოქმედებდა), XIV-XV სს. მიჯნაზე, თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად — ანისი, ამბერდი და ბიჯნისი.

მომთაბარეთა პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს სამეფოს მესვეურთ საზღვართა განმტკიცებასა და ძალთა კონსოლიდაციაზე უნდა ეზრუნათ. ამ მიზნით XV ს-ის 30-იან წლებში ალექსანდრე I დიდმა (1412-1442 წწ.) „შემოიკრიბნა ... სპანი და მოვიდა ამბერდს, განაგნა მუნებურნი და დაიმორჩილნა თჳსად“. ამის შემდეგ დღის წესრიგში სივნიეთის შემოერთების საკითხიც დადგა. სივნიეთის მეპატრონეები, ორბელიანები, რომლებიც აქამდე უფლისცხეს იყვნენ შეფარებულნი, ლორეში დაასახლეს. მათ თავიანთი როლი კარგად შეასრულეს და ქართველი მთავრის, ბეშქენ ორბელიანის ხელთ აღმოჩნდა „სიუნიქის (სივნიეთის – ავტ.) მთელი მხარე, მის გარეშემო მდებარე ყველა გავარი (ოლქი – ავტ.) და ქრისტიანთა სამოც ათასზე მეტი კომლი“ (თოვმა მეწოფეცი). სავარაუდოდ, საქართველოს სამეფოს შემოუერთდა ამბერდსა და სივნიეთს შორის მდებარე ბიჯნისიც.

სომხური მიწების შემოერთებასთან ერთად ალექსანდრემ „მოხარკე-

ჰყვნა რანი, მოვაკანი და შარვანი“. საქართველოს მეფეს დარუბანდელნიც ყმობდნენ.

ამრიგად, დროებით კვლავ აღსდგა ბაგრატოვანთა კავკასიური სახელმწიფო; თუმცა არა დიდი ხნით. შიდა აშლილობამ და გარეშე მტერთა თარეშმა (XV ს-ის 50-70-იანი წწ.) საქართველოს სამეფოს ჯერ ყმადნაფიცი ქვეყნები, შემდეგ კი სომხური მიწებიც ჩამოაცილა.

ბრძოლა ქვემო ქართლისათვის

თემურ-ლენგის ლაშქრობებმა (1386-1403 წწ.) მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური ვითარება კავკასიაში და შეარყია ქართველთა პოზიცია ქვემო ქართლშიც. დავით ბატონიშვილის (1767-1819 წწ.) ცნობით, მონღოლთა მრისხანე მბრძანებელს დაღესტანში ადგილობრივი მკვიდრნი ამოუწყვეტია და იქ „სპარსნი“ ჩაუსახლებია, ქართლი კი მომთაბარე თურქმანებით, შამშადილოელებით დაუსახლებია. შამშადილო ისტორიული გარდაბანია (ხუნანის საერისთავო), დემოგრაფიული ვითარების შეცვლის (ადგილობრივი, ქართული თუ სხვა კავკასიური ელემენტის გაქრობა და მისი ადგილის დაკავება მომთაბარე ურდოების მიერ) გამო ეს კუთხე დიდი ხნით მოწყდა საქართველოს.

თემურ-ლენგის 1402 წლის ლაშქრობის აღწერისას, სპარსელი ისტორიკოსი შარაფ-ად-დინი (გარდ. 1454 წ.) საქართველოს სასაზღვრო მდინარედ ასახელებს „ტბდრ“-ს, სავარაუდოდ, დებედას. ამგვარი გაიგივება სხვა მხრივაც დასტურდება: დაახლოებით 30 წლის შემდეგ, განძადან საქართველოში მომავალი ქარავანი მდ. აღსტაფასთან ჩაღატაელებმა, ანუ მომთაბარე მონღოლ-თათრებმა გაძარცვეს; მხოლოდ ქაოზიანის ციხეში მიიღეს მგზავრებმა შესაბამისი დახმარება. დასახელებული ციხე დებედას ხეობაში, მის ქვემო წელზე მდებარეობდა. აღსტაფას ხეობა კი, მოტანილი ფრაგმენტის მიხედვით, თითქოს, საქართველოს საზღვრებს მიღმა იგულისხმება. ამრიგად, საქართველოს სამეფომ დაკარგა ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთი მიწაწყალი და აღმოსავლეთის საზღვარმა მდ. ძეგამიდან დასავლეთით, მდ. დებედაზე გადმოინაცვლა. ამიერიდან „ბერდუჯის“ სახელიც მდ. დებედაზე დამკვიდრდა (მანამდე ის ძეგამს ერქვა).

შამშადილოსა და სხვა თურქმანული მომთაბარე ტომები თეთრბატკნიანთა და ყიზილბაშთა აგრესიის მთავარ დასაყრდენად გადაიქცნენ. ისინი თანდათანობით დებედას ხეობისკენაც მიიწევდნენ, იქიდან სდევნიდნენ ქართულ მოსახლეობას და ითვისებდნენ მისი ქვემო დინების ნაყოფიერ ველებს. იქ აღმართულ აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხესიმაგრეებს დამპყრობელი ანახლებდა და აძლიერებდა, ქართველი მეფეები კი ანგრევდნენ და ელსაც მუსრს ავლებდნენ. მაგრამ ხმლის ქნევამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და გარდაბანი დაიკარგა.

დებედას ზემო წელზე თურქმანები „უპატრონოდ“ დარჩენილ ლორე-ტაშირს დაეპატრონნენ. მათთან ბრძლაში დაიღუპა სამეფო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, ალასტანელი უფლისწული ანდრონიკეს შვილი გიორგი. მომხდურს „მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუებიან და ტახტი მეფეთა განურყუნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხუქმნიან...“.

მომთაბარეთა ხელში აღმოჩნდა შესანიშნავი საზაფხულო საძოვრებიცა და ქართლის სამხრეთი კარიბჭეც. საქართველოს სამეფოს ცენტრალურ რაიონებს დიდი საფრთხე შეექმნა. ბრძოლას ლორე-ტაშირის გამოხსნისათვის სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს მეფე ალექსანდრე I და კათოლიკოს-პატრიარქი თევდორე III (1429-1435 წწ.).

გარდაბნისგან განსხვავებით, თურქმანები ლორეში, ჩანს, ისე მასობრივად არ ყოფილან ჩასახლებულნი. 1431 წელს ალექსანდრე მეფემ აიღო ეს მხარე, გაწმინდა დებედას ხეობა მომთაბარეებისგან და იქ კვლავინდებურად ქართული მიწათმფლობელობა აღადგინა. ლორე-ტაშირის გათავისუფლებამ დაკარგული სომხური თემების დაბრუნება გააადვილა.

XIV-XV სს. პოლიტიკურმა რყევებმა კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს, როგორც თავშესაფარი ქვეყნის, მიმზიდველობა მაჰმადიანთაგან დარბეულ-აწიოკებული სომხებისთვის. მათი ჩამოსახლება ქვეყანაში კიდევ უფრო გაცხოველდა. 1437 წელს სანაინის მონასტერში გადაწერილ იადგარის ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ: „სასოწარკვეთილი ვარ დროის სისასტიკისა და სომეხთა ქვეყნის მრავალი ვაებისა და აოხრების გამო, რამეთუ მოვიდა შეჩვენებული ... შაჰრუხი, ლანგ-თამურის შვილი... ჩვენი წმ. მოციქულის ევსტათეს ანგელოზთა სამკვიდრო ტახტი დაარბიეს, მიწასთან გაასწორეს... ჩვენი ძმობის წევრები გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში ... და ... დავმკვიდრდით სანაინის ამ წმ. მონასტერში...“. მინაწერის შესავალშიც ნათქვამია, რომ იადგარი გადაიწერა სანაინის მონასტერში, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში კი ბეშქენ ორბელიანისა და მისი ვაჟის მთავრობისას.

XV ს-ის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში ლორე-ტაშირში თურქმანები ბატონობდნენ. მხოლოდ 1491 წელს ქართლის მეფემ კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) დალაშქრა გელაქუნი და შირაკოვანი, აიღო ლორეს ციხე და დებედას სათავეები თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები: მესხეთი და ჭანეთი

1001 წელს, დავით კურაპალატის ვერაგული მკვლელობის შემდეგ, ბასილი კეისარმა იმიერ ტაო, ბასიანი და „ზემო ქვეყნები“ იმპერიას შეუერთა. გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) ომი ბიზანტიელებთან ამ მიწების დასა-

ბრუნებლად საქართველოს მეფის მარცხით დამთავრდა. მან არათუ ბასიანი და იმიერ ტაო დათმო, არამედ ხელი აიღო დავითის კუთვნილ თორმეტ თუ თოთხმეტ ციხეზე კოლა-არტაანში, ჯავახეთსა და შავშეთში. დაპყრობილ ტერიტორიებზე შეიქმნა „იბერიის თემი“, რომელსაც შემდეგ სომხური მიწებიც (ანისი, კარი) შეურთდა. იმავე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ბიზანტიელებმა განაახლეს ქართული მიწების ანექსია. მრავალმა ტაოელმა აზნაურმა, მათ შორის ბანელმა ეპისკოპოსმა, თავისი ციხეები მტერს გადასცა; შავშელმა წარჩინებულებმა გარყლობისა და წეფთის ციხეები გაყიდეს. დაახლოებით იმავე ხანებში ბიზანტიელებმა დაიპყრეს ხუფათის ციხე, რომელიც საქართველოს სასაზღვრო სიმაგრეს წარმოადგენდა შავი ზღვის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ჭოროხის აუზში საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარი იმიერ და ამიერ ტაოს ბუნებრივ საზღვარზე დაიდო – იმ წყალგამყოფებზე, რომლებიც ოლთისის წყლის ქვემო წელისა და ბარდუსის ხეობებს დანარჩენი ჭოროხის აუზისგან გამოყოფს. ჭოროხის შუა წელიც პარხლისწყლითურთ იმპერიას ერგო. ტაოს ეკლესიებიდან ხახული, ოშკი, ოთხთა და პარხალი მაკედონელთა სამფლობელოებში აღმოჩნდა, იშხანი და ბანა — ბაგრატიონთა.

რომელი ციხეები ეპყრათ ბიზანტიელებს ქვეყნის სიღრმეში, ცნობილი არაა. მაგრამ ის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნების სუვერენიტეტი მხოლოდ ციხესა და მის მიმდგომ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა; უფრო ღრმად ქვეყნის გაკონტროლება მათ არ ხელეწიფებოდათ. ასეთი ვითარება თვალნათლივ დასტურდება თანადროული დოკუმენტური წყაროებით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკის, „დაწერილში“ (1031-1033 წწ.) მცხეთის სვეტიცხოვლისადმი შეწირულ მამულებს შორის დასახელებულია „ტაოს ... სოფელი ზადკარეკი ხუთითა აგარაჲთა, და ძაღლის ჴევს (პალაკაციოს დასავლეთი თემი – ავტ.) ... სოფელი ორთაჲ სამითა აგარაჲთა... და კლარჯეთს ... სოფელი სხლუანი, და შავშეთს ... სოფელი დიდი სხლობანი, აგარაჲ მისი ნაღუარევი; და ჯავახეთს ... სოფელი ტონთიოჲ; და კოლას ... სოფელი დიდი ოროტანი აგარჲთა; და ფანავრას ... სოფელი ... მახარონი“. 1054-1072 წლებით დათარიღებული სიგელის თანახმად, კლარჯეთის მონასტრების (ოპიზა, მიჯნაძორი) სასამართლო დავის განხილვა საქართველოს მეფის პრეროგატივას წარმოადგენდა; მეფის ბრძანების აღსრულება „ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა (მამასახლისთა – ავტ.) და ყოველთა ჴელისუფალთა“, მათ შორის, არტანუჯის ერისთავებს, ევალებოდათ. მტბევარი ეპისკოპოსი, შავში აზნაურების უმეტესობა, არტაან-ჯავახეთის ერიც და ბერიც მეფეს ერთგულებდნენ. ამრიგად, იმიერ ტაოსა და ბასიანის გარდა დანარჩენი მესხეთი საქართველოს საზღვრებში რჩებოდა.

XI ს-ის 40-იან წლებში ბაგრატ IV-მ ხუფათის ციხე აიღო (ბიზანტიის საპატიო ტყვეობიდან დაბრუნებულ ბაგრატს „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღჳს პირსა, ხუფათს“), ხოლო 70-იანი წლების დასაწყისში მისმა

მემკვიდრემ, გიორგი II-მ, „წაუხუნა ბერძენთა ... მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისაჲ. და შემდგომად ამისსა ... აღიღო ქალაქი კარისაჲ, ციხე-ქუეყანაჲ და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისაგან“ („მატიანე ქართლისა“, XI ს.).

საქართველოს მეფის წარმატებებს კეისრები აღარ ეწინააღმდეგებოდნენ. თურქ-სელჩუკებთან განცდილი გამანადგურებელი მარცხის (მანაზკერტის ბრძოლა, 1072 წ.) შემდეგ ბიზანტიელებმა მცირეაზიული სამფლობელოები დათმეს. მათ იმედის თვალი საქართველოს მიაპყრეს და იქ ბუფერული ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა გადაწყვიტეს. ამ მისიის შესრულება ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დააკისრა იმპერიის სამსახურში მდგარ ქართველ დიდებულს, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, „რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუ-ქალაქი და კარი“; ის ბანაში შეხვდა გიორგი II-ს და „მოსცა ... კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანაჲ“ (დავითის ისტორიკოსი, XII ს.). საქართველოს მეფემ იმიერ ტაო და მისი ნაწილი დაიბრუნა. ყოველ შემთხვევაში, „დიდი თურქობისას“ (1080 წ.), ასისფორი, ისევე როგორც „კლარჯეთი ზღჳს პირამდის, შავშეთი, აჭარაჲ,“ და სხვა „ქუეყანაჲ საქართველოჲ“, საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი ყოფილა.

დიდმა თურქობამ წალეკა როგორც აღმოსავლეთი საქართველო, ისე მესხეთიც. მესხეთის დაბრუნებაში ისევ და ისევ დავითის ფასდაუდებელი ღვაწლია. ის გეგმაზომიერად წმენდდა საქართველოს გადამთიელთაგან: ხან ხუფათიდან ჭოროხს აუყვებოდა და ტაოს ჩამომდგარ სელჩუკებს მუსრს გაავლებდა, შემდგე ბასიან-კარნიფორისკენ შეტრიალდებოდა, იქ დააწიოკებდა მომხდურთ; ხანაც ჯავახეთიდან მტკვრის სათავეების აყოლებით კოლას გადავიდოდა, კარნიფორ-ბასიანით სპერამდე ჩავიდოდა და ყველგან მახვილს სცემდა ველურ ურდოებს, გაწმენდდა ბუღათაყურს (პროვინცია იმიერ ტაოში, ოლთისწყლის ზემო წელზე) და ოლთისს და თრიალეთს გამარჯვებით შემოიქცეოდა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი ამბობს, რომ დავითმა „გააფართოვა საქართველოს საზღვრები, შემოიერთა უხტიქი (ოლთისი – ავტ.) და მოსაზღვრე რაიონები...“, ლაშა-გიორგის დროინდელი უცნობი მემატიანე კი აღნიშნავს, რომ „ამათსა მეფობასა შინა აშენდა“ ჯავახეთი, ქვენა არტაანი (ე.ი. კოლა), არტაანი, „ტაოს ნაპირნიცა“ და სხვ. მხარეები.

თურქ-სელჩუკები უკან არ იხევდნენ. თითქმის მთელი XII საუკუნე ისინი განუწყვეტლივ დათარეშობდნენ ტაო-შავშეთ-კლარჯეთში, არტაანში, პალაკაციოში. წარმატებასაც აღწევდნენ. საქართველოს სახელმწიფოს დიდი მარცხი ის იყო, რომ ოლთისის მთელი ხეობა ოლთისის ციხე-ქალაქითურთ და ბანაც დროებით კეჩროლირ სელჩუკიანმა ამირებმა იგდეს ხელთ (XII ს-ის 70-80-იანი წლები). სელჩუკთა თარეშს ბოლო თამარის მეფობისას მოეღო. ბასიანის ბრძოლის (1205 წ.) შემდეგ კი ბასიანი აბნიკითურთ ისევ ქართული სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა.

ამრიგად, თამარის მეფობისას დასრულდა მესხეთის მიწების დაბრუნე-

ბის ორასწლოვანი ბრძოლები. არაქსის ზემო წელი, მტკვრის ზემო წელი, ჩილდირის ტბის ქვაბური, ჭოროხის აუზის დიდი ნაწილი ქართული მონარქიის ორბიტაში დაბრუნდა. რაც შეეხება ჭოროხის ზემო წელზე განლაგებულ სპერსა და ბაიბურთს, ისინი არზრუმის ამირას სამფლობელოებში შედიოდა.

ვითარება შეიცვალა ხვარაზმელთა შემოსევების შემდეგ. 1230 წელს რუმისა და ეგვიპტის სასულთნოების გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა ჯალალედინი. გამარჯვებულებმა მახვილი საქართველოს წინააღმდეგ მიმართეს და მისი სამხრეთ-დასავლეთი მიწები დაიპყრეს. არაბი ავტორების, მუჰამად ალ-ჰამავის (XIII ს. I ნახ.), იბნ ბიბის (XIII ს. II ნახ.) და კუტბ ად-დინ ალ-იუნინის, (გარდ. 1326 წ.) მიხედვით, რუმის სულთანმა ქაი-ყუბადმა ნიხახისა და ხახულის ციხეები აიღო, ხოლო ალ-აშრაფმა — ოლთისის, მამრივანისა (იგივე ბუღათაყურის) და ბარქრისა (რადგან მოქმედება ტაოში ვითარდება, შეიძლება ამოვიკითხოთ ბარდუსი ან პარხალი).

როგორც ვხედავთ, მაჰმადიან მეზობლებს ხელთ უგდიათ ის მაგისტრალები, რომლებიც საქართველოს მცირე აზიასთან აკავშირებდა. რამდენ ხანს გაგრძელდა მაჰმადიანთა მფლობელობა ტაოში, ზუსტად არ ვიცით. კუტბ ად-დინ ალ-იუნინის ცნობით, ქართველებს ოლთისის ხეობის ციხეები ალ-აშრაფისთვისვე წაურთმევიათ. ჟამთააღმწერლის მიხედვით კი, XIII ს-ის 40-იან წლებში სამცხის სპასალარებმა, ჯაყელებმა, გაათავისუფლეს „ოლთისნი და ბუღათაყური ყოველი“, რომელნიც სელჩუკებს „აქუნდა, და აოჴრებდეს ტაოსა“. იმავე ისტორიკოსის ცნობით, XIII ს-ის II ნახ. თორთომის ციხე ფანასკერტის საერისთავოში შედიოდა. მოგვიანებით, თორთომში საბაჟოც მოქმედებდა. ქართული მატიანის ცნობებს ადასტურებს სომხური წყაროები: XIII ს-ის II ნახ. მწერალი კირაკოს განძაკეცი ჯაყელებს ოლთისის მბრძანებლებს უწოდებს, ხოლო XIV ს-ის დასაწყისის ერთი სომეხი გადამწერი სოფ. შიბაკს თაყას ქვეყანაში ანუ თორთომის საერისთავოში ასახელებს. ეს სოფელი ევფრატ-თორთომის წყალგამყოფ ქედზე მდებარეობდა. ამ მთებს ფრანგი მისიონერი და ელჩი რუბრუკვისი (1215-1295 წწ.) ქურჯის, ანუ საქართველოს, მთებად მოიხსენიებს. ევფრატის სათავეებიც, ანუ გურჯი-ბოღაზი, საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა. პოლიტიკური გეოგრაფია არც თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა შეცვალა.

XIV საუკუნის 30-იანი წლებისათვის საქართველოს საზღვრებში სპერიც შემოდის. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იქ ერისთავები დაუსვამს გიორგი ბრწყინვალეს. ცნობები სპერის შესახებ მწირია. ვიცით, რომ XV ს-ის დამდეგს ამ მხარეში იმოგზაურა ესპანეთის ელჩმა რუის გონსალეს დე კლავიხომ. დიპლომატის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ სპერს მუსლიმი მთავარი განაგებდა, რომელიც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა; მისი ქვეყანაც საქართველოს სამეფოს საზღვრებში ითვლებოდა. ამ მხარის სტატუსი არც მომდევნო ასი წლის განმავლობაში შეცვლილა.

ზღვისპირეთში სამხრეთ-დასავლეთ მიჯნას, როგორც ვნახეთ, ხუფათის

ციხე სდარაჯობდა. ხანდახან სასაზღვრო არეალში კონდომინიუმი – ორი მეზობელი სახელმწიფოს მმართველობა — იქმნებოდა. ქართულმა საბუთებმა შემოგვინახა ცნობა ერთ-ერთ ასეთ მხარეზე, მურღულის ხეობაზე, სადაც ვინმე ჟან ჩიასძე ფლობდა სოფ. დურჩს „თუით დავით მეფეთა-მეფისაგან (ე.ი. დავით ნარინისგან, 1247-1293 წწ. – ავტ.) და ბერძენთა მეფისა გიორგისაგან“ (ტრაპიზონის იმპერატორი გიორგი I, 1266-1280 წწ. — ავტ.) დამტკიცებულს.

XIII ს-ის მიწურულსა და XIV ს-ის დასაწყისში ტრაპიზონის იმპერატორმა ალექსი II-მ თავის სიმამრს, ბექა ჯაყელს ჭანეთი გადასცა, მაგრამ იმავე საუკუნის II ნახევარში ჭანეთზე კვლავ ბერძენთა იურისდიქცია ვრცელდებოდა. ტრაპიზონის კეისართა კარზე დაახლოებული ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი გვარწმუნებს, რომ საზღვარი ამის შემდეგ მაკრიალზე, ხუფათის ჩრდილო-დასავლეთით, დაიდო. მოგვიანებით, XV ს-ის 60-იანი წლების დასაწყისისათვის, ჯაყელები ფლობდნენ ჭანეთს, რომელიც მათ გაწეული დახმარების სანაცვლოდ აჭარასთან ერთად გურიელებს დაუთმეს. კლავიხოს ცნობების მიხედვით, ჭანეთის დამორჩილებას ქართველი ხელისუფალნი XIV ს-ის ბოლოდან თუ XV ს-ის დასაწყისიდან ცდილობენ. მისი მოგზაურობის დღიურიდან ვიგებთ, რომ არაქელას, ანუ ჰემშინების, ქვეყნის მოსახლეობამ ზურგი აქცია თავის ბატონს (resp. ტრაპიზონის კეისარს) და მორჩილება ისპირის მთავარს გამოუცხადა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რათა საქართველოს მეფე-მთავრებს აღმოსავლეთ ჭანეთის შემოერთებაზე ეზრუნათ. XV ს-ის 70-იანი წლებისათვის შავი ზღვის სანაპიროს ათენამდე უკვე ოსმალები აკონტროლებდნენ, ქვეყნის სიღრმეში მდებარე ხეობები კი უზუნ-ჰასანის უზენაესობას ცნობდა. 1489 წლისთვის ოსმალებმა ჰამამშენიც დაიპყრეს და ადგილობრივი მთავარი სპერში განდევნეს. ოსმალთა აგრესიამ სულ მალე საქართველოსაც უწია.

დაცოტავებული „საქართველოები“

ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი აფხაზთა საერისთავოს ეკავა. მისი საზღვრები ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიასა“ და „ატლასში“ ანაკოფიიდან კაპოეტის წყლამდე, ანუ მდინარე ბზიფამდეა ნაჩვენები. გამყოფი ხაზი ბზიფზე, როგორც უკვე ვიცით, XV ს-ის I ნახევარში ჯიქთა მთავრებმა გადმოსწიეს. XV ს-ის II ნახევრის გენუელი ავტორი, ჯორჯიო ინტერიანო (იმოგზაურა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთეთ შავიზღვისპირეთში და პირველმა ევროპელთაგან აღწერა ჯიქთა ქვეყანა და ყოფა; მისი ნაშრომი გამოვიდა 1502 წ.), „ავოგაზიას“ ანუ აფხაზეთს კოლხეთის ნაწილად თვლის და მის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს ჯიქეთთან Cavo de buxo–ზე, ე.ი. ბზის, ანუ ბზიფის, კონცხზე დებს.

ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელთა ჩამოწოლის შედეგად აფხაზთა საერისთავო დაქუცმაცდა და მისი ნაწილი ოდიშის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. XVI საუკუნის სამართლის ძეგლში, „ბიჭვინტის იადგარი“, ნათქვამია, რომ მამია დადიანმა (1512-1533 წ.) ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ტაძარს „აფხაზეთს ბიჭჳნტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“ შესწირა; მაშასადამე, ოდიშის სამფლობელოები XVI ს-ის I მესამედში ბიჭვინტამდე გავრცელდა. გენუელი კარტოგრაფის ჯაკომო დი მაჯიოლოს 1563 წლის საზღვაო რუკაზეც ოდიშის (MENGRELIA) საზღვრები ბიჭვინტა-ბზიფის მიდამოებშია ნაჩვენები. მის ჩრდილო-დასავლეთით ავოგაზია-აფხაზეთია - დატანილი.

მსგავსი პოლიტიკური გეოგრაფიის რეკონსტრუირება თურქ მზვერავთა ერთი მოხსენების (XVI ს-ის 20-30-იან წწ. თარიღდება) საფუძველზეც შეიძლება: „იმის (გურიის – ავტ.) იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა... მასთან (სოხუმთან – ავტ.) ეშვება იალბუზის მთის კალთა (სავარაუდოდ, გაგრის ქედი – ავტ.). იმის იქით კი არის აფხაზეთის ქვეყნები. მთების (კავკასიონის – ავტ.) უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა...“.

1533 წელს, საზღვრების უზრუნველყოფის მიზნით, დადიანმა და გურიელმა საზღვაო ლაშქრობა მოაწყვეს ჯიქთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში; ექსპედიცია სრული მარცხით დასრულდა.

სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე სხვა ცნობებიც არსებობს: XVI ს-ის გერმანელი დიპლომატის, ს. ჰერბერშტაინის (1517-1526 წწ. ის ორჯერ ეწვია მოსკოვის სამთავროს) მიხედვით, აფხაზები (Aphgasi) მდ. ყუბანთან ცხოვრობდნენ, ხოლო ყუბანს იქით სამეგრელო (Mengarlia) მდებარეობდა. ვენეციურსსა და პორტუგალიურ რუკებზეც (ბატისტა აგნე-

ზეს 1525 წლის მოსკოვის სამთავროს რუკა, დიოგო ჰომემის 1559-1561 წწ. პორტოლანები) ოდიშის (სამეგრელოს) საზღვარი დღევ. გელენჯიკამდეა ნაჩვენები.

ევროპელებს ინფორმაციას, უმთავრესად, რუსები აწვდიდნენ. მსგავსი თვალსაზრისი რუსულ მწიგნობრულ წრეებში საკმაოდ დიდხანს ცოცხლობდა. XVIII ს. I ნახევრის ისტორიკოსი და სახელმწიფო მოხელე ვ. ტატიშჩევი წერდა: „სამეგრელოს ჩრდილოეთის მხარე, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები ავხაზოც (ე.ი. აფხაზეთს – ავტ.) უწოდებენ, ჩვენი წინაპრები კი ობეზებად მოიხსენებდნენ, ამჟამად მეტწილად ყუბანელებითაა დასახლებული“.

ცნობა ორმხრივად შეგვიძლია გავიგოთ: 1) აფხაზეთი ადრე ეკუთვნოდა სამეგრელოს, რომლის საზღვრები ყუბანიდან არცთუ შორს იდო; 2) აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ქართული საბეგრო ნუსხებით ოდიშის სამთავროს ეკუთვნოდა, ტატიშჩევმა ყუბანიდან ადიღეური ტომების (აფსუების) ჩამოსახლება დააფიქსირა.

ძნელია იმის თქმა, თუ რა ასაზრდოებდა რუსეთის მმართველი ფენების წარმოდგენებს ასეთ შორსგაწეულ საზღვრებზე; შესაძლო წყაროებიდან დავასახელებდით: 1) აფხაზთა ეთნიკურ განფენილობას ანაპამდე, რაც მეგრელთა პოლიტიკური განფენილობის იმიჯს ქმნიდა; 2) აფხაზეთის კათოლიკოსის სამწყსოს განვრცობას „ლიხსა და კაფას შუა“, რასაც აღიარებენ მსოფლიო პატრიარქებიცა და მოსკოვის საეკლესიო და საერო მბრძანებლებიც; 3) საქართველოში მოარულ გადმოცემებს, თითქოს ა. ეგერ-მეგრელები მდ. მცირე ხაზარეთის, ანუ ყუბანის შესართავამდე მოსახლეობდნენ და ბ. დავით ულუმ მამიდა რუსუდანს უწყალობა „ქვეყანა კორტოხტისა და მახვილოს მთებიდან კაფამდე“.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიქმნა აფხაზთა სამთავრო, რომელსაც შერვაშიძეები განაგებდნენ. ამ პერიოდის თურქი და ევროპელი ავტორები აფხაზეთის განსახლებას ანაპამდე უჩვენებენ, თუმცა მათ ცნობებში უფრო ეთნიკური საზღვრები უნდა ივარაუდებოდეს, ვიდრე - პოლიტიკური. ეს უკანასკნელი ბევრად სამხრეთით იდო. მართლაც, იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა, რომელმაც XVII ს-ის 30-იან წლებში რამდენჯერმე იმოგზაურა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჩერქეზთა და აფხაზთა საზღვარზე ასახელებს „მშვენიერ ეკლესიას“, სადაც ქართველი მღვდელი სწირავს. სავარაუდოდ, ლაპარაკია ბიჭვინტის ტაძარზე; თუ ეს ასეა, მაშინ აფხაზთა სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, XVI საუკუნის ოდიშის საზღვრების მსგავსად, მდ. ბზიფზე უნდა ყოფილიყო. იმავე ავტორის მიხედვით, ეკლესიიდან ერთი მილით დაცილებული მაკალა (ყარაბეირი) — დიდი ალბათობით, გაგრა — ჩერქეზების მიწაწყალზეა.

განსხვავებული ვითარება დასტურდება ჯოვანი და ლუკას მეორე რელაციიდან, საიდანაც ვიგებთ, რომ აფხაზეთში ორი მდინარე, სუთესუ და

სუბასუ მიედინებოდა. ამ უკანასკნელს, ჩვეულებრივ, მდ. შახესთან აიგივებენ. ჩანს, მკაფიო მიჯნის გავლება გამოცდილ მისიონერ-მზვერავებსაც კი უძნელდებოდათ.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც საკმაოდ კარგად გაერკვა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ბიჭვინტის საყდარს „აფხაზეთის ახლოს“, მის საზღვრებთან, მიუთითებდა. იმავე პერიოდში შედგენილი თურქული რუკებისა და მათი განმარტებითი წარწერების თანახმად კი, აბაზას ტომის „თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან მდინარე კოდორს აღწევს“. ნიშნავს „თავდაპირველობა“ გარკვეულ ისტორიულ ეპოქას თუ თანადროულობას, არ ჩანს.

თურქულ ცნობებს, გარკვეულწილად, ეხმიანება 1723 წელს პარიზში გიომ დე ლილის მიერ შედგენილი რუკა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანისა და სპარსეთის დიპლომატთა ინფორმაციაზე იყო დამყარებული. აღნიშნულ რუკაზე მდ. კოდორისა და „კედლის“ (Muraille; იგულისხმება კელასურის კედელი) დასავლეთით დატანილია „თავისუფალი აფხაზეთი“. მის საზღვრებში, ბიჭვინტის ნავსადგურთან ერთად (Port de Poutchinda), ნაჩვენებია Cap Zengui, Derbent - გაგრა. უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კი, თითქოს, მდ. მზიმთამდე (დღევ. ადლერამდე) ვრცელდება.

სულხან-საბას უმცროს თანამედროვეთ, ვახუშტი ბატონიშვილსა და მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილს (მოგზაური და დიპლომატი; 1737 წელს შეადგინა ლიხთიმერეთის რუკა), აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი კაპოეტის წყალზე (მდ. ბზიფზე) აქვთ დატანილი.

შესაძლებელია, გარკვეულ დროს აფხაზებმა მართლაც გადასწიეს საზღვრები სოჭი-ადლერის სანახებამდე; კასტელის ალბომში აღბეჭდილი აფხაზებისა და ჩერქეზების ბრძოლის სცენები (მათ შეტაკებებზე ჯოვანი და ლუკაც საუბრობს) მოვლენათა ამგვარ განვითარებასაც არ გამორიცხავს. თუმცა, ამ ტიპის წარმატებები საკმაოდ ხანმოკლე თუ იქნებოდა, რადგან საზღვარი კვლავ ბზიფისკენ იხევდა.

ცვალებადი იყო გაგრა-ბზიფის სასაზღვრო მონაკვეთი: თუ XVIII ს-ის 70-იან წლებში ი. გიულდენშტდეტი აფხაზეთის საზღვარს ტრადიციულად კაპოეტის წყალზე უჩვენებდა, იმავე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მოღვაწე რუსეთის რეზიდენტი ი. რაინეგსი ბიჭვინტაში შაფსუღების ახალშენების არსებობაზე მიუთითებდა; ხოლო პოლკ. ბურნაშევმა, რუსეთის იმპერატორის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ქართლ-კახეთის სამეფოში, თავის 1784 წლის რუკაზე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი კაპოეტის წყლის დასავლეთით, გაგრის დეფილესთან გაატარა.

ჩრდილოეთის საზღვრები

დასავლეთ კავკასიონი

საზღვარი გაგრის ქედს აუყვებოდა და შემდეგ კავკასიონის მთავარ წყალგამყოფს გასდევდა. დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განფენილი ქვეყნები — ფსხუ, წებელი, სვანეთი, რაჭა — იმერეთის მეფეს, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრებს ჰქონდათ გადანაწილებული.

ცენტრალური კავკასიონი: დვალეთი

მამისონის უღელტეხილიდან საზღვარი მთავარი წყალგამყოფის ჩრდილო პარალელურ ქედს მიუყვებოდა და ნარის ქვაბურში განფენილ დვალეთს მოიცავდა. XV საუკუნიდან აქ ოსებმა იწყეს ჩამოსახლება, რის შედეგად სახელწოდებას „დვალეთი“ თანდათანობით „ოსეთი“ ჩაენაცვლა. ეთნიკური გეოგრაფიის შეცვლამ ცვლილებები გამოიწვია პოლიტიკურ გეოგრაფიაშიც — დვალეთი დროებით უკონტროლო ზონად გადაიქცა. 1601 წელს როსტომ იმერეთის მეფემ „... დაიპყრა სრულებით დუვალეთ-ოსეთი და აღიღო ციხე და სოფლები მისი“ (მცირე ქრონიკა, XVIII ს-ის II ნახ.). სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნშიც (1560/61-1628/29 წწ.) ადასტურებს, რომ XVII ს-ის დასაწყისში უსად წოდებული ვილაიეთი, ანუ ოსეთი (იგივე დვალეთი), ბაში-აჩუკის (იმერეთის) მეფეს ემორჩილებოდა. როგორც ჩანს, აქ დვალეთის მხოლოდ ერთი, დასავლეთი ნაწილი იგულისხმება.

ფარ-ხმლის დაყრას არც ქართლის მესვეურები აპირებდნენ. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ ცენტრალური კავკასიონის ამ მეტად სტრატეგიული მონაკვეთის არა მხოლოდ de jure, არამე de facto შენარჩუნებისთვის. XVII საუკუნის დასწყისში დვალეთზე, სამეფე ხელისუფლების აღსადგენად, გაილაშქრა გიორგი საакაძემ, თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავმა; დაახლოებით ასი წლის შემდეგ დვალთა და ოსთა დასამორჩილებლად დიდი ლაშქრობა მოაწყო ვახტანგ VI-მ (ქართლის გამგებელი: 1703-1714 წწ, მეფე: 1716-1724 წწ.): „ხოლო ვახტანგ გამგე ქართლისა ... კუალად აღიმჴედრა სპითა შესლვად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა პ˜ (80 – ავტ.) კოშკნი, მოწვა და მოსტყუევნნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ჴევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯჳუებული ქ˜სა ჩ˜ღია, ქარ. ტ˜ჟთ (1711 წ. – ავტ.), დაიპყრა დუალეთი და დასდვა ხარკი...“.

ვახუშტი ბატონიშვილი დვალეთის ექვს ხეობას ჩამოთვლის: კასრისხევი, ჟღელისხევი, ზრამაგა, ნარა, ზროგო და ზახა. მის „ატლასში“ ქართლის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კასრის ციხესთან გადის, კასრისხევი ქართული პოლიტიკური სივრცის მიღმაა ნაჩვენები. ეტყობა, სხვადასხვა თემი, პოლიტიკური ვითარების ცვალებადობასთან ერთად დროდადრო გა-

მოდიოდა ბაგრატოვანთა მორჩილებიდან. ასე მაგალითად, XVIII ს-ის 40-იანი წლების რუსულ მასალებში, კერძოდ, სინოდის დოკუმენტებში არაერთხელაა აღნიშნული, რომ ზრამაგა იმერეთის სოფელია („приехал в показанную милитинскую деревню Зрамаку“), ხოლო ზახა, თითქოს, „უპატრონო“ ტერიტორიაზეა. როდესაც ტახტზე თეიმურაზ II (1744-1762 წწ.) და ერეკლე II (1744-1798 წწ.) ავიდნენ და პოლიტიკური მდგომარეობა გამყარდა, დვალეთის დიდი ნაწილი კვლავ ქართლის, შემდეგ კი, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოუერთდა, ხოლო ჟღელესხევი და კასრისხევი იმერეთის სამეფოში დარჩა.

დვალეთის სხვადასხვა ხეობას მოურავები განაგებდნენ. სამეფო სახლის წევრები (მაგ., ალექსანდრე ერეკლეს ძე) და თავადები (მაჩაბლები) აქ დიდძალ ყმა-მამულს ფლობდნენ. დასავლეთ საქართველოში დვალეთზე ბატონობას რაჭის ერისთავნი და ჯაფარიძენი ცილობდნენ.

ეთნიკური ცვლილებების მიუხედავად, დვალეთი საქართველოს სხვა მხარეებთან კულტურულ-სარწმუნოებრივ (ეს კუთხე ქართული ეკლესიის ნაწილად რჩებოდა) და ეკონომიკურ კავშირურთიერთობებსაც ინარჩუნებდა (ვახუშტი ბატონიშვილი, ი. გიულდენშტედტი). დამოკიდებულება იმდენად ძლიერი იყო, რომ რაჭის ერისთავთა გავლენა დიგორელ ოსებსაც სწვდებოდა. კიდევ მეტი: დიგორული ფოლკლორის თანახმად, ეს ოსური ტომები ქართველ მეფეთა ყმებად ითვლებოდნენ.

ცენტრალური კავკასიონი: ხევი

დარიალის აღმოსავლეთით, თერგის სათავეებში ხევი იდო, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთთან, ამჯერად კი რუსეთის გაძლიერებულ სახელმწიფოსთან აკავშირებდა. ბოლო პუნქტი, სადამდეც ქართველ მეფეებსა თუ თავადებს ხელი მიუწვდებოდათ, ლარსი იყო. ყოველ შემთხვევაში, XVI ს-ის მიწურულსა და XVII ს-ის დასაწყისში რუსეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მომავალ ელჩებს ჯერ ყაბარდოელები მოაცილებდნენ, ხოლო ლარსთან ქართული ამალა ხვდებოდა. მაშასადამე, ქართველი მეფეები „სონთა ვიწრობების“, ანუ დარიალის ხეობის, ჩრდილოეთ მონაკვეთს ლარსიდან ჩიმამდე აღარ ფლობდნენ. ამ სექტორს აღზევებული ყაბარდოელი მთავრები აკონტროლებდნენ; ისინი მთელ ხევზეც კი ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას.

XVII-XVIII სს. თერგის სათავეებში, თრუსოში, ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა მთიან რაიონებში, ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან ოსებმა იწყეს ჩამოსახლება. ხევში, დვალეთისგან განსხვავებით, განკერძოების ტენდენციები ნაკლებად შეიმჩნეოდა. XVIII ს-ის 30-იან წლებში „არაგვის ერისთვის მთის კაცმა“, მათ შორის, „თრუსოელთა, ღუდელთა, რაც ჩევის ოსი ვართ“, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს შემოჭრილ ოსმალებს და დარიალის ხეობაში გაბატონების საშუალება არ მისცეს.

ხევის, მაშასადამე, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრად ვახუშტი ბატონიშვილი ჯარიეხს თვლის. 1737 წლის თერგის ხეობის რუკის მიხედვით კი საზღვარი თერგ-ჯარიახის შესართავთანაა დატანილი. ხომ არ აღადგინა იქ გავლენა ვახტანგ მეექვსემ დვალეთის მსგავსად? 1711 წლით დათარიღებულ ერთ ანდერძ-მინაწერში ასეთ ცნობას ვაწყდებით: „... მეფემან ქართველთამან ვახტანგ ... შემოკრიბნა ლაშქარნი საქართველოსნი და წარემართა. ოდეს შევიდეს ძნელსა კარსა ოსეთსასა მაშინვე იძლივნეს და მოისრნეს და შემუსრნეს ციხენი მათნი და წარმოემართნეს მშვიდობით“. 1733 წელს ვახტან VI რუსეთის იმპერიის მინისტრთა კაბინეტს აუწყებს, რომ ჩმის ოსი ბატონი მისი მოხელე ყოფილა; ქართლის მეფისგან იღებდა ჯამაგირს და მეფესვე ემსახურებოდა. იმავე დოკუმენტში მითითებულია, რომ ჩმის შემდეგ ქართული მიწები იწყებოდა.

ჩმისთან ასახელებს საზღვარს ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარისთვის 1769 წელს მომზადებულ „ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელი ქვეყნების აღწერაში“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩიმი საქართველოს საზღვრებში არ ივარაუდებოდა; 1780 წლით დათარიღებულ ერთ წერილში ერეკლე II მოზდოკის კომენდატს აცნობებდა: „...დარიელას ციხე, რომელიც ჩვენის ქვეყნისა და ოსეთის საზღვარი არის, რომ ამ ადგილიდამ ჩიმი რვა ვერსი თუ იქნება. ჩვენ ამ ხსენებულს ციხეში რამდენსამე ჯარს დავაყენებთ. როცა მანდედამ ქარავანი წამოვიდეს, რომ თქვენ იმას ჯარი გამოატანოთ, ისინი ჩიმს აქეთ ოთხს ვერსზე მოჰყვნენ, ამ დარიელას ციხეში მდგომნი ჩვენი ჯარისკაცები, ოთხს ვერსზე ესენი მოეგებებიან და იქ იმ ჩვენს კაცთ მოაბარონ ხოლმე“. კორესპონდენციის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა ნეიტრალური ზონა, სადაც ორი სახელმწიფოს უფლებამოსილების გადაბარება ხდებოდა. სხვა ოფიციალური წყაროებითაც დასტურდება, რომ ასეთი შეხვედრის პუნქტი ლარსი ყოფილა — იქ ხვდებოდნენ ქართველები აღმოსავლეთ საქართველოში მომავალ რუსის ჯარს და ქართლ-კახეთის სამეფოსკენ მოუძღვებოდნენ.

კიდევ ერთი თვითმხილველი, რუსეთის არმიის ოფიცერი შტედერი (1781 წ. სამხედრო ხელისუფალთა დავალებით დაზვერა კავკასიონი), ლარსს თაგაურელ ოსებს მიაკუთვნებს, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარს ლარსსა და დარიალის ციხეს შორის ხეობის ყველაზე ვიწრო მონაკვეთში უჩვენებს.

ი. გიულდენშტედტის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ „უკანასკნელი ქართული სოფლიდან“, სტეფანწმინდიდან „ოსურ სოფელ ჩიმიმდე“, „თაგაურის მხარეში“, მდ. თერგზე ხუთი გადასასვლელი ყოფილა. აქედან სამ გადასასვლელს ქართველები აკონტროლებდნენ, ხოლო ორს – ოსები. უკანასკნელი, მეხუთე გადასასვლელი, ლარსთან მთავრდებოდა, საიდანაც ერთ საათში ჩიმამდედაც მიისვლებოდა. როგორც ვხედავთ, ყველაზე რთული და ხარჯიანი უბნის კონტროლი რუსეთის ჯარის მოძრაობისას ქართველთა ვალ-

დებულება ყოფილა. სრულიად ბუნებრივია, ამ სტრატეგიულ დერეფანზე თვალყურის დევნა თავად ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ინტერესებში შემოდიოდა. თუმცა 1801 წელს, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ლარსი მის საზღვრებს მიღმა დარჩა.

აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთი

აღმოსავლეთ კავკასიონიდან კახეთის მთიანეთი იწყებოდა. ხევსურეთს, ნაწილობრივ, თუშეთს კი მთლიანად კავკასიონის ჩრდილოეთი კალთები ეკავა. ამაყ მთიელებს არაერთხელ უცდიათ მეფის მორჩილებიდან თავის დახსნა, მაგრამ ეკონომიკური დამოკიდებულება ბარზე ყოველ მათ ცდას უნაყოფოს ხდიდა. ლევან კახთა მეფის (1518/20-1574 წწ.) მოღვაწეობასთან დაკავშირებით მემატიანენი ამგვარ ეპიზოდს აღწერენ: „არამედ ამას წინათთა აღარა მორჩილებდნენ ფშავ-ჴევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა, და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

კახეთს ეკუთვნოდა, აგრეთვე, სამხრეთ დაღესტნის თემი – დიდოეთი. XV ს-ის ბოლოდან დიდოეთს, კახეთის სხვა მხარეების მსგავსად, მეფის მოურავი განაგებდა. მთის ჩამოწოლისა და, განსაკუთრებით, შაჰ-აბას I-ის გამანადგურებელი ლაშქრობების (1614-1617 წწ.) შედეგად კახეთის გავლენა დიდოეთზე მნიშვნელოვნად შეირყა. 1640 წელს თეიმურაზ I-მა სცადა დიდოელების დამორჩილება, მაგრამ მისი ლაშქრობა მარცხით დასრულდა. დიდოეთის ერთი ნაწილი, როგორც ეს ფრანგი კარტოგრაფის, დელილისა და ვახუშტის რუკებიდან ჩანს, XVIII ს-ის I ნახევარშიც კახეთის საზღვრებში რჩებოდა. დიდოელები კახთ ბატონს ხარკს უხდიდნენ, სამაგიეროდ, თავისუფლად ჩამოდიოდნენ სავაჭროდ, „ვინათგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა (ტანსაცმელს – ავტ.) და სახმარსა თჳსსა“. დიდოელები, როგორც 1722 წლის განწესებიდან ჩანს, ნოდარიშვილების სარდლობით რუსთველის სადროშოს შემადგენლობაში გამოდიოდნენ.

ოსმალობამ და ლეკიანობამ დიდოეთი საბოლოოდ მოწყვიტა კახეთს. 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის თანახმად, „არს დიდოეთი, ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში...“; ჩვენთვის უკვე ცნობილი „მეზობელი ქვეყნების აღწერით“, „... კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთზედ ჩრდილოდ კერძო არიან ოთხნი თემნი: დიდოეთი, ქისტი, ღლიღვი და ზურზუკი ლეკთაგან მიგუხმიან და გაჰაუმამადიანებიათ. ახლა ცდილობენ და სურისთ, რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ჴევი, რომელიც რუსეთის საჴელმწიფოესა და საქართველოს შემოსავალი და გასავალი გზა არის, ესეც დაიპყრან...“

ზოგიერთი სამხრეთდაღესტნური თემი ერეკლე მეფის ყმად ითვლებო-

და. XVIII საუკუნის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერდა, რომ „პირაქეთ ლეკნი ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი ... იყვნეს მოსაზღვრე ყმა კახეთისა“ და „მონებდეს კახ ბატონსა“. მათ „მინდობილნი ლეკნი“-ც ეწოდებოდა. ეს ყმობა, რა თქმა უნდა, ნომინალური იყო და სამხედრო დახმარებაში გამოიხატებოდა.

აღმოსავლეთი საზღვრები

ელისუს სასულთნო

მთის ჩამოწოლამ და ეთნო-კულტურული გეოგრაფიის შეცვლამ ყველაზე მეტად კახეთი დააზარალა.

1551 წელს სპარსეთის შაჰმა თამაზმა (1524-1576 წწ.) შაქი დაიპყრო და კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ სანახებსაც მიადგა. საზღვარი მდინარე ალაზნის მტკვართან შეერთების ადგილას იწყებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით დღევ. დაშუზის ქედს გასდევდა და შემდეგ გიშისწყლის (დღევ. კიში) აყოლებით კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა. სამურის სათავეებიდან გიშის წყლამდე გადაჭიმული იყო წუქეთის სამოურავო, ყოფილი წუქეთის საერისთავო. მისი ერთ-ერთი ცენტრი გიშში მდებარეობდა. გიშის ციხისთავი, სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, „კისერზე სუდარა და ხმალ-ჩამოკიდებული ... ხელმწიფესთან გამოეშურა, ციხის კარების კლიტეებიც გადასცა“ და, როგორც სჩანს, რჯულიც შეიცვალა. შაჰ-თამაზმა მას სამსახური დაუფასა და შეუვალობა მიანიჭა — კახთა მეფის ხელისუფალთ ეკრძალებოდათ ყოფილი სამოურავოს ტერიტორიებზე შესვლა.

1604 წელს სპარსელებმა კახეთს კაკის მხარე ჩამოაჭრეს, გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს გადასცეს და მას სულთნის პატივი უბოძეს; ხოლო 1607 წელს ოსმალებმა წახური და კაკი გააერთიანეს და შექმნეს ელისუს (წახურის // კახის) სასულთნო. საზღვარი კახეთის სამეფოსა და სასულთნოს შორის მდ. ყანი-ყობაზე (ყაფი-ჩაიზე) დაიდო. წახურის სასულთნოს საქმეები შირვანის ხანს ეკითხებოდა. 1722 წლის ფირმანით, წახურის სანჯაყი შირვანის საბეგლარბეგოს შეუერთდა.

ელისუს სულთანს მფარველობდნენ სპარსეთის შაჰიცა და ოსმალეთის სულთანიც: ის ესაჭიროებოდათ, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის მეფეთა დასამორჩილებლად, ხოლო, მეორე მხრივ, საშამხლოსთვის ზურგის გასამაგრებლად და კავკასიაში რუსთა წინსვლის შესაჩერებლად.

XVII ს-ის 40-იან წლებში ამ ადგილებში იმოგზაურა თურქმა ისტორიკოსმა ევლია ჩელებიმ: „(დარუბანდიდან გამოსულნი) სოფელ წახურში მოვედით... დაღისტნის მბრძანებლის ერთ-ერთი ტომის მეთაურის — ემირ Ოუსუფ-ბეგის საბრძანებელშია... დაღისტანი აქ გათავდა და აი, ამიერიდან,

საქართველოში შევედით. საზღვარზე მდებარე უდუდუს ციხის შესახებ: ირანის მბრძანებლობაშია. ეს ციხე ხელმარცხნივ მივატოვე და ... შაქის ციხის საზღვრებისაკენ წავედი. სოფელ ზუჰურიაში მივედით. საქართველოში, თეიმურაზ-ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხანისადმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია. მისი ქვეშევრდომები ქართველი აზნაურები, სომხები და გოქდოლაკები არიან. აქედან გზა განვაგრძეთ და ქალაქ „კახეთში“ მივედით. საქართველოშია და ირანის მბრძანებლობაში იმყოფება... მისი მოსახლეობა სომხები, გოქდოლაკები და ქართველები არიან. მათი მბრძანებელი ცალკე სულთანია“.

სურათი მეტად მეტყველია — მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კახეთი მოსწყდა დედა-სამშობლოს, იქ ქართველობა მაინც მძლავრად იყო ფესვგადგმული. სიმპტომატურია, რომ თითქმის ასი წლის განმავლობაში ელისუს სასულთნო კახეთის სამეფოსთან კულტურულ-სარწმუნობრივსა და სამართლებრივ კავშირებს ინარჩუნებდა.

ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები

დაღესტნელთა ინფილტრაცია კახეთში XVI ს-ის შუახანებიდან დაიწყო. „ამანვე ლევან“, – გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი – „მოიყვანნა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდვად ყინულისად ზაფხულისათვის კავკასიიდამ“. ასე გაჩნდნენ კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჭარისა და თალას დაღესტნური თემები, რომლებმაც თანდათანობით დაიკავეს კახეთის დაცლილ-აოხრებული მიწები. XVII-XVIII სს. მიჯნაზე მათ კატეხისა და მუხახის წყლებს შორის მთისწინეთი ჰქონდათ დაკავებული. XVII ს-ის 60-70-იან წლებამდე ჭარელები კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ, შემდეგ, ირანელი ხანებისგან ზურგგამაგრებულმა ამ უბატონო თემებმა თავის სარჩენად კახეთის ძარცვა-რბევა იწყეს. XVIII ს-ის დასაწყისიდან მათ ახალი ტერიტორიების დაპყრობასაც მიჰყვეს ხელი და რამდენიმე წელში ელისენი დაიკავეს. ყოფილი ელისენის სამოურავო ჭარ-ბელაქნელთა სამფლობელოდ გადაიქცა მაჭისწყლიდან ყაფუ-ჩაიმდე და ალაზნიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე. 1727 წელს თურქეთის სულტანმა საგანგებო ფირმანით მათ კახეთის მიტაცებული მიწები სამუდამოდ დაუმტკიცა. ტერიტორია მაჭის წყლის დასავლეთით გავაზისწყლამდე, ანუ ჭიაურის სამოურავო, სრულიად დაცარიელდა ლეკთა თავდასხმების შედეგად.

ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისით, კაკ-ელისენი კახეთის შემადგენელ ნაწილებად რჩებოდა. მართალია, იქ „აწინდელთა ჟამთა დაეშენნენ ჭარელნი“, მაგრამ ნადირ-შაჰმა (1736-1747 წწ.) მათ მუსრი გაავლო და მიწაწყალიც „ოჴერ არს“.

სპარსელთა დამსჯელი ლაშქრობების შემდეგ ჭარ-ბელაქანი თეიმურაზსა და ერეკლეს გადაეცა, მაგრამ მალევე დაიკარგა. დროდადრო ერეკლე

II ახერხებდა იქ თავისი ძალაუფლების აღდგენას; ამიტომაც იმდროინდელი უცხოელი მოგზაურები ჭარ-ბელაქნის სოფლებს კახეთს მიათვლიდნენ ხოლმე. აი, რას წერდა XVIII ს-ის 80-იან წლებში რუსეთის რეზიდენტი იაკობ რაინეგსი: „ნადირ-შაჰმა მთლიანად გაანადგურა ჭარი და ბელაქანი, ბევრი მოსახლე ამოწყვიტა და გეორგიის მმართველს თეიმურაზ-ხანს დაუბრუნა მისი ეს ძველი საკუთრება. მაგრამ, რადგანაც ქართველებმა ეს მხარე ვერ დაიმორჩილეს, ხოლო ნადირ-შაჰიც მოკლეს, ძველი მცხოვრებლები კვლავ დაეპატრონენ თავის საკუთრებას და ახლაც არავინ აწუხებს იქ, თუმცა გეორგიის მეფის უფლება ამ მხარეზე ასე ეჭვმიუტანელია“.

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ჭარ-ბელაქანი უძველესი კახური მიწა-წყალი იყო და de jure - ის საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას წარმოადგენდა. სწორედ ამ შეხედულების გამოძახილი უნდა იყოს ის, რომ ბურნაშევის 1784 წ. რუკაზეც და იოანე ბაგრატიონის 1799 წ. აღწერაშიც კაკელისენი ქართლ-კახეთის საზღვრებშია მოთავსებული. მაგრამ რეალობა განსხვავდებოდა თეორიისგან; რუსული მმართველობის დამყარების მომენტისთვის (1801 წ.) ჭარ-ბელაქანი საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩა.

სამხრეთის საზღვრები

სამხრეთით საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს მაჰმადიანი მეზობლებისგან ჯერ მტკვარი, ხოლო შემდეგ დებედას ხეობა გამოყოფდა. „აჯისუს ვიდრე მტკვრის შესართავამდე, მას ქვემოთი მტკვარს გაღმართი ვიდრე შაქისის საზღვრამდე“ კახეთის სამეფოს სამხრეთი მიჯნა ყოფილა. აჯი-სუ (მწარე წყალი) პატარა წყალია, რომელიც აღსტაფის ქვემოთ ერთვის მტკვარს. აქედან საზღვარი მტკვარს დაუყვებოდა, დაახლოებით იმ ადგილამდე, სადაც მას ალაზანი უერთდებოდა. ეს სექტორი შედარებითი სტაბილურობით გამოირჩეოდა.

ცვალებადი იყო ვითარება დებედას ხეობაში. XVII ს-ის დასაწყისში მას ხელი შაჰ-აბას I-მა დასდო, რათა ჰქონოდა „შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა“. 1604 წელს შაჰმა ქართლის მეფეს ლორე ჩამოართვა, სახანოდ გარდაქმნა და ადგილობრივ გამაჰმადიანებულ ფეოდალს ჩააბარა; დებედას ქვემო წელზე ბორჩალუს მომთაბარე თურქმანული ტომი ჩამოასახლა და აღჯაყალის ირანელ ციხისთავს დაუმორჩილა. საზღვრების მორღვევამ ქართლის სამეფოს თავდაცვითუნარიანობასა და დამოუკიდებლობას მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა.

სახანოების ტერიტორიაში შედიოდა მდ. ბამბაკის წყლის ხეობა, მდ. ძორაგეტის ქვემო წელი და დებედას მარჯვენა სანაპირო, დაახლოებით სანაინიდან შესართავამდე. როსტომ ქართლის მეფის (1633-1658 წწ.) ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ტაშირზე (მდ. ძორაგეტის ხეობა ლორეს ციხემდე)

ლორეს ხანს ხელი არ მიუწვდებოდა. „დასტურლამალი“ და სხვა იურიდიული ძეგლები ერთმნიშვნელოვნად მოწმობს, რომ ტაშირი ქართლის მეფის სამოურავო ქვეყანას წარმოადგენდა.

ახპატის მონასტერიც მდ. დებედას მარჯვენა სანაპიროზე ლორეს ხანის იურისდიქციის მიღმა რჩებოდა. „ლორეს მებატონეს ახპატთან საქმე არა აქუს“ — ნათქვამია ერთ საბუთში. ითვლებოდა, რომ „ახპატის ეპისკოპოსი არს მეფისა, და მამულიცა იმისი – მეფისა“. ეს მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცხოვრების ცენტრი ქართლის მეფეთა მფარველობით სარგებლობდა; მისი მღვდელმთავრის დასმის განსაკუთრებული უფლებაც მხოლოდ ქართველ მეფეებს ჰქონდათ. საეკლესიო სამართლის ეს წესი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს და დავით ბაგრატიონს (1767-1819 წწ.) აღუნიშნავთ, საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები ლორე-ბორჩალოს სახანოებსა და ქართლის სხვა თემებს შორის იმდენად მჭიდრო იყო, რომ სპარსეთის შაჰის სულთან ჰუსეინის (1694-1722 წწ.) ფირმანებში ლორეს მხარე „ქართლის საქართველოს საზღვრებში“ მოიაზრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის „ატლასში“ საინტერესო მონაცემებია დაცული ლორე-ტაშირის ეთნიკური შემადგენლობისა და იქ მიმდინარე აკულტურაციის პროცესის გარკვევისა. რუკებზე დადასტურებული წმინდა ქართული წარმომავლობის ტოპონიმებთან – „წყაროსოფელი“, „ნასოფლარი“, „ჭალისსოფელი“, „მწყნეთი“ და სხვ. — ერთად ყურადღებას იპყრობს ისეთი სახელწოდებები, რომელთა ძირი თათრულია ან სომხური, ხოლო სუფიქსად ქართული „სოფელი“ აქვთ დართული: „დერზიოღლისსოფელი“, „სააკასსოფელი“, „სულეიმანისსოფელი“, „აკოფასსოფელი“ და ა.შ. ამ ტიპის ტოპონიმები აშკარად მიუთითებს არაქართული ელემენტის ქართულ ეთნოკულტურულსა და სამართლებრივ სივრცეში შემოყვანის მცდელობაზე.

1723 წელს ამიერკავკასიაში შემოჭრილმა თურქებმა ლორესა და ბორჩალოს სახანოები ბაქარ ვახტანგის ძეს დაუმტკიცეს. ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიასა“ და რუკებზე, ასევე, დელილის რუკაზე, მთელი დებედას ხეობა ქართლის სამეფოს ფარგლებშია ნაჩვენები.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ლორე-ტაშირი ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა. ლეკთაგან დარბეულ-აოხრებულ ამ მხარეში მოსახლეობის უმრავლესობას მომთაბარე ელები და სომხები შეადგენდნენ, მაგრამ ქვეყანა ქართული იყო: მასზე ვრცელდებოდა მეფის ხელისუფლება, ადმინისტრაცია და სამართალი, მოსახლეობა იხდიდა სახელმწიფო და სხვა გადასახადებს, გამოდიოდა სამეფო ლაშქარში; აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ფენის „გაქართველება“, ქართულ კულტურასთან თანაზიარება: ლორეს მელიქებისათვის სამოქალაქო ურთიერთობის ენა ქართული იყო, ქართულ ენაზე წარმართავდნენ გარიგებებს სომხური წრიდან გამოსული ლორელი ვაჭრები; სამეფო კარზე თუ საპატიო სტუმრების მიღებისას ქართული ენის ცოდნით

თავს იწონებდნენ სომეხი ვარდაპეტები. დამახასიათებელია, რომ ერეკლე II-ის თანამედროვე სომეხი მოღვაწეებიც (სომეხთა კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი, არტემ არარატელი) ბამბაკსა და ლორე-ტაშირს ქართულ ქვეყნებად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ თანადროული პოლიტიკური ვითარების გამო (ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებშია, საქართველოს ქვეყნებია), არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც.

„ოსმალობამ“ და „ლეკიანობამ“ ქვემო ქართლის პროვინციები, მათ შორის ლორე-ტაშირი, ძლიერ გააპარტახა. მოსახლეობა საქართველოს სხვა მხარეში, ან მეზობელ ქვეყნებში გაიხიზნა. 1770 წლის დემოგრაფიული დავთარი ამ მხრივ მეტად მეტყველია: „არს ბორჩალო და ფამბაკის ჴეობა, ერთი მთელი სახანო, ამისი კაცი მრავალი დაფანტულა სხვას თემში და ახლა არის ორი ათას ხუთას სამოცი, სომხით. არს ყაზახი, ერთი მთელი სახანო; და მრავალი ამისი კაცი სხვის ქვეყანებში არის დაფანტული და დღეს არის სამი ათას ხუთასი. და სომეხიც არის ყაზახის ათას ორასი. არის შამშადილუ, ერთი მთელი სახანო, ამაში მკვიდრობს თათარი ორი ათას ორასი. სომეხიც არის ათას ორასი... არს აოხრებული ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა, ფრიად კეთილი და სოფელი მრავალი. არს აოჴრებული ტაშირი... არს აოჴრებული სრულიად სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი, და ამისი აყრილი კაცი ორმოცისგან ერთი თუ დარჩომილა (ანუ მოსახლეობის 2.5% რჩებოდა – ავტ). ერთმანერთში არიან ხიზნად. არს საბარათისშვილო, აოჴრებული ქვეყანა დიდი და კეთილი, ამისი კაცი ასისგან ერთი თუ დარჩომილა სადმე (ე.ი. 1% - ავტ.), ერთმანერთში არიან ხიზნად“. დაცარიელებულ ადგილებში ყარაბაღიდან გადმოსახლებული სომხები დასახლდნენ. სომხების შემოხიზვნა XIX ს-შიც გრძელდებოდა. დემოგრაფიული ვითარების რადიკალურმა ცვლილებამ შედეგი XX საუკუნის დასაწყისში გამოიღო.

დოკუმენტში ქართლ-კახეთის სამეფოს პროვინციებს შორის ყაზახ-შამშადილოცაა დასახელებული. ეს ძველი გარდაბანია, იგივე ხუნანის საერისთავო (დებედა-ძეგამს შორის ტერიტორია), რომელიც თურქმან მომთაბარეთა მოძალების გამო საქართველომ XIV-XV სს. მიჯნაზე დაკარგა.

1722 წელს სპარსეთის შაჰმა ორივე პროვინცია საგამგეოდ კონსტანტინე II კახთა მეფეს (1722-1732 წწ.) გადასცა; 1723 წელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოჭრილმა ოსმალებმა ყაზახ-შამშადილო ვახტანგ VI-ის ძმას, იესე ბაგრატიონს, უწყალობეს. ეს მიწები თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ შემოიმტკიცეს. ცნობილია, რომ განჯის ხანმა ერეკლეს შამშადილოს ქვეყანა ათას ხუთასი თუმნის გირაოდ მიართვა 1750 წელს. გარიგების მიუხედავად, განჯის ხანები ხელს არ იღებდნენ ყაზახ-შამშადილოზე. ერთ დოკუმენტში ერეკლე II შამშადილოს ელებზე აღნიშნავს, რომ „ესენი ზოგჯერ განჯისთვისა დაგვინებებია, რადგანაც იმაზე ახლოს არის, მაგრამ იმისი ყმა არ ყოფილა“.

ყაზახ-შამშადილო დიდად ფასობდა როგორც ეკონომიკურად ძლიერი, ხორბლეულით მდიდარი ქვეყანა. იქ, ძირითადად, მომთაბარე ელები სახ-

ლობდნენ. ისინი კარგი მეომრები იყვნენ, მაგრამ ცხოვრების მომთაბარული წესისა და მაჰმადიანური რჯულის გამო, ზოგჯერ, ცენტრალურ ხელისუფლებას ეურჩებოდნენ, თავიანთი მიწაწყლიდან იყრებოდნენ და თავს მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებს აფარებდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოში შემოდიოდა მდ. ახურიანის სათავეებში მდებარე ყაიყულიც, ძველი აბოცი. ქვემო ქართლის სამხრეთი თემების მსგავსად, ისიც სამეფო-სამოურავო ქვეყანას წარმოადგენდა. უმაღლესი ხელისუფალნი განსაკუთრებით ზრუნავდნენ მის მოშენება-გაძლიერებაზე. მეფის ბრძანებით, „ყაიყულელი ასეთი ხასი ყოფილა, რომ მესისხლე კაცი რომ შესულიყო, იმისი გამოყვანა არა კაცს არ შეეძლო“.

ამრიგად, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის მეფობის ხანაში საქართველოს შემადგენლობაში მთელი ისტორიული ქვემო ქართლი გაერთიანდა. ასეა აღნიშნული ბურნაშევის 1784 წლის რუკაზეც.

ქართული სახელმწიფოს საზღვრებში სომხური პროვინცია შორაგელიც — ყოფილი შირაკის (ანისის) ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი — აღმოჩნდა. XVIII ს-ის II ნახევრის ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის მონათხრობით, ის ერეკლე II-მ შემოიერთა XVIII ს-ის 80-იან წლებში. სხვა ცნობებით, აღნიშნული სომხური თემი ქართველ მეფეებს სჭერიათ, შემდეგ ერეკლე II-ს ერევნის ხანისთვის უწყალობებია, მაგრამ მოგვიანებით მასზე განრისხებულა და წაურთმევია. ქართლ-კახეთის სამეფოში შორაგელი სამოურავო ქვეყანა იყო. მისი კუთვნილების საკითხი განხეთქილების ვაშლად იქცა ერევნის სახანოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის.

ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელი სახანოები (ერევნის, განჯის, ნახჭევნის) ყმობდნენ; ამიტომაც ოფიციალურ მიმოწერაში ერეკლე II თავისი სამფლობელოების სამხრეთ საზღვარს მდ. არაქსზე უჩვენებდა.

სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი სასაზღვრო მხარე, მესხეთი და ჭანეთი, ორ აგრესიულ სახელმწიფოს – თურქეთსა და ირანს — შორის იყო მოქცეული. XV ს-ის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ირანულ სახელმწიფოებთან საზღვარი მტკვარ-არაქსისა და ჭოროხ-არაქსის წყალგამყოფ მთებზე გადიოდა. ამავე სექტორში ქართული სახელმწიფოებრიობის ნაწილს პალაკაციო (ჩილდირის ტბის ქვაბური) და ბასიანი (არაქსის ზემო წელის მარცხენა სანაპირო) წარმოადგენდა.

1461 წლიდან საქართველოს შავ ზღვაზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ოსმალეთი გაუმეზობლდა. საზღვარს, ტრადიციულად, რკინის პალოსთან (დღევ. ქემერი) უჩვენებდნენ. იქიდან გამყოფი ხაზი სამხრეთით ჩადიოდა, ჭოროხს

მიადგებოდა და ისპირსა და ბაიბურთს შორის გაივლიდა, შემდეგ კი ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფს მიუყვებოდა. ევფრატის სათავეებში, არზრუმის ჩრდილოეთით, მდებარეობდა პატარა თემი გურჯი ბოღაზი, ანუ ქართველთა ყელი. XV-XVI სს. მიჯნაზე ისიც სამცხე-საათაბაგოს მიეკუთვნებოდა.

მესხეთს ჯაყელები ფლობდნენ, აჭარასა და ჭანეთს – გურიელები.

შინააშლილობამ და ირან-თურქეთის დაპირისპირებათა ასპარეზად გადაქცევამ მესხეთისა და ჭანეთის ბედი მეტად ტრაგიკულად წარმართა. 1514 წელს სპარსეთიდან ტრიუმფით მობრუნებულ ოსმალთა სულთანს სამცხის ათაბაგი მიეგება და მშვიდობის სანაცვლოდ სპერი და ისპირის ციხე გადასცა. მაგრამ თურქები ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათ კავკასიაში გაბატონება და იქიდან სპარსელების განდევნა სწადდათ. XVI ს-ის 40-იანი წლებიდან მესხეთისა და ჭანეთის დაპყრობა განახლდა. 1545 წელს ოსმალებმა ბასიანში, სოხოისტას ველზე, ქართველი მეფე-მთავრები დაამარცხეს; გზა ტაო-კლარჯეთის დასაპყრობად ხსნილი იყო. სამხედრო ტექნიკის, რიცხობრივი უპირატესობისა და დისციპლინის წყალობით მათ ზედიზედ აიღეს საქართველოს ციხესიმაგრეები. 1553 წლისთვის მთელი ჭოროხის ხეობა მტრის ხელში იყო.

პარალელურად, თურქებმა ზღვიდანაც მიიტანეს იერიში. 1547 წელს ისინი ბათუმს მოადგნენ, მაგრამ გურიის მთავარმა მომხვდური ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე გადარეკა. სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა გაერთიანება და ზღვიდან და ხმელეთიდან მტერზე შეტევა ვერ მოხერხდა. გათამამებული ოსმალები „მივიდნენ გონიასა და ციხეს დაუწყეს შენება. დაიწყეს სიმაგრე ოსმალთა და ჭანეთი ამოსწყუტეს, წაართუეს გურიელსა და თუთ დაიჭირეს“ (ბერი ეგნატაშვილი, XVIII ს-ის I ნახ. ისტორიკოსი).

ამრიგად, XVI ს-ის შუახანებისათვის საზღვარმა ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ჭოროხის შესართავთან გადმოიწია, აქედან ის მესხეთის ქედს გასდევდა, შემდეგ — არსიანის ქედს. მტკვრის სათავეები, კოლა, ოსმალეთს რჩებოდა.

1578 წელს ოსმალებმა განაახლეს ომი სამხრეთ კავკასიაში. მათ ადვილად დაიმორჩილეს შინაომებით ძალაგამოცლილი სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილიც და მთელი მესხეთის დაპყრობაც დაასრულეს. ოსმალეთის იმპერიის საზღვარმა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან არსიანის ქედიდან ჯავახეთის მთებამდე გადაიწია, მთლიანად მოიცვა მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის სამხრეთი კალთები, მტკვრის ხეობაში კი ახალდაბამდე წაიწია. 1639 წელს მტკვრის მონაკვეთი ახალდაბიდან დვირამდე (ისტორიული თორი) ქართლის სამეფომ შეიერთა. მერყევი იყო საზღვრის მონაკვეთი ფარავან-ტაბაწყურის ტბების ხაზზეც.

დაპყრობილი ქართული მიწაწყალი ოსმალებმა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს — ახალციხის (ჩილდირის), არზრუმის, ყარსისა და ტრაპიზონის ვილაიეთებს — შორის გადაანაწილეს. ჭანეთი მთლიანად

ტრაპიზონის ვილაიეთში შევიდა, ხოლო მესხეთის დიდი ნაწილი ახალციხის ვილაიეთში (საფაშოში) გაერთიანდა. 1627 წლიდან ჩილდირის ვილაიეთს განაგებდა სულთნის მოხელე, ფაშა, რომელიც გამაჰმადიანებულ ჯაყელთა საგვარეულოდან ინიშნებოდა. ოსმალებმა ყველგან საკუთარი წეს-წყობილება დანერგეს და ძალდატანებით დაიწყეს ისლამის გავრცელება.

ბათუმისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკითხი

თურქებს დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის უშუალო დაპყრობაც ჰქონდათ განზრახული. ჯერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოს მათ დაიკავეს ბათუმი, ფოთი, ცხუმი და იქ საბეგლარბეგოები შექმნეს. მაგრამ წარმატება დღემოკლე აღმოჩნდა: სულ მალე ცხუმი შარვაშიძეებმა გაათავისუფლეს, ხოლო ფოთი და ბათუმი დადიანმა და გურიელმა დაიბრუნეს.

ბათუმის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდა ორივე მხარე. მისი საბოლოო დაპყრობა ოსმალებმა მხოლოდ 1703 წელს მოახერხეს. ბათუმთან ერთად მათ ჩაქვიც აიღეს. XVIII ს-ის I მეოთხედში თურქებმა გეგმაზომიერად დაიწყეს საქართველოს სანაპირო ზოლის ინკორპორაცია: გურიის სამთავროს ჩამოაჭრეს ციხისძირი, ქობულეთი, შეკვეთილი, სუფსა და გრიგოლეთი; ოდიშის სანაპიროზე დაიკავეს ფოთი, ანაკლია, რუხი; გარნიზონები ჩააყენეს ცხუმში (აფხაზეთის სამთავრო). შავი ზღვის სანაპირო ზოლში თურქული ადმინისტრაციული წეს-წყობილება შემოიღეს: ბათუმი და მისი შემოგარენი სანჯაყად გარდაქმნეს და ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთეს, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროების ოკუპირებული ტერიტორიები ფოთისა და სოხუმის ფაშებს დაუქვემდებარეს.

XVIII ს-ის 70-იან წლებში ოსმალებმა ხინოსა და ქობულეთის თემები დაიპყრეს, ბათუმის სანჯაყს მიათვალეს და საზღვრად მდინარე ჩოლოქი დასდეს.

ამის შემდეგ 1918 წლამდე თურქთა შემოსევები საქართველოს ტერიტორიაზე აღარ განახლებულა.

სხვათა მფლობელობასა ქვეშე

XIX საუკუნე

1801 წელს ახალ საუკუნეს ქართლ-კახეთის სამეფო უმეფოდ შეხვდა. მეფე გიორგი XII 1800 წლის დეკემბრის ბოლოს გარდაიცვალა. მისი უფროსი ვაჟი და მემკვიდრე დავითი ტახტს ვეღარ ეღირსა. 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობათა სრული იგნორირებითა და დარღვევით იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წ. 12 სექტემბერს გამოსცა მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიის გუბერნიად იქცა (მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ პეტერბურგში შემუშავდა ჯერ კიდევ გიორგი მეფის სიცოცხლეში 1800 წლის 18 დეკემბერს; სამეფოს გაუქმება შეაფერხა იმპერატორ პავლეს მკვლელობამ 1801 წლის 12 მარტს). ქართლ-კახეთში დამყარდა რუსული სამხედრო-საოკუპაციო მმართველობა, რომელსაც სათავეში ედგა „საქართველოს მთავარსარდალი“ (იგივე „მთავარმმართველი“), მის მოადგილედ ითვლებოდა „საქართველოს მმართველი“. ქართლ-კახეთი დაიყო 5 მაზრად — გორის, ლორეს, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის, და ე.წ. საუბნო ანუ „სადისტანციო“ ერთეულად, რომელშიც ძირითადად „თათრები“ ცხოვრობდნენ (ბორჩალო, შამშადილი, ყაზახი, ბამბაკი, შორაგალი). საზღვარი ერევნის სახანოსთან (ირანთან) მტკვარ-არაქსის წყალგამყოფზე გადიოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთის იმპერიამ ენერგიულად იწყო კავკასიის დაპყრობა. 1803 წლის შემოდგომაზე რუსეთის მფარველობაში შევიდა სამეგრელოს სამთავრო, რომელსაც საშინაო თვითმმართველობა შეუნარჩუნდა (გაუქმდა 1857 წ.). 1810 წელს რუსეთმა დაიპყრო იმერეთის სამეფო, 1829 წელს გააუქმა გურიის, 1857 წელს — სვანეთის, ხოლო 1864 წელს — აფხაზეთის სამთავროები.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერია ცდილობდა, საბოლოოდ დამკვიდრებულიყო კავკასიაში და გაეფართოვებინა თავისი საზღვრები სამხრეთის მიმართულებით, კერძოდ, ჩამოეჭრა მიწები ირანისა და ოსმალეთისათვის, რაც მან საბოლოოდ მოახერხა კიდეც.

1804 წელს დაიწყო რუსეთის ხანგრძლივი ომი ირანთან, რომლის დროსაც რუსებმა აიღეს და შეიერთეს განჯის სახანო (1804), მოგვიანებით, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს ყარაბაღის, შაქისა და შარვანის სახანოებმა. 1806 წელს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ბაქო, ხოლო 1812 წელს — ქ. ლენქორანი. ირანი იძულებული გახდა, საზავო მოლაპარაკებებზე წასულიყო. 1813 წლის ოქტომბერში სოფ. გულისტანში დადებული ზავით, ირანმა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი და აზერბაიჯანული სახანოები რუსეთის საკუთრებად აღიარა. 1826 წელს ირანმა კვლავ წამოიწყო ომი რუსეთის წი-

ნააღმდეგ, მაგრამ ამ ომშიც დამარცხდა და 1828 წელს ნახჭევანისა და ერევნის სახანოებიც რუსეთის ხელში გადავიდა.

რუსეთ-ირანის 1804-1813 წწ. ომის პარალელურად რუსეთის იმპერიას 1806-1812 წწ. ომი ჰქონდა გაჩაღებული ოსმალეთთანაც. ამ ომის დროს რუსებმა ქართველი მეომრების აქტიური მონაწილეობით აიღეს ფოთი (1809 წ), სოხუმი (1810 წ.) და ახალქალაქი (1811 წ.). 1812 წლის მაისში ქ. ბუქარესტში დადებული ზავით, რუსეთმა ახალქალაქი და ფოთი დათმო, თუმცა, შეინარჩუნა იმერეთი და აფხაზეთის სამთავრო.

საქართველოს ისტორიული მიწაწყლის შემოერთების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1877-1878 წლების ომები.

1828 წლის აპრილში ოსმალეთთან დაწყებული ომი წარმატებული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიისთვის — მან კიდევ უფრო გააფართოვა თავისი საზღვრები სამხრეთის მიმართულებით, მაგრამ ეს გაფართოვება და გაზრდა იმპერიის ტერიტორიისა გუბერნიად გადაქცეულ საქართველოს უერთებდა ოსმალთაგან მიტაცებული ძირძველი ქართული მიწაწყლის ნაწილს — სამცხე-ჯავახეთს. 1828 წლის აგვისტოში გენერალ პასკევიჩის ჯარებმა აიღეს ახალქალაქი და ახალციხე, თურქები განიდევნენ აწყურ-არტაანიდან. სულ მალე ქართველი გენერლის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, მეთაურობით რუსებმა დაიკავს ბაიაზეთის საფაშო, ერთი წლის შემდეგ, 1829 წლის აგვისტოში, აიღეს ფოთი. რუსთა ჯარის გამარჯვებებში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ქართველმა მოლაშქრეებმა და სარდლებმა, რომლებიც ყველა ბრძოლაში მონაწილეობდნენ და მამაცურად ირჯებოდნენ. ქართველთათვის, რასაკვირველია, განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყო იყო ის, რომ ისინი იბრძოდნენ ქართულ მიწაზე და იბრძოდნენ ამ მიწის დედასამშობლოსთან შემოერთებისათვის. მართალია, მესხეთის (ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდება) ნაწილი — სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების სახელწოდებით - შეუერთდა არა ქართულ სამეფოს, არამედ რუსეთის იმპერიის მიერ გუბერნიად ქცეულ საქართველოს, ამ ფაქტს მაინც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა — ეს ტერიტორია თავის მშობელ ორგანიზმს ერწყმოდა. ცხადია, ქართველობა ზეიმობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მალე შემოერთებული ტერიტორიიდან – (ქობლიანი [ქვაბლიანი], აბასთუმანი [ოძრხე], ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ჭაჭარაქი, ახალქალაქი) – ერთი მხრივ, რუსული რეჟიმის პოლიტიკისა და, მეორე მხრივ, ოსმალეთის პროპაგანდის გავლენით, ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აიყარა და ოსმალეთის შიდა პროვინციებში გადასახლდა. ამას სავალალო შედეგები მოჰყვა ეთნო-დემოგრაფიული თვალსაზრისით. გრაფმა პასკევიჩმა აქ გადმოსახლების უფლება არ მისცა დასავლეთ საქართველოს მცირემიწიან ქართველობას და, სამაგიეროდ, ისტორიულ ქართულ მიწაზე ოსმალეთში მცხოვრები 30 ათასი სომეხი ჩამოასახლა. იქვე თა-

ვისუფლად სახლდებოდნენ ბერძნები და ებრაელები. რუსეთის გამიზნული ანტიქართული პოლიტიკის შედეგად, ქართული მოსახლეობა, რომელიც აქ უმრავლესობას შეადგენდა (90%-ზე მეტი), ახლა უმცირესობაში, ხოლო სომხობა უმრავლესობაში აღმოჩნდა — 1830 წლისთვის ახლადშექმნილ ახალციხის ოლქში მცხოვრები 38.730 სულიდან 25.545 სომეხი იყო, მაჰმადიანი ქართველი - 10 ათასზე ოდნავ მეტი, ხოლო ქრისტიანი ქართველი - სულ 1.859! აქ შემოსულ არაქართულ მოსახლეობას რუსეთის ადმინისტრაცია ფინანსურ-ეკონომიკურ დახმარებასაც უწევდა და ხელს უწყობდა სამეურნეო საქმიანობაში.

ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი კვლავ ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთ-თურქეთის ახალი ომის წყალობით, ეს ტერიტორიაც, თითქმის მთლიანად, რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ბალკანელი სლავების ანტითურქული მოძრაობის ახალი ეტაპი. 1875 წ. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში დაწყებულ ანტიოსმალურ აჯანყებას მალე შეუერთდნენ სერბეთი, ჩერნოგორია და ბულგარეთი. რუსეთის ხელისუფლებამ, რომლის დიდი ხნის ოცნება იყო, ხელში ჩაეგდო შავი ზღვის სრუტეები და თურქები განედევნა ბალკანეთიდან, 1877 წლის 24 აპრილს ომი გამოუცხადა ოსმალეთის იმპერიას. ამ მოვლენას, ბუნებრივია, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ბალკანეთის სლავები, მაგრამ მან არანაკლები თანაგრძნობა გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილშიც. ქართველობა იმედოვნებდა, რომ რუსეთის გამარჯვება ამ ომში თურქთა ბატონობისაგან გაათავისუფლებდა ამ იმპერიის საზღვრებში დარჩენილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და საქართველო აღადგენდა ისტორიულ საზღვრებს. მართალია, ეს ისტორიული ქართული მხარეც რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცეოდა, მაგრამ, მაინც დედასამშობლოსთან იქნებოდა შეერთებული. ქართველთა ამ იმედზე და ომით გამოწვეულ სიხარულზე მიუთითებს არამხოლოდ იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, გამოჩენილ მოღვაწეთა მოწოდებები, არამედ ის დიდი ენთუზიაზმი, რომლითაც ქართველები ეწერებოდნენ ჯარში. ომის მსვლელობისას კავკასიის ფრონტზე გაიგზავნა 60 ათასამდე ჯარისკაცი. აქედან 30 ათასი ქართველი მოლაშქრე იყო! ქართველები ქართული მიწაწყალის დაბრუნებისთვის იბრძოდნენ. უბრალო ქართველი მეომრების, ოფიცრებისა და გენერლების სიმამაცე ყველასთვის მისაბაძი იყო და მას რუსი სარდლებიც აღნიშნავდნენ.

1878 წლის იანვრის ბოლოს, ბულგარეთში მოპოვებული რამდენიმე გამარჯვების შემდეგ, რუსეთის არმიამ გეზი უშუალოდ კონსტანტინოპოლისკენ აიღო. წარმატებით მიიწევდნენ წინ რუსულ-ქართული ნაწილები კავკასიის ფრონტზეც. ოსმალეთის სულთანს ისღა დარჩენოდა, რომ საზავო მოლაპარაკება ეთხოვა. ზავი დაიდო ქ. სან-სტეფანოში 1878 წლის 3 მარტს.

ამ ზავით დამოუკიდებლობა მოიპოვეს ბულგარეთმა, სერბეთმა, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა; რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწაწყალი.

სან-სტეფანოს ზავი რამდენიმე თვის შემდეგ გადაისინჯა ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნით გამართულ ბერლინის კონგრესზე, რომელიც 1878 წლის ივლისში ჩატარდა. რუსეთის იმპერიას ზოგიერთ დათმობაზე მოუხდა წასვლა. კერძოდ, დავის საგნად იქცა ბათუმის საკითხიც და ის რუსეთს მხოლოდ პორტო-ფრანკოს (თავისუფალი პორტი) სტატუსით გადაეცა (ასეთად რჩებოდა ის 1886 წლამდე.) ამავე დროს, ბერლინის კონგრესმა დაადასტურა და დააკანონა რუსეთის შემადგენლობაში ქართული ისტორიული მხარეების — აჭარის, შავშეთის, კლარჯეთის, იმერხევის, კოლა-არტაანის და ოლთისის — შესვლა. ქართული მიწები — ოლთისის ხეობის ზემო წელი, თორთომი, სპერი, პარხალი, ლივანას (ძვ. ლიგანი) ნაწილი და ჭანეთი (ლაზეთი) — ოსმალებს დარჩათ.

***

საბოლოოდ, დაპყრობილი საქართველო გაერთიანდა 1846 წელს შექმნილ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში (მანამდე საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები ერთიანდებოდნენ საქართველო-იმერეთის გუბერნიაში), რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ მაზრებად, ოლქებად და ოკრუგებად. 1849 წელს ახლადშექმნილ ერევნის გუბერნიას თბილისის გუბერნიიდან გადაეცა ერევნის, ნახჭევნისა და ალექსანდროპოლის მაზრები. ეს უკანასკნელი შორაგელსა და ბამბაკ-ლორეს მოიცავდა. 1862 წ. ლორის ველი კვლავ თბილისის გუბერნიას დაუბრუნდა (შედიოდა როგორც უბანი ბორჩალოს მაზრაში), მაგრამ შორაგელი და ბამბაკი ერევნის გუბერნიაში დარჩა. 1918 წლამდე გუბერნიებს ამ სექტორში ბეზობდალის მთები საზღვრავდა.

1913 წელს, ერთიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქის შექმნის საბაბით, სომეხმა ნაციონალისტებმა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების (ისტორიული ქვემო ქართლისა და ჯავახეთის) თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა და ერევნის გუბერნიასთან შეერთება მოითხოვეს, მაგრამ, ეკონომიკური და გეოგრაფიული მოსაზრებების გამო, საგანგებო კომისისგან უარი მიიღეს.

1840 წელს თბილისის მაზრას ჩამოაცილეს „თათრებით“ დასახლებული ყაზახ-შამშადილის დისტანცია და ელისავეტოპოლის (განჯის) მაზრას შეუერთეს. 1868 წელს ყაზახ-შამშადილი ყაზახის მაზრის სტატუსით ახლადშექმნილ ელისავეტოპოლის გუბერნიაში შევიდა.

ტერიტორიები დაკარგა საქართველომ ჩრდილოეთითაც, კერძოდ, მას ჩამოაჭრეს დვალეთი, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე და რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგაც საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. კავკასიის მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკის 1858 წ. 3 აპრილის ბრძანებით, დვალეთი (ნარას უბანი), რომელიც

თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა (3.581 კმ^2.), შეუერთდა ჩრდილოეთ კავკასიის თერგის ოლქის ოსეთის სამხედრო „ოკრუგს“. ამავე „ოკრუგს“ გადაეცა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის მამისონის უბნის ნაწილი. ეს ტერიტორია დღემდე ჩრდილოეთ ოსეთის, ანუ რუსეთის სახელმწიფოს, შემადგენლობაშია.

XIX საუკუნეში, რუსეთის მმართველობის დროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთიანდებოდა ისტორიული ჰერეთის (შემდეგში კახეთის) ნაწილი, რომელიც საინგილოს სახელით არის ცნობილი. 1803 წ. რუსეთის ქვეშევრდომი გახდა ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო. 1830 წ. ეს ტერიტორია უშუალოდ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჭარ-ბელაქნის ოლქის სახელწოდებით. 1840 წ. შეიქმნა ბელაქნის მაზრა, რომელიც საქართველო-იმერეთის გუბერნიაში გაერთიანდა. მოგვიანებით შეიქმნა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი. 1860 წ. ეს მხარე გაერთიანდა ზაქათალის „ოკრუგში“ (ზაქათალამ ქალაქის სტატუსი მიიღო 1851 წ.) და დაექვემდებარა დაღესტნის ოლქს (დროდადრო ის თბილისის გუბერნიასაც ექვემდებარებოდა). ყოფილი ელისუს სასულთნოს ნაწილი შეუერთდა სამურის ოკრუგს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი აზერბაიჯანის სსრ შემადგენელი ნაწილი გახდა.

1883 წ. ბათუმი და მისი ოლქი (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი) ქუთაისის გუბერნიაში შევიდა, ხოლო 1906 წ. ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა. კოლა-არტაანი სამცხე-ჯავახეთის ნაწილით (კერძოდ, ფოცხოვისა და ჩილდირის უბნებით) და ტაოს შემოერთებული მიწები (ოლთისი და ტაოსკარი) რუსულმა ხელისუფლებამ ყარსის ოლქს მიაკუთვნა.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1864წ.) შეიქმნა სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციული ერთეული — სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც, ისევე, როგორც 1883 წელს შექმნილი სოხუმის ოკრუგი, შევიდა ქუთაისის გუბერნიაში. სოხუმის ოკრუგი მოიცავდა დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თითქმის მთელ ტერიტორიას და მისი საზღვარი რუსეთის იმპერიის შავიზღვისპირეთის ოკრუგთან (შემდგომში გუბერნიასთან) გადიოდა გაგრის ქედზე. 1904 წ. საქართველომ აქაც ნახა ტერიტორიული ზარალი — ამ ოკრუგს ჩამოაჭრეს ე.წ. გაგრის ზონა და ის შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოჭის ოკრუგს მიუერთეს. გაგრისა და მიმდებარე ტერიტორიების საქართველოსთვის დაბრუნება მხოლოდ 1917 წლის მიწურულს გახდა შესაძლებელი.

ამდენად, ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობის შემდეგ, მთელი XIX ს. განმავლობაში, რუსეთის იმპერია თავისი სურვლისა და მოსაზრებების მიხედვით „ჭრიდა“ და „კერავდა“ ან უკვე მისი კუთვნილი გუბერნიებისა და ოკრუგების ტერიტორიებს და ცვლიდა საზღვრებს. ამ „ჭრა-კერვის“ შედეგები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის, თუმცა, ისტორიული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების ნაწილის სამშობლოსთან შემოერთებაც უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

დამოუკიდებლობის სამი წელი და კვლავ სხვათა მფლობელობასა ქვეშე

საზღვარი თურქეთთან

1914-1918 წწ. მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები მოხდა. პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და იმავე წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, ომის შემდგომ დადებულმა საზავო ხელშეკრულებებმა (ბრესტის, ვერსალის, სენ-ჟერმენის, სევრის) შექმნა მსოფლიოს სახელმწიფოთა ურთიერთობებისა და მათ შორის საზღვრების სრულიად ახალი სისტემა. სამწუხაროდ, საქართველოს ამ მოვლენებმა კვლავ დააკარგვინა ის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის იმპერიამ 1877-1878 წლების ომის შედეგად შეიერთა.

პირველ მსოფლიო ომში ჩაბმულ თურქეთს დიდი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა. პანთურქულ მისწრაფებათა საგანი იყო მთელი კავკასია, ყირიმი, ვოლგისპირეთი, ცენტრალური აზია, ეგვიპტე... ცხადია, ამ ოცნებებს თურქეთი არ და ვერ აიხდენდა, მაგრამ მისი „კუთვნილი“, ისტორიულად ქართული, მიწების კვლავ ხელში ჩაგდება მან მაინც მოახერხა.

რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიაში შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლება — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ე. გეგეჭკორი. ამ სამთავრობო ორგანომ 1917 წლის 4 დეკემბერს განიხილა თურქეთის მე-3 არმიის სარდლის მიერ კავკასიის ფრონტის სარდლის, გენერალ პრჟევალსკისთვის გამოგზავნილი წერილი, სადაც თურქეთის მხარე რუსეთის არმიას სთავაზობდა დროებითი ზავის დადებას. ამიერკავკასიის კომისარიატმა მიზანშეწონილად ჩათვალა ფრონტზე სამხედრო ოპერაციების შეწყვეტა და 18 დეკემბერს, ფრონტის ხაზთან, ქ. ერზინჯანში რუსეთისა და ოსმალეთის არმიებს შორის ხელი მოეწერა დროებით ზავს. ზავის პირობებით, ორივე მხარეს აეკრძალა სამხედრო ძალების სტრატეგიული გადაჯგუფება. საზავო ხელშეკრულების პირობათა დარღვევა ერთ მხარეს მოწინააღმდეგე მხარისთვის წინასწარ (14 დღით ადრე) უნდა ეცნობებინა.

ამავე დროს, ბოლშევიკური რუსეთის მთავრობამ, რომლისთვისაც საომარი მოქმედებების გაგრძელება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, დაიწყო მოლაპარაკებები ზავის პირობებზე გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან – ავსტრია-უნგრეთთან, ბულგარეთთან და თურქეთთან. 1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაწყებული მოლაპარაკების პირველი ეტაპი დამთავრდა 15 დეკემბერს, როდესაც მხარეებმა დადეს დროებითი — 28 დღიანი — ზავი, ხოლო შემდეგ, 1918 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის შედეგადაც, რუსეთმა ევროპულ ნაწილსა და კა-

ვკასიაში დიდი ტერიტორია (150 ათას კმ.-ზე მეტი) დათმო. კერძოდ, კავკასიაში რუსეთის არმია ტოვებდა არდაჰანის (არტაანის), ბათუმისა და ყარსის ოკრუგებს. ზავის მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო, რომ არდაჰანის, ყარსისა და ბათუმის ოკრუგები დაუყონებლივ იწმინდება რუსული ჯარებისაგან. რუსეთი პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა ამ ოკრუგების სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში და ამ ოკრუგების მოსახლეობას საშუალებას მისცემდა, თვითონ განესაზღვრა ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობა მეზობელ ქვეყნებთან და განსაკუთრებით თურქეთთან თანხმობით.

ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებების პარალელურად, თურქები დიალოგს მართავდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურებთანაც. იგეგმებოდა საზავო მოლაპარაკებების გამართვა თბილისში ან ბათუმში. საბოლოოდ, საზავო კონფერენცია გაიხსნა ტრაპიზონში უკვე მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ხელისუფალთათვის ცნობილი გახდა ბრესტის ზავის პირობები. ბრესტში დადებული ხელშეკრულება, რომელმაც ამიერკავკასიის წარმომადგენლების გარეშე მიიღო რეგიონის ხალხებისთვის (ქართველები, სომხები) უმნიშვნელოვანესი ტერიტორიულ-სასაზღვრო გადაწყვეტილებები, ამიერკავკასიის კომისარიატმა გააპროტესტა.

1918 წ. 1 მარტს (ბრესტის ზავის ხელმოწერამდე 2 დღით ადრე) ამიერკავკასიის სეიმის (შეიქმნა 1918 წ. 23 თებერვალს) სხდომაზე ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ ტრაპიზონში დაგეგმილ საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს „ის სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც არსებობდნენ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის გამოცხადების დროს, 1914 წელს“. ასეთი იყო იმდროინდელი საქართველოსა და ამიერკავკასიის მესვეურთა სულისკვეთება, როდესაც ისინი ტრაპიზონის კონფერენციაზე მიემგზავრებოდნენ.

კონფერენცია გაიხსნა 1918 წ. 13 მარტს. ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაური იყო ა. ჩხენკელი. თურქების დელეგაციას სათავეში ედგა თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველი რანგის კაპიტანი რაუფ-ბეი. კონფერენციაში თურქეთის მხრიდან არ მონაწილეობდა ამ ქვეყნის მაღალი რანგის არც ერთი მოხელე, არც ერთი უწყების ხელმძღვანელი, რაც, თავისთავად, აკნინებდა საზავო კონფერენციის მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის დელეგაციის წევრები მუშაობას შეუდგნენ და არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს — უარს ამბობდნენ, მიეღოთ და ეღიარებინათ ბრესტის ზავის პირობები. თავის მხრივ, თურქეთის მხარე კატეგორიულად მოითხოვდა 1878 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენას და თურქეთის არმიამ შესაბამისი მოქმედებაც დაიწყო. ამიერკავკასიის დელეგაცია იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ ამიერკავკასია თმობდა არდაჰანის ოლქის სამხრეთ, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთ, კალიზმანის ოლქის დასავლეთ ნაწილებსა და ოლთისის ოლქს.

ეს დათმობა თურქეთს არ აკმაყოფილებდა და 6 აპრილს თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ-ბეიმ ა. ჩხენკელს მოსთხოვა, 48 საათის განმავლობაში პასუხი გაეცა კითხვაზე — იღებს თუ არა ამიერკავკასია ბრესტის ზავის პირობებს. ამ ულტიმატუმს მოჰყვა თურქეთის ჯარის მიერ ყარსისა და არდაჰანის ოლქების დაკავება.

12 აპრილს თურქები ბათუმსაც მიადგნენ. ასეთ ვითარებაში ა. ჩხენკელმა და დელეგაციის წევრებმა ამიერკავკასიის სეიმის თანხმობის გარეშე მიიღეს ბრესტის ზავის პირობები. ამიერკავკასიის სეიმმა 13 აპრილს უკან გამოიწვია დელეგაცია და მოსახლეობას თავდაცვისკენ მოუწოდა, რაც, პრაქტიკულად, ომის დაწყებას ნიშნავდა.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილებით შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. ჩხენკელი. ა. ჩხენკელმა 23 აპრილს თურქეთის მხარეს მიმართა წინადადებით, შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები და დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. თურქეთის მხარემ 28 აპრილს მიიღო ეს წინადადება და სპეციალური ნოტით აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

საზავო კონფერენციამ მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმში 1918 წ. 11 მაისს. ამ დროისათვის თურქეთის არმიას ოკუპირებული ჰქონდა აჭარა, ისტორიული ქვემო გურია ჩოლოქამდე და თითქმის მთელი სამცხე-ჯავახეთი ბორჯომამდე.

თურქეთის მიერ დაპყრობილ ბათუმში შეიკრიბნენ ამიერკავკასიის, ოსმალეთის, გერმანიის, ჩრდ. კავკასიისა და დაღესტნის დელეგაციები. ამიერკავკასიის ოფიციალური დელეგაცია 6 წევრისგან შედგებოდა (ორ-ორი დელეგატი საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანიდან) და მას კვლავ აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. თურქეთის დელეგაცია ამჯერად ბევრად უფრო წარმომადგენლობითი იყო და მას სათავეში ედგა თურქეთის იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალილ-ბეი. თურქეთის დელეგაციის შემადგენლობაში იყო, აგრეთვე, კავკასიის ფრონტის სარდალი გენერალი ვეჰიბ-ფაშა.

15 მაისს ჰალილ-ბეიმ ა. ჩხენკელს მოსთხოვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღება, ხოლო მოგვიანებით თურქეთმა ახალი პრეტენზიები წარმოაყენა და მოითხოვა 1828 წლამდე რუსეთ-ოსმალეთს შორის არსებული საზღვრების აღდგენა. ახლა უკვე ამიერკავკასიის დელეგაცია გახდა იძულებული, არა მარტო დათანხმებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის IV მუხლის მიხედვით საზღვრის დადგენას, არამედ თვითონ დაეყენებინა ეს საკითხი და ეთხოვა თურქეთისთვის ბრესტის ზავის პირობების დაცვა. უთანხმოება გაჩნდა თვით ამიერკავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში. აზერბაიჯანის წამომადგენლებმა აშკარად პროთურქული პოზიცია დაიკავეს.

კონფერენციის მსვლელობისას თურქებმა საკმაოდ დიდ საჯარისო შენაერთებს მოუყარეს თავი ლორეს რაიონში და საფრთხე შეუქმნეს თბილისს.

26 მაისს კონფერენციაზე თურქეთმა ამიერკავკასიის მხარეს მოსთხოვა, 12 საათის განმავლობაში მიეღო მისი პირობები.

ასეთ რთულ ვითარებაში თბილისში დაიშალა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა და მისმა წევრმა სუბიექტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახდა ნოე რამიშვილი, რომელიც, ა. ჩხენკელის ნაცვლად, სათავეში ჩაუდგა თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში გამგზავრებულ დელეგაციას (წევრები: ი. ოდიშელიძე, გ. გვაზავა, გ. რცხილაძე). ეს დელეგაცია უკვე დამოუკიდებელ ქართულ რესპუბლიკას წარმოადგენდა.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს დელეგაცია იძულებული გახდა, ეღიარებინა თურქეთის მოთხოვნები და ხელი მოეწერა საქართველოსთვის უაღრესად მძიმე და დამამცირებელ საზავო ხელშეკრულებაზე.

ბათუმის 4 ივნისის ხელშეკრულებით, თურქეთის ხელში გადადიოდა ბათუმის ოლქი (ბათუმის და ართვინის ოკრუგები), ყარსის ოლქი (არდაჰანის, ოლთისისა და ყარსის ოკრუგები) და სამცხე-ჯავახეთის თითქმის მთელი ტერიტორია აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით (სასაზღვრო ხაზი ამ პუნქტებიდან სამხრეთით 2 კმ-ზე გადიოდა).

ეს იყო 1828-1829 წწ. რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის არსებული საზღვრის აღდგენა, რაც უზარმაზარი დანაკარგი იქნებოდა საქართველოსთვის ხელშეკრულება რომ რატიფიცირებული და პრაქტიკულად აღსრულებული ყოფილიყო. საბედნიეროდ, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მალე შეიცვალა — ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და 1918 წლის ოქტომბრის მიწურულს ნავსადგურ მუდროსში მდგარ ინგლისის კრეისერ „აგამემნონზე“ ხელი მოეწერა ე.წ. მუდროსის დაზავებას, რომლის ძალითაც ანტანტის სახელმწიფოებს შეეძლოთ, დაეკავებინათ ოსმალთა მიერ 1918 წ. მიტაცებული ბაქო და ბათუმი. ოსმალეთს ჯარები უნდა გაეყვანა ყველა არაბული ოლქიდან, ირანიდან და ამიერკავკასიიდან. 10 ნოემბერს მსოფლიო ომში დამარცხება აღიარა გერმანიამაც. 13 ნოემბერს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გააუქმა (ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას ეხებოდა, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ გააუქმა 1918 წ. 20 სექტემბერს). ძალა დაკარგა საქართველოსთვის საზიანო და დამამცირებელმა ბათუმის ხელშეკრულებამაც.

1918 წ. დეკემბერის დასაწყისში საქართველომ თავისი ჯარები შეიყვანა სამცხე-ჯავახეთში და 5 დეკემბერს დაიკავა ახალქალაქი, მაგრამ ახლა ამ ტერიტორიაზე პრეტენზიები სომხეთს ჰქონდა. ქართულ მიწებზე პრეტენზიები აზერბაიჯანმაც გამოთქვა და მოითხოვა თავის საზღვრებში საინგილოს, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებისა და ბათუმის ოლქის შეყვანა.

1919 წლის დასაწყისში საქართველოს კიდევ ერთი საფრთხე გამოუჩნდა, ამჯერად ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის“ სახით, რომელიც

თურქეთის მმართველი წრეების წაქეზებით ჩამოყალიბდა და ჰქონდა პრეტენზია, შეექმნა „სახელმწიფო“, რომელიც გააერთიანებდა ყარსის, არდაჰანის (არტაანის), ბათუმის ოლქებსა და სამცხე-ჯავახეთს (ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს). დედაქალაქი ამ ახალი გაერთიანებისა უნდა ყოფილიყო ქ. ყარსი. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის“ თავმჯდომარედ დაინიშნა სერვერ-ბეგ ათაბეგი (ჯაყელი), რომელიც სხვა იქაური ბეგების მეშვეობით ცდილობდა მთელ ამ ტერიტორიაზე ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და განმტკიცებას.

1918 წლის დეკემბერში ქართველების მიერ ახალქალაქის აღებისთანავე, სერვერ-ბეგის მომხრეებმა საომარი მოქმედებები გააჩაღეს. ქართულმა ჯარმა საპასუხო ოპერაციები დაიწყო და მალე შეტევაზე გადავიდა. 1919 წ. მარტში გენერლებმა კვინიტაძემ და ართმელიძემ ზედიზედ აიღეს აწყური, ახალციხე, ქობლიანისა და ფოცხოვის სოფლები. 1919 წ. 20 აპრილს ქართულმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა არდაჰანი და კოლის მიმართულებით დაიძრა. ქართველთა წინსვლა შეაჩერეს ინგლისელებმა (ინგლისელთა საჯარისო ნაწილები ოსმალთა იმპერიასა და ამიერკავკასიაში 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში შევიდნენ), რომლებიც არდაჰანში ქართულ შტაბში გამოცხადდნენ და საომარი ოპერაციების დასრულება მოითხოვეს. ამასთან, მათი მოთხოვნით, ქართველთა მიერ აღებული არდაჰანის მარჯვენა მხარე სომხეთს გადაეცა!

ქართული ჯარების წარმატებებმა სეპარატისტულად განწყობილი და ანტიქართულ პოზიციებზე მდგარი ბეგების წინააღმდეგ გააქარწყლა „დამოუკიდებელი აჭარისტანისა“ თუ „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნის იმედები.

ამ დროს ოსმალეთის იმპერია სულს ღაფავდა და ანტანტის მხრიდან სრული ოკუპაციის და დაშლა-დანაწევრების საშიშროების წინაშე იდგა (თუმცა, იმის ძალა მაინც შესწევდა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პრეტენზიები განეცხადებინა). თურქეთის სულთნის მთავრობამ 1920 წ. 10 აგვისტოს პარიზის მახლობლად, სევრში, ანტანტის სახელმწიფოებთან ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომელიც, პრაქტიკულად, თურქეთის ტერიტორიის დანაწილებას ითვალისწინებდა. ეს კაბალური ზავი უარყო ანკარაში (ანგორა) არსებულმა დიდმა ეროვნულმა კრებამ და მუსტაფა ქემალის (ათათურქი) მთავრობამ. ქემალისტური მთავრობა პირველმა ცნო ბოლშევიკურმა რუსეთმა, რომელმაც 1920 წ. 2 ივნისს ნოტა გაუგზავნა ქემალისტებს და აღიარა თურქეთის პრეტენზიები ბათუმ-არდაჰან-ყარსზე. ეს მაშინ, როცა სულ რაღაც სამი კვირით ადრე, 1920 წ. 7 მაისს, რუსეთმა de jure ცნო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო და გააფორმა მასთან ხელშეკრულება, რომლის მეოთხე მუხლის მიხედვით, რუსეთი საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად აღიარებდა ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ოლქებს, ოკრუგებსა და მაზრებს, რომლებიც ერთიანდებოდნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში და ბათუმის ოლქში. ამ მუხლის

მეორე პარაგრაფი იძლეოდა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ხარჯზე საქართველოს საზღვრების გაფართოების შესაძლებლობას: „В последствии, по мере выяснения взаимоотношении между Грузией и другими, кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам... Россия выражает готовность признать входящими в состав Грузии те или иные части бывшего Кавказского наместника, которые отойдут к ней на основании заключенных с этими образованиями договоров“.

რუსეთ-თურქეთის მეგობრობა და თანამშრომლობა, რომელიც უცნაური და წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო (1920 წ. სექტემბერში თურქეთმა სომხეთის 2/3 ნაწილი დაიკავა და ოსმალები აქედან რუსეთის XI არმიის დახმარებით განიდევნენ), აშკარად ანტიქართულ ხასიათს ატარებდა. როდესაც ბოლშევიკებმა 1921 წ. თებერვალში თავიანთი XI არმიის ნაწილები საქართველოს წინააღმდეგ დაძრეს, მუსტაფა ქემალმა თბილისს არდაჰან-ართვინიდან ქართული ჯარის გაყვანა მოსთხოვა. ნ. ჟორდანიას მთავრობა, რომელიც საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის სამხედრო ნაწილების მოგერიებისთვის ემზადებოდა, იძულებული გახდა, ეს მოთხოვნა შეესრულებინა. არდაჰანი და ართვინი თურქეთის ჯარმა დაიკავა. საქართველოში თურქეთის წარმომადგენელმა ქიაზიმ ბეიმ ნ. ჟორდანიას ოფიციალურად შეუთვალა, რომ თურქეთ-საქართველოს შორის ტერიტორიული დავა აღარ არსებობს და თურქეთი მზადაა, დაეხმაროს „მეგობარ“ საქართველოს ბოლშევიკთა აგრესიის მოგერიებაში, თუ საქართველო ამას საჭიროდ ჩათვლის. ნ. ჟორდანიას მთავრობა, რომელსაც უკვე დატოვებული ჰქონდა თბილისი, წამოეგო ამ ანკესზე და 1921 წ. 11 მარტს თურქეთის ჯარი ბათუმში შემოვიდა. თურქი ასკერები გამოჩნდნენ ახალციხე-ახალქალაქშიც.

ქემალისტური თურქეთი „დაეხმარა“ საქართველოს — დიდი ეროვნული კრების დადგენილებით, სამუსლიმანო საქართველო თურქეთის ნაწილად გამოცხადდა, ოკუპირებული ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ქიაზიმ ბეი.

ამასობაში, საბჭოთა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში 1921 წ. 16 მარტს დაიდო თურქეთსა და რუსეთს შორის „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულება, რომლის ძალით, არდაჰანი, ოლთისისა და ართვინის ოლქები თურქეთის მფლობელობაში გადავიდა. ბათუმთან დაკავშირებით თურქეთი „მოწყალებას“ იღებდა და მას საქართველოს უთმობდა იმ პირობით, რომ ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას ავტონომიურ უფლებებს მიანიჭებდნენ. საქართველო მეგობრებმა და ძმებმა გაინაწილეს!

მაგრამ, თურქეთი არ აპირებდა ბათუმის დატოვებას და პრეტენზიას ახალციხე-ახალქალაქზეც აცხადებდა, ყოველ შემთხვევაში, ეს პრეტენზიები ნამდვილად ჰქონდა ქიაზიმ ბეის, რომელმაც 17 მარტს პროკლამაციით მიმართა ბათუმის მოსახლეობას: „უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავ-

რობის თანხმობით, ბათუმის მხარე და ახალქალაქისა და ახალციხის ოლქები ჩვენი ჯარების მიერ იქნენ დაკავებულნი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც ემყარება სხვადასხვა დროის ხელშეკრულებებით მრავალჯერ დადასტურებულ ეროვნულ უფლებებს. ეს მხარეები დღეიდან ბრუნდებიან სამშობლოს საზღვრებში და პოლიტიკურადაც და ადმინისტრაციულადაც ექვემდებარებიან თურქეთის ეროვნულ მთავრობას“.

მაგრამ, ქიაზიმ ბეის დღეები დათვლილი იყო. საბჭოთა რუსეთი და ბოლშევიკების ხელში ჩავარდნილი საქართველო ბათუმის დათმობას არ აპირებდა. აკი განაცხადა კიდეც საქართველოს ახლადშექმნილმა რევკომმა: „ყოველი ძალა, რომელიც ბათუმის მიტაცებას შეეცდება, ჩვენის მხრივ შეხვდება ყველაზე მტკიცე წინააღმდეგობას“.

ბოლშევიკური არმიის ნაწილებმა, რომლებმაც 8 მარტს ახალციხე დაიკავეს, გადალახეს გოდერძის უღელტეხილი და 17 მარტს ბათუმს მიადგნენ. 18-20 მარტს ქართული ჯარის ნაწილებმა გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით თურქები განდევნეს ბათუმიდან. ბათუმი საქართველოს დარჩა. ერთი დღით ადრე — 17 მარტს ბათუმიდან ემიგრაციაში წავიდა საქართველოს მთავრობა.

1921 წლის 13 ოქტომბერს თურქეთის ქალაქ ყარსში თურქეთმა, რსფს რესპუბლიკის მონაწილეობით, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან დადო მეგობრობის ხელშეკრულება (ამ დროს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ნომინალურ დამოუკიდებლობას).

თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ყარსის ხელშეკრულებით ისე განისაზღვრა, როგორც თავის დროზე მოსკოვის 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებაში.

საქართველოსთან ეს საზღვარი იწყებოდა სოფ. სარფთან. ეს ის საზღვარია, რომელიც დღეს არსებობს საქართველოსა და თურქეთს შორის.

საზღვარი რუსეთთან

უკვე აღინიშნა, რომ 1904 წ. გაგრა სოხუმის ოკრუგს ჩამოაჭრეს და შავიზღვისპირეთის გუბერნიას მიუერთეს. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის და მეფის დამხობის შემდეგ ყოფილ იმპერიას სათავეში ჩაუდგა დროებითი მთავრობა, რომლის ორგანოს ამიერკავკასიაში წარმოადგენდა ე.წ. ოზაკომი (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი), რომელსაც ა. ჩხენკელი ედგა სათავეში და, რომელიც ძალაუფლებას ავრცელებდა მთელ ამიერკავკასიაზე, მათ შორის, რასაკვირველია, აფხაზეთის ტერიტორიაზე (სოხუმის ოკრუგზე). სწორედ ამ ორგანომ განიხილა სოხუმის ოკ-

რუგში გაგრის დაბრუნების საკითხი და 1917 წლის 30 ოქტომბერს მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე იმავე შინაარსის დადგენილება მიიღო 1917 წ. 7 დეკემბერს ამიერკავკასიის ახალმა ხელისუფლებამ — ამიერკავკასიის კომისარიატმა — ე. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით (რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოზაკომი დროებითმა მთავრობამ - ამიერკავკასიის კომისარიატმა - შეცვალა). ამ დადგენილებაში ნათქვამია: „აღდგეს სოხუმის ოლქის ძველი ისტორიული საზღვრები მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეყვანის გზით“. ეს დადგენილება დადგენილებად რჩებოდა და გაგრა და ბზიფის უბანი საქართველოს, რეალურად, მხოლოდ 1919 წლის აპრილში შემოუერთდა აქედან თეთრგვარდიელთა განდევნის შემდეგ. საერთოდ, აფხაზეთში მდგომარეობა მეტად რთული ოყო. სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა ნაწილი თანაუგრძნობდა 1917 წლის მაისში შექმნილ მთიელთა კავშირის მთავრობას, ნაწილი პროთურქულ პოზიციებზე იდგა და მიესალმა აქ თურქული დესანტის გამოჩენას (1918 წ. 27 ივნისი), რომელიც ქართულმა ჯარმა რუსი ბოლშევიკებისგან გამოქცეული კაზაკების მხარდაჭერით გაანადგურა. ცხადია, აფხაზეთზე პრეტენზიები ჰქონდათ რუსებს (როგორც ბოლშევიკებს, ისე თეთრგვარდიელებს). 1918 წ. რუსმა ბოლშევიკებმა ორგზის (ზამთარსა და ზაფხულში) სცადეს აფხაზეთის დაპყრობა და აქ ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება. 1918 წლის ივნისში სოჭის მხრიდან შემოჭრილმა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა ახალ ათონამდე მიაღწიეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აქ გამოგზავნა ქართული საჯარისო ნაწილები გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით, რომელიც, ამავე დროს, სოხუმის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა. გენერალ მაზნიაშვილის შეტევა იმდენად წარმატებული იყო, რომ მან არამარტო აფხაზეთი გაათავისუფლა, არამედ 1918 წლის ივლისის ბოლოს ქართულმა ჯარმა ქ. ტუაფსეც აიღო. სოჭისა და ტუაფსეს აღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო აფხაზთა სახალხო საბჭომ 1918 წლის 24 ივნისს და ამის შესახებ წერილობით აცნობა საქართველოს მთავრობასა და გენერალ მაზნიაშვილს. მაზნიაშვილმა დავალება შეასრულა. აფხაზთა სახალხო საბჭომ ეს გადაწყვეტილება მიიღო იმის გამო, რომ ბოლშევიკური ავანტიურა ძირითადად სოჭი-ტუაფსედან იმართებოდა და ბოლშევიკების ხელში ამ ნავსადგურების ყოფნა აფერხებდა სურსათით, განსაკუთრებით ხორბლით, აფხაზეთისა და მთელი საქართველოს მომარაგებას.

ბოლშევიკური საჯარისო ნაწილებისგან აღნიშნული ტერიტორიების გათავისუფლება ჯერ დამთავრებული არ იყო (ყუბანელთა თხოვნით გ. მაზნიაშვილი ემზადებოდა ქ. მაიკოპის ასაღებად და იქიდან წითელგვარდიელების განსადევნად), როდესაც აქტიური მოქმედებები ტუაფსე-სოჭის მიმართულებით დაიწყო ე.წ. მოხალისეთა რუსულმა არმიამ ა. დენიკინისა და მ. ალექსეევის მეთაურობით. დენიკინელებმა გ. მაზნიაშვილს მოსთხოვეს

ტუაფსეს დატოვება. 1918 წლის აგვისტოს ბოლოს ტუაფსე დაიკავეს ბოლშევიკებმა, თუმცა ქართველებმა ისინი მალე გარეკეს აქედან. 6 სექტემბერს ტუაფსეს თეთრგარდიელები მოადგნენ და ქართველმა გენერალმა დიდი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად ქართული ნაწილები სადგურ ლოოსკენ დასწია.

ქ. სოჭი ქართული ჯარის ხელში რჩებოდა. 1918 წ. სექტემბრის შუა რიცხვებში აქ ჩამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, რომელსაც ყუბანის ხელისუფლებასთან უნდა დაეწყო მოლაპარაკება საზღვრების დადგენასა და საქონლის გაცვლა-გამოცვლასთან დაკავშირებით. 18 სექტემბერს ქ. სოჭში გაიმართა ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების საბჭოს სხდომა, რომლის რეზოლუცია მოითხოვდა, რომ საქართველოს მთავრობას თავისი საგანგებო დეკრეტით სოჭის ოლქი დროებით მიეერთებინა საქართველოს რესპუბლიკისთვის. ასეთივე მოთხოვნები წამოაყენა სოჭის მოსახლეობის საერთო კრებამ და ოლქის გლეხთა ყრილობამ. არსებული ვითარება ე. გეგეჭკორმა დაუყონებლივ აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას. ე. გეგეჭკორი თავის დეპეშაში წერს: „...უნდა ვისარგებლოთ... მოსახლეობისა და პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერით და ოლქი დეკრეტით უნდა შევიერთოთ. დანაშაული იქნება, ეს მომენტი ხელიდან რომ გავუშვათ. ...ოლქის მიერთება მოხალისეთა არმიის სარდლობას მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებს. ჩემი ვალია გითხრათ, რომ თუ სოჭის ოლქს არ გავამაგრებთ, შესაძლოა წაგვართვან“.

ამასობაში, ყუბანში ძალაუფლება პრაქტიკულად მოხალისეთა არმიის სარდლობის ხელში გადავიდა და ეკატერინოდარში 25 სექტემბერს ჩასულმა ქართველებმა (ე. გეგეჭკორი, გ. მაზნიაშვილი) მოლაპარაკება გამართეს თეთრგვარდიელ სარდლებთან — დენიკინთან და ალექსეევთან.

ე. გეგეჭკორმა რუს გენერლებს განუცხადა, რომ ქართულმა მხარემ ოლქი დაიკავა დროებით, ბოლშევიკების განდევნის, აქ მშვიდობიანობის დამყარების, ქართული მოსახლეობისა და საკუთარი საზღვრების დაცვის მიზნით. დენიკინმა მოითხოვა არამარტო სოჭის, არამედ გაგრის ოლქის დატოვებაც მდ. ბზიფამდე. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

ამასობაში, I მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ თავისი ჯარები საქართველოდან გაიწვია. გერმანელების ადგილი ამიერკავკასიაში ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ნაწილებმა დაიკავა. ეს უკანასკნელი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოხალისეთა არმიას უწევდა დახმარებას და თეთრგვარდიელებს, ცხადია, მათი დიდი იმედი ჰქონდათ, მათ შორის, სოჭის ოლქის საკითხშიც. დენიკინელებმა თავიანთი საჯარისო ნაწილების კონცენტრაცია ლაზარევსკაია-ლოოს მიდამოებში, უშუალოდ ქართული საჯარისო ქვედანაყოფების სიახლოვეს დაიწყეს. 1919 წ. 29 იანვარს თეთრგვარდიელებმა ქართველებს ულტიმატუმი წაუყენეს — დაეყარათ იარაღი და სოჭიდან გასულიყვნენ. საქართველოს მთავრობამ მიმართა ინგლისის მისიას,

შეეჩერებინა მოხალისეები და სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, სოჭის ოლქი ნეიტრალურ ზონად გამოეცხადებინათ. ინგლისის მისიამ ზომები არ მიიღო. დენიკინის არმია სოჭში შეიჭრა და იქ მდგარი მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონი ალყაში მოაქცია. გარნიზონის ნაწილი თეთრგვარდიელებმა ამოწყვიტეს, ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს (მათ შორის, გენერალი კონიაშვილი). საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნ. ჟორდანიამ, კვლავ ნოტით მიმართა ინგლისის მისიას: „... ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ მზადყოფნა სოჭის ოლქის დაცლისა იმ პირობით, რომ მომხდარიყო სადავო ზონის განეიტრალება და იქ ინგლისის ჯარის ნაწილები დაბინავებულიყო. საქართველოს მთავრობის აზრით, საკითხის მხოლოდ ასეთი სახით გადაჭრას შეეძლო თავიდან აეცილებინა შეტაკება... საქართველოს მთავრობა კვლავ იძლევა წინადადებას გაიწმინდოს ოლქი მოხალისეებისგან და მოხდეს მისი ნეიტრალიზება პარიზის საზავო კონფერენციის დადგენილებამდე...“

ამასობაში, დენიკინის არმია წინ მიიწევდა. მათ აიღეს ადლერი, ვესიოლოე, პილენკოვო, დაიკავეს გაგრა და მდ. ბზიფთან გაჩერდნენ, ე.ი. აღადგინეს 1904 წ. რუსეთის იმპერიაში დადგენილი საზღვრები. დაპყრობილ ტერიტორიებზე დენიკინელებმა ნამდვილი ტერორი გააჩაღეს. განსაკუთრებით ავიწროებდნენ ქართულ მოსახლეობას. ძარცვა-გლეჯა, გაუპატიურება, მკვლელობა ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

1919 წ. 16 აპრილს ქართული გვარდიის ნაწილებმა შეუტიეს: განდევნეს მოხალისეთა შენაერთები, დაიკავეს გაგრა, გადავიდნენ მდ. ფსოუზე და მდ. მზიმთას ნაპირებამდე მივიდნენ (ადლერთან). საქმეში ჩაერივნენ ინგლისელები. საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში ინგლისელები მოითხოვდნენ ქართული ჯარების ბზიფამდე გაყვანას და გამოთქვამდნენ მზადყოფნას, გაევლოთ აქ სადემარკაციო ხაზი. საქართველო პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებამდე იძულებული გახდა, დათანხმებოდა ამ პირობას. მდ. მეხადირსა და მდ. ბზიფს შორის შეიქმნა ნეიტრალური ზონა, რომელშიც ქართველებს სამხედრო ნაწილების შეყვანის უფლება არ ჰქონდათ, თუმცა ადმინისტრაციულად ის საქართველოს მთავრობას ექვემდებარებოდა.

პარიზის კონფერენციას, რომელმაც მუშაობა 1919 წლის 18 იანვარს დაიწყო, საქართველოს მთავრობამ წარუდგინა სასაზღვრო მოთხოვნები, რომლის მიხედვით, სოჭის ოლქში საზღვარი უნდა გავლებულიყო ქ. ტუაფსედან 14 კმ-ის დაშორებით მდ. მაკოფსეზე. ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

1920 წ. დასაწყისში ბოლშევიკებმა რუსეთში პოზიციები განიმტკიცეს და მათმა არმიამ შეტევითი ოპერაციები დაიწყო. 1920 წ. თებერვალ-მარტში წითელმა არმიამ რამდენჯერმე დაამარცხა თეთრგვარდიელები და სოჭი-ადლერი დაიკავა. მალე, 1920 წ. 7 მაისს, მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრი დაიდო მდ. ფსოუზე (მუხლი III, §1). იმავე

მაისში რუსებმა მოითხოვეს, რომ, სანამ საზღვარი საბოლოოდ, საგანგებო კომისიის მიერ არ დაზუსტდებოდა, ტერიტორია მდ. მეხადირსა და ფსოუს შორის დემარკაციულ ზონად გამოცხადებულიყო. ასეც მოხდა. ამ რაიონში არც ქართული და არც რუსული საჯარისო ნაწილები არ უნდა შესულიყო. 1920 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ბოლო მოუღო საქმის ასეთ მდგომარეობას – ნეიტრალური ზონა გაუქმებულად გამოაცხადა და შექმნა გაგრა-ბიჭვნითა-ფსოუს სამხედრო რაიონი, რომელიც უშუალოდ მთავრობას დაექვემდებარა და აქ მთავრობის საგანგებო კომისარი დაინიშნა.

საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების და სსრ კავშირის შექმნის (1922 წ. დეკემბერი) შემდეგაც გაგრის რაიონის მცირე ნაწილი, ე.წ. პილენკოვოს ზონა, რჩებოდა რუსეთის შემადგენლობაში. მიუხედავად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. 31 ოქტომბრის დადგენილებისა, რსფსრ პილენკოვოს არ თმობდა. საკავშირო ცაკმა 1925 წ. აპრილში, ამიერკავკასიის ცაკის წარდგინების საფუძველზე, კვლავ მიიღო დადგენილება პილენკოვოს აფხაზეთისათვის გადაცემის თაობაზე, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდებოდა და იგი მხოლოდ 1929 წლის აპრილში აღსრულდა.

1937 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: კრასნოდარის ოლქის მხრიდან სასაზღვარო ზოლი უნდა გავლებულიყო შავი ზღვიდან აიბჩის ქედამდე (მდინარე ფსოუს გაყოლებაზე) და შემდეგ აღმოსავლეთით ამავე ქედის გასწვრივ – კავკასიის მხარის საზღვრამდე. ამ დროიდან მოყოლებული საქართველო-რუსეთის საზღვარი მდ. ფსოუზე გადის.

ასევე განისაზღვრა საზღვარი დაღესტნის რესპუბლიკასთან –დიკლოს მთის მწვერვალიდან ჯერ მდინარე ჭეროსწყლის ქვემოთ დინების გაყოლებით იმ ადგილამდე, სადაც იგი მდინარე ალაზანს შეერთვის, ხოლო შემდეგ — წყალგამყოფი ხაზით ერჩოს მთის მწვერვალამდე.

XX საუკუნის შუა წლებში საქართველოს მიწაწყალი საგრძნობლად გაიზარდა. საქართველოს ჩრდილოეთიდან შემოუერთდა:

1. დასავლეთ კავკასიონის გადაღმა, სვანეთის ჩრდილოეთით, მდინარე თებერდასა და ყუბანის ზემო წელში მდებარე ტერიტორიები (დღევანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ნაწილი);
2. კავკასიონის ქედის იქით, მდინარეების არღუნისა და ასას ზემო წელში არსებული მიწები (დღევანდელი ინგუშეთის ნაწილი);
3. ითუმ-ყალეს რაიონი (დღევანდელი ჩეჩნეთის ნაწილი).

აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში შემდეგი მოვლენების გამო აღმოჩნდა: დიდი სამამულო ომის მიწურულს საბჭოთა ხელისუფლებამ ყარაჩაელებს, ყაბარდოელებს, ბალყარელებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს ბრალი დასდო გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობასა და სამშობლოს ღალატში. დაიწყო ხალხთა დეპორტაცია. 1943 წლის 12 ოქტომბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად

„1. ყველა ყარაჩაელი, რომელიც ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს, გასახლდეს სსრკ-ს სხვა რაიონებში, ხოლო ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდეს.

2. ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციის გამო... ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის უშკულანის რაიონი, აგრეთვე მიქოიანის რაიონის ნაწილი გადაეცეს საქართველოს სსრ-ს, აღნიშნულ ტერიტორიაზე კი შეიქმნას ახალი ადმინისტრაციული ერთეული - ქლუხორის რაიონი, ცენტრი - ქალაქი მიქოიან-შახარი, აღნიშნულ ქალაქს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს ქლუხორი“.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1944 წლის 8 იანვრის დადგენილებით დამტკიცდა ქლუხორის რაიონის შექმნა საქართველოს შემადგენლობაში. ამ დროიდან თებერდის რაიონს ეწოდა ქლუხორის რაიონი, ხოლო 1944 წლის 18 მარტის დადგენილებით საქართველოს შემადგენლობაში ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილისა და ჩრდილოეთ ოსეთის გიზელის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ხარჯზე შეიქმნა ახალხევის დასახლება. ახლადშექმნილ რაიონებში კრემლის მითითებით ხუთი ათასზე მეტი ქართველი ჩაასახლეს, ძირითადად, სვანები და რაჭველები, რომლებმაც, ოსებისა და რუსებისაგან განსხვავებით, მოგვიანებით რეაბილიტირებულ მოძმე კავკასიელებს დიდსულოვნად დაუთმეს თავიანთი სახლ-კარი და ცხოვრების მოსაწყობად ხელიც კი გაუმართეს, რასაც დღესაც მადლიერებით იხსენებენ ადგილობრივები.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 მარტის ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკას შეუერთდა ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის იტუშ-კალეს რაიონი, შაროევის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალაშკინსკისა და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილი და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გიზელის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი.

აღნიშნულ სექტორში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია წინარეისტორიის გახსენება. გასული საუკუნის 20-იან წლებში, ქართველმა ბოლშევიკებმა უკვე აღნიშნულ სხვა ტერიტორიებთან ერთად გააჩუქეს საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის სექტორში არსებული გარკვეული ტერიტორია. კერძოდ, 1925 წელს ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე, ოფიციალურმა თბილისმა „დათმო“ თიანეთის მაზრაში, მდ. არღუნის ხეობაში, მდებარე ქისტებით დასახლებული სოფლები: ჯარეგო, თერეთეგო, მელხესტი, ცეკარო, სახანო და სხვ. ამდენად, საზღვარი რსფსრ-სა და საქართველოს შორის სოფ. შატილიდან რამდენიმე კილომეტრში გატარდა. 1928 წელს საქართველოს მთავრობამ ისევ დათმო და დააკმაყოფილა ჯარეგოელი ჩეჩნების მოთხოვნა დამატებითი სათიბების გადაცემის თაობაზე, რაც დაამტკიცა კიდეც ცაკის პრეზიდიუმმა 1928 წლის 20 აგვისტოს. შედეგად ჩეჩნეთის

ფარგლებში მოექცა ალაქოს მთის უბანი. მაგრამ შატილელები არ ურიგდებოდნენ თავიანთი სათიბ-საძოვრების დაკარგვას და საქმე შეტაკებამდეც კი მივიდა. დუშეთის რაიკომი იძულებული გახდა, მიემართა ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რათა გადაესინჯა 1928 წლის დადგენილება; თუმცა გაჭიანურებულ მიმოწერას შედეგი არ მოჰყოლია.

1944 წლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გადანაწილებით ქვეყანას დაუბრუნდა 1927-1928 წ.წ. რსფსრ-სადმი (ჩეჩნეთ-ინგუშებისადმი) გადაცემული სოფლები მთებით, ტყეებით, საძოვრებით, სათიბებით.

7 მარტის ბრძანებულებით საქართველოს ფარგლებში აღმოჩნდა ოსეთის ასსრ-ს გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც. აღდგა, გარკვეულწილად, საქართველოს ისტორიული საზღვრის მონაკვეთი ლარსი-ჩმის მიდამოებში.

შემოერთებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ახალხევის რაიონის სახით დაფუძნდა, რომელიც მოგვიანებით, 50-იან წლების დასაწყისში, გაუქმდა და დუშეთის რაიონს შემუერთდა; რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ ნაწილს, იგი გააერთიანეს ყაზბეგის რაიონში.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 აპრილის ბრძანებულებით, საქართველოს შემოუერთდა ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკის იალბუზისა და ნაგორნის რაიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1944 წლის 3 მაისს გადაწყდა, შექმნილიყო იალბუზის სასოფლო საბჭო ზემოსვანეთის რაიონის შემადგენლობაში.

მოსკოვის ასეთი პოლიტიკის შედეგად საქართველოს მოსახლეობა 1944 წლისთვის 26 ათასით, ხოლო ტერიტორია 74,4 ათას კვ. კმ-მდე გაიზარდა; თუმცა, ისიც ცხადი იყო, რომ ამ ტერიტორიებს საქართველო დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა. ასეც მოხდა: 1955 წელს ქლუხორის რაიონის ტერიტორია რსფსრ-ს გადაეცა, ხოლო მოგვიანებით, 1957 წლის 9 იანვრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოხდა ჩეჩენი და ინგუში ხალხების რეაბილიტაცია და მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღდგენა, რის საფუძველზეც გაუქმდა ახალხევის რაიონი და იგი სხვა ტერიტორიებთან ერთად რსფსრ-ს ჩრდილო კავკასიურ ავტონომიებს დაუბრუნდა. საქართველო-რუსეთის საზღვარი კი 1944 წლის 7 მარტამდე არსებულ ფარგლებში განისაზღვრა.

საზღვარი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან

საქართველოს საზღვრები თანამედროვე სახით 1918 წლიდან ჩამოყალიბდა. 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით, აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთელი სიმწვავით დადგა საზღვრების გამიჯვნის საკითხი მეზობელ სახელმწიფოებთან — რუსეთთან, ოსმალეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან. რა დებულებით უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საზღვრების დადგენის დროს — რეალური მოსახლეობის პრინციპით, როგორც ამას მოითხოვდა სომხეთის მთავრობა, რელიგიური პრინციპით, როგორც აზერბაიჯანი ითხოვდა, თუ ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სტრატეგიული თავდაცვითი საკითხების გათვალისწინებით? საქართველოს მთავრობამ ეს უკანასკნელი პრინციპი აირჩია. პრაქტიკულად დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის 11 ივნისს, შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განესაზღვრა საზღვარი სომხეთთან და აზერბაიჯანთან. დასახელებულ კომისიაში შედიოდნენ ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და ნიკოლოზ ოდიშელიძე. კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს საზღვრები შემდეგნაირად უნდა მოწყობილიყო: „საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილო ნაპირამდე, უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აღსტაფაზე, მიდის სადგურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოსა და თავდება სილავათის მთით“. ესე იგი, ყველა ის მხარე, რომელთა დასაკუთრებას მეზობლები ცდილობდნენ, საქართველომ თავის სახელმწიფო ტერიტორიად აღიარა.

კომისიის წარმომადგენლებმა, აზრთა გაზიარების მიზნით, მოიწვიეს სომხური ეროვნული საბჭოს წევრები. ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაეთანხმნენ საქართველოს წარმომადგენელთა მიერ წამოყენებულ საზღვრების გამიჯვნის პრინციპს. მათ მოითხოვეს იმ სასაზღვრო ხაზის დაცვა, რომელზეც ადრე, 1917 წელს, პეტერბურგში შეთანხმდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან. 1917 წლის ივნისში, ამიერკავკასიის მენშევიკთა VI ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე, რომელშიც ნათქვამია: „ტერიტორიული თვითმმართველობის საზღვრები დგინდება ამა თუ იმ ეროვნების რეალური განსახლების პრინციპით; ამასთან მხედველობაში მიიღება სამეურნეო და ყოფითი პირობები. ეროვნული საზღვრის ცვლილების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომლებიც საზღვრის განსაზღვრის დროს ითვლება სადავოდ“. აქედან გამომდინარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატები

სომხებს დაჰპირდნენ იმ ოლქების გადაცემას, სადაც მოსახლეობის უმრავ-ლესობა სომეხი იყო, ე. ი. ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს. სადავო ადგილების გამიჯვნის დროს ისტორიული, სტრატეგიული, ეკონომიკური და სხვა მოსაზრებანი მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული. ეს იყო ქა-ართველი სოციალ-დემოკრატების დიდი პოლიტიკური შეცდომა და, როგორც გ. კვინიტაძე წერს, „ეს ალბათ იყო შედეგი ხალხთა თვითგამორკვევის ცუ-დად გაგებული და არასწორად გამოყენებული პრინციპისა“. ქართველი სო-ციალ-დემოკრატები ამ ფაქტს ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ მაშინ საუბარი იყო ამიერკავკასიის შიდაადმინისტრაციულ გამიჯვნაზე და იმ ხალხების საზოგადოებრივ – სამეურნეო ცხოვრების მოწყობაზე, რომლებიც ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. შექმნილ პოლიტიკურ სიტუა-ციაში, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა, საქმე უკვე ეხებოდა სახელმწიფო საზღვრებს, ამიტომ გამიჯვნის ეთნოგრაფიული პრინციპი მიუღებელი იყო.

ა)საზღვარი სომხეთთან

ბორჩალოს მაზრაში (ქვემო ქართლში) სომეხთა კომპაქტური დასახლება რუსეთის მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით გაჩნდა. ეს იყო ძალ-ზე შორს გამიზნული და კარგად მოფიქრებული ანტიქართული გეგმა. 1828 წელს გრაფმა პასკევიჩმა ოსმალეთიდან 100000, ხოლო სპარსეთიდან 30000 სული სომეხი ჩამოასახლა. მათი ნაწილი ბორჩალოს მაზრაში, ხოლო ნაწილი ერევნის გუბერნიაში დასახლდა. 1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედ-ვით, ბორჩალოს მაზრაში სულ 128587 ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის სომეხი — 48609, თურქ-თათარი — 37609, ბერძენი — 21347 და ქართველი — 6685.

XIX ს. პირველ ნახევარში ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში მასობრივად სახლდებოდნენ უცხოეთში მაცხოვრებელი სომხე-ბი, რამაც რადიკალურად შეცვალა ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა მო-სახლეობის ეროვნული სტრუქტურა. სომხების წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში 1801 წლის 4,71 პროცენტიდან 1832 წელს 9,88 პროცენტამდე გაიზარდა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში, კერძოდ, თურქეთსა და ირანში ძალად გადასახლებული ქართველი ხალხი არავის ახსოვდა, მაშინ, როცა მამაპაპეულ მიწაწყალზე დასახლება მათ უპირველეს სურვილსა და უფლებას წარმოადგენდა. მათი საქართველოში დაბრუნება არ შედიოდა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნებში. ამიტომ, ქართ-ველთა სასიცოცხლო ინტერესები ფეხქვეშ გაითელა. მათ გადასახლების გზა თავის სამშობლოში – საქართველოში - შეკრული ჰქონდათ. საქართველოში თურქეთიდან სომეხი მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის პროცესი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა და XX საუკუნის 20-იან წლე-ბამდე გაგრძელდა.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე დაიწყო მსჯელობა, მა-შინ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს საქართველოში

სომხების გადმოსახლება ოსმალეთიდან დაბეჩავებული თანამოძმეების მხოლოდ ფიზიკური გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ. ეს იყო გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმა. საახალშენო ადგილები ისე იყო შერჩეული, რომ გაბნეული სომხობისათვის ერთ მთლიან ტერიტორიას ქმნიდა. სომხები, ე. წ. „საერობო რეფორმის“ ნიღბით, დაჟინებით ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიულ გადანაწილებას. ისინი ამაზე არ შეჩერებულან - ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფას არაბუნებრივად მიიჩნევდნენ და მოითხოვდნენ, რომ საერობო მმართველობა მოწყობილიყო ისე, რომ ერთგვარი ყოფილიყო ეკონომიურად, გეოგრაფიულ-კლიმატურად და ეთნოგრაფიულადაც. სომხები ამტკიცებდნენ, რომ სამაზრო ერობის ნაცვლად უნდა შემოღებულიყო ერობა ეროვნულ და სააგრონომო დარაიონების მიხედვით. სომხების ამ ეროვნულ-აგრონომიული გეგმით თბილისის გუბერნიიდან გამოყოფილ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის გაერთიანებით შეიქმნა განსაკუთრებული სტატუსის აგრარული რაიონი. სომეხთა ამ „ახალი“ პროექტის დაცვასა და შემდგომ განვითარებას ისახავდა მიზნად 1918 წ. თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული ა. შახატუნიანის ნაშრომი „ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული გადანაწილება“. ა. შახატუნიანი ისტორიას არად აგდებს, მისი მტკიცებით, ახალი თვითმმართველობითი ერთეულების წარმოქმნის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ ეთნიკურ საკითხზე. სომხები მიისწრაფიან, შექმნან რაიონები თავიანთი ეროვნული უმრავლესობით, სადაც მათი ინტერესები ისევე იქნება დაცული, როგორც ქართველებისა და თათრებისა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში: „ჩვენ მზად ვართ შევურიგდეთ უმცირესობის მდგომარეობას იქ, სადაც ნამდვილად შევადგენთ უმცირესობას და შერეულად ვცხოვრობთ ქართველებთან და თათრებთან ერთად, მაგრამ ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია შევურიგდეთ იმას, რომ მმართველ ხელისუფლებას სურს შეინარჩუნოს არსებული ადმინისტრაციული დაყოფა და სომხებს არ გვაძლევს შესაძლებლობას დავამტკიცოთ, რომ გვაქვს რიცხობრივი უმრავლესობის დიდი სომხური რაიონები, სადაც შეიძლება შეიქმნას მაზრები სომხური მოსახლეობის უმრავლესობით“. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საზღვრების საკითხი ჭირვეულ მოვლენად გადაიქცა. საქართველოსა და სომხეთს შორის დაიწყო დიპლომატიური დავა საზღვრების დადგენაზე. მაგრამ ვინაიდან პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთმა დაიკავა კავკასიის დიდი ნაწილი, თავისთავად საზღვრების საკითხის გამორკვევა იმხანად არც სასურველი და არც შესაძლებელი იყო.

1918 წლის ივნისის ოსმალეთ-საქართველოს დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ბორჩალოს მაზრის ერთი ნაწილი ოსმალეთს დაეთმო. მათ დაიკავეს ხაზი მდინარე კამენკას მარჯვენა ნაპირზე, სახელდობრ, სოფლები: ნოვო-პოკროვკა, ჯელალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანლური, კურტანი, დარ-კენდი და შემდეგ კობერის ასაქცევისა და სადგურ კალაგარანის

შუა მდებარე ხიდის ჩრდილოეთით არსებული რკინიგზის ხაზი 117 ვერსზე (ოსმალეთის ეს მანევრი ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებით, რომ ოსმალეთის ჯარი შეუფერხებლად გადაადგილებულიყო ყარაქილი – დილიჯანი - ყაზახის გზაზე), ხოლო ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, კერძოდ, პუნქტები: ვორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდერბექი, მღარტი, კობერის ასაქცევი, კორინჯი და წათერი დაიკავა ქართული ჯარის ნაწილებმა.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალებმა დაიწყეს ჯარების გაყვანა ბორჩალოს მაზრიდან. ამ მომენტით ისარგებლეს სომხებმა და 18 ოქტომბერს დაიკავეს კობერი, კორინჯი და წათერი. საქართველოს მთავრობა შეეცადა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა კონფლიქტი, მაგრამ 1918 წლის 8 დეკემბერს სომხეთის ჯარმა დაიწყო მოქმედება ლორესა და ბორჩალოს მაზრის დასაკავებლად.

საქართველოს მთავრობამ, წინდაუხედავად, ეს კონფლიქტი, რატომღაც, დროებით, ლოკალურ მოვლენად ჩათვალა და მობილიზაცია დაგვიანებით, მხოლოდ 17 დეკემბერს გამოაცხადა.

საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი სომხეთთან. დაიწყო საომარი მოქმედებები. რამდენიმე დღეში ქართველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, მტერმა უკან დაიხია, მაგრამ ამ დროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატორებად გამოვიდნენ კავკასიაში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები. 25 დეკემბერს თბილისში გაიმართა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დარჩენილიყო სოფელ ოფრეთში, ხიჟორნიში, გიულ-ბაღში, სადახლოში, სადგურ სადახლოში და სხვა... სომხებს უნდა დაეხიათ ოსმალური ხაზისაკენ — დისიხ-ჯელალ-ოღლიზე. ინგლისური პიკეტები უნდა ჩამდგარიყო რკინიგზაზე, ქართულ და სომხურ ჯარებს შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნებოდა შერეული, ხოლო ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრაციის წევრები იქნებოდნენ ქართველები. ადმინისტრაციას მეთვალყურეობას გაუწევდა მოკავშირეების კომისია. მასში შევიდოდნენ ადგილობრივი სომეხი და მუსლიმური მოსახლეობის წარმომადგენლები.

1918 წლის 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ მიიღო ეს დადგენილება და 31 დეკემბერს 24 საათზე საქართველო-სომხეთს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა.

ამ ზავმა ქართველი მოსახლეობის უმრავლესობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენი ჯარის წარმატებულმა მოქმედებებმა იმედი ჩასახა, რომ საქართველო, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტდა თავისი ისტორიული ტერიტორიების ბედს, ხოლო ამ შეთანხმებით კვლავ სადავო რჩებოდა ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

არაჩვეულებრივი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის სხდომაზე გრ. ვეშაპელმა: „სომხებთან ჩვენი ომის მიზანი იყო საქართველოს მიწა-წყლის გაწ-

მენდა შემოსული მტრისაგან და საბოლოოდ ბუნებრივი საზღვრების დადება საქართველოსა და სომხეთს შორის... ომი მართლაც გათავდა, დიახ გათავდა და არა შეჩერდა, როგორც გვეუბნებიან ბატონი მინისტრები. მართალია მთავარი შტაბი ამას დროებით ზავს უწოდებს, მაგრამ ეს დროებითი კი არა, საბოლოო ზავია, რადგან შემდეგ ინსტანციად საერთაშორისო კონგრესი არის აღიარებული და ამით საქართველოს ხელიდან გამოცლილია ყოველივე სამხედრო ინიციატივა, მერე რა მოგვცა ამ ზავმა, მივაღწიეთ თუ არა ჩვენ ომის მიზნებს? არა, არ მიგვიღწევია!... სტრატეგიული პოზიციები: კარები ქართლისა და თბილისისა, ბამბაკისა და ბეზობდალის მთების გადმოსასვლელი გზები ისევ ისე სომხების ხელშია. ის ფრონტი, რომელზედაც უნდა გაჩერდეს ჩვენი ძლევამოსილი ჯარი, სრულებით არ არის ხელსაყრელი სტრატეგიულად, მოითხოვს მრავალრიცხოვან ჯარის ყოლას საზღვარზე და არ უზრუნველყოფს ქართლსა და საქართველოს დედაქალაქს ახალი შემოტევისაგან. ის ტერიტორია, რომელიც საზავო პირობების მიხედვით „ნეიტრალურ ზონად“ ცხადდება (ალავერდითურთ), თუ შიგ „შერეული ქართულ-სომხური მმართველობა“ იქნება, ფაქტიურად ისევ სომხების ხელში დარჩება, იმიტომ რომ სომხეთის ჯარის უკან დახევა ძველი საზღვრებისაკენ ზღაპარია. მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების ბელადები გვეუბნებიან, რომ თუ ასეთი ზავი ჩამოვაგდეთ, ეს იმის ბრალია, რომ ინგლისი ჩაერია საქმეშიო: ჩვენ ნაციონალისტებს არ გვჯერა, რომ უხეირო ზავი ინგლისის ბრალია... ეს ინგლისის ბრალი კი არა ჩვენი უხეირო სოციალ-დემოკრატიული დიპლომატიის ბრალია, რომელიც საქართველოს საკითხებს არკვევს არა ნაციონალური, არამედ კლასობრივი, პარტიული და პროლეტარული თვალსაზრისით. ეს რომ ასე არ იყოს განა იტყოდნენ აქ, რომ ზავის ჩამოგდებას დემოკრატიისა და ერთა სოლიდარობის საქმე მოითხოვსო! განა შეიძლება სოლიდარობით ასეთი ზავის გამართლება. მათ ეშინოდათ იმის თქმა, რომ სომხისა და ქართველ ერს შორის ბრძოლა არის, მათ რომ ჰკითხოთ, საქართველო სომხეთს კი არა, სომხეთის ერთ პარტიას, დაშნაკცუტუნს ებრძოდა, ისიც მთელს დაშნაკცუტუნს კი არა, მის ერთ ნაწილს, რომელსაც სახელად „მაუზერისტებს“, ავანტურისტებს არქმევენ. ჩვენ ნაციონალისტები პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს ომი იყო და არის ომი ქართველი და სომეხი ერისა თბილისის კარებისათვის და სანამ საქართველო არ დაკეტავს კარებს ბეზობდალისა და ბამბაკის ქედთან, მანამ არ შეიძლება ზავი სომხის ერთან“.

1919 წლის 7 იანვარს დაიწყო სომხეთის ჯარების გაყვანა. ამავე დროს თბილისში მუშაობას შეუდგა სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც 17 იანვრამდე გაგრძელდა. კონფერენციამ იურდიულად გააფორმა ომის დამთავრება.

წინააღმდეგობა ამით მაინც არ აღმოიფხვრა. სომხები ვერ თმობდნენ თავიანთ უტოპიურ ინტერესებს საქართველოში. მათ უნდოდათ, სომხეთისთვის შეეერთებინათ არამარტო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრა, არამედ ერუ-

შეთი, ფოცხოვის უბანი, არტაანი და შავშეთ-ქობულეთ-აჭარა. ამ სურვილს სომხები ასაბუთებდნენ იმით, რომ ამ მხარეში ბევრი სომეხი ცხოვრობდა და, მეორეც, მათ სჭირდებოდათ ზღვისკენ გასასვლელი. ეს მოთხოვნები წამოაყენეს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზეც, რომელიც შესვენებებით მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე, სადაც ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, სომხეთის საკითხის გამოსარკვევად შექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შედიოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლები. აღნიშნული კომისია თვლიდა, რომ სომხეთს გასასვლელი უნდა ჰქონოდა ზღვისკენ, რის გამოც სადავო გახდა ლაზისტანის ტერიტორია. საქართველოს დელეგაცია მოითხოვდა ლაზისტანს და შუა ჭოროხზე ისპირისკენ საზღვრების გაფართოებას, კერძოდ, ყარსის ოლქის დასავლეთ ნაწილს, ე.ი. არტაანისა და ოლთისის მხარეს.

დიდი დავის შემდეგ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა დელეგაციების საერთო სხდომამ აღიარა საქართველოს უზენაესობა ბათუმის ოლქზე. ინგლისმა შეუნარჩუნა სომხეთს არტაანის მხარის სამხრეთი ნაწილი. ჩრდილოეთი ნაწილი თვით ინგლისელებს ეჭირათ.

1919 წლის აგვისტოს დამლევს ინგლისელებმა დატოვეს მათ მიერ დაკავებული ზონა არტაანის მხარეში. მათი გადაწყვეტილების თანახმად, ეს მხარე სომხეთს უნდა გადასცემოდა, მაგრამ ქართული რაზმის მეთაურმა, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, არტაანში სომხები არ შეუშვა, თანაც გამოაცხადა, რომ არტაანის ჩრდილოეთი, სადაც აქამდე ინგლისელები იდგნენ, საქართველოს უერთდებაო. ამ გზით, არტაანის ჩრდილოეთი ნაწილი, ფაქტობრივად, საქართველოს მიემატა. 1920 წლის ნოემბერს, როდესაც ოსმალეთი თავს დაესხა სომხეთს, სომხები, რომლებსაც ოსმალეთის მიერ ყარსის დაკავების გამო გზა მოეჭრათ, იძულებულნი გახდნენ, არტაანის ოლქის სამხრეთი ნაწილიც მიეტოვებინათ. ქართველებმა დაიკავეს ზემოხსენებული ტერიტორია და, ამგვარად, მთელი არტაანი საქართველოს ხელში აღმოჩნდა.

1919 წლის აგვისტოდან დაიწყო ბორჩალოს მაზრიდან და მესხეთიდან ინგლისის ჯარების გასვლა. ჯარი დარჩა მხოლოდ ბათუმში. ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის მიტოვებას მაშინ, როდესაც ჩრდილოეთიდან მას უკვე უახლოვდებოდა რუსეთი, სამხრეთიდან კი ოსმალთა ახალი ჯარები ირაზმებოდნენ. ჯერ განუმტკიცებელ საქართველოს რესპუბლიკას დამხმარე ხელი ესაჭიროებოდა.

1920 წლის ივლისში ინგლისმა ბათუმიც დატოვა. თბილისი შეშფოთებით შეხვდა ცნობას ბრიტანეთის ჯარების გაყვანის შესახებ. საქართველოს მთავრობის წევრები ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას მიუთითებდნენ ამიერკავკასიაში შექმნილ საერთო პირობებსა და საქართველოს საზღვრებზე არსებულ სახიფათო მდგომარეობაზე. ისინი განსაკუთრებით ხაზს უს-

ვამდნენ რუსეთის მხრიდან აგრესიის საშიშროებას. მას შემდეგ, რაც 1920 წლის 27 აპრილს რუსეთმა აზერბაიჯანი დაიკავა, ეს საშიშროება კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ ბრიტანეთის სახელმწიფო ინტერესი რუსეთის წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ჩარევისაგან უარის თქმას მოითხოვდა. ამასთან, მენშევიკების მთავრობამ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როცა დათანხმდა 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მუხლს საქართველოს ტერიტორიებიდან უცხო ჯარების გაყვანის შესახებ.

კიდევ უფრო დიდ შეცდომას წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის, ფაქტობრივად, საბჭოთა რუსეთის საქართველოსთან დამაკავშირებელი უღელტეხილების ნეიტრალურ ზონად გამოცხადება. რუსეთის აგრესიის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი დაუცველი რჩებოდა.

1920 წლის სექტემბერში დაიწყო ოსმალეთ-სომხეთის ომი. ოსმალებმა თანდათანობით დაიკავეს გუმბრი, ყარაქილისი, მიუახლოვდნენ ლორეს ნეიტრალურ ზონას. სომხებმა დასახმარებლად საქართველოს მიმართეს. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო შეთანხმება ქართული ჯარების ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში დროებით შეყვანის შესახებ. ეს შეთანხმება დაიდო სამი თვით. სამი თვის შემდეგ მისი გაგრძელება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოხსენებული შეთანხმება ძალას დაკარგავდა.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მთელ კავკასიაში მარტო საქართველო დარჩა დამოუკიდებელი, რომელსაც საფრთხე ყველა მხრიდან მოელოდა. ერთ-ერთ ასეთ სახიფათო მიმართულებას ბორჩალოს მაზრის ე. წ. ნეიტრალური ზონა წარმოადგენდა. „დღეს ერევნის საბჭოთა რეჟიმის სამხედრო ძალთა გამგებელი გენერალი ჰდრო ბრძანდება, ის ჰდრო, რომელმაც 1918 წელს ბორჩალოს კამპანიას სული ჩაუდგა და რომელიც მაშინ თბილისისაკენ მოექანებოდა! აშკარაა გენერალი ჰდრო ისარგებლებს დღევანდელი მომენტით, რომ ეს თავის გულისწადილი აღსრულებაში მოიყვანოს. სადემაგოგიო მასალა კარგი იქნება: ქართველებმა დაიჭირეს ნეიტრალური ზონა, ეს ზონა უნდა დავიბრუნოთ! ამ ნეიტრალურ ზონაში სომხური ბოლშევიკური მუშაობა სწარმოებდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სომხეთს არც ქემალი მოვლინებოდა და არც საბჭოთა რუსეთი. გარდა საერთო სამხედრო სამზადისისა, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ ზონას კერძოთ და ხოლო საერთოდ ბორჩალოს მაზრას. აუცილებელია აქ დაუყოვნებლივ დამყარდეს საგანგებო წესები, გამკაცრდეს ხელისუფლება და ყოველი ცდა სამოქალაქო მშვიდობიანობის დარღვევისა და ანარქიის გამოწვევისა, უსასტიკესი სასჯელით იქნას ჩაქრობილი“ – წერდა გაზეთი „საქართველო“.

საქართველო-სომხეთის 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმებით, საქართველოს ჯარს ლორე უნდა დაეტოვბინა 3 თვის შემდეგ, ე.ი. 1921 წლის 13 თებერვალს. სწორედ იმავე ხანებში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო მოლაპარაკება გასაბჭოებული სომხეთის მთავრობასთან და მიაღწია იმას,

რომ 1921 წლის 15 თებერვალს, ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად, სომხეთისა და საქართველოს დელეგაციები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ მას ეს არ დასცალდა. საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს სომხეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები. მათ სწორედ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მოახდინეს ,,მშრომელი ხალხის აჯანყების" ინსპირირება. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველო-სომხეთის საზღვრების საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა.

ბ) საზღვარი აზერბაიჯანთან

საქართველოს საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორი მოიცავს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს. რა ვითარება იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრებზე დემოკრატიული საქართველოს დროს? 1918-21 წლებში დავას იწვევდა ამ სექტორში მდებარე ზაქათალის ოლქი, იგივე საინგილო.

„საინგილო" და „ინგილო" მე-19 საუკუნეში შექმნილი ტერმინებია. „ინგილო" ეწოდა საინგილოში მცხოვრებ უძველეს მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, უკეთ, ამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. სიტყვა „ინგილოს" სხვადასხვანაირად ხსნიან. ზოგის აზრით, იგი სოციალური ტერმინია, ზოგი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ახლად მოქცეულს, მორჯულებულს ნიშნავს. „ენგილა" სპარსულად ამოძირკვულის, ამოგდებულის შესატყვისია. თვითონ ინგილოები ამ სიტყვის დამკვიდრებას უკავშირებენ შაჰ-აბასის შემოსევას, რომლის დროსაც ქართველები გადარჯულდნენ, სპარსელების აზრით, მორჯულდნენ ე. ი. გამაჰმადიანდნენ. ყოველივე ამაში ერთი უდავო ჭეშმარიტება ის არის, რომ სიტყვა ინგილო ეთნიკური ტერმინი არ არის და მისი შემოღება მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებს მიეწერება. რუსები საინგილოს ჭარ-ბელაქანს (ელისუს სასულთნოს ჩათვლით) უწოდებდნენ.

XIX ს. ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ჭარ - ბელაქანი, ელისუს სასულთნოს ჩათვლით, მდებარეობდა მდ. ყანი-ყობსა (აღმოსავლეთით) და გავაზის წყალს (დასავლეთით) შორის. სამხრეთ-დასავლეთით მას ჩამოუდიოდა მდინარე ალაზანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — მდ. აგრი-ჩაი (ალაზნის შენაკადი), ხოლო ჩრდილოეთით საზღვარი გადადიოდა კავკასიონის გადაღმა და ებჯინებოდა ხორავის მთაგრეხილს, რომელიც მდინარე სამურის ჩრდილო შენაკადის — ყარა-სამურის — სამხრეთით მდებარეობს. სამურის ზემო წელში მდებარე 6 სოფელი (დღევანდელი დაღესტნის რუთულის რაიონის ერთი ნაწილი), რომელიც ე. წ. წახურის მაჰალს შეადგენდა, ელისუს სასულთნოში შედიოდა. შემდეგში, 1860 წელს, რუსეთის მმართველობამ ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს „წახურის მაჰალი" ჩამოაცილა და რუსულ ლიტერატურაში უკვე ზაქათალის ოლქის სახელით ცნობილმა ადმინისტრაციული ერთეულის ჩრდილო საზღვარმა კავკასიონის ქედზე გადმოინაცვლა.

საინგილო დღევანდელი კახეთის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. გეოგრაფიულად ზაქათალის ოლქი ერთი წვერით შემოჭრილია სიღნაღის მაზრაში (თითქმის 80 ვერსის მანძილზე), რაც უფრო აახლოვებს მას როგორც კახეთთან, ისე — თბილისთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ოლქს სამხედრო თვალსაზრისით. ზაქათალის ოლქი, საინგილო - ძველი ჰერეთი, ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული ინგილოქართველებით, ერთგვარი ხიდი იყო საქართველოს დასაპყრობად მომავალი მტრებისათვის. მათ კარგად იცოდნენ, რომ ჯერ ეს გზა-ხიდი უნდა მოესპოთ და შემდეგ გამაგრებულიყვნენ საქართველოში. როგორც ზ. ედილი წერს, „ეს ის პლაცდარმი იყო, რომლის დამპყრობელსაც შეეძლო მუდამ შიშსა და მორჩილებაში ჰყოლოდა მთელი კახეთი და აღმოსავლეთი საქართველო“.

XIX-XX საუკუნის მეორე ნახევარში ზაქათალის ოლქი ადმინისტრაციულად დროგამოშვებით თბილისის გუბერნიაში შედიოდა. 1917 წლის თებერვლიდან რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ამ ოლქის მანამდე შედარებით მშვიდი ცხოვრებაც გაართულა. რევოლუციით გამოწვეულ არეულობაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული და, მაშასადამე, არც საქართველოს მთავრობა არსებობდა, ოლქს აზერბაიჯანი დაეპატრონა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მაშინვე დადგა საზღვრების საკითხი. აზერბაიჯანელები მის გადაწყვეტას რელიგიურ საფუძველზე მოითხოვდნენ. ამ პრინციპით, აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო საინგილო, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა და ბათუმის ოლქი. ეს საქართველოს მთავრობისთვის მიუღებელი იყო.

არსებული საზღვრების დასაცავად 1918 წლის 5 ივნისს საქართველოს სამხედრო მინისტრს, გ. გიორგაძეს, დაევალა, ბორჩალოს, სიღნაღის და თბილისის მაზრების საზღვრებზე განელაგებინა შეიარაღებული ძალები.

საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი, მიუხედავად არსებული სადავო ტერიტორიული პრობლემებისა, დინამიურად ვითარდებოდა. თუმცა საინგილოში დროებით აზერბაიჯანის მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა და იქ მათი სამხედრო ნაწილები იდგნენ, საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ საკითხს მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მოაგვარებდა.

ეროვნულ საბჭოში ზაქათალის ოლქის წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე რაფიელ ივანიცკი (ინგილო), უკმაყოფილო იყო საქართველოს მთავრობის ამ პოლიტიკით: „უხსოვარი დროის საქართველოს პროვინციის მნიშვნელობის საჭიროება ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის, ქართველი საზოგადოებისათვის სავსებით გამორკვეულია. აღმოსავლეთ საქართველოში გამაგრება და დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ხელთ გვიპყრია ისეთი პუნქტები, როგორიც არის სამხრეთით ბამბაკ-ლორეს, ხოლო ჩრდილო-აღ-

მოსავლეთით ზაქათალის ოლქი, ნუხის მაზრის ადმინისტრაციულ მიჯნამდე. უცნაურად გადაწყდა საინგილოს ბედი: ამიერკავკასიის რესპუბლიკის დანაწილების შემდგომ ეს კუთხე დარჩა, რომის უფლების ტერმინი რომ ვიხმაროთ Hereditas jacens-ად. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ზაქათალის ოლქის შემოერთებას ბევრი ქართველიც იმპერიალისტურ აქტად ჩასთვლიდა. მაშინ საქართველოში სახელმწიფო საკითხები და განსაკუთრებით ტერიტორიული შემოფარგვლა პრინციპულად წყდებოდა ხოლმე სამერმისოდ. ამიტომაც მოხდა, რომ უფრო რეალური პოლიტიკის მიმდევარმა აზერბაიჯანმა მიიკუთვნა საქართველოსაგან მიტოვებული ოლქი და ჩვენი უმოქმედობით წაქეზებულმა ბოლოს ალაზნის გამოღმა ნაწილზედაც შეგვედავა“.

ამავე მოსაზრებას იზიარებს მოსე ჯანაშვილიც: „საინგილოს ბოლოს რომ ალაზანი ჩაბრუნდება მტკვარში ჩასაქანებლად, მისკენ რკალივით მიიწევს დიდი კავკასიონი და იმდენად უახლოვდება ალაზანსა და მის აქეთ სიღნაღის მთებს, რომ შუაში რჩება 15-ოდე ვერსის მანძილი, აი ეს 15 ვერსიანი მანძილი არის საქართველოს აღმოსავლეთის მხარის მიჯნა... საჭირო იყო თავიდანვე ამ 15 ვერსიან მიჯნაზე დაგვეყენებინა 40-ოდე გერმანელი და ხუთიოდე ქართველი, რომ საინგილო დღეს ჩვენი ყოფილიყო... დაგვეკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი დარაჯები დროით ვერ ჩავაყენეთ საინგილოს მიჯნაზე“.

1919 წლის მარტსა და 1920 წლის აპრილში ჩატარდა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კონფერენციები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზღვრების საკითხს; გამოიკვეთა პრობლემების გადაჭრის გზები. მაგრამ სანამ თბილისში დელეგაციები საზღვრების საკითხს იხილავდნენ, აზერბაიჯანში 1920 წლის 27 აპრილს მე-11 წითელი არმია შევიდა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

1920 წლის 30 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრამა ე. გეგეჭკორმა რადიო-ტელეგრამა გაუგზავნა ბაქოს რევოლუციურ კომიტეტს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა მზადყოფნა, დაეწყო მოლაპარაკება აზერბაიჯანთან და მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინათ საზღვრების საკითხი. ამის პასუხად, აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები 2 მაისს თავს დაესხნენ საქართველოს სასაზღვრო ჯარს წითელ ხიდთან მდინარე ხრამზე, თბილისისა და ელისავეტოპოლის გუბერნიის საზღვრებზე, დაიკავეს ხიდი და 5 ვერსით წაიწიეს წინ საქართველოს ტერიტორიაზე. აზერბაიჯანთან ერთად ბრძოლაში საბჭოთა არმიის ნაწილებიც მონაწილეობდნენ. ამ დროს მოსკოვში რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება მშვიდობიანი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

საქართველოს სამხედრო დანაყოფები გენ. გიორგი კვინიტაძის სარდლობით შეტევაზე გადავიდნენ და წარმატებებს მიაღწიეს. მათ ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს, ყველას გამარჯვების იმედი ჰქონდა...

19 მაისს ჯარს გადამწყვეტი შეტევა უნდა დაეწყო... 18 მაისს გ. კვინიტაძე სადახლოში იყო. ამ დღეს მან ნოე ჟორდანიასგან მოკლე დეპეშა მიიღო. მთავრობის თავმჯდომარე მოითხოვდა საომარი მოქმედებების შეწყვეტასა და მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებას. ეს დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. კვლავ გამარჯვებულებმა დაუთმეს დამარცხებულებს. „ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ, კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე ძლიერი არმია უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ხომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში! ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დამარცხდა, გაიქცა, თავად კი უკან დაიხია... ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“- წერს რომან დიუგე წიგნში ,,მოსკოვი და წამებული საქართველო“.

საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მოსკოვის ძალდატანებით მიიღო. მოსკოვში მყოფი გრ. ურატაძე დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა და საქართველოს მთავრობას მოსკოვის სურვილს ატყობინებდა, თან დათანხმებისაკენ მოუწოდებდა. აი ერთ-ერთი მათგანი: „ვიყავი ჩიჩერინთან, რომელიც გთხოვთ არ აწარმოოთ საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ზაქათალის მხარეში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოლქში მათი ჯარი შევა. ის პირობას იძლევა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რათა გადაწყვიტოს ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ, შეთანხმების თანახმად. ის გთხოვთ კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით გააგზავნოთ აზერბაიჯანში შემდეგი შინაარსის ნოტა: საქართველოს გამოყავს თავისი ჯარი ზაქათალის ოლქიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას დაიჭერს აზერბაიჯანის ჯარი“.

გრ. ურატაძე დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვი ზაქათალის ოლქის საკითხს საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ამიტომ საქართველოს მთავრობას სთხოვს, მიიღოს ჩიჩერინის წინადადება. დამარცხებულები გვკარნახობდნენ პირობებს. ასეთი დეპეშები არაერთი იყო, სწორედ ამან განაპირობა ნ. ჟორდანიას გადაწყვეტილება. იგი იმედოვნებდა, რომ, რაკი მან უარი თქვა, ესარგებლა გამარჯვების შედეგით, ამით მოსკოვის ხელისუფლების გულს მოიგებდა და ხანგრძლივ მშვიდობას დაამყარებდა. თავის მოგონებებში ნ. ჟორდანია წერს: „ჩემთვის მთავარი იყო ჩვენი იურიდიული ცნობა რუსეთისაგან, რასაც შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც მიმართავდნენ“. ამავე მოსაზრებით დათანხმდა ის ხელშეკრულების ყველა იმ მუხლსაც, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობას გამოუთხარეს ძირი. ამ საომარი მოქმედებების დროს, 1920 წლის 7 მაისს, საიდუმლო პირობებში დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან გრ. ურატაძე და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ლევ კარახანი. ამ შეთანხმებით, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა,

მაგრამ ამან აზერბაიჯანის უკმაყოფილება გამოიწვია. მათ იმ დღესვე სასწრაფო დეპეშა გაგზავნეს მოსკოვში. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. ამის შედეგი იყო ის, რომ 12 მაისის საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმების ძალით, ზაქათალის ოლქის საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართველოსა და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ, სადავო ტერიტორიაზე შეეყვანათ ჯარების ახალი კონტინგენტი, ე. ი. იმაზე მეტი, ვიდრე მანამდე იყო.

აშკარაა, დამატებითი შეთანხმება საქართველოსთვის ხელსაყრელი არ იყო, რადგანაც ზაქათალაში, 12 მაისის მდგომარეობით, მხოლოდ მე-11 არმიის ნაწილები იმყოფებოდა და ჩვენ აღარ შეგვეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. როგორც ზემოთ მოყვანილი დეპეშიდან დავინახეთ, რუსებმა, „კავკასიაში მშვიდობის“ დამყარების საბაბით, თვითონ მოგვთხოვეს ჯარების გაყვანა ზაქათალის ოლქიდან. ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრამდე მივიდოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი იქნებოდა. იგი, რა თქმა უნდა, ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით პრობლემა საქართველოს საზიანოდ გადაწყდებოდა.

1920 წლის 12 ივნისს სასაზღვრო ქალაქ აღსტაფაში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ სიმონ მდივანმა და ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა, საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან - საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მირზა დაუთ ჰუსეინოვმა. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 1920 წლის 25 ივნისს.

ამ ხელშეკრულებით, საზღვრები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თბილისისა და ელისავეტოპოლის გუბერნიების გამყოფ ხაზზე გაივლო.

გარდა ამისა, შეიქმნა ე.წ. ნეიტრალური ზონები. ეს ზონები მდებარეობდა მარტო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მხოლოდ დროებითი ხასიათი (ერთი წლის ვადით) ჰქონდა. აზერბაიჯანს არ უნდა განელაგებინა ჯარი წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის ირგვლივ მდინარე მტკვრის გაღმა. აღნიშნული იყო მთელი რიგი პუნქტები, სადაც უნდა გაევლო ნეიტრალურ ზონას და რომელსაც არ უნდა გასცილებოდა აზერბაიჯანის ჯარები. იქ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ აზერბაიჯანის სამოქალაქო ადმინისტრაცია. ამას გარდა, ყარაიაზის ველი და სიღნაღის მაზრაში ელდარის ველი საქართველოს ტერიტორიის უდავო ნაწილი გახდა, წითელი ხიდის გაღმა მდებარე ორი მთა — ტარსი და ბაბაქიარი — შემოუერთდა ჩვენს ტერიტორიას. ზა-

ქათალის ოლქის საკითხი გადასაჭრელად გადაეცა საარბიტრაჟო კომისიას, რომელიც უნდა შექმნილიყო 1920 წლის 12 მაისის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დადებული დამატებითი შეთანხმებით. ე.ი. საკითხი ღიად დარჩა და სამომავლოდ გადაიდო.

ამ დროისთვის მთავარ ამოცანად საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება იქნა მიჩნეული. ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას საქართველოს მთავრობა სამომავლოდ მშვიდობიანი გზით ფიქრობდა, მაგრამ აღსტაფის ხელშეკრულება საქართველოს წითელი რუსეთის გავლენაში აქცევდა. ყოველივე ამან საქართველოს დამღუპველი შედეგები მოუტანა.

1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში ზაქათალის ოლქში კიდევ განლაგდა რუსეთის მე-11 არმიის რამდენიმე ქვედანაყოფი. ასე დაარღვია რუსეთმა 1920 წლის 12 მაისის დამატებითი შეთანხმება.

საქართველოს მთავრობამ ამის გამო საპროტესტო ნოტა გაუგზავნა აზერბაიჯანის სსრ ხელმძღვანელობას, მაგრამ აზერბაიჯანელები უარყოფდნენ ზაქათალის ოლქში ჯარების შეყვანის ფაქტს.

მხოლოდ საქართველო ასრულებდა მოსკოვისა და აღსტაფის ხელშეკრულებებს, მას არ შეჰყავდა ჯარი ზაქათალის ოლქში, თუმცა ამის მოსურნე თითქმის მთელი ოლქი იყო. იგი გულმოდგინედ ელოდა, როდის ინებებდნენ რუსეთისა და აზერბაიჯანის მესვეურები საარბიტრაჟო კომისიის შექმნას. რ. ინგილო კვლავ ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას უმოქმედობაში: „დღეს მთელი ზაქათალის ოლქი მოცქერალია საქართველოსთან შეერთებისა, მცხოვრებლები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოითხოვენ საქართველოს ხელმწიფების დამკვიდრებას ოლქში, მისთვის ავტონომიის მინიჭებით. ასეთი სურვილი ოფიციალურად გამოცხადებულია და დამაგრებულია უეჭვო საბუთებით. მე მინდა უკანასკნელად დავსვა საკითხი, ეხლა უკვე საჯაროდ, რას ჰფიქრობს ქართული საზოგადოება ზაქათალის ოლქის შესახებ? ნუთუ სამხრეთით მომდგარი რეალური საფრთხე მაინც არ უნდა აფიქრებდეს მას და არ ააჩქაროს ამ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სულერთია, მაინც არ ასცდება საქართველოს, თუ მას განზრახვა აქვს იარსებოს ვითარცა სუვერენული პოლიტიკური ერთეული... საქართველო ალბათ მოკლე ხანში იქნება ცნობილი ევროპის მიერ იურიდიულად. მე ვშიშობ, რომ იქვე გადაწყდება, რესპუბლიკის ტერიტორიის საკითხი და მას მოუჭრიან იმდენ მიწას, რამდენის დაპატრონება და მოვლა მან შესძლო... შემდგომ წუწუნს საქართველოს ისტორიულ წარსულისა და ტერიტორიულ უფლებებზე ყურადღებას აღარავინ მიაქცევს... მაშასადამე მთელი წყება ფაქტები და კარზე აღმართული საფრთხეც ეხლავე ჩაგვჩიჩინებენ, რომ საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ კატეგორიული გადაჭრა ზაქათალის საკითხისა საქართველოს სასარგებლოდ“. მართლაც, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. საქართველოს გარშემო რკალი იკვრებოდა.

1921 წლის 15 თებერვალს მე-11 არმიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ აღსტაფა-ფოილოს მხრიდან, ხოლო 17-18 თებერვალს მათ გადმოლახეს მდინარე მაზიმ-ჩაი და შემოიჭრნენ ლაგოდეხსა და მთლიანად სიღნაღის მაზრაში. საქართველო ყველა მხრიდან ალყაში იყო მოქცეული... 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო ანექსირებულ იქნა ბოლშევიკების მიერ. გასაბჭოების შემდეგ საქართველომ საბოლოოდ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ვერ მოაგვარა საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო სასაზღვრო საკითხები. 1920 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ აშკარად მოგებული პოზიციები დათმო და მდგომარეობა თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა. თეორიულად საქართველო ზაქათალას ყოველთვის თავის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოცხადდა აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოსა (ბათუმის ოლქის) და ზაქათალის ოლქის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, ავტონომია. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი იყო. რეალურად საქართველოს ძალაუფლება ზაქათალის ოლქზე აღარ გავრცელდა.

ბოლშევიკების დროს საზღვრებისადმი დამოკიდებულების საკითხი რადიკალურად შეიცვალა. თუ რა განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ ამ საკითხთან მიმართებაში დემოკრატიული საქართველოსა და ბოლშევიკური საქართველოს წარმომადგენლები, ამის დასტურად მოგვყავს გრ. ლორთქიფანიძისა და მ. ორახელაშვილის 1921 წლის 17 მარტის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ჩანაწერები, როცა გრ. ლორთქიფანიძემ პრინციპულად დააყენა საკითხი: „როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს, ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს ის, ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი... დღეს ყველაზე დიდი საშური და პირველ რიგში განსახილველი არის საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება“. ამ სამართლიან მოთხოვნას მ. ორახელაშვილი პასუხობს: „ეს საკითხი მეორეხარისხოვანია, ჩვენი პირველი მოთხოვნილება არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საბჭოთა რესპუბლიკა და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია“. საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. ბოლშევიკებს რესპუბლიკათაშორისი საზღვრები დროებით მოვლენად მიაჩნდათ: „მომავალში გვექნება ერთი კომუნისტური მსოფლიოს რესპუბლიკა, რომლის საზღვრები მხოლოდ

მთელი დედამიწის ზურგი იქნება და რომელსაც სახელად სახელმწიფო აღარ ერქმევა“. ერთ-ერთ კრებაზე აზერბაიჯანელმა ბოლშევიკმა ნ. ნარიმანოვმა განაცხადა: „კომუნიზმის წყალობით წაიშალა საზღვრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის“. ამ ანტიეროვნულ მოძრაობას „საზღვრების წაშლის“ შესახებ დასაბუთებული პასუხი გასცა შ. ნუცუბიძემ: „რას ნიშნავს საზღვრების წაშლა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის? სად სწერია ან ვინ დაამტკიცა, რომ კომუნიზმი და სახელმწიფოების საზღვრების წაშლა ერთი და იგივეა. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როგორც ასეთს მას აქვს და მომავალშიც უნდა ჰქონდეს ყოველივე ნიშანი... დამოუკიდებელი სახელმწიფოსი: ენა, ტერიტორია, საზღვრები და სხვა... რას ნიშნავს სახელმწიფო, რომელსაც საზღვარი არა აქვს... რა კავშირია კომუნიზმსა და საზღვრების წაშლის შუა... სახელმწიფო ჰაერში გამოკიდებული ხომ არაა, ის გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობს და სხვაგვარად არც შეიძლება არსებობდეს“. კომუნისტები მაინც თავის პოზიციაზე იდგნენ, მათი აზრით „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი... როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა საზღვარზე, ერთი ცხადია, რომ მას ჩვენ ვერ დავუმორჩილებთ საკითხს სტრატეგიული მიზანშეუწონლობის ან ეგრეთწოდებული ბუნებრივი საზღვრების შესახებ... ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებს... კითხვა საზღვრების შესახებ სხვადასხვა დროს შეიძლება სხვადასხვანაირად გადაიჭრას, რეალური მოსახლეობის ან არსებულ ეკონომიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით... მენშევიკური მთავრობის დამხობა, საქართველოს ბევრმა ჭია-ღუამ გაიგო, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს აღსასრული, ბევრს ისიც ეგონა, რომ მოკვდა საქართველო, როგორც იურიდიული პიროვნება, წაიშალნენ საქართველოს ისტორიული საზღვრები, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები...“ — წერს 1921 წლის 25 მარტის გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი.

დაიწყო „საქართველოს ვაებისა და უბედურების“ პერიოდი. ბოლშევიკების დროს, საუბარი აღარ იყო სახელმწიფოებრივ საზღვრებზე. „ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებს“, - აცხადებდნენ ისინი და საზღვრების საკითხს ცუდად გაგებული „ინტერნაციონალური“ ლოზუნგებით წყვეტდნენ. ცხადი იყო, რომ „რევკომისთვის (რევოლუციური კომიტეტისთვის – ავტ.) სამშობლოს სიყვარული ყელს ზევით გამოთქმული დეკლარაცია იყო“. საქართველოს კომუნისტებმა საზღვრების საკითხი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით გადაწყვიტეს. მათ საქართველოს ისტორიული მიწები დაუთმეს „მოძმე ხალხს“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა კომუნისტი ერთნაირად არ ფიქრობდა. პირველად ნაციონალიზმისაკენ გადახრის ფაქტმა თავი იჩინა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დაწესების, საბაჟო და საკონტროლო

პუნქტების გაუქმების დროს. საზღვრების საკითხმა ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო. ბ. მდივანი ბრალს სდებდა ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას, რომ ისინი რესპუბლიკებს შორის საზღვრებს სპობდნენ და ტერიტორიის აღრევას ახდენდნენ. გ. ორჯონიკიძე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე კატეგორიულად აცხადებდა, რომ საზღვრებს არავინ სპობდა, თუმცა საზღვრების საკითხის გადაჭრისას მშრომელი მასების ინტერესებს უნდა ვემყარებოდეთო.

მოგვიანებით 1922 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ცენტრალური კომიტეტის მდივნის, მ. ოკუჯავას, თავმჯდომარეობით, განიხილა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო დაცვის რაზმების მოხსნის შესახებ. მან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით მიმართა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მოხსნილიყო სასაზღვრო დამცველი რაზმები, ყოველგვარი სახის საკონტროლო პუნქტები და რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს ზომების გატარება სთხოვა ზემოაღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად. მალე წამოაყენეს მოსაზრება, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს ცალკე, იზოლირებლად არსებობა არ შეუძლია და აუცილებელია მათი გაერთიანება ფედერაციულ კავშირში. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებას წინ აღუდგა ე.წ. „ნაციონალურ-უკლონისტური“ მიმდინარეობა, მაგრამ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ 1921 წლის 2 ივლისს გაკიცხა „ნაციონალისტური გადახრა“ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში.

1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საბჭოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციამ დაამტკიცა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება. 1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შედგა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც დაადასტურა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომი სახელმწიფოებრივი დაახლოვების იდეა და შექმნა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო. ფედერაციული კავშირი გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად. ამის შემდეგ აღარავის ახსოვს სახელმწიფო საზღვრები, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სადავო სასაზღვრო საკითხების განსახილველად არა სახელმწიფოებს შორის, არამედ მაზრებს შორის საზღვრების გამმიჯნავი კომისიები იქმნება, რომელთა ოქმებში ყველგან საუბარია ფაქტობრივი მფლობელობის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ან, უკეთეს შემთხვევაში, ადმინისტრაციულ - პოლიტიკურ საზღვრებზე.

ცალკე გადავავლოთ თვალი ჯერ საქართველო-სომხეთის, ხოლო შემდეგ საქართველო - აზერბაიჯანის სასაზღვრო ცვლილებებს საბჭოთა პერიოდში 1938 წლის ჩათვლით. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დაშლის (1936წ.) შემდეგ, 1938 წლის 5-7 მარტს,

თბილისში შედგა საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენელთა თათბირი იმ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრების დასადგენად, რომლითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები, 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებლად შევიდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში. ამის შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული ცვლილებები, ფაქტობრივად არ მომხდარა.

ა) საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ცვლილებები 1921-1938წ.წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა, ს. კიროვის თავმჯდომარეობით, შექმნა სპეციალური კომისია ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კომუნისტების მონაწილეობით, რომელსაც დაევალა წარმოედგინა თავისი წინადადებები ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების შესახებ. კომისიის სხდომები იმავე წლის 25-27 ივნისს გაიმართა ქ. თბილისში.

სომხეთის წარმომადგენლები გულმხურვალედ აღნიშნავდნენ: „მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად. უმდიდრესი ქვანახშირის და მარილის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთისის და ყაგიზმანის ტყიან-საძოვრებიანი რაიონები... გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მივუჩინოთ... ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები - სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა. ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს, გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ გულწრფელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისთვის, დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში“. სომხეთის პრეტენზია საქართველოს მიმართ ასეთი იყო: ახალქალაქის მაზრა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, ამასთან, ამ მაზრაში უნდა ჩაერთოთ ორი სომხური სოფელი: მოლითი და ყიზილ-კილისა, რომლებიც მდებარეობდა ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთით არჯევანის ქედამდე. ამას-

თან, აღნიშნულ რაიონს უნდა გამოჰკლებოდა ხიზაბავრის უბანი, სადაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა.

აშკარაა, სომხეთის დელეგაცია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის ზრუნავდა და ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მდგომარეობას. საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმაც მიუღებლად მიიჩნიეს ტერიტორიის ჩამოჭრა. ოქმში ჩაწერილია: „გამიჯვნის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისათვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიების ჩამოჭრა“.

25 ივნისის სხდომაზე გადაწყდა, რომ, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ჯერჯერობით საუბარი არ უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიების ჩამოჭრაზე.

25 ივნისის კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენლებმა იმსჯელეს ლორეს ნეიტრალურ ზონაზეც. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ამ ზონის მთლიანად სომხეთისათვის გადაცემას. ქართველები უარყოფდნენ ჩამოჭრის პრინციპს და სადავო ნეიტრალურ ზონას ყოფდნენ ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ, სექტორად. ხაზს მათ შორის უნდა გაევლო მთა პალუტლიბაშიდან — სოფ. კამენკა — სოფ. გერგერი (რუსული სოფლები) ბეზობდალის მთამდე. ქართველი კომუნისტები „ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვდნენ მეორე სექტორს“. მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

1921 წლის 7 ივლისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ საქართველოსა და სომხეთის საგარეო საქმეთა კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა. ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლადშექმნილმა პოლიტბიურომ 1921 წლის 16 ივლისს. სხდომამ დაადასტურა კავბიუროს დადგენილება ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემის შესახებ. ამავე სხდომაზე განიხილეს ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხიც, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან იყო დაკავშირებული, სომხეთის წინადადება მიუღებლად ჩაითვალა. იგივე საკითხები განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 3 აგვისტოს გამართულ პლენუმზე. მან დაადასტურა საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტბიუროს დადგენილება ნეიტრალური ზონის შესახებ. იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის

განხილვის დროს კავბიუროში არ ჰქონდათ გათვალიწინებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრი, ეთხოვა კავბიუროს, ხელახლა განეხილა ეს საკითხი. თავის მხრივ, ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში. სომხებს კვლავ უარი ეთქვათ ახალქალაქისა და ხრამის რაიონებზე.

1921 წლის 6 ნოემბერს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბუდუ მდივანმა და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე მიასნიკოვმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიხედვით დადგინდა საზღვარი საქართველოს სს და სომხეთის სს რესპუბლიკებს შორის. სომხეთს გადაეცა ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა. სოფლები ირგინჩაი, საათლო, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოჟორნი, ბრდაძორი, სადახლო საქართველოს საზღვრებში დარჩა.

1921 წლის 15 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მოისმინა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების მოწყობის შესახებ. პლენუმმა წინადადებით მიმართა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოებს და რევკომის თავმჯდომარეებს, ხელი მოეწერათ რესპუბლიკათა შორის საზღვრების განმსაზღვრელი შეთანხმებისათვის. საზღვარი იწყებოდა უჩ-ტაპალარის მთიდან და მთავრდებოდა მთა პალუტლიბაშთან.

ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე, 1922 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ახტალის სატყეოს გადასცა ლოქ-ლალვარის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტყე, სულ 15-18 ათასი დესეტინა.

1922 წლის 12 ოქტომბერს სოფელ ხოჟორნიში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენლები. სომხურ მხარეს გადაეცა ყოფილი ნეიტრალური ზონის ტყე, მდებარე ლოქ-ლალვარის ქედსა და (1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით) სახელმწიფო საზღვარს შორის.

სულ მალე ნათელი გახდა, რომ 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება ყოვლად უვარგისი იყო. საზღვარი რუკაზე სოფლიდან სოფლამდე ისე გაივლო, რომ სადახლოს, ბრდაძორის, გიულ-ბაღის, ხოჟორნის, ოფრეთის, დმელახის, ჩანახჩისა და ახკერპის სანადელო მიწები გაჭრილი, გაკვეთილი, ზოგიერთ შემთხვევაში, თვით სოფლებიც კი ნაწილებად გახლეჩილი აღმოჩნდა. მოგვიანებით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ს. თოდრიამ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნა: „საქართველოს და სომხეთს შორის 1921 წლის 6 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება არანორმალურია, რადგანაც ესაა საზღვარი ყოფილი ნეიტრალური ზონისა საქართველოს მხრიდან, რომელიც დადგენილი იყო არანორმალურ პირობებში, სომხეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. ეს სასაზღვრო ხაზი დაადგინა ინგლისის ხელისუფლებამ დროებითი

ზავის დადების დროს და სასაზღვრო ხაზი გადიოდა იმ პუნქტებზე, სადაც საქართველოს ჯარებს მოუსწრო დროებითმა ზავმა. აქედან გამომდინარე, სრულებითაც არ იყო გათვალისწინებული ამ რესპუბლიკების არც გეოგრაფიული, არც ეთნოგრაფიული მხარე, არამედ უბრალოდ იყო დადგენილი დროებითი სადემარკაციო ხაზი, სახელმწიფო საზღვრის საბოლოო დადგენამდე. შემდეგ ეს საკითხი გადაწყდა. ნეიტრალური ზონა გაიყო ორ რესპუბლიკას შორის. ამასთან საქართველოს საზღვარმა გადაიწია ლოქ-ლალვარის ქედის იქით...“

ეს საკითხი განიხილეს 1923 წლის 30 აპრილს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული საზღვრების გამმიჯნავი კომისიის სხდომაზე. კომისიის დადგენილებით, შეიცვალა ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის და დადგინდა ლოქ-ლალვარის ქედზე. სოფლები ირგინჩაი, საათლო, სადახლო თავისი სანადელო მიწებით დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით საქართველოს ფარგლებში დარჩა. ახლად დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით და 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს შორის მდებარე ტყე აღმოჩნდა ერთობლივ მფლობელობაში.

ამ დადგენილებას არ დაეთანხმა სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თავმჯდომარე. ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაამტკიცა ეს დადგენილება. სასაზღვრო დავა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა.

არ შეიძლება განცვიფრებისა და აღშფოთების გარეშე წავიკითხოთ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების მომწესრიგებელი ერთ-ერთი, ეროვნებით არაქართველი, ექსპერტის დასკვნა, რომელიც მან გაუგზავნა ამიერკავკასიის ცაკს 1926 წლის 8 ივნისს: „მისი დადგენის დროს (იგულისხმება 1921 წლის 6 ნოემბრის შეთანხმება) მიასნიკოვი და ბუდუ მდივანი შესანიშნავად ორიენტირებდნენ რუკაზე, მათ მიერ არ იყო გაუთვალისწინებელი არც ერთი სიმაღლე... მით უფრო უნდა დაენახათ თოვლიანი ლოქ-ლალვარის ქედი; ცხადია, რომ ისინი ამყარებდნენ ეკონომიურ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარს მაზრებს შორის და ამიტომ 1923 წლის 30 აპრილის საზღვარი არ არის 1921 წლის 6 ნოემბრის საზღვრის „ცხოვრებისეული ვარიანტი“, არამედ ეს არის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემოთავაზებული სრულიად დამოუკიდებელი საზღვარი. თუმცა სახელმწიფოებს რომ დაედგინათ სტრატეგიული საზღვარი, რომელიც გამიჯნავდა სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს, უკეთ დაიცავდა საზღვარს ომის შემთხვევაში, უკეთეს საზღვარს ვერც მოძებნიდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა თუ საზღვრად ჩაითვლებოდა არა ლოქ-ლალვარის ქედი, არამედ ქედი, რომელზედაც გადის საზღვარი თურქეთსა და სსრკ შორის და მისი დასასრული არ შეიძლება იყოს სადგურ სადახლოზე, არამედ უნდა გაგრძელებულიყო აირუმზე, ყარაქილისზე და ა. შ. სანამ ქედი

არ დამთავრდებოდა. მიასნიკოვი და მდივანი ძალიან კარგად ერკვეოდნენ ეკონომიკურ საკითხებში, როცა ამყარებდნენ მოცემულ საზღვარს. ის მხოლოდ ტექნიკურად უნდა გასწორებულიყო და უსარგებლო დავა დიდი ხანია შეწყდებოდა... მთიანი ლორეს გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ ტყე, ტყე მათთვის არის აუცილებელი სასიცოცხლო პირობა". ამაზე უფრო ცინიკურ განცხადებას ვერ წაიკითხავ, ამ ექსპერტის ერთადერთი არგუმენტი ის არის, რომ „მთიანი ლორეს გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ" ტყე.

ამ არგუმენტსვე ეყრდნობა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის განცხადება: „როგორც ცნობილია, სომხეთი ღარიბია ტყით და მისი მასივი არ აღემატება 5-6%-ს, მაშინ, როცა საქართველოს ტყის მასივი აღწევს 27%-ს". ყოველივე ეს მათ უფლებას აძლევთ, უარყონ საქართველოს წარსული, სასიცოცხლო ინტერესები და მიიტაცონ მისი ისტორიული მიწები.

1928 წლის 10 აგვისტოს ქალაქ თბილისში, ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის 16 ივლისის დადგენილებით, შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაზრების გამმიჯნავი კომისია იაკუბოვის ხელმძღვანელობით. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოსა და სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრები. სხდომამ განიხილა ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაზრებს შორის არსებული სადავო საკითხები. აზრთა გაცვლის შემდეგ კომისიამ მოხაზა ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი, რის საფუძველზეც სოფლები სადახლო, გიულბაღი, ხოჟორნი, ხოხმელი, ოფრეთი და ჯანდარი თავისი სანადელო მიწებით დარჩა ბორჩალოს მაზრის ფარგლებში, ხოლო სოფლები ბრდაძორი, ჩანახჩი და ახკერპი თავისი მიწებით გადაეცა ლორე-ბამბაკის მაზრას. სოფელ ოფრეთისა და ჯილიზას შორის არსებული სადავო მიწის საკითხი მდინარე შულავერ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე გადაწყდა სოფელ ოფრეთისათვის სოფელ ჩანახჩის მიწებიდან ტოლი მიწის გამოყოფით ან სხვა საშუალებით, რომლის ადგილზე გამოკვლევა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა ადგილობრივ კომისიას ორივე მხარის წარმომადგენლებთან ერთად..."

ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოთქვა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც არ ესწრებოდა სხდომას. მან აღნიშნა, რომ „ამ აქტზე ხელმოწერა, რომლის ცხოვრებაში გატარება ფაქტიურად შეუძლებელია, იყო არასწორი. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ბორჩალოს და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის საზღვრის გავლების შესახებ არის საზღვარი ლოქ-ლალვარის წყალგამყოფ ქედზე. ყოველგვარი გადახვევა ამ ხაზიდან რომელიმე მხარეს საბოლოო შედეგად ყოველთვის მიგვიყვანს საკითხის ხელახლა გადასინჯვამდე...". მართალი აღმოჩნდა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, წინააღმდეგობა გრძელდებოდა. დასახელებული სოფლის მცხოვრებნი კატ-

ეგორიულად ითხოვდნენ მათი ტერიტორიის საქართველოს საზღვრებში დაბრუნებას. მართალია, ეს სოფლები მოხვდა სომხეთის მფლობელობაში, მაგრამ ადმინისტრაციულად კვლავ საქართველოს, ბორჩალოს მაზრას, ემორჩილებოდნენ. ალავერდის რაიონთან ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ურთიერთობა. ამ რაიონისაგან ამ სოფლებს ჰყოფდა უღელტეხილი, რომელზედაც გადიოდა მხოლოდ ბილიკი, ზამთარში კი ეს მხარე მთლიანად მოწყვეტილი იყო სომხეთისაგან. აქედან გამომდინარე, შექმნილი კომისია ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ბუნებრივ-ისტორიული პირობები მოითხოვდა, სოფლები ახკერპი, ჩანახჩი და ბრდაძორი ეკონომკურად დაკავშირებულიყო ბორჩალოს რაიონთან.

1934 წლის 13 თებერვალს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე კვლავ განიხილეს ბორჩალოსა და ალავერდის რაიონებს შორის საზღვრების მოწყობის საკითხი და დაადგინეს: „ა) აუცილებელია სოფლების ახკერპისა, ჩანახჩისა და ბრდაძორის საქართველოსათვის გადაცემა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში; ბ) შეიცვალოს რესპუბლიკური საზღვარი ბორჩალოსა და ალავერდის რაიონებს შორის „ა“ პუნქტის გათვალისწინებით; გ) დასახელებულ სოფლების მცხოვრებლებს ნება მიეცეთ ხანგრძლივ ვადიან საარენდო უფლებით ისარგებლონ მიმდებარე ტყის მასივით, რომელიც დარჩა სომხეთის მფლობელობაში; დ) დაევალოს ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება“.

1934 წლის 2 მარტს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოხდა ამ გადაწყვეტილების რატიფიკაცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სოფლების ხოჟორნისა და ოფრეთის სოფლსაბჭოებს შორის განაწილების შესახებ. სოფელი ჩანახჩი და ახკერპი გადაეცა ოფრეთის სოფლსაბჭოს, ხოლო სოფელი ბრდაძორი ხოჟორნის სოფლსაბჭოს.

ამ დადგენილების მიხედვით, ჰუჯაბის მონასტერი რჩება სომხეთის სსრ ფარგლებში. ბორჩალოს რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ითხოვდა ამ მონასტრის გადაცემას ბორჩალოს მაზრისათვის. ეს მოთხოვნა განიხილა ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ 1934 წლის 16 სექტემბერს. სხდომამ სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა, განეხილა ახკერპის რაიონში მდებარე მონასტრის საქართველოსათვის გადაცემის საკითხი. სომხეთმა, რა თქმა უნდა, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. 1935 წლის 23 დეკემბერს ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ემინოვი კვლავ აყენებს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე მონასტრის დაბრუნების საკითხს. ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობდა სოფელ ახკერპიდან 1 კმ-ის დაშორებით. როგორც ბორჩალოს რაიონული აღმასკომის ოქმში ვკითხულობთ, სტეფანავანის რაიაღმასკომმა მონასტერი გადასცა სოფელ პრივოლნოეს. შემდეგ კი გააუქმა ის და მას საღორედ იყ-

ენებდა. სოფელ პრივოლნოედან მონასტერი დაშორებული იყო 20 კილომეტრით. მონასტერთან არ იყო სახნავი მიწები, ამიტომ საღორის მოწყობას აუცილებლად მოჰყვებოდა ტყის გაჩეხვა და მიწის მიტაცება ახკერპის კოლმეურნეობის ხარჯზე. ამ საფუძველზე, ბორჩალოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამიერკავკასიის ცაკის წინაშე შუამდგომლობას აღძრავს მონასტრის დაბრუნების შესახებ.

1936 წლის 14 მარტის სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო დადგენილება ჰუჯაბის მონასტრის ბორჩალოს მაზრისათვის გადაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ, რადგან იგი ეკუთვნოდა სოფელ პირივოლნოეს და იქ უკვე ორგანიზებული იყო მეღორეობის და მეფუტკრეობის ფერმა.

რას ვიზამთ, „მეღორეობის და მეფუტკრეობის ფერმა“ იმ დროისათვის უფრო ძლიერი არგუმენტი იყო, ვიდრე — ისტორიული სინამდვილე!

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 25 მარტის სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე ახკერპის კოლმეურნეობისათვის მონასტრის გადაცემის საკითხი ჩაითვალოს ამოწურულად“.

1938 წლის 5 მარტს გაიმართა რესპუბლიკათაშორისო თათბირი სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების მონაწილეობით იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრების დასადგენად, რა საზღვრებითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები დამოუკიდებლად შევიდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში. თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „1. სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საქართველო-სომხეთთან სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრის ს. სადახლოსთან (ლუქსემბურგის რაიონი) მონახაზი მთლიანად ემთხვევა საქართველოს მიწათმოქმედებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს. 2. საქართველოსა და სომხეთის საზღვარი უღელტეხილ „მგლის ჭიშკარსა“ და სოფელ ხოხმელს შორის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სწორად არის წარმოდგენილი, ხოლო სომხეთის მიერ არ არის გათვალისწინებული სამი სოფელი: ახკერპი, ჩანახჩი და ბრდაძორი (ალავერდის რაიონი, სომხეთის სსრ და ბორჩალოს რაიონი, საქართველოს სსრ), რომელიც საქართველოს გადაეცა 1934 წელს. საქართველოს ცაკის მიერ ამ მონაკვეთზე საზღვრები გრაფიკულად არ იყო ზუსტად დატანილი“.

1938 წლის 23 მარტს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკათაშორისო თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ „1:400 000 და 1:500 000 მასშტაბის რუკაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო

საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო გადაღების და კარტოგრაფიის რესპუბლიკათაშორისო განყოფილებასთან ამა წლის 5-7 მარტს შემდგარი თათბირის მიხედვით მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში, სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ სოფელი ახკერპის, ჩანახჩის და ბრდაძორის ფარგლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სოფლები სომხეთის სსრ რესპუბლიკიდან 1934 წელს გადაეცა საქართველოს სსრ რესპუბლიკას და რომ დანარჩენ საზღვრებში სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ აღმოფხვრილია და გასწორებულია საზღვრების აღნიშვნის ყველა უმნიშვნელო არაზუსტობანი, რომელიც მოხდა რუკების ანაბეჭდების დეფორმაციით და რუკაზე სხვადასხვა ტოპოგრაფიული მასალებიდან მონაცემების არაზუსტად აღნიშვნის შედეგად“.

ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: „დამტკიცდეს ადმინისტრაციული საზღვრები სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან, თანახმად თანადართული თათბირის მონაწილეთა მიერ დამოწმებული 1:500000 მასშტაბის რუკის საზღვრების აღნიშვნის დროს დაშვებული გრაფიკული ტექნიკური არაზუსტობის აღმოფხვრის გათვალისწინებით“.

ასე დასრულდა საქართველო-სომხეთს შორის არსებული დავა. მდინარეების მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფ ქედზე გამავალი ძველისძველი საზღვრის შენარჩუნება ვერ შეძლეს ვერც მენშევიკებმა და, მითუმეტეს, ვერც ბოლშევიკებმა, რომლებიც ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ლოზუნგით ხელმძღვანელობდნენ და სომხეთს გადასცეს თავისი კუთვნილი 2478 კვადრატული კილომეტრი ფართობის მიწები.

ბ) საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ცვლილებები 1921-1938 წლებში. 1921 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი სასაზღვრო ხაზის შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილებები:

„1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის რჩება უცვლელი, რამდენადაც ამაზე განსაკუთრებულად არ არის ლაპარაკი შემდეგ მუხლებში.

2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიაზის ველის საკითხის შესახებ კონფერენციამ დაადგინა: ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიაზის ველისა, დაახლოებით შემდეგ საზღვრებში, ამასთან დაცულ იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის: ფაქტიური მფლობელობის საზღვარი იწყება წითელი ხიდიდან მდინარე ხრამზე და მიდის სადგურ ბეუკკიასიკამდე, მისი ჩათვლით, მიემართება კირიშლის მთაზე, გაივლის მთა კეშიშ-გზოიმდე, შემდეგ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაივლის უღელტეხილ შიხლი-ქარავან-ქაისს, გადა-

კვეთავს დიდ გზას, უხვევს ჩრდილოეთით, ადის ლებსიზინ-დაგზე კვეთავს არამდარის ხრამს და შემოუვლის რა კუტანს მიდის კალაგირის მთამდე, მიემართება მდინარე იორამდე, მიდის მასზე კესამანის მიჯნაზე, შემდეგ მიჰყვება სახელმწიფო საზღვარს.

შენიშვნა: ზუსტი საზღვრის დადგენა ყაზახის გლეხების მფლობელობისა ევალება განსაკუთრებულ შერეულ კომისიას, რომელიც შეუდგება მუშაობას წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორ კვირაში.

ბ) ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიური მფლობელნი და მოსარგებლენი ამ ველის, ყველა შემთხვევაში სარგებლობენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციით, ემორჩილებიან ყახაზის მაზრის აღმასკომს.

3. რაც შეეხება ელდარის ველს, კონფერენცია ადგენს დაევალოს შერეულ კომისიას, აღნიშნულს მე-2 მუხლში, დაადგინოს და განამტკიცოს ადგილზე ამ ველის ფაქტიური მფლობელობა.

4. რაც შეეხება ზაქათალის ოლქს. კონფერენციამ დაადგინა: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამისს დეკლარაციას.

5. ორივე მხარის გლეხები უზრუნველყოფილნი იქნებიან წინააღმდეგობის გარეშე ისარგებლონ საძოვრებით, მომთაბარეთა ადგილებით და სხვა სავარგულებით, რითაც ისინი ფაქტიურად სარგებლობენ“.

წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რევკომთა თავმჯდომარეებმა: ფ. მახარაძემ და ნ. ნარიმანოვმა.

ამ ოფიციალური შეთანხმებით, ხორცი შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში ზაქათალის ოლქის დატოვების შესახებ.

1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯი ზადემ. ამ შეთანხმების მიხედვით ელდარის ველის საკითხი ღიად დარჩა, ხოლო ზაქათალის ოლქთან დაკავშირებით ძალაში დარჩა 5 ივლისის კონფერენციის დადგენილება.

ამ შეთანხმებით, საბოლოოდ იურიდიულად გაფორმდა ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის სსრ-სადმი მიკუთვნების საკითხი. საქართველოს ისტორიული კუთხე - ზაქათალის ოლქი - ჩამოსცილდა დედა-სამშობლოს - საქართველოს. ,,ასე ხელოვნურად მოსწყდა საქართველოს მთლიან ტერიტორიას მასთან ყოველივე მხრით: პოლიტიკურად, ეკონომიურად, გეოგრაფიულად, ისტორიულად, სტრატეგიულად შედუღებული ნაწილი; ასე სამწუხაროდ დამთავრდა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ამოხაზვა! ასე

უეცრად და ხალხისთვის საზარლად გასწყდა ის შემაერთებელი ძაფი ზაქათალასა და თბილისს შორის, რომლითაც თვით ხალხის ყოველდღიურმა მოთხოვნილებამ გადააბა ეს ორი ცენტრი! “ – დიდი გულისტკივილით აღნიშნავს ინგილო.

დავა ორ ქვეყანას შორის კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა არა მთლიან ოლქებს, არამედ - მიწების, ტყეების, საძოვრების ცალკეულ მონაკვეთებს. საქართველო-აზერბაიჯანს შორის სადავო საკითხები იყო:

1. ზაქათალის მაზრის სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის საკითხი სიღნაღის მაზრის ჭიაურის ტყის აგარაკის საზღვრებში.

2. ზაქათალისა და სიღნაღის მაზრებს შორის სადავო იყო შირაქის ალაზნისპირა ველი.

3. განჯისა და სიღნაღის მაზრებს შორის სადავო იყო ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრები.

4. თბილისის და ყაზახის მაზრებს შორის სადავო იყო გარეჯის ზამთრის საძოვრები.

5. თბილისის და ყაზახის მაზრებს შორის სადავო იყო საზღვრის დადგენა დავით გარეჯის აგარაკიდან მტკვრამდე.

1924 წლის 17 ოქტომბერს, ამიერკავკასიის ცაკთან არსებული კომისიის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საზღვარი სიღნაღისა და ზაქათალის მაზრებს შორის შირაქის მიდამოებში დადგინდა მდინარე ალაზანზე. მთელი ალაზნისპირა ველი გადაეცა საქართველოს, მაგრამ აზერბაიჯანის მცხოვრებლებს საქართველოს ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის უფლება ეძლეოდათ, რაც, თავისთავად ცხადია, ხელს უწყობდა სადავო კერის შექმნას. ეს გადაწყვეტილება 1925 წლის 30 მარტს დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა კომისიამ. აზერბაიჯანის მხარე წლების მანძილზე აცხადებდა პრეტენზიას ალაზნისპირა ველზე. დავა კვლავ გაგრძელდა, მაგრამ სიღნაღისა და ზაქათალის რაიონებს შორის საზღვარი ამ მონაკვეთზე აღარ შეცვლილა. შირაქის ალაზნისპირა ველი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

უფრო ვრცლად შევჩერდეთ მეოთხე სადავო საკითხზე, რომელიც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექს შეეხებოდა.

1921 წლის 8 ნოემბრის განსაკუთრებული შერეული კომისიის გადაწყვეტილებით, დავით გარეჯის მონასტრის აგარაკი გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთი მიაკუთვნეს საქართველოს, ხოლო აღმოსავლეთი გადაეცა აზერბაიჯანს. აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა საქართველოს უძველესი ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით მოფენილი ტერიტორია, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი. ეს ტერიტორია საქართველოს უდავო ისტორიულ კუთვნილებას წარმოადგენდა. საქართველოსა და აზებაიჯანის რესპუბლიკების ტერიტორიათა გამიჯვნის შემდეგ უმეტესი

ნაწილი ამ ძეგლებისა, სახელდობრ, დავით გარეჯა, განსაშორი, ბერთუბანი, დავით გარეჯის მახლობლად მდებარე ჩიჩხიტურის კოშკი თავიანთი მიდამოებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში მოექცა. დაირღვა აღნიშნულ ძეგლთა კომპლექსის მთლიანობა.

ხსენებული ძეგლების გაპარტახების თავიდან ასაცილებლად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა 1925 წლის 15 იანვარს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ხსენებული მიდამოები, დავით-გარეჯის მონასტრის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, დაბრუნებოდა საქართველოს. მხოლოდ ამ მიზეზით საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნების მოთხოვნა იმ დროს, როცა რესპუპლიკებს შორის იდებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრები (და არა სახელმწიფო საზღვრები), როცა ისტორიულ კუთვნილებას მნიშვნელობა არ ჰქონდა და ყველაფერი წყდებოდა „ამხანაგურ-მეგობრულ“ საწყისებზე, არ შეიძლებოდა. ეს იმ დროის მესვეურებსაც კარგად ესმოდათ, ამიტომ საქართველოს ცაკი ამ ტერიტორიის დასაბრუნებლად ეკონომიკურ მიზნებსაც ასახელებს და ხაზს უსვამს დავით-გარეჯის საძოვრების მნიშვნელობას საქართველოსთვის.

საქართველოს ცაკის მდივნის, ს. თოდრიას, 1925 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „საქართველოს ცაკის მიერ ა/წ 15 იანვრის დადგენილების თანახმად აღძრული იყო ა/კ ცაკის წინაშე შუამდგომლობა, რათა ხსენებული მიდამოები დაბრუნებოდა საქართველოს დავით გარეჯის მონასტრის ძეგლების შენარჩუნების და დაცვის მიზნით. ხოლო აღნიშნულ ნიადაგზე საქართველოს ცაკის მიერ აღძრული შუამდგომლობა არ შეეფერება დღევანდელ პირობებს, რის გამოც საჭიროა შეცვლილ იქნეს საბაბი ამ შუამდგომლობის და სარჩელად მას უნდა დაედვას სხვა საფუძველი. ხსენებული მონასტრის მიდამოებით, როგორც საძოვარი ადგილებით ახალ გამიჯვნამდე სარგებლობდა თბილისის მაზრის მოსახლეობა, დღეს კი ეს ადგილები შედის აზერბაიჯანის საზღვრებში და ტფილისის მაზრის მოსახლეობა მოკლებულია ამ საძოვრებით სარგებლობას. საჭიროა აღძრულ იქნეს საკითხი აღნიშნულ მიდამოებით სარგებლობის უფლებათა აღდგენის შესახებ, რასაც უნდა მოჰყვეს შედეგად საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვრების ხელახლა გადამიჯვნა“.

1925 წლის 8 დეკემბრით დათარიღებულ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაგზავნილ წერილში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი აღნიშნავს: „ეს რაიონი შეადგენს საქართველოს ტერიტორიის უდავო ნაწილს. ამის დამამტკიცებელია მთელი რიგი ამ რაიონის უდავო სარგებლობის ფაქტები საქართველოს მესაქონლეთა მიერ და აგრეთვე ის ძეგლები, რომლითაც მოფენილია დავით გარეჯის უდაბნო. სიღნაღის და თბილისის მაზრის მოსახლეობას (იორ-მუღანლოს, ყარაიაზის, სართიჭალის და საგარეჯოს სოფლებისა) უხსოვარი დროიდან

უსარგებლია და ახლაც სარგებლობს ამ საძოვრებით... ჩვენი მესაქონლეობა ისეთ შევიწროებულ მდგომარეობას განიცდიდა უწინდღიდანვე, რომ არამცთუ ამ საძოვრებს დაანებებდა სხვა ვისმეს, არამედ თითონ ცდილობდნენ სხვაგან საძოვრების შეძენას და შოულობდნენ კიდეც შორს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სადაც საძოვრები სჭარბობდათ, ამიტომ განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის საძოვრების სივიწროვის და მესაქონლეობის კრიტიკული მდგომარეობის გამო, რომელიც საკმარისად ცნობილი და გამოკვლეულია, დავით გარეჯის უდაბნოს ირგვლივ მდებარე საძოვრები უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში". ასეთი იყო საქართველოს წარმომადგენელთა მოთხოვნა.

საკითხი დიდი ხნის განმავლობაში ვერ გადაწყდა. 1929 წლის 18 თებერვალს შედგა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა დავით გარეჯის ზამთრის საძოვრების საკითხი. სხდომის გადაწყვეტილებით, დავით გარეჯის მონასტრის აგარაკის სადავო ნაწილი გადაეცა საქართველოს. 1929 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება იყო საბოლოო და საჭირო იყო მისი შესრულება. ამ დადგენილებით, საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დარჩა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1938 წლის 5 მარტს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ ცენრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ განსაზღვრა ამ რესპუბლიკების საზღვარი:

„1. საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის „დიდი მთის" ჩრდილოეთით საზღვრის განსხვავება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ აღმოჩნდა სწორედ დატანილი, რაც დადასტურებულია აზერბაიჯანის სსრ ცაკის და მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს მონაცემებით, საზღვარი გადის მდინარე ალაზანზე.

2. სხვა შემთხვევაში უმნიშვნელო შეუთანხმებლობა, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ საზღვრებს შორის, რომლებიც დატანილია აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მონაცემებით, გამოწვეულია ძირითადად არაზუსტი გრაფიკული დატანის შედეგად, გამოყენებულ იქნა რა საზღვრის ხაზის დატანის დროს სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი მასალა 1:500 000 მასშტაბის რუკის სხვადასხვა ამონაბეჭდზე...

3. მასალების განხილვის შედეგად თათბირი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ ცაკის წინაშე წარადგენს 1:500 000 მაშტაბის დამოწმებულ

რუკას დასამტკიცებლად, საზღვრის დატანის დროს დაშვებელი გრაფიკული უზუსტობათა აღმოფხვრის გათვალისწინებით“.

1938 წლის 23 მარტს, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკათაშორის თათბირის შედეგები და აღნიშნა: „1:400 000 და 1:500 000 მასშტაბის რუკებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო, საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო გადაღებისა და კარტოგრაფიის სარესპუბლიკათაშორისო განყოფილებასთან ა/წ 5-7 მარტს შემდგარი თათბირის შედეგად მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში... საზღვრის უმნიშვნელო განსხვავება კი აზერბაიჯანის სსრ მხრივ დიდი მთის ჩრდილოეთით, საქართველოს სსრ ცაკის ცნობების მიხედვით, აღმოჩნდა სწორად აღნიშნული, რაც დადასტურებულია აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის ცაკის მონაცემებით, საზღვარი გადის მდინარე ალაზანზე“.

ამის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, არსებითი სასაზღვრო ცვლილება საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის აღარ მომხდარა. საქართველომ დაკარგა ზაქათალის ოლქი, ელდარ-სამუხის სტეპის ნაწილი, დავითგარეჯის ველი და ქვედა ყარაიაზის სექტორი, სულ — 3627 კმ^2 ტერიტორია.

ამგვარად, 1921 წლიდან დაწყებული 1936 წლის ჩათვლით, მარტო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ გაასხვისა 6105 კმ^2 ფართობის ისტორიული ქართული მიწა: აქედან სომხეთს დაეთმო 2478 კმ^2, ხოლო აზერბაიჯანს — 3627 კმ^2 ტერიტორია.

მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი

XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი მოვლენები განვითარდა: აღმოსავლეთ ევროპაში დაემხო კომუნისტური რეჟიმები, გაერთიანდა გერმანია, დაიშალა „ბოროტების იმპერიად“ წოდებული საბჭოთა კავშირი... ყოველივე ამან შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა.

1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის 179-ე წევრად აღიარა, ცნო მისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში.

ამას წინ უძღოდა ის რთული პროცესები, რომლებიც საქართველოში დატრიალდა. 1990 წლის 9 აპრილს, საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე (საქართველოს სსრ მოსახლეობის 90%-დან, რომელიც რეფერენდუმში მონაწილეობდა, დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა 99%-მა), საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ახდა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ოცნება.

დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირის (შემდეგ კი, მისი მემკვიდრის, რუსეთის) ხელმძღვანელობა არ ცნობდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს და ყოველი ღონით, განსაკუთრებით, ეთნოსეპარატიზმისა და შეიარაღებული კონფლიქტების გაღვივებით, ცდილობდა გავლენის სფეროების შენარჩუნებას.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ისტორიულ ტეხილს ქართული ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტა მოუმზადებელი შეხვდა. საუბედუროდ, უმრავლესობა დამოუკიდებლობით მინიჭებულ უფლებებზე ალაპარაკდა, ხოლო ქვეყნისა და ერის ნიწაშე დაკისრებული მოვალეობები მივიწყებული აღმოჩნდა. ერთსულოვნებისა და გონივრული გადაწყვეტილებების ნაცვლად, იმძლავრა ამბიციებმა, ყოვლად მიუღებელი და უზნეო ფორმებით პოლიტიკურმა ანგარიშსწორებამ და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩაეფლო. ამით შესანიშნავად ისარგებლეს რუსულმა იმპერიულმა ძალებმა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიურ ერთეულებში სამხედრო-შეიარაღებული კონფლიქტები გააჩაღეს. სინამდვილეში, ეს იყო 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ხანგრძლივი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის მორიგი ეტაპი, 2008 წლის აგვისტოს „ხუთდღიანი ომის“ შედეგად, საქართველოს მარცხით დასრულდა.

დაირღვა საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმი: დედასამშობლოს მოწყდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ

ოსეთის ავტონომიური ოლქის (ცხინვალის რეგიონის) ტერიტორიები. სულ მალე რუსეთის ფედერაციამ ცნო მათი „დამოუკიდებელობა“ და ისინი თავის სატელიტებად აქცია.

ახლა, როცა, უპირველეს ყოვლისა, ღვთისა და საკუთარი თავის იმედად ვართ დარჩენილნი, საზღვრებმორღვეული ქვეყნის შვილთ კიდევ უფრო მტკიცედ გვმართებს „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლაჲ“...

ბოლოთქმა

წინამდებარე ნაშრომის გაცნობას, ვფიქრობთ, მკითხველი ერთ რამეში უნდა დაერწმუნებინა: საქართველოს ტერიტორია იმავდროულად ქართული ეროვნულ – სახელმწიფოებრივი ტერიტორიაა და ის ქართველი ხალხის შემოქმედებაა. სწორედ ამიტომ ქართველი ერი და საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ყოველთვის განუყოფელ ისტორიულ ერთობად განიხილებოდა. ამის უდავო დასტური ჩვენი წინაპრების მიერ „საზღვართა განმაგრებისათვის“ აღვლენილი ლოცვაა.

ეროვნულ – სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფა, მისი, თუნდაც მცირედი ნაწილის, დაკარგვა განუზომელ სახალხო გლოვასა და წუხილს იწვევდა მუდამ. ქვეყნის მესვეურნი, საზოგადოების ელიტარული ნაწილი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ღვთისაგან დაკისრებულ უპირველეს საზრუნავად მიიჩნევდნენ. თუ ქართული სახელმწიფოს მეთაურნი ამ წმიდათაწმიდა მოვალეობას თავს ვერ ართმევენ, ისინი „მწუხარებასა შინა დიდსა“ ტოვებდნენ წუთისოფელს, ხოლო თუ ღირსეულად ახერხებდნენ მამაპაპისაგან დანატოვარი მიწაწყლის შენარჩუნებას, მაშინ „ნუგეშინის ცემულნი დიდად“ აღესრულებოდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთი ამგვარი მაგალითია...

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც მიტაცებულია და გვინდა, ვირწმუნოთ, რომ დროებით „არის გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა“. გვჯერა, რომ ამ ქვეყნად მარადიული არაფერია და ჯეროვანი ზნეობის, ჭკუისა და სიმამაცის მქონე ადამიანები შესძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას. ამ იმედით „მოველით განქარვებასა ყოველთა ჭირთა ჩუენთასა და უმეტეს წარმატებასა საზღუართა ჩუენთასა“.